დიანა იანსე

ავლანური დღიურები

ჩემი გული ფრთა ნაბიჯს ეძებ ვგოლეებ...

დიანა იანსე

ავღანური დღიურები

ჩემი გულის ერთ ნაწილს აქ ვდოვებ...

შვედურიდან თარგმნა **ლიკა ჩაფიძემ**

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

წინასიტყვაობა

2004 წელს შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პაკისტანში, ქალაქ ისლამაბადში, საელჩოს თანამშრომლის თანამდებობაზე ვაკანსია გამოაცხადა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში „სიდას“[1] ოფისში სამუშაოდ. მსურველები არ ჩანდნენ. განცხადება მესამედ რომ გამოაქვეყნეს, მხოლოდ მაშინ მოვკარი თვალი და სანამ იმის გააზრებას მოვასწრებდი, რომ ვაკანსიაზე განაცხადი შევიტანე, სამსახური მივიღე და ქაბულისაკენ მიმავალ გზასაც დავადექი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში 1999 წლიდან ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა მისიით მოსკოვში, ბელგრადსა და ნიუ-იორკშიც კი მიმუშავია. ავღანეთში გამგზავრებამდე ერთი წლით ადრე სტოკჰოლმში ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. საშინლად მოსაბეზრებელი და სტრესული სამუშაო იყო. მთელ

[1] Swedish International Development Agency – შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

დღეებს საწერ მაგიდასთან ვატარებდი და ევროკავშირის დელეგაციაში ჩვენი წარმომადგენლებისათვის ინსტრუქციებს ვწერდი.

დიპლომატის კარიერაზე ოცნება 1990-იან წლებში მოსკოვის ერთ-ერთ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში დავიწყე და ავღანეთში გამ-გზავრებამდე მასში ეჭვი არასდროს შემიტანია, ავღანეთში ჩამოსვლის პირველივე დღიდან კი საკუთარმა არჩევანმა დამაფიქრა და მოუსვენ-რობამ შემიპყრო. ეს ნამდვილად არ იყო ის, რაზეც ვოცნებობდი.

ზუსტად არ ვიცი, რატომ გადავწყვიტე ქაბულში წასვლა. შესაძლოა, ეს უბრალო შემთხვევითობა იყო, ან იქნებ სწორედ ასე გამოვუცხადე ომი ყველა პაემანსა და პრიალა ჟურნალს, ჩემს ყოველდღიურობას რომ შე-ადგენდა. შესაძლოა, ეს ჩემი სამსახურის გამო მოხდა. ინსტრუქციების გაუთავებლად წერამ მუშაობის ყველანაირი ხალისი წამართვა; მზად ვიყავი, ნებისმიერი შემოთავაზება მიმეღო – იქნებოდა ეს ავანტიურა თუ, უბრალოდ, შანსი, რაიმე სასარგებლო მეც გამეკეთებინა. შესაძლოა, ეს ნაბიჯი ჩემს გამოუცდელობაზე უფრო მეტყველებს. იქნებ მინდოდა რამე უფრო მნიშვნელოვანი, ზოგადსაკაცობრიო მეკეთებინა, მესწავლა, საკუთარი თვალით მენახა და გამეგო; იქნებ, უბრალოდ, ახლიდან დაწ-ყება მსურდა; ან იქნებ ყველაფერი ერთად... ახლა, როცა უკვე ყოველივე უკან დარჩა, გონივრული მიზეზების მოფიქრება უფრო მიადვილდება, თუმცა სინამდვილეში მართლა არ ვიცი, რამ მიბიძგა ამ ნაბიჯის გადად-გმისკენ. ზოგ გადაწყვეტილებას მხოლოდ გადაწყვეტილების გამო ვიღებ.

აზიაში მანამდეც ვყოფილვარ. ერთი წელი საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაშიც მიცხოვრია, მაგრამ ავღანეთი ჯერ ისევ სუფთა ფურ-ცელი იყო ჩემთვის. ვფიქრობ, ავღანეთში მიმდინარე მოვლენებში ჩვენი მონაწილეობა დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოებისკენ მიმარ-თული ისლამური ექსტრემიზმის საფრთხის შეკავებას ემსახურება, თუმ-

ცა ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მაინც მილიონობით ავღანელისთვის აუ-ტანელი ყოველდღიურობის შემსუბუქებას ვცდილობთ. ეს არის უბრალო ადამიანური თანაგრძნობა. განდი ამბობდა, ძალადობის ერთ-ერთი ყვე-ლაზე საშინელი ფორმა სიღარიბეაო. როგორ უნდა დაძლიოს მთელმა ქვეყანამ სიღარიბე, არავინ იცის. მხოლოდ საერთაშორისო დახმარება რომ ვერაფერს გახდება, ცხადია. ამგვარი დახმარება მხოლოდ გარკვე-ულ კონტექსტშია ეფექტიანი. სიღარიბის დაძლევა და ქვეყნის განვითა-რება არ არის ცალკე მდგომი პრობლემა, ის მუდამ პოლიტიკურ, კულ-ტურულ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და უსაფრთხოების საკითხებთან ერთად განიხილება.

გამგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე შვებულება ავიღე და მო-მავალი მგზავრობისათვის თავის შემზადება წიგნების კითხვით დავიწყე. ეს, ერთი მხრივ, შიმშილთან შეგუებას ჰგავდა. დავჯავშნე ბილეთი, ჩავა-ლაგე ბარგი და თავს შემოვუძახე: „დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია!“

ეს ჩემი ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია. ეს წიგნი ნაწი-ლობრივ რეპორტაჟების კრებულია – დღიური. ჩემი ჩანაწერები ნამდვი-ლია და ნამდვილი ადამიანების ისტორიებს გიამბობთ. როგორც ყოველ-თვის, ასეთი სურათები სინამდვილის კარიკატურებს უფრო ჰგვანან – სხვა ადამიანებს სხვა მოვლენები, სხვა დეტალები ახსოვთ და თავისებუ-რად ხსნიან მათ. ჩემი მიზანი იმის გადმოცემაა, რასაც თავად ვხედავდი, განვიცდიდი, მესმოდა, ვგრძნობდი, ვფიქრობდი – მცირე ნაწილი იმისა, რასაც ავღანეთიდან წამოსვლიდან ორი წლის შემდეგაც კი გულით ვა-ტარებ. ამ პერიოდმა ჩემი სამყარო უფრო დიდი და ღირებული გახადა და მოვლენების ჩემეული ხედვა, ჩემი სამუშაო, ჩემი მეგობრები და კავ-შირები რადიკალურად შეცვალა. და თუკი ამან რამდენადმე უფრო პრე-ტენზიული გამხადა, იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი მკითხველი ამასაც ისევე

მაპატიებს, როგორც იმას, თუკი ჩემი წიგნით ან მასში აღწერილი რომელიმე ეპიზოდით შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს.

„მომეცი ძალა, რომ ვიცოცხლო მანამ, სანამ მოვკვდები“.
უცნობი ავტორი

სამყაროს ფსკერი

2004 წლის სექტემბერი

პაპანაქებაში მოყავისფრო მთებით დაწინწკლული ხალიჩა მოჩანს. თვითმფრინავის ილუმინატორიდან მთებზე გადაკრული ხავერდივით პეიზაჟი ჩანს. ირგვლივ მხოლოდ მთებია, ლაჟვარდოვანი ცის ფონზე გადაჭიმული მთები. დაჯდომამდე აეროპორტის ნანგრევებსა და ასაფრენ ბილიკს ვხედავ. დახეთქილი ასფალტი მიწიდან ამოზრდილი სარეველა ბალახებითაა დაძარღვული.

ჩვენი პროპელერებიანი თვითმფრინავი ფრთხილად დაეშვა მიწაზე და ნელი სვლით მიუახლოვდა ტერმინალის დაბალ შენობას. ძრავა გამორთეს. ერთ-ერთი პილოტი სავარძლიდან წამოდგა, წელში გაიმართა, თვითმფრინავის გასასვლელში დადგა და ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში ჩამობრძანება მოგვილოცა. შემდეგ თვითმფრინავის კარი გაიღო და მიწაზე კიბე დაეშვა. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა: „როგორც იქნა, ჩამოვედი!“ – დაახლოებით ოცდაოთხსაათიანი მგზავრობის შემდეგ ქაბულის მიწაზე ვიდექი.

ინგელა აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ბოძს მიყრდნობილი მელოდა. დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემკენ წამოვიდა და მომესალმა:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება ქაბულში!

ტერმინალის გაზინტლული მინებიდან შემოჭრილი მცხუნვარე მზის სხივებს მოსაცდელი დარბაზის ბინძური იატაკი ირეკლავს. მამაკაცები ცნობისმოყვარე მზერით გვაცილებენ; ყურებში თითქოს ჩამესმის, როგორ მეუბნებიან:

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამყაროს ფსკერზე!“

აეროპორტიდან მანქანით გავემგზავრეთ ქალაქის ერთ-ერთი უბნისკენ, ვაზირ-აკბარ-ხანისკენ. მგზავრობა სულ რაღაც ათ წუთს გაგრძელდა. სიდას თანამშრომელს, ჩემთვის უცხო და ერთობ ნერვიულ ინგელას, მთელი გზა ენა არ გაუჩერებია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს არ უნდოდა ავტომანქანის ტემპს ჩამორჩენოდა. ინგელა მანამდე არასდროს მენახა, ქაბულში ჩასვლამდე მხოლოდ ერთხელ ვესაუბრე ტელეფონით. მას რამდენიმე თვე უკვე გაეტარებინა ქაბულში. სანამ რაიმე შესაფერისს მოვძებნიდი, ინგელამ თავისი ბინის სასტუმრო ოთახში ცხოვრება შემომთავაზა. მანქანის უკანა სავარძლიდან ცერად გავხედე ინგელას, რომელიც შეუჩერებლად ამოძრავებდა ტუჩებს, ხელებს იქნევდა, წარამარა თავის გრძელ თმას ისწორებდა და თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა – ერთი თვალით გზასა და ჩვენს მძღოლს უყურებდა, მეორეთი კი – მე. ერთი სიტყვაც კი არ მესმოდა, რას ამბობდა. ავტომანქანის უკანა სავარძელზე ვიჯექი და ვცდილობდი, თავგადასავლებისა და ჩემი ყოველდღიურობისგან თავის დაღწევის ის სურვილი გამეხსენებინა, ცოტა ხნით ადრე აქეთკენ რომ მიბიძგა – უფრო სწორად, იმ მიზეზის გახსენებას ვცდილობდი, რომელმაც ამ სამსახურით დაინტერესება მაფიქრებინა. მეხსიერებაში მიზეზის ნასახიც ვერ ვნახე და საკუთარი თავის მიმართ საშინელი სიბრალული დამეუფლა. ეს რა ჩავიდინე? რა სჭირდა

ჰორნსტულს[2] ჩემი დასაწუნი? შეიძლება ცოტათი ღარიბული უბანია, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია?! დასაწუნი ნამდვილად არაფერი აქვს. „და მარტინი?“ – გამიელვა უცებ და სადღაც დიაფრაგმასთან საშინელი მონატრება მომაწვა. რას არ მივცემდი, რომ იმ წამს მასთან ერთად ვყოფილიყავი. როგორ მომაფიქრდა ასეთი რამ? როგორ? როგორ? როგორ? მაშინ მხოლოდ იმ მელანქოლიის დაძლევაზე ვოცნებობდი, რომელმაც სიცოცხლის ხალისი წამართვა; მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, რომ ორუელის ერთ-ერთი რომანის მსგავსად, მეც გავმქრალიყავი მოსახლეობის აღწერიდან; ყველაფრის ხელახლა დაწყება მსურდა, ანუ – tabula rasa[3]. მაგრამ აქ წამოსვლა?! ეს ხომ გაუგონარი სისულელე იყო ჩემი მხრიდან?! მანქანის ფანჯრიდან ჩემს ახალ ქალაქს ვუყურებდი და ვცდილობდი, ამ საბედისწერო შეცდომით გამოწვეული უგუნებობა გულშივე ჩამეკლა. თავში კი Belle and Sebastian-ის[4] სიმღერიდან რამდენიმე ფრაზა მიტრიალებდა:

The future looking colorful.

It's the color of blood, chaos and corruption of a happy soul[5]. ძალუმად ვისუნთქავდი ფანჯრიდან შემომავალ ჰაერს და ვერცხლისწყალივით მოუსვენარ ინგელას თანხმობის ნიშნად თავს ღიმილით ვუკრავდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მუნჯ კინოს ვუყურებდი და წარმოდგენაც არ მქონდა, რას ლაპარაკობდნენ მასში მონაწილე ადამიანები. საკუთარი თავის მიმართ სიბრალული ორივე ყურში ბამბის საცობებივით გამეჭედა.

---

[2] უბანი სტოკჰოლმში.

[3] (ლათ.) სუფთა დაფა.

[4] ბრიტანული ჯგუფი.

[5] „მომავალი ფერთა სიჭრელით გამოირჩევა. ეს სისხლის, ქაოსისა და ბედნიერი სულის გარყვნილების ფერებია“.

A New Morning[6]

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას 2004 წლის სექტემბრიდან შევუდექი. ტარაკანივით მოუსვენრად ვმოძრაობდი, ვცდილობდი ახალ გარემოს მაქსიმალურად სწრაფად შევგუებოდი. სამშაბათს კუჭმა შემაწუხა. ოთხშაბათს სამსახურიდან შინისაკენ მიმავალ უმოკლეს გზაზე ავარიაში მოვყევი, ხუთშაბათს ჩვენს მეზობელ უბანზე საჰაერო შეტევა განახორციელეს. თავი ინგელას სახლს შევაფარეთ, რომელსაც არც სარდაფი ჰქონდა და არც თავდაცვის სხვა რაიმე საშუალება. შიშისაგან მთელი ტანი მიცახცახებდა და სხეულიდან აფეთქებებისაგან მონაბერი მოყავისფრო მტვერი მცვიოდა, რომელიც უნაზესი კანივით დაჰფენოდა ირგვლივ ყველაფერს. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მარწუხებისაგან გავთავისუფლდი. საოცარი შვება იყო, რომ ისევ შემეძლო მოძრაობა. ვიცოდი, რომ ნანგრევებმა რაღაც მოიყოლა, მაგრამ არ ვიცოდი რა. თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება უმნიშვნელო დეტალების წუმპეში ვიჯექი და

[6] ახალი დილა.

იმ წამს სრულიად მოულოდნელად სრულიად ახალი სამყარო გადამეშალა თვალწინ; სამყარო, რომელშიც ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია, თითოეული გამოწვევა – დიადი, თავგადასავლებით სავსე სამყარო. საითაც უნდა გამეხედა, ყველგან მჭირდებოდა დაფიქრება, ახალი კონტექსტის გააზრება, საკუთარი საზღვრების დაცვა. ჩემ ირგვლივ ცნობისმოყვარე ხალხის ზღვა ირეოდა, რომელთა ფრთხილი, მაგრამ ღიმილიანი მზერა უსაზღვრო სითბოთი მავსებდა.

ჩემი ჩამოსვლისთვის არაფერი არ იყო მზად – არც სამუშაო კუთხე დამხვდა, არც კომპიუტერი, არც საცხოვრებელი ადგილი. არაფერი, მობილური ტელეფონის გარდა.

– სიდას ოფისის ხელმძღვანელმა ყოველგვარი გასაიდუმლოების გარეშე მომახალა, რომ სულაც არ სურდა თავის ოფისში ვინმე სნობი დიპლომატი აეტანა. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სიდას შორის დაპირისპირება იმდენად გავრცელებული მოვლენა იყო, რომ ხშირად სამარცხვინო წვრილმანებს ეხებოდა და საშინლად მოსაბეზრებელი ხდებოდა. ერთადერთი, რასაც ნამდვილად ვერ დავუკარგავ სიდას ოფისის უფროსს, ის იყო, რომ მას ფარისევლობა არ დაუწყია და პირდაპირ მითხრა სათქმელი. თავაზიანობის შეხსენება არ აწყენდა, მაგრამ მე მაინც თავის ნებაზე მივუშვი. არ დავუშვებ, ვინმემ რამე მავნოს, განსაკუთრებით – ამ შურიანმა ტიპმა.

ჩემი სამუშაო მაგიდა რომ მივალაგე, საქმის კეთების საოცარმა ენთუზიაზმმა შემომიტია. პოლიტიკური ანგარიშების საწერად ისევ მზად ვიყავი. საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ავღანეთი თავისი არცთუ სახარბიელო ისტორიის კიდევ ერთი ფურცლის გადასაშლელად ემზადებოდა. ქვეყნის მომავალი თითქოს სამეთუნეო დაზგაზე დაედოთ და მარჯვე ოსტატის ხელით გამოძერწვას ელოდა. ეს არჩევნები უკეთესი, ნათელი მომავლისაკენ სწრაფვის მორიგი მცდელობა იყო. ვცდილობ-

დი საარჩევნო კანონმდებლობის, არჩევნების ორგანიზების, ხმების დათვლისა და ლოჯისტიკის საკითხებთან დაკავშირებული ყველა დეტალი კარგად შემესწავლა; გამეგო, რა და როგორ ხდებოდა იმ ისლამურ სახელმწიფოში, რომლის პუშტუნების ჰეგემონური მმართველობის ქვეშაც ჩვენ ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნას ვცდილობდით. თავში ერთი კითხვა მიტრიალებდა: „როგორი იქნება ამ ქვეყნის მომავალი?“ ავღანეთში ჩემი ჩასვლისთვის სასიკეთო ცვლილებები არ შეიმჩნეოდა. ქვეყანას თითქმის არ გააჩნდა ენერგომომარაგება, ფაბრიკა-ქარხნები, კომუნიკაციები და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი სახელმწიფო. პრეზიდენტი ყარზაი ქვეყანას სწორედ ისე უნიათოდ მართავდა, თითქოს მგელი იცავს ცხვრებსო. ქვეყანა კორუფციისა და ვაიმმართველობის ჭაობში ტივტივებდა.

ვცდილობ, გავერკვე, რა ხდება. ბრიტანელებსა და რუსებს შორის ცენტრალურ აზიაში ძალაუფლების მოსაპოვებლად წამოწყებული ე.წ „დიდი თამაშის“[7] დასრულებიდან ასი წლის შემდეგ ვითარება თითქოს არც შეცვლილა. დიდი თამაში ისევ გრძელდება, ოღონდ ერთი განსხვავებით – გაცილებით ძვირფას ფსონებს ჩამოდიან. ირანი, პაკისტანი, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები – აზიის ცხელ ქვიშაში თითოეულ მათგანს თავისი იარაღი აქვს ჩამალული. ამ პოლიტიკურ განტოლებაში თავად ავღანეთის ინტერესებზე არავინ ფიქრობს. ისტორიის ფსკერში ვიქექები. ვცდილობ პასუხი გავცე კითხვებს: „რომელი სახელმწიფო აფინანსებდა ამა თუ იმ ლიდერს? ვინ რომელი კლანის წარმომადგენელია?“ ჩემ თვალწინ კი ინტრიგებით, ღალატითა და შპიონაჟით გაჯერებული სურათი იშლება.

2001 წელს ჰამიდ ყარზაი დროებითი ადმინისტრაციის ლიდერად

[7] The Great Game.

აირჩიეს და ის იმ ახალი, ცივილიზებული რეჟიმის სიმბოლოდ იქცა, რომელსაც ავღანეთი ბარბაროსი თალიბების მმართველობისაგან უნდა ეხსნა. სპარსულ ქუდსა და მწვანე ხიფთანში გამოწყობილმა ყარზაიმ ძლიერთა ამა ქვეყნისათა დერეფნებში ეგზოტიკის ერთგვარი ნაპერწკალი შეიტანა და შთამბეჭდავი სიტყვით გამოვიდა CNN-ზე. მჭევრმეტყველმა და ქარიზმატულმა ყარზაიმ მთელი სამყარო მონუსხა. თავად „გუჩის“ დიზაინერმა ტომ ფორდმა ის წლის ყველაზე გემოვნებიან მამაკაცად დაასახელა. თუმცა ახლო ხედით დაკვირვებისას რთულია არ შეამჩნიო, თუ რამდენად ყალბია ასეთი მოდური ფასადი. ნამდვილი მამლაყინწა ნეხვის გროვაზე, რომელიც მხოლოდ დაცინვით პასუხობს და ცილისმწამებლებს უწოდებს მათ, ვინც მის ნამდვილ სახეს ხედავს. ქაბულის მერი სხვებს დასცინის და სასახლის კედლებს მიღმა მის უსუსურ გავლენაზე საუბრობს მოხუც მეფესთან, ზაჰირ-შაჰთან, რომელიც ათწლეულების განმავლობაში რომში ცხოვრობდა და „ერის მამის“ ტიტულით დაუბრუნდა სამშობლოს. თავად ეს ფაქტიც, რომ ავღანეთს პრეზიდენტიც ჰყავს და მეფეც, კარგად ასახავს პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში – მუდმივი კომპრომისები, თვალშისაცემი ალიანსები და აუცილებელზე გაცილებით მეტი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო აპარატი. აქ ხშირად ამბობენ, რომ ორ ავღანელს სრულიად ადვილად შეუძლია სამი პოლიტიკური ფრაქციის ჩამოყალიბება, რაზეც ყველა გულიანად იცინის.

პრეზიდენტ ყარზაის პოლიტიკური მიმართულება კარგი მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად ადვილად იკვრება და ირღვევა ალიანსები მაშინ, როცა საქმე ძალაუფლებასა და გავლენის სფეროების გადანაწილებას ეხება. ჰამიდ ყარზაი დურანის განშტოების გავლენიანი კლანის, პოპოლზაის წარმომადგენელია. დურანის პუშტუნები ავღანეთს 1747 წლიდან 1973 წლამდე, ანუ მონარქიის დამხობამდე მართავდნენ. ყარზაის მამა, აბდულ აჰად ყარზაი, პოპოლზაის მეთაური იყო და ზაჰირ-

შაჰის მმართველობის ხანაში ქაბულის მთავრობაში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. ზაჰირ-შაჰი ქვეყანას ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა. 1973 წელს ის უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს. ქვეყანაში საბჭოთა ძალაუფლების დამკვიდრების შემდეგ სამეფო ოჯახი პაკისტანში, კერძოდ კი ქუეტაში გადასახლდა, მომავალი პრეზიდენტი კი ჯიჰადის მოძრაობას შეუერთდა და ოკუპაციას დაუპირისპირდა, არადა, მისი ძმები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდნენ და იქ რამდენიმე ავღანური რესტორანი გახსნეს.

1992 წელს, როდესაც პროორუსულად განწყობილი მთავრობა დაეცა, ყარზაი პრეზიდენტ რაბანის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა, მაგრამ მალევე, 1994 წელს, დატოვა თანამდებობა.

1996 წელს, როდესაც თალიბანმა ქვეყნის მართვის სადავეები გადაიბარა, გარკვეული დროის განმავლობაში ყარზაი მათ მოკავშირედ ითვლებოდა. 1997 წელს ის კვლავ ქუეტაში დაბრუნდა და მამასთან ერთად თალიბანის მოწინააღმდეგე ძალებს შეუერთდა. 1999 წელს ყარზაის მამა მოკლეს და პოპოლზაის კლანისა და მისი დაახლოებით 500,000 წევრის ლიდერი და ხანი, სწორედ ჰამიდ ყარზაი გახდა. მას შემდეგ, რაც 2001 წელს თალიბანმა ძალაუფლება დაკარგა და მთებში გაიხიზნა, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით გათამამებული ჰამიდ ყარზაი, ახლა უკვე გარდამავალი მთავრობის ლიდერის რანგში კვლავ ქაბულში დაბრუნდა. თალიბანის მოძრაობასთან ყარზაის კავშირის შესახებ, როგორც უხერხულ ისტორიულ სიმართლეზე, ხმამაღლა არავინ საუბრობს.

გარდამავალი მთავრობის ლიდერად ქცეულმა ყარზაიმ ალიანსები ჩამოაყალიბა, მანიპულირებისა და ამა თუ იმ დაჯგუფებასთან (იქნება ეს ჯიჰადის ლიდერები, თუ თალიბანის მოძრაობა, დასავლელი მოკავშირეები თუ გავლენიანი მეზობლები) კავშირის დამყარების სურვილმა მისი ყოველდღიური პოლიტიკური ცხოვრება ბეწვის ხიდზე სიარულს დაამსგავსა. ნათქვამია: Keep your friends close, but your enemies

closer[8]. მეგობრებთან მჭიდრო ურთიერთობაში ყოფნა იქნებ მტრების უკეთ გაკონტროლების საშუალებაც იყოს. ის ერთს ერთს ჰპირდება, მეორეს კი – მეორეს; ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს; ხან ასე ამბობს, ხან – ისე, მაგრამ საბოლოო ჯამში არაფერს აკეთებს. თვე თვეს მისდევს და ამგვარი ალიანსებისა და შეთანხმებების ქსელი იმდენად მჭიდრო ხდება, რომ სულ მალე თავად მას აღარ რჩება მანევრირებისთვის აუცილებელი სივრცე. თუმცა ასეთ ვითარებაში ადამიანები უფრო მნიშვნელოვანნი ხდებიან, ვიდრე თავად პოლიტიკა.

ავღანეთში ჩასვლიდან ერთი კვირის თავზე სახლისაკენ გასეირნება გადავწყვიტე. ფეხქვეშ ქვა-ღორღი ხმაურობს, მზე ისე აჭერს, რომ თვალები მტკივა. ჩემს სახლამდე გზა საკმაოდ მოკლეა. გზად ფეშენებელური ვილებისა და ჩინური ბორდელების გასწვრივ ჩამწკრივებულ, გაცვეთილ უნიფორმასა და დაცვის სანდლებში გამოწყობილ ორმოციოდე თანამშრომელს ვესალმები:

– „სალამ ალეიქუმ“!

– „ალეიქუმ სალამ“, – ამბობენ ისინიც და მისალმების ნიშნად ერთ-ერთ ხელს გაცვეთილი ქუდების ფარფლებამდე სწევენ. წამიერი ღიმილი დაღლილობისა და უიმედო მდგომარეობით გამოწვეული სასოწარკვეთილების ყველა კვალს შლის მათი სახეებიდან. ხელში მომარჯვებულ კალაშნიკოვებს ათამაშებენ და ისე მიყურებენ, თითქოს დედამიწაზე დროის მანქანით კოსმოსიდან ჩამოსული უცხოპლანეტელი ვიყო. პრინციპში, ნაწილობრივ ასეც არის. ჩვენი ყოველდღიურობა ხომ ასე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

[8] (ინგლ.) მეგობრები ახლოს უნდა გყავდეს, მტრები – კიდევ უფრო ახლოს.

ექსკურსია

2004 წლის ოქტომბერი

დღეს პარასკევია. კვირის ერთადერთი თავისუფალი დღე. გეზი ჩიქენ-სთრითისაკენ ავიღე. ჩიქენ-სთრითი ქაბულის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სავაჭრო ქუჩაა. სწორედ აქ გადავეყარე პარასკევის ლოცვაზე ჯუმა-მეჩეთში მიმავალ, გატკიცინებულ შარვლებსა და პერანგებში გამოწყობილი მამაკაცების ერთ ჯგუფს. ამგვარ ჩაცმულობას ავღანეთში შალვარ-კამიზს უწოდებენ. მამაკაცები სწრაფად, ოდნავ წინგადახრილნი მოძრაობენ და მიწას თვალს არ აცილებენ. იქნებ ეჩქარებათ, ან იქნებ იმაზე ფიქრობენ, ალაჰის კეთილგანწყობა როგორ მოიპოვონ, რომ უკეთესი ცხოვრების ღირსნი გახდნენ. ამ მამაკაცებს შორის ერთი შედარებით ყველაზე ხნიერი ბატონი სიარულისას ფეხებს თითქოს სხვებზე უფრო მაღლა სწევს, რომ ფეხებზე ჩამოცმული დიდი ზომის პლასტმასის ფლოსტები არ დაეკარგოს. ლოცვა მოლას შეძახილით იწყება: ალლაჰ აკბარ! ანუ დიდ არს ალაჰი!

Breaking news five times a day[9] – როგორც ვიღაცამ უკმაყოფილოდ აღნიშნა ერთხელ.

კაბირმა თეთრი ლენდკრუიზერი ჩიქენ-სთრითის სიახლოვეს გააჩერა. მანქანიდან გადავედი, კაბირს ვთხოვე იქვე დაეცადა და კარი ხმაურით მივხურე. ჩიქენ-სთრითი საკმაოდ მოკლე და ბინძური ქუჩაა. აქ ქუჩასა და ტროტუარს შორის ჩამდინარი ღია საკანალიზაციო ღარის სიმყრალე იგრძნობა. ყოველგვარი გეგმის გარეშე ჩამოვუარე ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებულ პატარ-პატარა ფარდულებს, სადაც სამკაული, თავსაფრები, ხალიჩები და სარკეები იყიდება. ხალიჩებით მოვაჭრე ფარდულებში სათითაოდ ვიცქირები და საქონელში ვიქექები. მეორე მხრივ, კარგიც კია, რომ ასარჩევი ბევრი არაფერია. აქ არ გიწევს „ფორტუმისა“ თუ „ვატენფალის“ რძეებს შორის არჩევანის გაკეთება. სულ ბოლოს ჩემი ყურადღება მიიპყრო მცირე ზომის ფარდაგმა, რომელზეც ტყუპ ცათამბჯენებზე თვითმფრინავის შეტაკების სცენა იყო გამოსახული. ფარდაგის ქვედა კუთხეში „ავღანეთი 2001“ იყო ამოქარგული. თანამედროვე ავღანეთის ახლებური ხედვა – ტრადიციებისა და ძალადობის კრეატიული ნაზავი.

– რა ღირს? – ავღანურად ვეკითხები მამაკაცს, რომელიც ყურადღებით მაკვირდება და უფრო სწრაფად ათამაშებს ხელში კრიალოსანს. ბოლოს კი ღიმილით მეკითხება: – ახალ ჩამოსულს ჰგავხარ. რამდენი ხანია, აქ ხარ? რისთვის ჩამოხვედი? – სახის ნატიფი ნაკვთები და მუქი ლურჯი თვალები აქვს.

მივხვდი, რომ ტაჯიკია.

– შვედეთიდან ვარ, – ვეუბნები და კიდევ ერთხელ ვინტერესდები ბეტონისა და მინის კონსტრუქციაზე შეჯახებული, ხელით ნაქსოვი ბოინგ 767-ის ფასით, – რა ღირს ფარდაგი?

---

[9] (ინგლ.) ცხელ-ცხელი ამბები დღეში ხუთჯერ.

– ფასს რა მნიშვნელობა აქვს. მოგეწონა?

– რა ღირს? – ვიმეორებ ჯიუტად.

მამაკაცი თეთრ შალვარ-კამიზში გამოწყობილ პატარა ბიჭს მიუბრუნდა, რომელსაც საულვაშეზე მსუბუქი ღინღლი აჩნდა, თავზე კი პატარა სარკეებით მორთული თეთრი ქუდი ეხურა. მამაკაცმა ბიჭს რამდენიმე მითითება მისცა და მაღაზიის სიღრმეში გაისტუმრა, თავად კი ისევ მე მომიბრუნდა და მკითხა:

– მწვანე თუ შავი?

გამბედაობა მოვიკრიბე, მკაცრი გამომეტყველება მივიღე, გასასვლელისაკენ ორიოდე მოკლე ნაბიჯი გადავდგი და კითხვა კიდევ ერთხელ გავიმეორე:

– რა ღირს ფარდაგი?

– ორმოცდაათი დოლარი, – გამყიდველმა ისე ფართოდ გამიღიმა, რომ ყველა ჩაყვითლებული კბილი გამოუჩნდა. – თქვენთვის, როგორც მეგობრისა და ავღანეთის სტუმრისათვის, მხოლოდ ორმოცდაათი დოლარი. დღეს ჩემი პირველი კლიენტი ხართ. კარგ ფასში გაძლევთ!

გულიანად გადავიხარხარე და იმ მოცუცქნულ, უსახურ ფარდაგზე მივუთითე.

– ოც დოლარს მოგცემ!

მამაკაცმა თვალები ზეცას მიაპყრო და ტუჩები მოპრუწა. – ჩემს მაღაზიაში ხომ პირველად ხართ?!

– ოცი დოლარი, – არ ვნებდები მეც.

– არ არსებობს! ორმოცდახუთი დოლარი თავად გადავიხადე!

„სამზე მეტს არ მისცემდი. ან ხუთზე მეტს მაინც“, – გავიფიქრე ჩემთვის.

აქ სიმართლე არამყარი ცნებაა და მიზნის განხორციელებას მანამ ემსახურება, სანამ საერთოდ არ დაკარგავს თავის არსს. თუმცა, ფარდაგი რომ ნამდვილად მინდოდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი. წარმოსახვაში უკვე მის ირგვლივ მოვაწყვე სტოკჰოლმში ჩემი ბინის შესასვლელი. უცებ

მთელი ჩემი სამყარო ამ ფარდაგის ირგვლივ დატრიალდა. წარმოვიდგინე შვედურ ჟურნალ „შონა ჰემში“[10] დაბეჭდილი რეპორტაჟი ჩემი ფოტოთი, რომელიც იუწყება: „სახლი გაწყობილია მომთაბარე ცხოვრების ამსახველი დეტალებითა და სკანდინავიური მინიმალისტური სტილით. შესასვლელში ქაბულში შეძენილი ირონიული ქვეტექსტის ფარდაგი აგია“; სვეტის გვერდზე მოთავსებულ ფოტოზე კი ჩხირივით გამხდარ ტანზე ელეგანტური რომპერი მაცვია, ხელში ვარდისფერტიტებიანი ლარნაკი მიჭირავს (ალვარ აალტოს[11] დიზაინით, რაღა თქმა უნდა!) და ყველაზე კეთილშობილი ადამიანისათვის დამახასიათებელი ღიმილით ვიღიმი. – ოც დოლარზე მეტს ვერ მოგცემ, – ისევ მივუბრუნდი გამყიდველს.

– ოც დოლარად ამ ხალიჩას გაგატან, – მითხრა გამყიდველმა და ხალიჩების გროვიდან დაჩრჩილული ფარდაგი ამოაძრო.

ხელი კიდევ ერთხელ შევავლე ხალიჩის რბილ ზედაპირს. სათითაოდ მოვსინჯე მატყლის ძაფით მჭიდროდ მოქსოვილი ორივე ცათამბჯენი და ისევ გამყიდველს მივუბრუნდი: – მე ამ ხალიჩაზე გეუბნებით. სხვა ხალიჩა არ მაინტერესებს.

უეცრად ფარდულის სიღრმიდან ფაფუკულვაშიანი ყმაწვილი გამოჩნდა და ძუნძგლიანი ფინჯნით ყავა და ფერად ქაღალდში შეფუთული კანფეტები მომაწოდა.

– რისთვის გინდა?

– და რა მნიშვნელობა აქვს?

– რამდენს გადაიხდი?

– ოც დოლარს. არც მეტი, არც ნაკლები!

– შეუძლებელია! მეგობრული ფასი შემოგთავაზე, მეტს ვერ დაგიკლებ, ისედაც წაგებაზე მივდივარ.

და ასე ვაგრძელებდით, თუმცა სრულიად უშედეგოდ, მაღაზიიდან

---

[10] (შვედ.) ლამაზი სახლი.

[11] ფინელი არქიტექტორი და ინტერიერის დიზაინერი.

რომ წამოვედი, არც ხალიჩა მქონდა და „შონა ჰემში“ დაბეჭდილ რეპორტაჟზე, ლამაზ და წიწილასავით გამხდარ და ბედნიერ დიანაზე ფიქრიც უადგილოდ მეჩვენებოდა.

მაღაზიიდან ნელა და მძიმედ, მაგრამ ამაყად თავაწეული გამოვედი და ქუჩას გავუყევი. როგორც უნდა ვეცადო, შეუმჩნეველი მაინც არ ვრჩები. დამალვას არც ვცდილობ. აზრი არა აქვს. ამ ქუჩაზე მხოლოდ მამაკაცები დადიან. ქალები არსად ჩანან. მხოლოდ ღია ცისფერ, დაფლეთილ ბურკაში გამოწყობილ ერთ მათხოვარ გოგონას ვამჩნევ, რომელიც მიახლოვდება და თავის გაუხეშებულ, ჭუჭყიან ხელს მიწვდის. ძალიანაც რომ მოინდომო, თვალებში ვერ ჩახედავ, თუმცა მე მაინც თვალს ვარიდებ. წყლის ჭიქაში ჩაგდებული ყინულის ნატეხივით ვუჩინარდები, თუმცა ზურგზე მაინც ვგრძნობ ერთდროულად საყვედურებით, ვედრებითა და ცხოვრების უსამართლობით გამოწვეული სევდით აღსავსე მის მზერას. ზურგს უკან გაქონილთმიანი კაცის უადგილო კომენტარი მესმის. ჯერ ინგლისურად მესალმება, რასაც უფრო გაბედული ინგლისური „I love you“ მოსდევს. თავი ისე დავიჭირე, თითქოს საერთოდ არაფერი მესმოდა. „ეს სამყარო ხომ ჩემიც არის!“ – გავიფიქრე უცებ და მომინდა ყველასთვის მეთქვა ეს, თუმცა არც ამას ექნებოდა რაიმე აზრი. ეს არ არის ჩემი სამყარო. ის არც იმ ავღანელი ქალებისაა, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ; ქალებისა, რომლებსაც ერთხელ ავღანეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჰაიდერ რეზამ განუცხადა, ქალის ფასი მხოლოდ ნახევარი მამაკაცის ფასიაო.

– ასეთია უფლის სიტყვა, რომელიც ყურანში წერია. არაფერს ძალუძს ამის შეცვლა! – განაცხადა მან.

საკითხავი მხოლოდ ის არის, თვით ქალებს რამდენად აკმაყოფილებთ ასე გადანაწილებული სამყარო.

მაღაზიებითა და ავღანელი მამაკაცების დაჟინებული მზერით დაღლილი, ქალაქის შემოგარენის დასათვალიერებლად გავეშურე. ჯიპის

უკანა სავარძელში ჩავეშვი და ავტომობილის ფანჯრებს მიღმა ქალაქის მოძრავ პეიზაჟებს მივაშტერდი. ჯერ კიდევ ზაფხული იდგა. მცხუნვარე მზე უმოწყალოდ აჭერდა ქალაქში გამეფებულ სიღატაკეს. მეოთხედი საუკუნის წინანდელი დამანგრეველი ომის კვალი ჯერ კიდევ ღრმა ლაქად აჩნია ომგამოვლილი ქაბულის თითოეულ კუთხე-კუნჭულს. ყურადღებითა და გემოვნებით შერჩეულ საგნებსა და პროპორციულ, ესთეტურ გარემოს მიჩვეულ ადამიანებს აქ ჩამოსვლას ნამდვილად არ ვურჩევ. მიუხედავად იმისა, რომ თალიბანის დამხობიდან სამმა წელმა ჩაიარა, წინსვლის ნიშანწყალი თითქმის არსად ჩანს. ვერსად ნახავთ მიმზიდველ სარეკლამო აბრებს, ახალ გზებს, კაფეებსა და ახლად გამდიდრებულთათვის წამოჭიმულ უგემოვნო, მდიდრულ მაღაზიებს. ქუჩებს სახელებიც კი არ აქვს. ირგვლივ მხოლოდ მტვერია. მოფამფალებულ ჯიხურებში იმპორტირებული შოკოლადის ნაცრისფერი ფილები იყიდება.

შენობების მოუვლელმა ფასადებმა, უკვე ათწლეულებია, დაკარგა თავისი, არქიტექტორების მიერ ოდესღაც მინიჭებული, პეწი. თუმცა ამგვარი შენობა არცთუ ისე ბევრია. სახლების უმეტესობა მუქი ყავისფერი თიხისგან არის აგებული და ორგანულად ერწყმის გარშემო შეფენილი მთების ფერდობების ფერს. ყველაზე მაღლა შეფენილი სახლები ცაში გამოკიდებულ მერცხლის ბუდეებს ჰგავს. გაუგებარია, სად წავიდა ქვეყანაში მოზიდული დაახლოებით თოთხმეტი მილიარდი დოლარი – გაუგონრად დიდი ფული. იქნებ დუბაიში გააგზავნეს ან შვეიცარიაში? ვინ იცის.

ბუთჩერ-სთრითის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯიხურიდან გამოშვერილ კაუჭებზე დაკლული ცხოველების სხეულებია გამოფენილი. საკლავის მოტკბო სურნელი ირგვლივ მობზუილე ბუზებს აფორიაქებს. აქ შეგიძლია იყიდო „მურგე-შაჰიდი“, ანუ წამებული წიწილა. და მართლაც, ვის უნდა სურდეს ამაოდ სიკვდილი. მაშინაც კი, თუ ქათამია? უბრალო

და არაფრისმთქმელი სიკვდილი, მოწამეობრივი სიკვდილის სანაცვლოდ.

ჩვენი ავტომობილი ვირების კოლონასა და კოროლას მარკის ზაფრანის ყვავილებივით ყვითელ ტაქსებს შორის მიიკვლევს გზას. ამ ქუჩაზე, რომელიც უსაფრთხოების ზომების გამო ჯერ კიდევ არ ჩაუკეტავთ, მუდამ ხალხმრავლობაა. აქ ნებისმიერს შეუძლია მოსვლა, იმის მიუხედავადაც კი, თუ ის ნატოს საერთაშორისო ძალებს – ისაფს ან დიპლომატურ კორპუსს არ მიეკუთვნება. ყოველი ინციდენტი და შეტაკება კიდევ უფრო ავიწროებს ამ ქუჩას. ჩნდება ბეტონის ახალახალი ფილები და ბარიერები. იკეტება კიდევ ერთი ქუჩა – სავარაუდოდ, იმ მოსაზრებით, რომ რიგი ქუჩებისა აღარ არის უცხოელებისათვის უსაფრთხო. ბუნკერის მენტალიტეტი და დისტანცია ჩვენსა და მათ შორის, ვის გამოც ჩვენ აქ ვართ, სულ უფრო იზრდება. ერთადერთი, ვისაც ამგვარი ბლოკადა აწყობს, ექსტრემისტები – თალიბანი და ტერორისტები არიან – ისინი, ვისაც უცხოელების აქ ყოფნა ხელს არ აძლევს.

გზა განვაგრძეთ და ჟანგმოკიდებული ოლიმპიური რგოლებით შემკულ ოლიმპიურ სტადიონს ჩავუარეთ, სადაც ავღანეთის ისლამისტი ემირატების აღზევების ხანაში, ყოველ პარასკევს სიკვდილით დასჯის საჯარო დემონსტრირება იმართებოდა – აქ ჰომოსექსუალებს ცოცხლად მარხავდნენ, მკვლელებს ცეცხლსასროლი იარაღით უსწორდებოდნენ, მოღალატე ქალებს კი ქვებით ქოლავდნენ.

– ყველა აქ მოდიოდა! – მეუბნება ჩემი მძღოლი, კაბირი, და იცინის.

უკანა სავარძლიდან ავტომობილის სარკეში ჩავიხედე და ჩემი მძღოლის წითელ თვალებს შევეფეთე. კაბირს თვალები მუდამ წითელი აქვს. შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ ძალიან ბევრს ეწევა, ან იმის, რომ ამ თვალებს უზომოდ ბევრი სისხლი და უბედურება უნახავს.

ჩვენს ოფისს სამი მძღოლი ჰყავს. კაბირი ერთ-ერთი მათგანია. ის წარმოშობით პუშტუნია და ერთადერთია მათ შორის, ვისაც მთელი ომის განმავლობაში ქვეყანა არ მიუტოვებია და თავი პაკისტანის ან ირანის ლტოლვილთა ბანაკებისათვის არ შეუფარებია. კაბირი თავისი სამსახურისთვის ზედმეტად კვალიფიციური თანამშრომელია.

ჭკვიანი და მოხერხებული კაბირი დარისა და პუშტუს დიალექტებს, ინგლისურსა და ურდუს ფლობს. სხვა ვითარებაში კაბირი სულ სხვა ადამიანი იქნებოდა, ახლა კი საჭესთან ზის და თავისი ნახევრად დანგრეული ქალაქის გზებზე მძღოლობს. წლები გადის, ღიმილი კი არასდროს ტოვებს მის სახეს.

მდინარე ქაბულის ლაფიან კალაპოტს მივუყვებით.

მდინარის ნაგვიან ნაპირებს მძიმე ქსოვილის მარწუხებში „გამოწყობილი“ ქალები მოსდებიან და სარეცხს რეცხავენ. იქიდან ქალაქის ყველაზე უკაცრიელ უბანში, კარტესეჰზე გავდივართ. მანქანის ფანჯრებიდან კილომეტრებზე გადაჭიმული ნანგრევების გარდა ვერაფერს ვხედავ. მანქანის მაგნიტოფონში კაბირის საყვარელი ან იქნებ სულაც ერთადერთი კასეტის, ჰანგები ისმის. სტივი უანდერი და დუეტი „ვამ!“ ტანჯული ხმით მღერიან: „I just called to say I love you“. სულ ერთი წამით ფიქრებით მარტინთან აღმოვჩნდი და ის აუტანელი სიჩუმე გამახსენდა, ჩვენ შორის მას შემდეგ რომ დადგა, რაც მე აქ ჩამოვედი. თუმცა მხოლოდ ერთი წამით. შემდეგ თავს ძალა დავატანე, ისევ ფანჯრის მიღმა მოძრავი ხედებისთვის მიმეპყრო მზერა, კადრი კადრს ცვლის. კადრში კი სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის სახლები ხვდება. ზოგიერთი მათგანისგან სამი კედელი და ჩანგრეული ჭერიღაა დარჩენილი, ზოგს მხოლოდ ერთი კედელი შერჩენია. ასეთი სახლები უთვალავია. თითქოს მთელ უბანს დემონტაჟი გაუკეთეს და განზრახ დაანგრიეს. ყველაფერი იმდენად დაუჯერებელია, რომ თავი მსოფლიოს განადგურების შესახებ გადაღებულ სა-

მეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრის ფილმში გეგონება. ისტორიის ძველ სახელმძღვანელოში ნანახი დრეზდენის ფოტოები გამახსენდა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ ავღანეთისათვის დამახასიათებელი მოყავისფრო-მონაცრისფრო ფერებია და ნანგრევებს შორის ვირები მოძრაობენ.

1960-1970-იან წლებში ავღანეთი ყვაოდა. ქაბულის ლიბერალური გარემო და იაფი ნარკოტიკები უამრავ მოგზაურს, მათ შორის – ჰიპებს და მსოფლიო მშვიდობისათვის მებრძოლებს – იზიდავდა. ეს ადგილი მაშინ ქაბულის ულამაზესი უბანი იყო თავისი უმშვენიერესი ხეივნებით, პარკებითა და უცხოური საელჩოებით. ახლა აქ მხოლოდ უღარიბესი ხალხი ცხოვრობს, რომელიც ისე დალასლასებს, თითქოს ჯიბეები ლოდებით ჰქონდეს სავსე.

უფრო შორს, გზის დასასრულს, ექსკურსიის მთავარი სანახაობა – დარულამანში მდებარე დაბომბილი სამეფო სასახლე – გველოდება. სასახლის ჭერი სულ მთლად ჩანგრეულია. საყრდენი კონსტრუქციებისა და კედლების ნარჩენებიდან ჩანს, რომ სასახლე ოდესღაც ყვითელი იყო.

გზის მეორე მხარეს ეროვნული მუზეუმი დგას, რომელიც ერთ დროს ცენტრალური აზიის უმნიშვნელოვანესი კულტურული საგანძურის; ბარელიეფების, თიხის ქოთნების, ეროვნული კოსტიუმებისა და ნატიფი კალიგრაფიით შესრულებული სპარსული ხელნაწერების საცავი იყო – მანამ, სანამ თალიბანი ათასობით ექსპონატს გაანადგურებდა. სასახლის ნანგრევებს რამდენიმე ადგილობრივი ჯარისკაცი იცავს, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რისგან.

კაბირმა სასახლეს შემოუფარა და შემდეგ გზა ისევ უკან, ქალაქისაკენ განვაგრძეთ.

აი, ასეთია ომის ტურიზმი, თავისი ყველაზე უკუღმართი გაგებით –

Disaster Travel's number one for value[12]. ჩემს ახალ ქალაქში სხვა არც არაფერია სანახავი.

[12] (ინგლ.) „დიზასთერ კატასტროფა თრეველი“ – მსოფლიოში საუკეთესო ფასად.

Särbo[13]

– როდის ჩამოხვალ? ვიზის საკითხი მოაგვარე? – უკვე მეათედ ვეკითხები.

აქაურ შემოდგომაზე, რეგიონში დაგეგმილ მოგზაურობებზე, ჩემი სახლიდან რამდენიმე კვარტალში აღმოჩენილ ტაილანდურ რესტორანსა და წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე შექმნილ ანეკდოტებზე ვუყვები და ვცდილობ დავარწმუნო, რომ ჩამოვიდეს. იქნებ მაზარი-შარიფში[14] წავიდეთ ერთად, ან ისლამაბადში, ან ბამიანში[15]; ან სულაც ქაბულში დავრჩეთ. ვუყვები ადამიანებზე, რომლებიც აქ გავიცანი; პოლიტიკაზე; ყოველდღიურ ცხოვრებაზე – აქ ხომ უამრავ რამეზე შეიძლება წეროს მისნაირმა ჟურნალისტმა. იმდენი რამე მინდა ვუთხრა, თავს ვერ ვიკავებ.

– არ ვიცი, – მპასუხობს მარტინი და თითქოს ვხედავ კიდეც, როგორ

[13] შეყვარებულები, რომლებიც ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

[14] სიდიდით მეოთხე ქალაქი ავღანეთში.

[15] ქალაქი ავღანეთში.

ყოყმანობს.

ქაბულსა და სტოკჰოლმს შორის ხშირი მიმოსვლა რთულია და მისი კარგად ორგანიზება საკმაოდ ძვირიც თანაც ამას საკმაოდ კარგი სადაზღვევო კომპანია სჭირდება. Sorry we do not insure burning houses[16]. ასეთებს მიჩვეული ვარ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან დავრწმუნდი, რომ ასეთი სამსახურის პირობებში პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი მოვალეობების შეთავსება რთული საქმეა, თუმცა ჩვენ არასდროს შეგვხებია ეს. ჩვენ ამ ყველაფერზე მაღლა ვიდექით და ერთი წამითაც არ ვწუხდით ამაზე; თანასწორნი ვიყავით და ვიცოდით, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. მე აქ ჩამოვიდოდი, ის კი ჩამომაკითხავდა, ერთ-ორ თვეს ჩემთან დარჩებოდა და შემდეგ რამეს მოვიფიქრებდით სამომავლოდ. თანაც მე ხომ მხოლოდ ერთი წლით ვაპირებდი აქ დარჩენას. ახლა კი თითქოს ყველაფერი აირია და თავზე გვემხობა.

– არ ვიცი. რთულია ასე... – ამბობს მარტინი და მისი ხმის ტემბრით ვგრძნობ, რომ არ უნდა ჩემთან ჩამოსვლა. არადა, მჯერა, რომ თუ ჩამოვა, ნამდვილად მოეწონება. ყველა ჟურნალისტი ხომ ტრენჩკოტზე[17], ზამბარიან რვეულსა და დიად თავგადასავლებზე ოცნებობს. აქ კი ყველაფერია, რაც ჟურნალისტს სჭირდება.

მგონი არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ ამჯობინებს საბაჟოზე დარჩენას, მაშინ როცა მთელი სამყარო მის ფერხთით არის.

– რა არ იცი? – კითხვაზე კითხვითვე ცუდი კავშირის გამო ყვირილით მივმართავ.

– ბევრი საქმე მაქვს. და ეს ახალი ალბომიც...

ხმას არ ვიღებ. მხოლოდ ვუსმენ. ის კი განაგრძობს: – ტურნეში ვაპირებთ წასვლას...

---

[16] „ბოდიში, მაგრამ ჩვენ არ ვაზღვევთ ცეცხლწაკიდებულ სახლებს“.

[17] პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილი ერთგვარი ლაბადა.

აღარც კი მახსოვს, მის ჯგუფთან ერთად გამართულ რამდენ კონცერტზე ვყოფილვარ. კონცერტებზე სიარული ნამდვილად მომწონდა, თუმცა, არ მესმის, ასი კონცერტის შემდეგ კიდევ რამდენი ასი კონცერტი შეიძლება იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც პირველი? იქნებ ათით მაინც შეემცირებინა? ხუთით?

– ხო, მაგრამ ყოველ შაბათ-კვირას ხომ არ მიდიხართ ტურნეში? იქნებ როგორმე გაგეთავისუფლებინა თავი? ხომ შეგიძლია გიტარა და კომპიუტერი თან წამოიღო და აქ იმუშაო?! თუ გინდა, მთელი ჯგუფი წამოიყვანე.

კავშირი კიდევ ერთხელ გაწყდა. ყურმილი დავკიდე და კიდევ ერთხელ დავრეკე.

– სინამდვილეში, ყველაფრის მიუხედავად, აქ ყველაფერი ძალიან კარგად არის. შენც მოგეწონება. აქ ყველაფერი უცნაურია და საინტერესო. დამიჯერე! – ვცდილობ მარტინი დავარწმუნო და ხმაში ვედრება მეპარება, – მაშ, კარგი, იჯექი მაგ შენს ტურნეს ავტობუსში და ვესტეროსსა და ესკილსტუნას[18] შორის იმოგზაურე, სანამ არ მოგბეზრდება. Your loss![19]

[18] ქალაქები შვედეთში.

[19] (ინგლ.) შენს თავს დააბრალე!

„იკეა“[20] ქაბულში

2004 წლის ოქტომბერი

შემოდგომა ძალაში შევიდა და ჰაერშიც სუსხმა იმატა, ოფისთან ახლოს, რამდენიმე კვარტლის მოშორებით, ერთი პატარა სახლი ვიპოვე და იქ გადასვლა გადავწყვიტე. სანამ მას ვიპოვიდი, იმდენი სახლი დავათვალიერე, სათვალავი ამერია. ყველა ერთიმეორეზე უფრო მდიდრული იყო, თალიბანის დამხობის შემდეგ ასეთი სახლების ათასობით დიპლომატსა და ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებზე წარმოუდგენელ ფასად გაქირავება შემოსავლიან ბიზნესად იქცა. უძრავი ქონების ფასები ქაბულში ტოკიოსა და ნიუ-იორკში არსებულ ფასებზე გაცილებით მაღალი იყო. დროთა განმავლობაში ბაზარიც გაჯერდა და ფასებმაც იკლო, ან მიწოდებამ მოთხოვნას გადააჭარბა და აღარ არის ერთმანეთის შესაბამისი. ვაზირ აკბარ-ხანის დასახლებაში ორმოცდაათამდე ახლად აშენებული ვილა დგას და მდგმურებს ელოდება, მაგრამ ვის რად უნდა ოცდარვაოთახიანი სახლი ნიჟარის ფორმის ვარდისფერი ხელსაბანით გაწყობილი

[20] საწყობი ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შვედური მაღაზია.

ათი აბაზანით, ოღონდ გარაჟისა და ბაღის გარეშე?! ეს ორ, სამ ან ოთხსართულიანი ვილები ორნამენტიანი აივნებით, ნაირფერი მინებითა და სარკეებიანი მოზაიკით შემკული ფასადებით ჭრის თვალს. არაერთ ასეთ სახლს აქვს კოშკი და რელიეფური ბალუსტრადებიც კი. სახლის მფლობელის ვინაობის დადგენა ხშირ შემთხვევაში ძალიან ძნელია. მე შედარებით პატარა სახლს ვეძებდი – ისეთს, ჩემი ბიუჯეტი რომ გასწვდებოდა. ამიტომაც მე და ჩემი ტარაკნები ერთი ბინძური, მონაცრისფრო თეთრი გალავნის მიღმა აღმოჩენილ სახლში გადავბარგდით. სახლს ბუხრიანი მისაღები ოთახი ჰქონდა, თუმცა ბუხარში ცეცხლი ერთხელაც ვერ დავანთე. სამზარეულო და საპირფარეშო სახლის პირველ სართულზე იყო განთავსებული, ოთხი პატარა ოთახი და სააბაზანო კი ზედა სართულზე. თვეში ოთხი ათას დოლარს ვიხდიდი და ამ ფასში არც გენერატორი შედიოდა, არც რაიმე სახის ავეჯი და არც განათების საშუალება, გათბობა, ელექტროენერგია, ქურა ან მაცივარი. რა თქმა უნდა, 60-იან წლებში მოწყობილ სააბაზანოში არც სარეცხის მანქანა იყო. სინამდვილეში ეს იყო ოთხი კედლისა და ჭერისაგან შემდგარი ნაჭუჭი, რომლის წინაც ბალახში ჩარჭობილი აბრა იუწყებოდა: Special price, only for me[21].

ბევრი ბიუროკრატიული საფეხურის, საბუთის, შტამპის, ცნობის, მინდობილობისა და სიტყვიერი დაპირებების შემდეგ, როგორც იქნა, ჩემი ნივთები საბაჟოზე გამოატარეს და წიგნების, თეთრეულის, კომპაქტ-დისკების, ტანსაცმლისა და სამზარეულოს აღჭურვილობის ჩემს ცარიელ სახლში გადატანაში რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი დამეხმარა. ჩემს ნივთებთან ერთად „იკეას“ ავეჯიც მივიღე, რომელიც, სტოკჰოლმის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, აუცილებლად დამჭირდებოდა. დაბინავებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში სასტუმრო ოთახში ფეხმორ-

[21] სპეციალური ფასი მხოლოდ ჩემთვის.

თხმული მამაკაცები ისხდნენ და ცდილობდნენ ავეჯის ასაწყობი ინ-სტრუქციების თავი და ბოლო გაერკვიათ. რამდენიმე კვირის შემდეგ წარმატებას მივაღწიეთ და ავეჯიც აეწყო. მართალია, „იკეას“. ავეჯი არ-ცთუ ისე მყუდროა და სახლის ქვის იატაკიც საშინლად ცივია, მაგრამ ეს მაინც ჩემი ახალი სახლია. ჩემი ვილა.

მალალაი ქვრივი ქალია. ოთხი შვილი ჰყავს სარჩენი და ჩემთან დამ-ლაგებლად მუშაობა შემომთავაზა.

– My husband – dead! – მითხრა მან და ყელში გამოსმული ხელის მოძრაობით განმიმარტა. Taliban!

მითხრა, გემრიელი სადილების კეთება მეხერხებაო და დასაწყისი-სათვის ეს საქმეც მას მივანდე. სახლში მისულს მაცივარი კერძებით გავ-სებული მხვდებოდა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ რაღაც ჯადოს-ნური მანქანებით მის მიერ მომზადებულ ყველა კერძს ერთნაირი გემო ჰქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმნის დახმარებით ვესაუბრე-ბოდი, ვერაფრით გავაგებინე, რას ნიშნავდა სიტყვა „ვეგეტარიანელი“. იძულებული გავხდი, კერძებიდან ხორცის უპატარავესი ნაჭრების გამო-ცალკევება მეცადა, მაგრამ ხორცი ისე წვრილად იყო დაჭრილი, რომ საჭ-მელში თითქმის არ ჩანდა. რამდენიმეკვირიანი წვალების შემდეგ მალა-ლაის ვთხოვე, მხოლოდ სახლის დალაგებასა და სარეცხზე ეზრუნა. სი-მართლე გითხრათ, არც მისი დალაგებული სახლი გამოირჩეოდა განსა-კუთრებული სისუფთავით, თუმცა სულ არაფერს ალბათ მაინც სჯობდა. ავღანეთი „ჩვიდმეტპროცენტიანი“ ქვეყანაა. აქ მოთხოვნილებები შეძ-ლებისდაგვარად დაბლა უნდა დასწიო. ყოველ შემთხვევაში იმით მაინც ვიყავი კმაყოფილი, რომ ჩემს სახლზე შრომისმოყვარე და მუყაითი ქალი ზრუნავდა. ასეთი რამ ხომ არცთუ ხშირი მოვლენაა ამ მიდამოებში.

ჩვენ და ისინი

2004 წლის ოქტომბერი

2004 წლის შემოდგომა თბილი და ლამაზი გამოდგა და დაგეგმილზე უფრო დიდხანს გაგრძელდა. ავღანეთში გამეფებული უიმედობის ფონზე ახლად შეძენილი ევროპელი მეგობრების დახმარებით პარალელური სამყარო შევიქმენი. ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებდა – ჩვენი სამსახურებრივი მოვალეობები, რომელთა გამოც ბედისწერამ ავღანეთისაკენ გამოგვისტუმრა. ჩვენ ყველას გვყავდა ახლობელი ადამიანები, ვინც სამშობლოში დავტოვეთ და მათ მონატრებას ერთმანეთთან ურთიერთობით ვივსებდით სამსახურისაგან თავისუფალ, ძალზე მცირე დროში. Memento mori, memento mori! ამ ორ სამყაროს შვედეთსა და ავღანეთს შორის მონაცვლებისას ყურში მუდმივად ჩამესმის თვითმკვლელი ტერორისტების და გატაცებების შესახებ მომზადებული რეპორტაჟები. შეხვედრები წვეულებებსა და რესტორნებში და შეკრებები DVD ფილმების საყურებლად საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთს მძიმე რეალობა შევუმსუბუქოთ იმ ქვეყანაში, რომელსაც გახსნილი ჭრილობიდან სისხლი სდის და ნელ-ნელა სულს ღაფავს. ეს რეალობა ძალიან შორს არის იმ

ცხოვრებისგან, რომელიც უკან მოვიტოვე. აქ არც ორგანიზებული საპენსიო ფონდი არსებობს, არც საბავშვო ეტლები და არც ესპრესოს მოზუზუნე და ბრჭყვიალა აპარატები.

ავღანელებთან ურთიერთობა ნამდვილად არ არის ადვილი. მოსკოვში ცხოვრების დროს არანაირ ძალისხმევას არ ვიშურებდი, რუსებთან რამენაირი კავშირი მაინც გამება. ავღანეთშიც ციებ-ცხელებით შეპყრობილივით ვცდილობდი, ავღანური ყოველდღიურობისა და რეალობის ფილოსოფიას ჩავწვდომოდი, მაგრამ თითქმის ხელი ჩავიქნიე, რადგან ავღანელი მამაკაცები არასდროს ჩნდებიან ქალების გარემოცვაში, ავღანელი ქალები კი თითქმის უჩინარნი არიან და მათთან საუბრის გაბმაზე საუბარიც ზედმეტია.

ერთ დღეს ქაბულში მდებარე რომელიმე სახლის ხის კარზე რომ დამეკაკუნებინა და ჩემი ასაკის ქალთან საუბრის წამოწყება მეცადა, მასთან საერთოს მაინც ვერაფერს ვიპოვიდი, რადგან ჩემი ასაკის ავღანელი ქალი, ხშირ შემთხვევაში, თოთხმეტი წლის ასაკში ძალდატანებით გათხოვილი ცხრა შვილის დედაა, რომელსაც არასდროს უვლია სკოლაში. შეგვიძლია კი ჩვენ-ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან რაიმე გავუზიაროთ ერთმანეთს? რაიმე განსაკუთრებულად ქალური? ის, რომ მე ჩემი ქვეყნიდან ავღანეთში ჩამოვედი სამუშაოდ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი არჩევანია. მე აქ არავინ მაკავებს, შემიძლია ნებისმიერ წუთს დავჯავშნო თვითმფრინავის ბილეთი და ოცდაოთხ საათში სტოკჰოლმში ჩემი ბინის კარს შევაღებ. იქ ელექტროენერგიაც მაქვს, შესაფერისი ტემპერატურაც და საუკეთესოდ გარემონტებული სამზარეულოც. თუმცა, რას მაძლევს ჩემი ფული, ევროპული ბონუსები და ჩემი ოცწლიანი განათლება? იქნებ სწორედ იმიტომაც ვერაფერს ვშველით ამ ქვეყანას, რომ ძალზე ცოტა რამ ვიცით მის შესახებ და თითქმის არ გვესმის, რატომ ვითარდება მოვლენები ასე.

ავღანელებთან წარმატებული ურთიერთობით შემიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიკვეხო, როდესაც საქმე ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაზრდილ ავღანელებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოს ახლა უკვე გაეროს ან რომელიმე სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომლების რანგში სტუმრობენ. მათ „ნამდვილი“ ავღანელები ერთგვარი ეჭვით უყურებენ და ფიქრობენ, რომ მათ ავღანეთი სწორედ მაშინ მიატოვეს, როდესაც მას ყველაზე მეტად უჭირდა, ახლა კი სამშობლოში დაბრუნდნენ და ისედაც გაბერილ სახელმწიფო აპარატში გავლენიანი თანამდებობები დაიკავეს.

სხვათა შორის, არც მე მივიჩნევ მათ ნამდვილ ავღანელებად.

ხუთშაბათი საღამოა ჩემთვის უცხო ქვეყანაში. კაფე „ამერიკანის“ მიბაძვით შექმნილ ბარ „ელბოუ რუმში“ ვზივარ და ჩემს ბრიტანელ კოლეგას, ნიკს ველოდები. ერთი ჩამოძონძილი ადგილია, თუმცა ქალაქში გაფანტული უცხოელების მიზიდვის რაღაც ამოუცნობი ძალა გააჩნია. ჰაერი სიგარეტის კვამლით არის გაჟღენთილი და ყველგან ჰუმანიტარული ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელი ჟარგონი ისმის.

გაუთავებელი შეხვედრების ნაკადში შეგრძნებებს ვკარგავთ, ერთმანეთს კოლონიალურ დაკვირვებებს ვუზიარებთ და ქვეცნობიერად შემდეგი პოსტკოლონიალური ექსპერიმენტული სახელოსნოსაკენ ვიღებთ გეზს. იქნებ დარფურისაკენ? ვინ იცის? ჩვენ ყველანი ხომ Catasrophy Inc.-ის შვილობილი ორგანიზაციების თანამშრომლები ვართ. ორგანიზაციისა, რომელიც მთელ მსოფლიოში ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს იარაღით ვაჭრობის ინდუსტრიის ნაკვალევს.

ამ მუდმივად მზარდ დარგში, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოებას ემსახურება, უმეტესად მამაკაცები მუშაობენ. უფრო კონკრეტულად კი

– სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ყოფილი სამხედროები, რომელთაც არ უყვართ საკუთარ საქმეებზე ლაპარაკი და მიაჩნიათ, რომ თუ კითხვაზე პასუხს თავს აარიდებ, ეს უფრო მეტ პრესტიჟს შეგძენს სხვის თვალში. ეს სწორედ ის მამაკაცები არიან, რომლებიც ადრე დაკუნთული აღნაგობით გამოირჩეოდნენ, ახლა კი ლუდის კათხას კათხაზე ცლიან; ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ, აი, ბოლო კათხასაც გამოცლიან და ჩექმებში, North Face-ის ფირმის პერანგებსა და მრავალჯიბიან შარვლებში გამოწყობილები, ჰიმალაის მთებისაკენ გაეშურებიან ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად. მათ გარდა ბევრი სხვაც იყო ბარში, თუმცა ყველაზე მეტად თვალში ერთი ფორთოხლისფერნარუჯიანი გოგონა მომხვდა, რომელსაც ბარის სტუმართა შორის ყველაზე ექსტრავაგანტური ტანსაცმელი ეცვა – იმდენად, რომ პარის ჰილტონის დაქალს ჰგავდა – იფიქრებდით, ვარცხნილობა ჟურნალ „მიმდინარე კვირის სიახლეებიდან“ შეარჩიაო. ქალიშვილს ძალზე მოტკეცილი, დიდბალთიანი შარვალი და ტანზე შემოტმასნილი მაისური ეცვა, საიდანაც მუცელი მოუჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ქაბულში საკუთარი სოლარიუმით იყო ჩამოსული, მე კი საცვლებისა და ალკოგელის წამოღება ძლივს მოვახერხე.

მანაც შემამჩნია და პირდაპირ კითხვით მომმართა: – Didn' we meet last year? In East Timor?[22] ეტყობოდა, საკმაო დრო მოანდომა შესაფერისი „გამხსნელი“ კითხვის მოფიქრებას.

პასუხის ნიშნად თავი გავაქნიე. პასუხის პასუხად კი მომდევნო შეკითხვა მივიღე:

– და აქ რას აკეთებ?

მაშინვე შევატყვე, რომ პასუხი დიდად არც აინტერესებდა.

[22] შარშან აღმოსავლეთ ტიმორში ხომ არ შევხვედრივართ შემთხვევით?

სენდის უკვე ხუთი თვე გაეტარებინა ავღანეთში და, სამუშაო კონტრაქტის მიხედვით, კიდევ ერთი ჰქონდა დარჩენილი. რომელიღაც ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში მუშაობდა, რომელიც ვაშლებსა და სკოლის სახელმძღვანელოებს არიგებდა და ავღანელ ქალებს ქარგვის გაკვეთილებს უტარებდა. ზუსტად არ მახსოვს. არც დავინტერესებულვარ.

სენდი ფლეშდენსისათვის დამახასიათებელი მანერით იწევდა თავის ქერა თმას და ქაბულის სატრანსპორტო მოძრაობაზე, ადგილობრივ საჭმელსა და ამინდზე წუწუნებდა.

ის ნამდვილად არ ჯდებოდა ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომლის ჩემეულ წარმოდგენაში, რომელსაც, ჩემი გაგებით, კომფორტული ფეხსაცმელი და რელიგიური აქცენტებისაგან თავისუფალი ტანსაცმელი უნდა სცმოდა და სასიამოვნოდ შევარდისფრებული ლოყები ჰქონოდა. სენდი არც ადგილობრივი უნიკალური კულტურისა და ფასეულობების ნებისმიერ ფასად შენარჩუნების დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა.

– ესე იგი ავღანეთში ცხოვრება არ მოგწონს? – ვკითხე სულ ერთი წამით გულისამრევი სითხის მოსაწრუპად დადუმებულ სენდის. პასუხად კი უადგილო „I love it!“ – მომხვდა ყურში.

სენდიმ კიდევ ერთი ყლუპი მოსვა და თავისი შეღებილი, უმანკო თვალებით შემომხედა. შეუძლებელია იმის თქმა, ზუსტად რომელი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო. – თუმცა მიხარია, რომ მალე მივდივარ. თანაც ლიბერიაში, – თავისსავე ნათქვამს დაამატა სენდიმ და სასმელის წრუპვა განაგრძო.

ახლიდან დაწყების სურვილი ისეთი ტკბილი და მიმზიდველია და იმდენად ადვილად გაქცევს თავის მარწუხებში, რომ იმის გაკეთებას გაიძუ-

ლებს, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდი. ლამაზი, წარმატებული, ბედნიერი, კეთილშობილი, ნაყოფიერი, იქნებ გამხდარი და ცნობილიც კი, რატომაც არა. თუმცა საბოლოო ჯამში, ხელში მხოლოდ დამსხვრეული ოცნება გრჩება – იმედებისგან მხოლოდ ყოველდღიური და გაუთავებელი ბრძოლა; ბრძოლა ერთი ნაჭერი პურისა და არსებობისათვის; ფიქრი იმაზე, ოფისიდან სახლამდე მიმავალ ოღროჩოღრო გზაზე სადმე არ დაიკარგო; იპოვო ვინმე, ვინც გეტყვის, რა უნდა უყო დაგროვილ ნაგავს ან როგორ ირთვება გენერატორი. ადამიანი დროის უმეტეს ნაწილს გადარჩენაზე ფიქრში ატარებს და როცა თავის დაბანასაც ძლივს ასწრებს, პროდუქტიულობისა და კეთილშობილური საქციელისათვის დრო აღარ ჰყოფნის.

ქაბულის ჭრელ ბაზრებში გაბნეულ სასწორებს შორის თხილის, პომიდვრის კონსერვებისა და კუსკუსის[23] პაკეტებს შორის აღმოჩენილი ყველი „ფილადელფია“ ნამდვილი საოცრებაა. საოცრებაა ისიც, რომ მათთვის სრულიად უცხო ენაზე წამოროშავ რაღაცას და მათ შენი ესმით.

სენდიმ კიდევ ერთხელ გადაიწია თმა და ახლა ადგილობრივების შეუხედაობასა და უგემოვნებაზე დაიწყო წუწუნი.

მე კი ბოკალიდან მჟავე წითელი ღვინო მოვწრუპე. სენდის რომ ძალადობის, ქალთმოძულეობისა და უთვალავი დამახინჯებული სიცოცხლის ფაქტის გამო დაეწყო წუწუნი, ნამდვილად გავუგებდით ერთმანეთს, თუმცა მისი გონება სულ სხვა საკითხებზე ზრუნვით იყო გართული.

– ლიბერია საინტერესო უნდა იყოს! სულ ახლახან გავიგე, რომ თურმე ჯიმი ჩოს მაღაზია გაუხსნიათ მონროვიაში, – ვუთხარი მოულოდნელად.

[23] ჩრდილო აფრიკული ბურღულეული და მისგან მომზადებული კერძი.

– რას ამბობ? მართლა? – სენდი მთელი საღამოს განმავლობაში პირველად დაინტერესდა რაღაცით და თვალი თვალში გამიყარა.

– ხო, რა ვიცი... მგონი... – ვუპასუხე და ჩვენი დიალოგიც ამით დასრულდა. ბარის სიღრმეში „ქრიუ-ქათის“ მოკლე ვარცხნილობიანი მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც რამდენიმე ზომით პატარა მაისური ისე უჭერდა, რომ მაისურის ქსოვილი მკლავებზე ასკდებოდა. სენდი მაშინვე მოიხიბლა მამაკაცის ვნებიანი მზერით და ისიც ბარში თავმოყრილ საზოგადოებაში გაითქვიფა. დახლთან მარტო დავრჩი. მართლაც რომ სევდიანი ადგილი იყო. ამგვარ ბარში შვედეთში ერთხელაც არ შევდგამდი ფეხს, ავღანეთში კი უბრალოდ თავს ვერ ვაიძულებ, რომ არ მომწონდეს აქაურობა. ქაბულში ეს ადგილი სხვა რამის გამო მიყვარს. აქ ვივსებ ევროპის მონატრებით გაჩენილ სიცარიელეს და ვცდილობ აქ დარჩენის სურვილი განვიმტკიცო.

MOT Golf

2004 წლის ნოემბერი

კაპიტანი კიმი მაზარ-ე-შარიფის აეროპორტთან ახლოს მდებარე, კარვებით გაშენებულ სამხედრო ბანაკში შემხვდა. ის შვედეთის სამხედრო სადამკვირვებლო დანაყოფის MOT Golf-ის მეთაურია. სწორედ ამ დანაყოფთან ერთად ვაპირებ ჩრდილოეთ ავღანეთში რამდენიმედღიან მოგზაურობას: ენერგიულ კიმს გულწრფელად გაუხარდა ჩემი გაცნობა და გამგზავრებამდე ყველა აუცილებელი დეტალი ამიხსნა. დანაყოფის წევრმა ბიჭებმა გამგზავრებამდე შხაპი უნდა მიიღონ, ტანსაცმელი გამოიცვალონ, კარგად ისადილონ და შემდეგ აღჭურვილობა გადაამოწმონ; სამხედრო ბაზებზე მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში თუ მოხვდებიან, ღამეების უმეტეს ნაწილს შებერღანში, მათთვის სახელდახელოდ აგებულ კარვებში ან უბრალოდ გზის პირას, თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ოთხი პროვინციის შემოვლაში გაატარებენ. ცენტრალური გზა მოასფალტებულია, პატარ-პატარა გზები კი – მოხრეშილი ან სილიანი. ზაფხულობით მიწა გამომშრალია და გზებს საშინელი ბუღი ასდის. წვიმიან ამინდებში გზებს აზელილი ტალახი ფარავს, ზამთარში

კი – მშრალი ყინვა.

აქ წამოსვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდოდა მენახა, რას უნდა ელოდეს ჩვენი ქვეყანა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს ამ ნაწილში დისლოცირებულ საერთაშორისო სამხედრო წარმომადგენლობას ჩაუდგება სათავეში. შვედი ჯარისკაცების ყოველდღიური ცხოვრებაც არანაკლებ საინტერესოა. დღეს ავღანეთის ოთხ პროვინციაში: ბალხში, ჯოუზჯანში, სარე-პოლში და სამანგანში დისლოცირებულ ძალებს ბრიტანეთი მეთაურობს. ასამდე შვედი სამხედრო მოსამსახურეც ბრიტანელების მანდატით მსახურობს აქ. თუმცა ის, რომ შვედეთი სულ მალე გადაიბარებს ბრიტანელების პასუხისმგებლობას, ცხადია. PRT ანუ Provincial Reconstruction Team[24] თითქოს ქვეყნის აღმშენებლობას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ აღმშენებლობას აქ თითქმის არა აქვს ადგილი. სამხედრო დანაყოფები აღმშენებლობაზე არ ფიქრობენ. მათი მთავარი საზრუნავი სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებაა, რათა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მისიის შესრულება შეძლონ. აღმშენებლობა კი სწორედ ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმეა. თუმცა ქვეყანა თითქმის ხელახლაა ასაშენებელი.

სადილად მზა ბრიტანულ საკვებს ვიღებთ. ნასადილევს დროის უმეტეს ნაწილს სამხედრო ბაზაში მომსახურე შვედ სამხედროებთან საუბარში ვატარებ. ასობით კითხვას ვსვამ და ვინტერესდები, რამდენად კმაყოფილები არიან თავიანთი სამსახურითა და სამხედრო ოპერაციებში შვედეთის მონაწილეობით. საღამო მულტფილმების ჩვენებით სრულდება, შემდეგ კი უკან ვბრუნდები. სასტუმრო კარავში ერთი კუთხე გამომიყვეს, თუმცა ჩემ გარდა სხვა სტუმარი იქ არც იყო, ყოველ შემთხვევაში ჩემ გარდა ქალი სტუმარი სხვა არავინ მინახავს. კარავში, მიწაზე

[24] (ინგლ.) პროვინციული რეკონსტრუქციის ჯგუფი.

საძილე ტომარა გავშალე და ჩვილი ბავშვივით ჩამეძინა. ჩემი ცხოვრების თორმეტი თვე უცხო ქვეყანაში გავატარე, მათგან ექვსი კი კარვის სწორედ ასეთ ვიწრო საწოლში მეძინა. ამ სამხედრო ბაზაში ვიზიტმა სასიამოვნოდ მომაგონა ის დღეები. ასე ცხოვრება ხომ ერთდროულად მარტივიც არის და საშინლად რთულიც. მარტივია იმიტომ, რომ საზღვრები მკვეთრად განსაზღვრულია და მათი დარღვევაზე ფიქრიც კი არავის უჩნდება; რთული კი იმიტომ არის, რომ აქ ყველაფერთან ერთად თავისუფლებაც შეზღუდულია და ძალიანაც რომ მოგინდეს, ვერსად დაიმალები. ზოგჯერ წარმოუდგენლად სტრესულ მდგომარეობაში გიწევს ცხოვრება, ხანდახან კი უძრაობა და მოწყენილობა რამდენიმე თვეს იწელება და ბოლო არ უჩანს.

მეორე დილით დასავლეთისაკენ ვიღებთ გეზს. დანაყოფს ტოიოტა ლენდკრუიზერის ტიპის ორი სამხედრო ჯიპი ჰყავს. ერთ მანქანაში სამნი ვსხდებით, მეორეს კი დანარჩენი ოთხი სამხედრო იკავებს და გზას ვადგებით. გზაში ჯონი ქეშის სიმღერებს ვუსმენთ, სისულელეებზე ვსაუბრობთ და ფანჯრებიდან პეიზაჟს გავცქერით. ხანდახან ვჩერდებით და კიმი და ერიკი, დანაყოფის უფროსის მოადგილეები, მიდიან, რომ ადგილობრივ უხუცესებსა და გამგებლებს უსაფრთხოების შესახებ გაესაუბრონ. თუმცა ავღანელებს იმაზე საუბარი უფრო უყვართ, რაც არა აქვთ. ასეთი კი საკმაოდ ბევრია. მათ უნდათ ჰქონდეთ ჭები, სკოლები, საავადმყოფოები, გზები, სამსახურები. ყოველი ასეთი შეხვედრის დროს ისინი ოხრავენ და სინანულით აღნიშნავენ, რომ გასულ წელს და ორი წლით ადრეც ეს უკვე უთხრეს კიმისა და ერიკის ყველა წინამორბედს, თუმცა ამაოდ – გზები კვლავაც დანგრეულია და არც ჭების გაბურღვაზე უფიქრია ვინმეს.

შებერღანიდან ჯოუზჯანის პროვინციაში სადილის დროს ჩავდივართ. დანაყოფის ბაზა აქ ბეტონის ერთი შენობისგან შედგება, რომლის

ოთახებშიც ბანაკის გასაშლელი საწოლები დგას. ბიჭები რიგრიგობით გადიან შემოვლაზე და ნანატრ სადილს ამზადებენ, რაც მზა სამხედრო საკვების, ყავის ფხვნილისა და მშრალი კექსების შემდეგ მართლაც რომ ერთი სიამოვნებაა.

კაპიტანი კიმი ბაღში კრივის „მსხალს“ კიდებს და, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, სავარჯიშოდ ემზადება. – ლახტითა და რეზინის რგოლით შორს წახვალ. მნიშვნელობა არა აქვს, რას გააკეთებ, მთავარია, ფორმაში იყო, – მეუბნება კიმი და ვარჯიშს იწყებს.

მე სასადილო მაგიდასთან ვზივარ. ლახტით ვარჯიშის თავი ნამდვილად არ მაქვს, არადა სკოლაში სწავლისას მართლაც რომ ბევრს ვვარჯიშობდი. ახლა ჩაის ვსვამ და მაგიდაზე დაწყობილ ძველ გაზეთებს ვფურცლავ.

შებერღანი ერთი უშნო ადგილია. სიხარულის შავი ხვრელი. გენერლისა და მთავარსარდლის, დოსტუმის მშობლიური მხარე, თუმცა, მას კიდევ ერთი სახლი ქაბულის სწორედ იმ კვარტალში აქვს, სადაც მე ვცხოვრობ.

გენერალი დოსტუმი ავღანელი უზბეკების ლიდერი, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ის მხოლოდ სიკვდილსა და შიშს თესავდა ქვეყანაში და იარაღის ძალა მისი მთავარი იდეოლოგია იყო. დოსტუმმა გენერლობამდე გზა 1970-იან წლებში ავღანურ არმიაში უბრალო სამხედრო მოსამსახურის სტატუსით დაიწყო. იმ დროს ავღანეთს საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს და მანაც სამხედრო მომზადების უმეტესი ნაწილი სწორედ საბჭოთა კავშირში გაიარა. 1980-იან წლებში ის კომუნისტების მხარეს იდგა და ამერიკელებისა და პაკისტანელი მოჯაჰედების წინააღმდეგ იბრძოდა. საბჭოთა კავშირის გასვლიდან სამი წლის შემდეგ, როცა რეჟიმი საგრძნობლად დასუსტდა, მან მხარი იცვალა და ხელი შეუწყო

მის საბოლოო მოშლას.

1992 წელს ნაჯიბულას რეჟიმის დამხობა ერთ-ერთი უმთავრესი ბიძგი იყო მოჯაჰედების ფრაქციებს შორის სამოქალაქო ომისა, რომელიც იმით დასრულდა, რომ თითქმის მთელი ქვეყანა თალიბანის მოძრაობამ ჩაიგდო ხელში. სამოქალაქო ომში გენერალი დოსტუმი თავდაპირველად ტაჯიკ ლიდერს, მასუდს უჭერდა მხარს, რომელიც პუშტუნი გულბუდინ ჰექმათიარის წინააღმდეგ იბრძოდა. 1994 წელს კი დოსტუმმა კვლავ იცვალა მხარი და ამჯერად ბურჰანუდინ რაბანის მთავრობას მიემხრო, რომელსაც ტაჯიკი მასუდიც მიეკუთვნებოდა.

თალიბების შემოსვლის შემდეგ დოსტუმმა რაბინთან ერთად მათ წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. რაღაც დროის შემდეგ ერთ-ერთი მისი ქვეშევრდომი თალიბებს გაურიგდა, რომ მთავარსარდალი ისმაილ-ხანი ჰერათადან გაეტაცებინათ და თალიბებისათვის გადაეცათ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე კონტროლის სანაცვლოდ. თალიბებმა პირობა არ შეასრულეს და დოსტუმი იძულებული გახდა, თურქეთისათვის შეეფარებინა თავი. მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა და ამერიკელებთან და თალიბებთან ახალი ალიანსების ჩამოყალიბებას მიჰყო ხელი. პრეზიდენტმა ყარზაიმ კი მას თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა არგუნა.

მეორე დღეს დილაადრიან ისევ გზას დავადექით. ბიჭებს ყველაფერი ჩაელაგებინათ. მე მხოლოდ ჩემი თავი მებარა, თუმცა საკუთარ თავზე მზრუნველობასაც არავინ მაცდიდა. კაპიტანი კიმი თავად მიმზადებდა კარაქიან ბუტერბროდებს, მიკეცავდა საძილე ტომარას და დღეში რამდენჯერმე ინტერესდებოდა ჩემი მდგომარეობით, რომ თავი რაც შეიძლება კარგად მეგრძნო და რაც მჭირდებოდა, ყველაფერი მქონოდა. კაპიტანი კიმი ყველა ჩვენგანზე ასე ზრუნავდა და ციბრუტივით დაგვტრიალებდა თავს.

– პეტერ, სახლში დარეკე? ცოლ-შვილი ხომ კარგად გყავს? – ჰკითხავდა ერთს. შემდეგ მეორეს მიუბრუნდებოდა: – ჯოელ, გაგიარა თავის ტკივილმა? ალვედონი თან მაქვს, თუ დაგჭირდა. ახლა მესამეზე გადავიდოდა: – რიჩარდ, ანტენა შეაკეთე?

გზა დასავლეთისაკენ, თურქმენეთის საზღვართან მდებარე ანდხვოის პროვინციისაკენ გავაგრძელეთ. საქმეში ერთი აყლაყუდა თარჯიმანი გვეხმარებოდა, რომელსაც არავინ ენდობოდა.

– ცხადია, ჩვენ გარდა კიდევ სხვას აბარებს ანგარიშს, იმის მიუხედავად, უნდა მას ეს თუ არა. ისიც ცხადია, რომ ეს ყველამ იცის და ყველა ავღანელი თარჯიმანი ცდილობს, სიტუაციას თავისებურად მოერგოს.

თუმცა, რა უნდა ქნა? სამი წელია, შვედეთი ავღანეთში წამოწყებულ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობს, მაგრამ თავდაცვის სათარჯიმნო სკოლა მხოლოდ რუსულენოვან თარჯიმნებს ამზადებს. და ასე გაგრძელდება ალბათ 2009 წლამდე, მანამ, სანამ ახალწვეული დარის მცოდნე თარჯიმნების პირველი ჯგუფი არ დაასრულებს სწავლას.

ანდხვოიდან ჩრდილოეთით მივემგზავრებით. პირდაპირ უდაბნოში, თურქმენეთის საზღვართან. აქ გზები არსად არის. უდაბნოს ქვიშას მხოლოდ სატვირთო მანქანების საბურავების ნაკვალევი ატყვია, რომელსაც ჩვენც მივყვებით. აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ჩვენივე თვალით გვენახა, კონტროლდება თუ არა ქვეყნის სასაზღვრო ზოლი.

საათი საათს მისდევს. დრო საუბარსა და მუსიკის მოსმენაში გაგვყავს. ვცდილობ, ნაღმებზე აღარ ვიფიქრო. ნაღმზე აფეთქების არ მეშინია, მთავარია, ყველაფერი სწრაფად მოხდეს. „არ მინდა დიდხანს ვიტანჯო“, – როგორც ჯონი ქეში ამბობს სიმღერაში „The Mercy Seat“, რომელსაც განუწყვეტლივ ვუსმენთ გზაში. ისევ ვსაუბრობთ და თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ჩვენამდე აქ უამრავ მანქანას გაუვლია. ქვიშაზე ხომ ახლაც ჩანს საბურავების კვალი.

არასდროს მესმოდა ავღანეთში სამხედრო საქმეებში შვედეთის მონაწილეობის შესახებ ატეხილი დებატების, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების, მაღალჩინოსანი სამხედროებისა, რომლებიც მოითხოვენ უფრო მეტ შეიარაღებას, მეტ უსაფრთხოებას, უფრო დიდი ზომის ჯავშანტექნიკას. სამხედრო მოსამსახურეთათვის უსაფრთხო ომის იდეაში არის ერთგვარი უკუღმართი ლოგიკა. როგორ შეიძლება ომი უსაფრთხო იყოს?! რატომ უნდა ვიხდიდეთ მილიარდ კრონას ჩვენი სამხედროების უსაფრთხო ადგილებში გასაგზავნად? ეს ხომ სკაუტების ორგანიზაცია არ არის. აქ ყველაფერი გაცილებით სერიოზულია. მაგრამ მაშინ, როდესაც force protection, ანუ საკუთარი დანაყოფების დაცვა გადაიქცევა მთავარ მიზნად, შეგვიძლია არსადაც არ წავიდეთ და შინ დავრჩეთ იმის იმედად, რომ საფრთხე ვერასდროს ჩამოაღწევს ჩვენს ქვეყანაში. შეგვიძლია, თავი მოვიკატუნოთ, თითქოს დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირება შეგვიძლია. თუ წინასწარ გათვლილ რისკზე ვერ წახვალ, აქ შენი ადგილი ნამდვილად არ არის.

ჩვენი ბიჭები ამტანები, თავაზიანები და იმედიანები არიან. ისინი აქ ჩამოვიდნენ იმიტომ, რომ მათაც სურთ თავიანთი წვლილის შეტანა და გულნაკლულები არიან, რომ უფრო მეტის გაკეთება არ შეუძლიათ; უფლება არ აქვთ. დღეს რისკი თითქოს შორეულ პერსპექტივად გვეჩვენება, შინ გამართული დებატები კი ერთიანად სცდება სინამდვილეს.

გზად არწივებით მონადირეს შევხვდით. მანქანებს ვაჩერებთ, გადავდივართ და მონადირეს ვესაუბრებით. თან ცოტას ვისვენებთ. მონადირეს ბაწრით დაბმული არწივი უჭირავს. არწივი ბრმაა, თვალებამოკერილი. მინდება, რაც შეიძლება სწრაფად გავეცალო ამ საცოდაობას.

როგორც იქნა, საზღვარს მივადექით. უდაბნოს ქვიშაში რამდენიმე

უსახური კონტეინერი გდია, რომელიც სასაზღვრო პუნქტების როლს ასრულებს. მათ ირგვლივ არაფერია სიცარიელის გარდა. აქა-იქ ელექტროენერგიის რამდენიმე ბოძი მოჩანს. ასეთია სწორედ შენგენის ზონამდე დიდი ხნით ადრე წარმოქმნილი საზოგადოება საზღვრების გარეშე. აქ მხოლოდ სიბნელე და მტვერი მეფობს და ჯიბეში ცოტაოდენი ფულიც საკმარისია, რომ თავი დაცულად იგრძნო.

სასაზღვრო პოლიციის რამდენიმე მორიგე თანამშრომელს გავესაუბრეთ. მათ არც საკომუნიკაციო ინსტრუმენტები და პატრულირებისათვის საჭირო პირობები აქვთ, არც წყალი და არც სხვა რამე. ჩვენი დანახვა უხარიათ და გვეუბნებიან, რომ უფრო მაღალი ხელფასი და რამდენიმე მანქანა სჭირდებათ; არც ჭოგრიტები აწყენდათ. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ამ ადგილამდე როგორ ჩამოდიან. უსაფრთხოებასა და კონტრაბანდაზე ვეკითხებით; იმ სატვირთო მანქანებზეც, რომელთა ნაკვალევიც ჯერ კიდევ ატყვია უდაბნოს ქვიშას. გვაინტერესებს, რა გადააქვთ საზღვარზე. ჩაის ბოლო ფინჯანსაც ვცლით, მასპინძლებს მადლობას ვუხდით და გზას რამდენიმე კილომეტრში უპატრონოდ მიტოვებული საზღვრის გასწვრივ განვაგრძობთ. შემდეგ კი ისევ სამხრეთისაკენ ვიღებთ გეზს. გვინდა ანდხვოიში დაბნელებამდე ჩავასწროთ.

რამდენიმე კილომეტრი გვქონდა გავლილი, რომ ერთ-ერთი მანქანის ელექტრონულმა სისტემამ გვიმტყუნა.

ყველაფერი ჩაქრა, თუმცა მანქანას სვლა არ შეუწყვეტია. ვჩერდებით და გადამწვარ დამცველებს ვეძებთ, მაგრამ ამაოდ და ისევ გზას ვაგრძელებთ. ბინდდება. სულ მალე უდაბნოში უკუნი სიბნელე დაისადგურებს.

მე ჩაბნელებული მანქანის უკანა სავარძელზე ვზივარ. წინ მიმავალი მანქანის შუქს ზლაზვნით მივყვებით უკან. სწრაფად არც მანამდე მივდიოდით, მაგრამ ახლა კუც კი გაგვასწრებს.

ანდხვოიში რომ ჩავედით, უკვე ძალიან გვიანი იყო. საშინლად ციოდა და ირგვლივ უკუნი სიბნელე გამეფებულიყო. გალავანი აქა-იქ განათებული იყო. ქალაქის მეორე ბოლოში, გზისპირა სახლის ნანგრევებთან დავბანაკდით. ბიჭებმა ჯიბის ფარნები მოიმარჯვეს და სწრაფად გაშალეს კარვები. დარაჯობის გეგმაც შეადგინეს და ქვები მოიმარაგეს უპატრონო ძაღლების მოსაგერიებლად, თუკი ისინი ზედმეტად მოუახლოვდებოდნენ ჩვენს კარვებს. დაწოლისა და დაძინების მეტი სხვა აღარაფერი დამრჩენოდა. თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი, ისე მოამზადა კიმმა ჩემი საველე ლეიბი და საძილე ტომარა.

დაწოლამდე მასწავლეს, როგორ უნდა შემენარჩუნებინა სხეულის სითბო, რომ არ გავყინულიყავი. ხელთათმანები, ქუდი, ორმაგი საძილე ტომარა, საცვლები, ნაქსოვი წინდები და, რა თქმა უნდა, სათბურა, რომელზეც ასევე კიმმა იზრუნა. საძილე ტომარაში ვძვრები და მისი ზრუნვით განებივრებულს თავი ნამდვილი პრინცესა მგონია.

დილით გაღვიძებისას ვამჩნევ, რომ კარვის შიდა მხარე სულ მთლად გაყინულია. რამდენიმე წუთს ვწევარ და სიცივისაგან ვცახცახებ. ბოლოს თბილი ტომრიდან ვძვრები.

ღამით გაშლილ ბანაკს ვალაგებთ და გასამგზავრებლად ვემზადებით, მაგრამ წინა ღამით გაფუჭებულ მანქანას ვეღარ ვძრავთ. იძულებულები ვხდებით, ბუქსირი გამოვიყენოთ. ეს გზა მაზარე-შარიფისა და ბაზისაკენ მიმავალ გზას ჰგავს. ბუქსირის გამო ძალიან ნელა მივიწევთ წინ. კიმი შტაბს უკავშირდება და ითხოვს, ევაკუატორი დაგვახვედრონ.

მგზავრობა წარმოუდგენლად იწელება. წინ ლოკოკინასავით ნელა მივიწევთ. შტაბიდან წამოსული ოფიცრებით გატენილი ევაკუატორი მაზარე-შარიფამდე რამდენიმე კილომეტრში გვხვდება. როგორც ჩანს,

ოფიცრებს მცირე ექსკურსიის მოწყობის საშუალება მიეცათ და ისე უხა-რიათ, ნამდვილი სკაუტები გეგონებათ.

მანქანის ევაკუატორზე აყვანაა საჭირო. ამ საკითხზე, როგორც ჩანს, არავინ დაფიქრებულა; არც იმაზე, მანქანაში მსხდომ მგზავრებს როგორ უნდა გაეგრძელებინათ გზა. კიმმა და ბიჭებმა ჩვენი მხსნელების ზურგს უკან გადახედეს ერთმანეთს. ჩვენი მხსნელები კი ამ დროს კეფას იფხანენ და იმაზე ფიქრობენ, შექმნილი სიტუაცია როგორ გამოასწორონ.

ყოველდღიური რუტინა

2004 წლის დეკემბერი

რამდენიმეთვიანი რიგში დგომის შემდეგ, როგორც იქნა, გამიმართლა და ქალაქის შუაგულში, ისაფის უბანში, ამერიკის საელჩოსა და სასახ-ლეს შორის მდებარე სპორტული დარბაზის აბონემენტი შევიძინე. სპორ-ტული დარბაზის სტუმართა უმეტესობა გერმანელი სამხედროები არიან. მათ მაისურებს ამშვენებს წარწერა Wir machen Hausbesuche და გერმანელი სამხედროების ფოტოები, რომლებზეც სამხედროები ერთ-ერთ ავღანურ სახლს შეყენებული ავტომატებით ესხმიან თავს. არავითარი ირონია. ამ მაისურების უმთავრესი დანიშნულება სამშობ-ლოში დარჩენილი თანამემამულეების მოხიბვლაა – ვაჟკაცობის ერ-თგვარი მტკიცებულება. ჩემი აზრით, ეს უხერხულია, ისევე, როგორც ის, რომ ისაფში გერმანელებს იმდენი შეზღუდვა აქვთ, ბაზის დატოვებასაც ძლივს ახერხებენ. ეს უხერხულიც არის და მტკივნეულიც. და რა თქმა უნდა, არადიპლომატიურიც. თუმცა ჩემს თავს პრეტენზიის გამოთქმის ნებას ვერ მივცემ. სპორტული დარბაზი ქაბულში სხვა არაფერია, თუ

არა უბრალოდ სპორტული დარბაზი ქაბულში. სარბენ ბილიკზე მივრბივარ და თვალს ვადევნებ, როგორ ივარჯიშებენ გერმანელი სამხედროები ისედაც უზარმაზარ ბიცეპსებსა და ტრიცეპსებს, თუმცა შორტებიდან ჩხირებივით გაჩხინკული ფეხები მოუჩანთ. მე მათ ვუყურებ, ისინი კი მე მიყურებენ, მაგრამ ჩვენი ფიქრები ნამდვილად არ ემთხვევა ერთმანეთს. გლამურზე საუბარი ზედმეტია, როდესაც ვარჯიშობ და ოფლი მოგდის.

ზოგჯერ ლასესა და მატის ვსტუმრობ, რომლებიც დანიურ ორგანიზაცია Danish Demining Group-ში მუშაობენ ავღანეთის ტერიტორიაზე არსებული ნაღმებისა და ამუნიციის განიარაღებაზე. მატიმ სახლის ერთ-ერთი ოთახი სავარჯიშო დარბაზად მოაწყო სავარჯიშო ხალიჩებით, გირებითა და კრივის ტომრით. ის ერთდროულად მძლეოსანსა და მოტოკლუბ „ბანდიდოსის“ წევრს ჰგავს. ის ექთანია და ოქროს გული და ანგელოზის მოთმინება აქვს.

მატი „კრავ მაგაში“ – ხელჩართული ბრძოლის ებრაულ ტექნიკაში – მავარჯიშებს და წესებს ყველაზე ლამაზ ფინურ-შვედურად მიხსნის, რაც კი ოდესმე მომისმენია. მთელი მონდომებით ვვარჯიშობ. ვცდილობ, მთელი კვირის განმავლობაში დაგროვილი წარუმატებლობა და კომპრომისები, გადარწმუნება და კეთილგონიერება განვდევნო ჩემგან, ვარჯიშის შემდეგ კი თავს ნაცემი, მაგრამ ბედნიერი ძაღლივით ვგრძნობ.

სამყაროს ფსკერის ფსკერზე

2004 წლის დეკემბერი ▌2005 წლის იანვარი

2004 წლის დეკემბერი. დეპრესია ნაცრისფერ სტოკჰოლმში. ადგილი, რომელიც სულ მალე წითელ ქაღალდებთან, ოქროსფერ ლენტებთან და ლორიან ბუტერბროდებთან ერთად ყველაზე უცხო გახდება ჩემთვის. მიჭირს იმის ახსნა, რაც ჩემ გარშემო ხდება. მოულოდნელად ყველაფერი ძალიან გაუცხოვდა. ჩემი სახლიც, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მყარი საყრდენი იყო, სულ რამდენიმე წუთში შთანთქა ჩემი ცხოვრების პირადმა ცუნამიმ.

უცნაურია, როგორ იცვლება ცხოვრება დღითი დღე. ხანდახან ყველაფერი თითქმის შეუმჩნევლად ხდება, ზოგჯერ კი ყველაფერი ისე სწრაფად ვითარდება, რომ მომხდარის ზუსტი კალიბრის დადგენაც გიჭირს. რამდენიმე სიტყვაც კი საკმარისია, რომ ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. – ყველაფერი განადგურდა. შენ ისეთი შორეული გახდი, ჩვენი სურვილები აღარ ჰგავს ერთმანეთისას, – ამბობს ის.

კიდევ ერთი პოზიციური ომის შემდეგ ყველაფერი საბოლოოდ სრულდება. ვათვალიერებ ბინას, რომელიც ერთ დროს ჩვენი იყო. ყვავილები დამჭკნარია, რძე – ამჟავებული... ის სავარძელში ზის და ეწევა. მე მას შევყურებ და მახსენდება ის დღე, თავდავიწყებით რომ შემიყვარდა. თუმცა დრომ არ დაგვინდო და ისე შემოაფცქვნა ჩვენს სიყვარულს სიცოცხლის ფურცლები, როგორც ხახვს. ფურცელი ფურცელზე, ფურცელი ფურცელზე მანამ, სანამ მხოლოდ ცრემლები არ შეგვრჩა ხელში.

– რა გინდოდა ქაბულში? – მეკითხება შემდეგ.

ჩემი საქმის კეთება. იმის, რაც ახლა ღირებულია, იმის, რაც უაზრობის ხლართებში გაბმისგან მიხსნიდა.

– აქ რა უნდა ვაკეთო? შენ რისთვის ხარ აქ? – კითხვაზე კითხვით ვპასუხობ მე.

ვინ თქვა, რომ ჩვენი ცხოვრება მაინცდამაინც სტოკჰოლმში უნდა გათამაშებულიყო? რატომ არის შენი სინამდვილე ჩემსაზე უფრო ნამდვილი?

ქაბულში, ჩინურ საროსკიპოებსა და ჩამოძონძილი, ფეხსაცმლის მწმენდავი ბავშვების ბრბოში ჩამალულ ჩემს ვილაში გატეხილი გულითა და სიცარიელის შეგრძნებით დავბრუნდი. ეზოდან გენერატორის გრუხუნი რექვიემივით ჩამესმის და ზუსტად ეხმიანება ყოველივეს, რაც ცოტა ხნის წინ მოხდა. წარუმატებლობის ჰიმნი. ზამთარს გადარჩენილი რამდენიმე ბუზი კარგ კომპანიას მიწევს და ნამსხვრევებად ქცეული ოცნებების დავიწყებაში მეხმარება. გულ-მუცელი შუშის ნამსხვრევებით მაქვს სავსე. განადგურებული, მიტოვებული და მხოლოდ საკუთარ სურვილს მინდობილი ვარ; ჩემი ერთადერთი თავშესაფარი ჩემი საწოლია. და თუკი სული მართლა არსებობს, მისი ადგილსამყოფელი ალბათ მუცელშია, რადგან სწორედ იქ შევიგრძნობ ხოლმე მას ყველაზე მეტად. სწორედ იქამდე ვერ აღწევს ჰაერი, რომლის ჩასუნთქვასაც მთელი ძალით ვცდილობ. ვინ მომცა მისი გაკიცხვის უფლება? ზოგჯერ ხომ ასე,

მარტოც მშვენივრად ვგრძნობ თავს – სატანკო ბატალიონივით დეს-ტრუქციული, მტკიცე და უკომპრომისო.

ერთადერთი სურვილი დამრჩა. მინდა ნაწილებად დავიშალო, საბნე-ბის გროვის ქვეშ ტანსაცმლიანი ვწევარ და მთელი ტანით ვკანკალებ. ვუცდი, როდის გამოიღებს ჩემზე წყალობას დავიწყების განმათავისუფ-ლებელი ძალა. გადავწყვიტე, რომ მეტი აღარ შემიძლია. მინდა ვინმე მო-ვიდეს და აქედან წამიყვანოს. თერაპია მჭირდება. მზრუნველობა. წამა-ლი. სულის, მუცლის ან თუნდაც თავის ამპუტირება, რომ შეგრძნებებმა აღარასდროს შემახსენოს თავი. ყველაფერი წაიღეთ. მომაჭერით ყველა-ფერი. გამაყუჩებელი არ მჭირდება. ნაწილებად დაშლილი და განადგუ-რებული ვხვდები, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა. დახმარებას არ-საიდან მოველი. ერთადერთი, რაც ცხადზე ცხადია, ის არის, რომ მე სამ-ყაროს ფსკერის ფსკერზე ერთ ნაქირავებ სახლში ვცხოვრობ სულ მარ-ტო. იქნებ ქვედა სართულზე, სამზარეულოში ჩავსულიყავი და საკუთარ თავს შემორჩენილი საშობაო ტკბილეულითა და ფინჯანი ჩაითი გავმას-პინძლებოდი? იქნებ ნიკთან დამერეკა და „ელბოუ-რუმსში“ წასვლა შე-მეთავაზებინა?

დღეები და კვირები უკანმოუხედავად გარბის. ვცდილობ, ზედაპირ-თან ახლოს ვიტივტივო. მიხარია, რომ სტოკჰოლმში არ ვარ და ქუჩებში თვალებით ისევ მას არ ვეძებ. აქ მხოლოდ მე ვარ. მას კი შეუძლია წავი-დეს და ჭკუამოკლე, პროგნოზირებად და იანვრის თოვლჭყაპიან სტოკ-ჰოლმს შეაფაროს თავი. ქაბული აქამდე არასდროს ყოფილა ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი. სამსახურში კვირაში შვიდ დღეს დავდივარ. მადლობე-ლი ვარ ცარიელი, ჩაბნელებული ქუჩების და მიხარია, რომ ჩემი სამსა-ხური მაძლევს საშუალებას, დღე-ღამის ყველაზე ფხიზელი მონაკვეთის ყველა საათი მას დავუთმო. ჩემი სამსახური არის ის რაღაც, რაც ყველა-ზე ნამდვილი და მნიშვნელოვანია სწორედ მაშინ, როდესაც ჩემი სული

სულ უფრო იკრებს ძალას. ეს რეალობა ერთგვარი თავშესაფარია და წვრილმან პრობლემებს მავიწყებს. მაქვს საჭმელი (ამდენი ბრინჯი ცოტათი მოსაბეზრებელია, მაგრამ მაინც), საკუთარი სახლი (საყინულესავით ცივი, თუმცა თავზე არ მათოვს, და ესეც კარგია) და ცოცხალი, ჯანმრთელი ოჯახი და მეგობრები (უსაზღვროდ შორს, მაგრამ მაინც). ჰოდა, ვინ ვარ მე, რომ ვიწუწუნო?!

ყანდაარი

2005 წლის თებერვალი

თებერვლის დასაწყისში ქაბულს ვტოვებთ. ასეთი ცივი ზამთარი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ჩემი სამზარეულოს დახლზე დაღვრილი ზეითუნის ზეთი გაიყინა.

გარეთ კი ბამბის პერანგებსა და პლასტმასის ქოშებში გამოწყობილი ბავშვები თამაშობენ თოვლში, რომელიც გადაღებას არ აპირებს. ბავშვები თოვლის კაცებს აკეთებენ. გაყინული ხელები უშეშდებათ, ცხვირიდან ცინგლი სდით, მაგრამ მაინც თამაშობენ. ვაკვირდები მათ და ვცდილობ გავარკვიო, რომელიმე ხომ არ აკლია. რომელიმე ხომ არ გაიყინა? მაგრამ მათი დათვლა შეუძლებელია. ისინი ძალიან ბევრნი არიან. ბავშვებს ბავშვები მოჰყავთ და არც ერთს არ ადარდებს სკოლაში სიარული ან ის, რომ ნორმალური ფეხსაცმელიც კი არა აქვთ.

ყანდაარისაკენ მიმავალი გზა ყინულის სქელი ფენით არის დაფარული. ირგვლივ ყველაფერი თეთრია და საშინლად ცივა. ყველაფერი იმდენად ცივია, რომ მტრულად განწყობილიც კი გეჩვენება.

ქარაბაღში ვჩერდებით და ცოტა ხანს ვისვენებთ. რუკაზე ეს ადგილი დატანილია, როგორც ქალაქი, თუმცა... სასაკლაოს წინ რამდენიმე ცხოველის ჩონჩხი კიდია. მიწაზე კი ცხენის თავი დევს. ქალაქის ჩაიხანას ვსტუმრობთ. აქ ქალებისათვის გამოყოფილი ცალკე ოთახი არ არის, თუმცა თითქმის ცარიელ და უავეჯო ოთახში მაინც გვიშვებენ. იატაკზე ვსხდებით. ცხელი ჩაიდანი და რამდენიმე ჭიქა მოაქვთ. დაორთქლილ ჭიქებში ჩაის ფოთლები ცეკვავს. რამდენიმე წუთში ჩაიხანა თითქმის ივსება ჩალმიანი მამაკაცებით. ზოგის ჩალმა იმხელაა, მთელ სარეცხ მანქანას გაავსებდა. ერთ-ერთ ჩალმიანს კალაშნიკოვიც თან აქვს. როგორც ბრიტანელი მოგზაური და მწერალი რობერტ ბაირონი წერს თავის 1937 წელს დაწერილ წიგნში „გზა ოქსიანამდე“[25], ავღანელებს ისევე თავისუფლად დააქვთ იარაღი ყველგან, სადაც მიდიან, როგორც ბრიტანელებს – ქოლგები.

მამაკაცები კედლების გასწვრივ ჩამწკრივდნენ და იატაკს მიაშტერდნენ. ოთახში ჩამოწოლილი სიჩუმე ისე დამძიმდა, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდა. მხოლოდ ზედმეტად პატარა გალიაში გამომწყვდეული ჩიტის ხმა არღვევს – უხერხულ სიჩუმეს. ჩალისგემოიან მწვანე ჩაის ვწრუპავ და თავზე მოხვეულ შალს ვისწორებ, რომელიც არასდროს ჩერდება თავის ადგილზე; ვცდილობ კოსტიუმის ქვეშ ჩაცმული სვიტერიც სულ უფრო ქვემოთ ჩამოვქაჩო და ვნანობ, რომ უფრო გრძელი კოსტიუმი არ ჩავიცვი. ჩაის ჭიქას გამალებით ვურევ. ვგრძნობ, ყველა მე მიყურებს. ამგვარი დაჟინებული მზერის ობიექტი არასდროს ვყოფილვარ. ჩაის საფასურს ვიხდით და გზას ვაგრძელებთ. გზა ქათქათა თეთრი თოვლით არის დაფარული. ყველგან თოვლია.

მხოლოდ თოვლი, თოვლი, თოვლი. ელექტრობოძები და სადენები

[25] ჩრდილო ავღანეთში მდინარე ამუდარიის ნაპირად მდებარე რეგიონის ძველი სახელი.

ყველგან ჩანს, თუმცა არც ერთ ქალაქსა თუ სოფელს ელექტროენერგია არა აქვს. არც ქალები ჩანან სადმე. მთელი მგზავრობის განმავლობაში ერთი ქალიც კი არსად მინახავს. აქა-იქ, გზის პირას, მხოლოდ რამდენიმე უცნაურად ჩაცმული კაცი დავინახე. ყველაფერი ატომური აფეთქების შემდგომ ჩამოწოლილ სიჩუმეს წააგავს.

ზაბულის პროვინციისაკენ მიმავალ გზაზე მოსაწევად გავჩერდით. ცა ლითონისფერია, ჰაერში კი ყინულივით ცივი ქარი უბერავს. სწორედ იქ, ღია ცის ქვეშ, გზის პირას მდგომმა, ვიგრძენი როგორ აღვივსე უსაზღვრო სასიცოცხლო ენერგიით. ამაზე საშიში უკვე აღარაფერი შეიძლება იყოს, თუმცა თოვლით გადათეთრებულ ამ მხარეში მაინც სიმშვიდე სუფევს. ასეთი სიმშვიდე ოსტერსუნდში წმინდა ლუსიას დღეს[26], ცისკარზე იგრძნობა ხოლმე – დეკემბრის სუსხიან დილას, როდესაც მზე უკვე აღარ მზეობს.

ორ საათში ყანდაარში ჩავედით. იქ, სადაც თალიბანის დანაპირები მომავალი წარსულში დარჩა. სწორედ აქედან დაიწყო თალიბურმა მოძრაობამ ზრდა 1994 წელს. მაშინ ისევე, როგორც ახლა, ეს იყო ცენტრალური ძალისა და უპირველეს ყოვლისა, მისი უსუსურობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. ქვეყანა დაშლის პირასაა. საბჭოთა კავშირის უკან დახევამ, უფრო მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის პირმშოს, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის კრახმა მშვიდობის ნაცვლად რუსების წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხე მოჯაჰედების ფრაქციებს შორის სისხლიანი სამოქალაქო ომი გამოიწვია. მოქიშპე მეამბოხე ლიდერები თავიანთ მცირე ტერიტორიებს მართავდნენ, ყაჩაღობდნენ, ძარცვავდნენ, ძალადობდნენ და ხალხს იტაცებდნენ. მაშინდელმა ადგილობრივმა მოლამ მუჰამედ-ომარმა მედრესეს რამდენიმე

[26] შვედური დღესასწაული. აღინიშნება 13 დეკემბერს.

მოსწავლესთან ერთად ერთ-ერთი თვითმარქვია მთავარსარდალის გამოწვევა შეძლო და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. მისი თანამოაზრეები იმდენად სწრაფად გამრავლდნენ, რომ სულ მალე მთელი არმიის ჩამოყალიბებაც კი შეეძლოთ. სწორედ ასე დაიბადა თალიბური მოძრაობა. ყველგან თალიბანის მმართველობა მკვიდრდებოდა ძალითა და სისასტიკის გამოყენებით, თუმცა მაინც მყარდებოდა წესრიგი და კანონის უზენაესობა. ორი წლის შემდეგ კი ის ქვეყნის უმეტეს ნაწილს აკონტროლებდა.

ბევრი ავღანელი დღესაც მისტირის იმ დროს და იხსენებს, რომ მაშინ მდგომარეობა შედარებით მშვიდი და სტაბილური იყო. თითქოს იმედიც მიეცათ, როდესაც უყურადღებობისა და ათწლეულების განმავლობაში გულგრილი დამოკიდებულების შემდეგ მსოფლიომ კვლავაც ავღანეთისკენ იბრუნა პირი. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა და უკეთესი მომავლის იმედით აღსავსე დრო დადგა. მეზობელ ქვეყნებში გადახიზნულმა ლტოლვილებმა სახლებში დაბრუნება შეძლეს. ოჯახებმა ჯერაც შეუხორცებელი ჭრილობების მოშუშება დაიწყეს. სამსახურის შოვნისა და შიშისაგან თავისუფალი ყოველი ახალი დღის იმედი მიეცათ. თუმცა ახალი ადმინისტრაციის არარეალისტურმა ამბიციებმა და მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერამ არ გაამართლა. რაღა უნდა ექნათ? განვითარება ნელი ტემპით მიდის და სახელმწიფოს ხელახლა აშენება ადვილი საქმე ნამდვილად არ არის. იმედის დაკარგვა აქ ძალზე ადვილია, მით უმეტეს, რომ არაერთი ფაქტორის გამო ეს იმედი ისედაც გამოფიტული და მყიფეა. ამ ყველაფერს თან ერთვის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაითა და მისი ადმინისტრაციით იმედგაცრუება. ადმინისტრაცია სუსტი და ფრაქციებად დაყოფილია, რაც თვიდან თვემდე მზარდი კორუფციის მიზეზს წარმოადგენს. უსაფრთხოების ზომებიც თანდათან სუსტდება. პრეზიდენტმა შეძლო სამოქალაქო ომის დროინდელი საძულველი მეამბოხე ლიდერე-

ბის გამოწვევა მათი პოლიციის უფროსების, მინისტრებისა და გუბერნატორების თანამდებობებზე დანიშვნით. მათ გვერდით კი უახლოესი წარსულის შავი მოგონებანიც მუდამ ცოცხლობს. პოლიციის ახალი შემადგენლობაც ძირფესვიანად კორუმპირებულია და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ნაცვლად თავისი ქმედებით ქვეყანას მეტ საფრთხეს უქმნის. ქვეყნის არმიაც არანაკლებ პატივისცემას იმსახურებს, თუმცა ყველგან არ დგას და ძალზე ცუდადაც არის აღჭურვილი.

როგორც იქნა, ადგილზე ჩავედით, თუმცა ღამემ მოგვისწრო. გაეროს სასტუმრო სახლში ერთი მამაკაცი დაგვხვდა, რომელმაც მასპინძლობა გაგვიწია და გაყინულ სახლში გაფანტული ჩვენ-ჩვენი ოთახები გვაჩვენა. ჩემი ოთახი საოპერაციო პალატას უფრო ჰგავდა. შიგნით ცივი კედლები, გვერდზე გადახრილი ფიცრის კარადა და საწოლი დამხვდა. საწოლზე გაშლილ თეთრეულს სპორტული ჩანთის სუნი ასდიოდა. პირქუშ ხალიჩას ნათურის შუქის წრიული გამოსახულება აჩნდა. აღელვებული და თითქოს რაღაცით შეწუხებული ვარ. დაძონძილ საბანში ვეხვევი და ვიძინებ.

მეორე დილით გუბერნატორ გულ-აღა შერზაის ვხვდებით. მისი შემოსვლისას ოთახში ყინულივით ცივი ჰაერი იჭრება. გუბერნატორს და მეამბოხეთა ერთ-ერთ ლიდერს მსუქანი სახე და მოპრუწული ტუჩები აქვს.

ოთხ მილიონ დოლარად შეფასებული ახლად აშენებული რეზიდენციის ცივი და ცარიელი ოთახების ფარდებმა რუსეთი მომაგონა.

შეხვედრაზე მწვანე ჩაითა და თხილით გაგვიმასპინძლდნენ.

– აქ რატომ არ არჩიეთ ცხოვრება? – გაბრაზებული ხმით გვკითხა გულ-აღამ.

– მადლობის მეტი რა გვეთქმის. ეს მართლაც რომ დიდი პატივია თქვენი მხრიდან, მაგრამ ჩვენ გაეროს სასტუმრო სახლში მოვთავსდით

და უკვე რეგისტრაციაც გავიარეთ, – თქვა ჩემმა უფროსმა ანამ, რომელიც ამ შეხვედრისთვის ისლამაბადიდან ჩამოვიდა.

– ხო, მაგრამ, აქ რატომ არ გინდათ დარჩენა? – შემოგვბღვირა გულ-აღამ და ხელით თავის უკაცურსა და ცივ რეზიდენციაზე მიგვითითა. ის იყო კაცი, რომელიც ჩვეული არ იყო დაკითხვებს და ნამდვილი ფხუკიანი ბავშვივით გაგვიწყრა: – თქვენ ჩემი სტუმრები ხართ!

მასპინძლის უსახური სავარძლების კიდეებზე ჩამომსხდრებმა თავი იმდენად უხერხულად ვიგრძენით, რომ ავწრიალდით. როგორც იქნა, გულ-აღა დაგვნებდა. საუბრის თემა შეცვალა და თავის პროვინციაზე დაიწყო საუბარი, სადაც თურმე პრობლემები საერთოდ არ არსებობდა, სრული წესრიგი სუფევდა და ადამიანის უფლებებსაც პატივს სცემდნენ. – სიტუაცია მართლაც რომ ნორმალურია. ყველაფერი კონტროლს ექ-ვემდებარება, – დასძინა ბოლოს ჩვენმა მასპინძელმა თავისი არაფრის-მთქმელი ხმით და ტყუილს ტყუილი მოაყოლა: – ჩვენ ყველაფერს ვაწეს-რიგებთ. ყოველ ამოსუნთქვაზე ტყუილების კორიანტელს აფრქვევდა და ცდილობდა ყველაფრის მიმართ თავის კეთილგანწყობაში დავერწმუნე-ბინეთ, მაგრამ მის გარშემო აგებული უნდობლობის მაღალი კედელი წინ ეღობებოდა ყველა მის სიტყვას და ჩვენამდე არ უშვებდა.

გუბერნატორმა პროვინციის განვითარების გეგმებზე განაგრძო სა-უბარი, საქმე ჩქარი ტემპით მიიწევს წინ და უახლოეს მომავალში საპა-რასკევო სეირნობებისათვის განკუთვნილი პარკის კეთილმოწყობას ვგეგმავთო. ჰაერში გაბნეული სიურრეალიზმის მსუბუქი სურნელი რომ არა, შესაძლოა გუბერნატორის სიტყვები დაგვეჯერებინა კიდეც. ოთახში განლაგებული ავეჯი სინათლეზე ლაპლაპებდა, სავარძლები ღრჭიალებ-და. გულ-აღა ჩაის ჭიქებს გვივსებდა და ქადაგებას განაგრძობდა. ანა დუმდა. რაიმე შესაფერისის თქმას ვერც მე ვახერხებდი. გუბერნატორი სავარაუდოდ ერთგვარ მაგიურ ნიჭს ფლობდა. ხმას ამოიღებდა თუ არა, გარშემომყოფთ დამუნჯების ამოუცნობი ძალა იპყრობდა.

შეხვედრა დასრულდა. გუბერნატორმა დამშვიდობების ნიშნად გულგრილად ჩამომართვა გაწვდილი ხელი. ხელის ჩამორთმევა ხომ სასიკვდილო დარტყმის ტოლფასია.

შემდეგ ამერიკული მხარის წარმომადგენელს, ამ მხარეში დისლოცირებულ ამერიკელ სარდალს შევხვდით. შუა აზიის უკაცრიელ უდაბნოებში ჩაკარგული ამერიკული ბაზა სპეციალური დანიშნულების სამხედრო საფორტიფიკაციო კედლის, ე. წ. ჰესკოს ბასტიონის მიღმა მდებარეობს. ეს არის ერთგვარი ანკლავი მთელი თავისი ამერიკული დენის ჩამრთველებით, ქაღალდის გამძლე ხელსახოცებით, შოკოლადის ნამცხვრებით, ჰიპ-ჰოპითა და ამერიკული წესებით. შესასვლელ გისოსთან ავტომატით, პისტოლეტით, ჩაფხუტით, დამცავი სათვალით, დანით, რაციით, ჯავშანჟილეტით, საათით, კომპასითა და სამხედრო სარტყლით აღჭურვილმა ჯარისკაცმა გაგვაჩერა და თავისი გაწელილი ამერიკული აქცენტით მოგვმართა:

– Yes, ma'm?[27] ასე აღჭურვილი ჯარისკაცი ცოტა არ იყოს აბსურდულად მომეჩვენა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე. კითხვას ანამ უპასუხა: – We have a meeting with the commander[28].

ჯარისკაცმა ყურადღებით შეგვათვალიერა.

– მე შვედეთის ელჩი ვარ, – დაუმატა ანამ და ამოიოხრა. ჯარისკაცი სამხედრო მოსამსახურეთათვის დამახასიათებელი ელასტიური მოძრაობით ჯიხურში შევიდა. შემდეგ ვიღაცას დაუკავშირდა საველე ტელეფონით, რომელიც ისე გამოიყურებოდა, რომ ბალისტიკურ ბომბსაც გაუძლებდა, და სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ უხალისოდ გაგვატარა.

ბაზის მეთაურს მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა და რიტმულად

---

[27] (ინგლ.) გისმენთ, ქალბატონო.

[28] (ინგლ.) შეხვედრა გვაქვს თქვენს უფროსთან.

მოძრაობდა. ამერიკული ყავით გაგვიმასპინძლდა და ისრებით, რუკებითა და powerpoint-ის სურათებით გაფორმებული ბრიფინგი ჩაგვიტარა. სიტყვების მინიმალური რაოდენობით გადმოცემული მაქსიმალური ინფორმაცია. მეთაური ყველაფერს მხოლოდ თეთრსა და შავ ფერებში ხედავდა, ავღანეთის მონაცრისფრო, ფერფლისფერი ნიუანსები არსად ჩანდა. ბრიფინგი ისეთი შეგრძნებით დავტოვე, თითქოს დავიჯერე კიდეც, რომ მთელი მსოფლიო ძალზე მარტივად მოწყობილი, ადვილად სამართავი და ყველასათვის გასაგებია. ვის აქვს იმის თავი, რომ თითოეული ომის ირგვლივ დაშვებულ შეცდომებზე, უაზროდ დაღვრილ სისხლსა და ყველა იმ ოფიციალურ ტყუილზე იფიქროს, რომელიც ყოველ წამს გვესმის? მე ნამდვილად არა. ყოველ შემთხვევაში, ახლა არა. მეთაურის ასისტენტი ბაზის Tax Free მაღაზიისკენ გაგვიძღვა. მოჯადოებულივით დავბორიალობ მაღაზიის მურაბის ქილებისა და შალის წინდების თაროებს შორის. ანამ ბომბდამშენის ქურთუკზე მიმითითა, რომელსაც ზურგზე Operation Enduring Freedom[29] ეწერა. დარწმუნებით არ ვიცი, ეს წარწერა ირონიული ახალგაზრდა თაობისათვის იყო განკუთვნილი თუ სერიოზულად უნდა აღგვექვა. ვგონებ, ამერიკელ სპინდოქტორებს[30] გუანტანამოს ციხის ტუსაღები არ ჰყავდათ მხედველობაში. მათზე, ცხადია, არავის უფიქრია. ისინი ხომ ტერორისტები არიან. ეს კი ნებისმიერი დანაშაულისათვის გლობალური საბაბია. შეურაცხყოფის „კარტ ბლანში“. იმისათვის, რომ დაამარცხო ბოროტებს, საჭიროა თვით კაცობრიობის დამარცხება.

---

[29] „Operation Enduring Freedom (OEF – ოპერაცია „ურღვევი თავისუფლება“) აშშ-ს მთავრობის მიერ ავღანეთის ომის გლობალური ოპერაციის „War on Terror“-ის ერთ-ერთი ნაწილის სახელი.

[30] Spin – პროპაგანდის ერთგვარი სახეობა, რომლის მეშვეობითაც რაიმე კამპანიის ან მომხდარი მოვლენის ინტერპრეტირება ხდება ისე, რომ მოხდეს საზოგადოებრივი აზრის რომელიმე ორგანიზაციის ან საჯარო პირის სასარგებლოდ ჩამოყალიბება.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა ხდება ამ ბაზაში. სანამ მე აქ დავდივარ და „ორეოს“ ნამცხვრების, ასპირინისა და თბილი შალის წინდების მარაგებში ვიქექები, ალ-ქაიდას რომელიმე აქტივისტი ან თალიბი აქეთ მოჰყავთ, რომ საპყრობილეთა იმ საიდუმლო ქსელში გადაიყვანონ, რომელსაც მთელი მსოფლიოს გადაღმა CIA[31] უდგას სათავეში. ასე გადაჰყავთ ადამიანები ერთი მიწისქვეშა სამყაროდან მეორეში. ბინდი ჩამოწვა და ისევ გაეროს სასტუმრო სახლს მივაშურეთ. დღის განმავლობაში განცდილი შთაბეჭდილებისგან გათავისუფლებულმა, თავი ენთუზიაზმისაგან სრულიად დაცლილად ვიგრძენი. გაუგებარი საუბრითა და უპასუხო კითხვებით გადაღლილი, საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი და ჩემი ფიქრების ქაღალდზე გადატანა დავიწყე, თუმცა ამაოდ. ფიქრების თავმოყრა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ვცადე ვინმესთან დამერეკა, მაგრამ ყურმილში მხოლოდ მექანიკური ხმა ჩამესმა, რომელმაც მაცნობა, რომ აბონენტთან დაკავშირება შეუძლებელი იყო. დღეს, როგორც ჩანს, ამ სამყაროდან სხვა სამყაროსთან დაკავშირებაც არ გამოვა. თავი ყველაფრისგან საშინლად შორს ვიგრძენი. თვალი ჩემს ღარიბულ ოთახს მოვავლე და იმაზე ჩავფიქრდი, საერთოდ თუ შევძლებდი იქ დაძინებას.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჭექა-ქუხილსა და თავსხმა წვიმაში, მაივანის რაიონში გავემგზავრეთ. ისევ მანქანის უკანა სავარძელზე ვზივარ. ფანჯრიდან ვიყურები და საქარე მინაზე მოძრავი საწმენდების ხმას ვუგდებ ყურს. სწორედ ეს არის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს. მგზავრობა.

სულ მალე გზა საბურავების ნაკვალევიან ბილიკებად იქცევა. ბინდდება. გუბერნატორის მიერ ჩვენთვის გამოყოფილი პოლიციის ესკორტი სწრაფად მიექანება ქარის მონაქროლ მტვერში ჩაფლულ ლაფიან მდელოზე. აქ ეროვნული გმირი ქალის, მალალაის, საფლავია.

– აქ ჰეროინი მზადდება, – გვამცნობს მაივანის სოფლის უფროსი, უსტად ჰაქმარი, რომელიც თან გვახლავს და გიდის ფუნქციას ითავსებს.

[31] აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო.

გზად ყაყაჩოს მწვანე პლანტაციებისკენ გვითითებს და თავის თოვლივით თეთრ წვერზე ისვამს ხელს. ჩემს გამოუცდელ მზერას კი ეს პლანტაციები გლეხის უბრალო ნარგავები ჰგონია.

– სასტუმრო სახლში დაბნელებამდე უნდა დავბრუნდეთ, – ოდნავ დაძაბული ხმით გვეუბნება ჩვენი მძღოლი, კაბირი, და ჩვენი მანქანის ირგვლივ შეიარაღებულ დაცვას თავს უკრავს.

– მხოლოდ თექვსმეტნი არიან, – ამბობს ვიღაც, თუმცა საღამოს ბინდბუნდში ეს უკვე აღარავის აინტერესებს. მოხდენილი გარეგნობის ჯარისკაცები დაჟინებული მზერით გაჰყურებენ ჰორიზონტს და გულმოდგინედ იკრავენ გულში ფერადი ლენტებით მორთულ კალაშნიკოვებს. სამხედრო სტრატეგი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სადღაც ამ მიდამოებში, 1880 წლის ზაფხულში, მეორე ანგლო-ავღანური ომის დროს აზიური ომების ისტორიაში ბრიტანეთმა ყველაზე სამარცხვინო მარცხი იწვნია. ბრიტანული რაზმის მეთაურმა ჯორჯ ბუროუსმა სათანადოდ არ შეაფასა მეტოქის, აიუბ-ხანის შესაძლებლობანი და პირისპირ შეება მას. ავღანეთის გაუსაძლის სიცხეს მიუჩვეველი ბრიტანელები რაოდენობითაც ნაკლებნი იყვნენ, თუმცა მაინც არ თმობდნენ პოზიციებს. ბრიტანელი ისტორიკოსი პეტერ ჰოპრიკი თავის წიგნში „დიდი თამაში. ბრძოლა იმპერიისათვის ცენტრალურ აზიაში“ აღწერს, როგორ იჭერდნენ ბრიტანელი ჯარისკაცები ავღანელ მეტოქეებს წვერით და ბრიტანულ ხიშტებს უყრიდნენ გულში. სუსტი ამუნიციის პირობებში კი ქვებსაც კი ესროდნენ მათ, რომ როგორმე მოეგერიებინათ. დღის დასასრულს კი, როდესაც რაზმიც უმეტესმა ნაწილმა უკან, ყანდაარისაკენ დაიხია, ბრიტანელებმა დაახლოებით ათასი მეომარი დაკარგეს.

სანამ კაბირი ლაფში ჩაფლული ესკორტის მანქანის ამოყვანას ცდილობს, ჩვენი მასპინძელი ჩვენგან რამდენიმე კილომეტრში მდგარ სახლზე მიგვითითებს და გვეუბნება: – ეს, ოსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი სახლია.

ახალი დღე. გამთენიისას მეზობელი პროვინციისკენ, ჰელმანდისაკენ ავიღეთ გეზი. რამდენიმე საათი გერეშეკისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე ვიარეთ, მერე სამხრეთისაკენ ვიბრუნეთ პირი და ქვაღორღიან საშინელ გზას დავადექით. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. პროვინციის დედაქალაქ, ლაშგარ გაჰში პროვინციის გუბერნატორსა და ავღანეთის ყველაზე ცნობილ ნარკობარონს შევხვდით. შერ მუჰამედი ვიდეოკამერებითა და ადგილობრივი მბრძანებლების გაუგონარი რაოდენობით დაგვხვდა. მოწვეულ სტუმართა შორის მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ქალის ჭაჭანებაც კი არსად ჩანდა. თავად შერ მუჰამედი ერთი მჭლე მამაკაცია, რომელსაც თავზე კუბოკრული ჩალმა ახურავს, თითქოს თავზე ჩამოსასხმელი ნაყინის გროვა ადევსო. გუბერნატორს თვალებში სიგიჟისა და მოუთოკავი სისასტიკის ისეთი ნაპერწკალი უელავს, რომ შიშის ზარს მცემს.

მასპინძელმა შამფურზე შემწვარი ხორცით, ბრინჯით, ხილითა და პურით დახუნძლულ გრძელ მაგიდასთან მიგვიპატიჟა. სკამებს უკან გამწკრივებული ვიდეოკამერებით შეიარაღებული კაცები ჩვენს ყოველ ლუკმას აფიქსირებდნენ.

სულის მოთქმის საშუალებას მხოლოდ შერ მუჰამედს აძლევდნენ, რომელიც სადილის დროს სიტყვით გამოვიდა და ყველა იმ ჰუმანიტარულ პროექტსა და ინვესტიციაზე გვესაუბრა, რომლებზეც ის და მისი თანამოაზრეები ოცნებობენ. უფრო სწორად კი, ჩვენგან მოითხოვენ; ხიდები, გზები, სკოლები, კლინიკები... გუბერნატორი მივიწყებულ პროექტებსა და მსოფლიო საზოგადოების ჩაშლილ დანაპირებს მისტიროდა და ბუზღუნებდა. დიახ, ბევრს დავპირდით, თუმცა ჰელმანდის პროვინციაში მცხოვრებლებს არაფერი მიუღიათ რწყილების, საშინელი პარაზიტებისა და კარს მომდგარი ზამთრის სიცივის გარდა. ასეთია მათი ყოველდღიური ყოფა. არსებობა, რომელიც სისხლს სწოვს ადამიანებს და სიცოცხლის სურვილს უკარგავს.

– აქ რატომ ჩამოხვედით? – გვეკითხება უცებ ერთი ახალგაზრდა მა-

მაკაცი, რომელსაც ბავშვური სახე აქვს. ისე დავიბენი, ქარვის ქვაში გამომწყვდეული ხოჭოსავით ვიგრძენი თავი და თითქოს ენა გადამეყლაპა. ზუსტი პასუხი არ მაქვს. მართლაც და რატომ? რატომ და იმიტომ. ნასადილევს ქალაქის ციხე მოვინახულეთ. შენობა გარედან უბრალო თიხის სახლს წააგავს. შიგ არც ელექტროენერგიაა, არც წყალი და არც გათბობა. ტუსაღების ნაწილი ალბათ ორმოცდაათიოდე წლის იქნება. ჯგუფებად დაყოფილი პატიმრები დაკვირვებით გვათვალიერებენ და თვალს არ გვაშორებენ. შოპენისეულმა სევდამ შემიპყრო. ინგუშეთში ერთ-ერთ ლტოლვილთა ბანაკში ვიზიტის შემდეგ (სადაც ჩეჩენი ლტოლვილები ბოსლებში ცხოვრობდნენ) ერთ ადგილას დაგროვილი ამდენი უნუგეშობა აღარსად მინახავს. გაშეშებული ვიდექი ჩემი ახალი ფეხსაცმლით თიხაში კოჭებამდე ჩაფლული. თითქოს დავმუნჯდი. და სწორედ იქ და სწორედ იმ დროს დავინახე სამი ქალი, რომელთაც „მორალური დანაშაულის“ ჩადენისთვის გამოუტანეს განაჩენი. მორალური დანაშაული ღალატს ან საზოგადოებაში არანათესავ მამაკაცთან ერთად გამოჩენას გულისხმობს. მე კი ის მაოცებს, ამგვარ პირობებში ღალატი რამდენად შეიძლება ნამდვილი ღალატი იყოს. იქნებ ისინი უბრალოდ გააუპატიურეს?

თავშლებში შეფუთული ქალები თავდახრილნი და დაბეჩავებულნი ისხდნენ და სიცოცხლეჩამკვდარი თვალებით იყურებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იმდენად განადგურებული იყო, რომ ორგანზომილებიანს ჰგავდა. სახე ქაღალდის ფერფლივით დაჭმუჭნილი ჰქონდა, მაჯებზე შერჩენილი კანი კი მძიმე ტილოსავით ჩამოჰკიდებოდა. მოსიარულე მიცვალებულს ჰგავდა. მისი წარსულიცა და მომავალიც ერთ დაუსრულებელ ჯოჯოხეთს ჰგავდა.

ხელში ჩემი წიგნაკი მიჭირავს და ფარივით ვიფარებ მთელი ამ გულის გამგმირავი რეალობის წინაშე. წიგნაკის ხაზებიან ფურცლებზე ყველაფერს ზედმიწევნით ზუსტად ვიწერ, თითქოს სიზუსტეს რაიმე მნიშვნე-

ლობა აქვს; თითქოს მუშამბაგადაკრულ წიგნაკში ჩაწერილი ჩემი აზრები ამ ქალების დანაშაულს გაამართლებს, მამაკაც პატიმრებს კი ხელახალ სიცოცხლეს აჩუქებს. რამის თქმა რომ შემეძლოს, ამ ადამიანებს პატიებას ვთხოვდი იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკა არ აღმოჩნდა საკმარისი; რომ სულ ეს არის, რაც ჩვენ შეგვიძლია. მე კი დამუნჯებული ვდგავარ, თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავს ვაქნევ და ყველაზე კეთილი ღიმილით ვიღიმი. ვიღიმი და ყელში გაჩხერილ ბურთს ვყლაპავ. ჩვენი მოგზაურობის ბოლო დღესაც გადაუღებლად წვიმდა. პაკისტანის საზღვრამდე მივედით და ჯერ ქალაქ ყანდაარში შევიარეთ, შემდეგ კი – მეჩეთში, სადაც მოლა ომარი დადიოდა სალოცავად. ზორ-შაჰრამდე, რომელიც ქალაქის ძველ ნაწილს მიეკუთვნება, არ მივდივართ, რადგან გაეროს მიერ გამოცემული ბროშურის მიხედვით, იქ შესვლა უსაფრთხო არ არის. ბროშურა იუწყება: Check with the UNAMA office and local afghans about possible minefields before exploring this site[32]. მხოლოდ ჩემსავე გვამზე გადაბიჯება თუ მაიძულებდა დანაღმულ ან თუნდაც უკვე განაღმულ მიწაზე ფეხი დამედგა. მოვინახულეთ ქალაქის მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი მეჩეთიც, რომელსაც უდაბნოსფერი, წითელი და ლურჯი ფერებით გაწყობილი კედლები აქვს. სადაც კი მივდივართ, ყველგან პლასტმასის ფლოსტებიანი ან სულაც ფეხშიშველი დიდებისა და პატარების მთელი ბრბო გვეხვევა გარს და ყველა ჩვენს ნაბიჯს აკვირდება, თითქოს დასავლეთიდან ჩამოსული მოხეტიალე მსახიობების თეატრალური დასი ვიყოთ.

– შეხედე, ქალები! – გაოცებისაგან აღმომხდა უცებ, როდესაც ქალაქის ცენტრში მანქანიდან ბურკებში შეფუთული ორი ქალი დავინახე. საკუთარი ხმა ვერც კი ვიცანი. – დღეს პარასკევია, ანუ უქმე დღე, – მიხსნის კაბირი. მე კი უკვე აღარც მესმის კაბირის სიტყვები. მხოლოდ იმას

[32] ვიზიტის წინ დაუკავშირდით UNAMA-ს ოფისსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს, რათა მიიღოთ ინფორმაცია დანაღმული მონაკვეთების შესახებ.

ვხვდები, რომ ვერასდროს, ვერასდროს ჩავწვდები ამ ქვეყნის ფილოსოფიას.

ქუეტასაკენ

2005 წლის თებერვალი

სპინ ბულდაკი – ყანდაარის პროვინციის სამხრეთით მოსაზღვრე ქალაქი. წარმოუდგენლად ლამაზი სახელია ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე გართხმული ამ ფორებიანი ლაქისათვის. გზა არც აქ ვარგა. ბოძებზე გაკიდულ, გაცვეთილ დროშებს ყინულივით ცივი ქარი აფრიალებს. მაღაზიებში მხოლოდ ავტომანქანების ნაწილები იყიდება. ვერსად ნახავთ „კოკა-კოლას“ აბრებსა და რეკლამებს – ბედნიერი და სისხლსავსე ცხოვრების ყალბ დაპირებებს. თებერვლის შუა რიცხვებია. ჰაერი შალის სველი ხელთათმანივით ცივია. ღრუბლებში შემალული მზე ოდნავადაც კი ვერ აძალებს ზამთრის სუსხს. ჩემი უფროსი ანა, ჩემი კოლეგა დაგი და მე გაუსაძლისი სიცივისაგან ვცახცახებთ და ტაქსის მძღოლთან მოლაპარაკებას ვცდილობთ, რომ საზღვრის მეორე მხარეს მდებარე ბელუჯისტანის პროვინციაში, ქალაქ ქუეტაში წაგვიყვანოს. ნახევარი საათის შემდეგ, როგორც იქნა, ქალაქის მეჩეთში ერთ ადამიანს მივაგენით, რომელმაც პასპორტში ბეჭდები ჩაგვირტყა, და დანიშნულების ადგილისაკენ გავემგზავრეთ. ორი ადგილობრივი მცხოვრებიც დაგვემგზავრა,

რომლებმაც მთელი გზა მინი-ავტობუსის უკანა ნაწილზე ჩამოკიდებულებმა იმგზავრეს.

პაკისტანის საზღვარი შეუმჩნევლად გადავიარეთ.

– ეს ჩემი ბიძაშვილია, – განგვიმარტა ჩვენმა მძღოლმა და ფორმიან მესაზღვრეზე მიგვითითა.

ჰო, რატომაც არა. საზღვარი ხომ რუკაზე დატანილი ერთი უბრალო ხაზია, რომელიც ვიღაც ბრიტანელმა ეთნიკური ან ტოპოგრაფიული ფაქტორების სრული უგულებელყოფით გაავლო. საზღვრის ორივე მხარეს პუშტუნები ცხოვრობენ, თუმცა აქამდე არც ერთ პუშტუნს არ შევხვედროდი, რომელიც ამას აღიარებდა.

ათი წუთის შემდეგ მძღოლმა მანქანა გააჩერა. ავტომანქანის უკანა ნაწილზე ჩამოკიდებული მგზავრები ფანჯარაში გადმოიხარნენ და გაყინული ხელების გათბობა სცადეს მანქანის ვენტილატორზე, საიდანაც ისედაც სუსტი სითბო უბერავდა.

– ეს ჩემი ძმაა. ჩემი ძმა! – ვედრებით გვითხრა მძღოლმა და მკლავზე მოქაჩა ძმას, რომელსაც ლაჟვარდივით ლურჯი თვალები და მკაცრი, ცივი მზერა ჰქონდა.

– ძალიან ვწუხვართ, – ჩვენ თავს ვაქნევთ უარის ნიშნად. ნამდვილად არ გვსურს რამდენიმე უცნობ კაცთან ერთად მანქანით მგზავრობა.

ძმამ ნაღვლიანად ამოიოხრა და ისევ მანქანის უკანა ნაწილზე აძვრა. საშინელმა სინდისის ქენჯნამ შემიპყრო. ავღანეთში გატარებული ზამთრის შემდეგ კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ავღანური ყინვა. ასეთ დროს სულ მახსენდება, შალში შეფუთულიც კი რომ ვერ ვთბებოდი.

ქუეტამდე მიმავალ სერპანტინისებურ გზებზე სიჩქარეს მოვუმატეთ. აღმართებისა და ნისლის მიუხედავად, მძღოლი სიჩქარეს არ აგდებდა და ხალხით გაჭედილი ავტობუსებისა და ყვავილებით მოხატული ავტომანქანების გადასწრებას ცდილობდა. გზებზე დაგებული ასფალტი გაყინუ-

ლიყო და მწუხრის სინათლეს ირეკლავდა. ჩვენი მანქანის ხმის გამაძ-ლიერებლებიდან ბელუჯისტანური პოპ-სიმღერების გაუგებარი ტექსტი გვესმოდა. უსწორმასწორო გზების გამო სავარძელში გამართულად ჯდომაც კი შეუძლებელი იყო. ვცდილობდი, მზერა პეიზაჟზე გადამეტა-ნა, რომელშიც არაფერი ჩანდა ღრუბლებით მოჩითული ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ ჩამწკრივებული დაღარული მთების გარდა. მომთაბარეთა ქა-რავანს ჩავუქროლეთ. ჭრელ-ჭრელ კაბებსა და თავშლებში გამოპრანჭუ-ლი გოგონები აქლემებზე შემსხდარან. გაძვალტყავებული აქლემები კი ძლივს ეზიდებიან საკუთარ თავსა და მგზავრებს. ჩავუქროლეთ გზის პი-რას მოძრავი მამაკაცების დანაოჭებულ სახეებს. სადღაც შორს კი რკი-ნიგზის ხელუხლებლად გადარჩენილი ნაწილი მოჩანს, როგორც სიმბო-ლო ოცნებად დარჩენილი მოდერნიზაციისა. საათი საათს მისდევს. მგზავრობა დაუსრულებლად იწელება. ბინდი ჩამოწვა. მძღოლი მო-ულოდნელად ამუხრუჭებს და გვეუბნება, რომ გაჩერება აუცილებელია, რადგან ლოცვის საათმა მოგვისწრო. შემდეგ მანქანიდან გადადის, ტან-საცმლიდან მტვერს იფერთხავს და ლოცვისათვის განკუთვნილი ფარდა-გი გადააქვს. მინი-ავტობუსის უკანა ნაწილზე მოკალათებულ საბრალო მგზავრებს თავზე შალები შემოუხვევიათ და ერთიანად გათოშილები ძლივსღა იყურებიან თვალებიდან. ასეთი საბრალო სახეები ალბათ მხო-ლოდ BBC-ს მიერ ჰამასის შესახებ მომზადებულ რეპორტაჟებში თუ მი-ნახავს. ღვთისგან მივიწყებული რომელიღაც სოფლის განაპირას ვიდე-ქით. ცოტაოდენი ელექტროენერგია ნამდვილად არ აწყენდა ამ ადგილს. აქაური სიღატაკე და სიმახინჯე სრული ანტიპოდია ესთეტიკური სო-დერმალმისა[33], რომელიც თითქოს მთელი საუკუნის წინ მოვიტოვე უკან.

ნეტავ, რაზე ფიქრობდა ჩვენი შემოქმედი, როდესაც ამ გაურკვევლო-ბაში ასახლებდა ხალხს? ფიქრობდა კი საერთოდ რამეზე? თუკი ასეა, მა-შინ საშინლად არაპრაქტიკული და ბოროტი მამრი ყოფილა, რადგან

[33] უბანი სტოკჰოლმში.

ქალს ასეთი რამ აზრადაც კი არ მოუვიდოდა. მანქანის ფანჯრიდან საითაც უნდა გავიხედო, მხოლოდ მამაკაცები ჩანან. ისლამი არის ხსნა ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემისა, თუმცა, მას შემდეგ, რაც 1947 წელს პაკისტანის ისლამური სახელმწიფო დაარსდა, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების, სოციალური უსამართლობის, კორუფციის, ყაჩაღობისა თუ ნეპოტიზმის პრობლემების მოსაგვარებლად ისლამის კანონებისათვის აღარავის მიუმართავს. ყურადღების ქალებზე გადატანა და მათი მუდმივად კონტროლი ხომ გაცილებით მარტივი საქმეა მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთის სახელით! რელიგიის საფარველს ყველგან და ყველა დროში წარმატებით იყენებდნენ – ამგვარი ფარი ხომ ნებისმიერ ომში საუკეთესო იარაღია.

ისევ სირცხვილის გრძნობამ შემახსენა თავი, როდესაც ჩვენი მძღოლი კვლავ მანქანას დაუბრუნდა და გზა განვაგრძეთ. მძღოლის ძმა, რომელიც უარით გავისტუმრეთ, ისევ ჩვენს მინი-ავტობუსზე ჩამოკიდებული მგზავრობდა. ქუეტას რომ მივუახლოვდით, უკვე ბნელოდა. ბელუჯისტური პოპმუსიკის კასეტა მეოთხე წრეზე წავიდა. უკვე სიმღერებს ვცნობ. კიდევ ერთი გაჩერება ლოცვის მიზნით და დანიშნულების ადგილსაც მივადექით. ღამის წყვდიადში მირაჟივით მოგველანდა თავადაც ვარსკვლავივით მოციმციმე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „სერენა“. ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს სამოთხის კართან ჩამოგვსვეს და ვიგრძენი, რომ აღარასოდეს, აღარასოდეს მომინდებოდა ქაბულში, ჩემს გაყინულ სახლში დაბრუნება.

პროგრამა მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო. საუზმე ნაციონალისტებთან, შეხვედრები ნაციონალისტებთან, სადილი ნაციონალისტებთან, ისევ შეხვედრები ნაციონალისტებთან. და სულ ბოლოს, ვახშამი ნაციონალისტებთან.

ბრინჯის, შემწვარი ქათმისა და პიცის თითოეულ ლუკმას ფრუსტრაციის, უძლურების, სიძულვილისა და სისხლის წყურვილის არომატი დაჰკრავს. გვებოდიშებიან სოციალური დაძაბულობის, პოლიტიკური

კორუფციისა და ეკონომიკური მდგომარეობის უიმედობის გამო. გვიყვებიან პანჯაბის მიერ ხელში ჩაგდებულ ძალაუფლებაზე, თავიანთ საწვრთნელ ბანაკებსა და შეიარაღებაზე. მეთაური ტყვიის მასრებივით ისვრის სიტყვებს. ბელუჯები და პუშტუნები, რა მნიშვნელობა აქვს, ყველა თავის წილ ნავთს ასხამს კოცონს და ცდილობს უკმაყოფილების, სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის ქვაბში თუხთუხი არ შეანელოს. რომელია მითი და რომელი სიმართლე, არავინ უწყის. უზრუნველი პოლიტიკური მომავლისკენ სწრაფვა რას ნიშნავს, ბოლომდე ალბათ ვერასდროს გავიგებ. უბის წიგნაკითა და კალმით ხელდამშვენებული ვზივარ, მეთაურის სიტყვებს ვისმენ და ვცდილობ, რაიმე გონივრული ჩავიწერო, მაგრამ ამაოდ შევცქერი დახაზულ ფურცელს. სასოწარკვეთილებაში მყოფი, მსოფლიოს შესახებ წარმოთქმული ახალი მოსაზრებებისა და ჩემი შეზღუდული აზროვნების გამო ვერაფრით ვახერხებ ჩემსავე თავსა და ხელს შორის კავშირის დამყარებას. სასტუმროს ოთახში დაბრუნებული ისევ უცხო ადამიანის თვალებით ვიყურები გარშემო და ვხედავ სცენას, სადაც პაკისტანში გამეფებული უიმედობის შუაგულში არასერიოზული აზროვნება ზეიმობს. ბუმბულის თბილ საბნებში გახვეული ვწევარ და ვცდილობ, იმ ცხოვრებისეული შემთხვევითობების არსს ჩავწვდე, რომელთა წყალობითაც აქ აღმოვჩნდი, ჩემთვის სრულიად უცხო ქვეყანაში.

მეორე დილით თალიბურ ტურიზმს ვეზიარეთ. გიდობას ერთი გამჭრიახი და ეგოცენტრული ჟურნალისტი გვიწევდა, რომელმაც ბრიტანული გარნიზონის დეკორატიულფასადიანი შენობებით, თეთრად შეკირული გალავნებითა და ულვაშიანი სამართალდამცავებით დახუნძლული მთავარი ქუჩებისაკენ წაგვიყვანა. შემდეგ ქალაქის იმ ნაწილისაკენ წავედით, რომელსაც პუშტუნაბადი ჰქვია. სახლებს შორის იმდენ უბედურებასა და ისეთ სიღატაკეს დაედო ბინა, რომ მანქანა ძლივს მიიკვლევდა გზას.

– სწორედ აქედან გეგმავს და მართავს თალიბანი სამხრეთ აღმოსავ-

ლეთში წამოწყებულ საინფილტრაციო კამპანიას, – გვამცნო ჩვენმა მეგობარმა, – აქ მხოლოდ თალიბები ცხოვრობენ და მათ არავინ ეხება.

რატომაც არა? თალიბებს ხომ მხარდაჭერა არ აკლიათ, ისინი ხომ ჰაერიდან არ გაჩენილან. საზღვრის ამ მხარეს არც ქალების მიმართ მათი დამოკიდებულება აკვირვებს ვინმეს, პაკისტანის ოფიციოზი იმდენად პატრიარქალური არ არის, რამდენადაც საზოგადოება, რომელიც ქალების მიმართ შეუნიღბავი სიძულვილით არის გაჟღენთილი. ქალებს აქ ისე ექცევიან, როგორც ნებისმიერ საკუთრებას: ვირს, ფეხსაცმელს ან, უბრალოდ, ჩაიდანს. უცნაური არც ის მოვლენაა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, ქალი გარდაცვლილის მემკვიდრეობის ნაწილი ხდება და ხშირ შემთხვევაში მაზლზე ან ქმრის სხვა ნათესავზე ათხოვებენ. ამ პაკისტანელი ქალების მიმართ ამგვარი უსამართლობის მხოლოდ იშვიათი შემთხვევები თუ ხვდება საერთაშორისო მედიის ყურადღების ღირსი.

ერთ-ერთი გამონაკლისია მუხთარ მაის შემთხვევა. 2002 წელს, სოფლის საბჭოს ბრძანებით მუხთარ მაი გაუპატიურების მსხვერპლი გახდა მეერვალაში, მშობლიურ სოფელში, რომელიც სამხრეთ პენჯაბში მდებარეობს. გაუპატიურების მიზეზი მისი თორმეტი წლის ძმა, შაქური გახდა, რომელსაც ბრალი ედებოდა მასტიოს კლანის წარმომადგენელ ქალთან ურთიერთობაში, რითაც თავად მასტიოს კლანის ღირსებას მიაყენა შეურაცხყოფა. შაქურის მშობლები ამტკიცებდნენ; რომ ეს შეთითხნილი ბრალდებები იყო და რომ თავად შაქური გახდა მასტიოს კლანის წარმომადგენელი მამაკაცების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

შაქური პოლიციამ ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირის ბრალდებით დააპატიმრა. სოფლის საბჭომ გადაწყვიტა, რომ ის ნამუსახდილ ქალზე უნდა დაქორწინებულიყო, ხოლო მისი და, მუხთარ მაი მასტიოს კლანის წარმომადგენელ რომელიმე მამაკაცზე გაეთხოვებინათ. მასტიოს კლანმა უარი განაცხადა ქორწინებაზე. მუხთარ მაი სოფლის საბჭოში

გამოიძახეს ძმის საქციელის გამო ბოდიშის მოსახდელად, თუმცა საბჭოში მისული მუხთარ მაი ოთხმა მამაკაცმა იქვე მდებარე ფარდულში შეათრია და გააუპატიურა, რის შემდეგაც მასტიოს კლანმა პოლიციას აცნობა, რომ პრობლემა მოგვარებული იყო. შაქური გაათავისუფლეს. მთელი ამბავი აქ უნდა დასრულებულიყო, როგორც ათასობით ქალის ამბავი დასრულებულა სრულიად შეუმჩნევლად, თუმცა მუხთარ მაიმ ძალა მოიკრიბა და ხმა აღიმაღლა. სულ მალე მისი ამბავი მთელმა მსოფლიომ გაიგო.

მის ამბავს საერთაშორისო მედია და ორგანიზაციები გამოეხმაურნენ, რასაც თავის მხრივ დაპატიმრებები და გათავისუფლებები, დაპატიმრებები და ისევ გათავისუფლებები და უთვალავი ბრალდება მოჰყვა. ბოლოს საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა. პატიმრობაში ბრალდებულთაგან მხოლოდ ექვსი ადამიანი რჩებოდა, მათ შორის – მუხთარ მაიც, რომელსაც პასპორტი ჩამოართვეს, ხოლო მისი სახელი პაკისტანის სახელმწიფოს ოფიციალურ სიაში შეიტანეს, რომლის მიხედვითაც ქალს ქვეყნის დატოვება ეკრძალებოდა, რადგანაც იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც პაკისტანის სახელს ჩირქი მოსცხო.

ასეთია სამართალი ამ უკუღმართ სამყაროში. „თავიანთი“ ქალების მიმართ სწორედ ამგვარ „პატივისცემაზე“ საუბრობენ დაუღალავად ავღანელი და პაკისტანელი მამაკაცები, როდესაც მათ ვხვდები. ასეთი შეხვედრების დროს, როგორც წესი, მხოლოდ ისინი საუბრობენ, მე კი ვუსმენ. ვუსმენ და ვცდილობ, თავი დავირწმუნო, რომ მე დონ კიხოტზე გონიერი ვარ. მანქანა თალიბების შემდგომი ბუდისაკენ მიგორავს ქვაღორღით დაფარულ გზაზე. გზად რამდენიმე ჩალმიან მამაკაცს ვხვდებით, რომლებსაც ვირი მოჰყავთ. მათი დანახვისთანავე თავსაბურავს მეასედ ვისწორებ თავზე. შინ შეკერილი ტანსაცმლითა და ტალღოვანი წვერით რაღაცით ჰიპების კოლექტივს ჰგვანან.

– ეს თალიბების კიდევ ერთი თავშესაფარია, – გვეუბნება ჩვენი გიდი და თავს აქნევს, როდესაც კრინის კარიბჭეს ვუვლით გვერდს.

მგზავრობა სიჩუმეში გრძელდება. შავ ჩალმაში გამოწყობილი ყმაწვილი, რომელსაც გულზე ყურანი აქვს მიხუტებული, გაოცებით შემომცქერის. წიგნი შესაძლოა ერთ-ერთი მორიგი სახელმძღვანელოა, რითაც ბავშვებს ასწავლიან, ჭეშმარიტმა მუსლიმებმა იღლიები როგორ უნდა დაიბანონ და რომელი საკვებია ყველაზე ნოყიერი. თალიბების დროშა ნახევრად დანგრეულ სახლზე ფრიალებს. ყველგან სიღარიბის სიმყრალე იგრძნობა. სიღატაკის აღწერა იმდენი ფრაზით შეიძლება, რომ ამისთვის არც ასოები მეყოფა და არც ფანტაზია, თუმცა აქ ნანახი სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი სიღატაკე. ამ ადგილს თითქოს არაფერი გამოარჩევს სხვა მსგავსი ადგილებისგან, თუმცა სწორედ აქ, სახლების ნანგრევებში ამზადებენ ახალგაზრდა მამაკაცებისაგან მოსიარულე ბომბებს – ადამიანებს, რომლებიც თავს გარკვეული მოსაზრებების გამო იფეთქებენ; იმ მოსაზრებების გამო, რომელთაც ჩვენ ვერასოდეს ჩავწვდებით.

ზამთარი

ქაბულში გამგზავრების წინ ჰელენებორგგათანზე მდებარე სევდითა და ადამიანებით სავსე ჩემს ბინაში მოწყობილ გამოსამშვიდობებელ საღამოზე ერთ-ერთი სტუმრისგან თორშთენ ორნის წიგნი „რატომ დიპლომატია?“ მივიღე საჩუქრად. წიგნის კითხვა ისე დავამთავრე, სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხი ვერსად ვიპოვე, თუმცა ეს წიგნი შიგადაშიგ მაინც მახსენებს თავს და ხშირად ვფურცლავ ხოლმე. თუ მძაფრი შეგრძნებები მჭირდება, იმ გვერდს ვუბრუნდები, საიდანაც ფრაკსა და ცილინდრში გამოწყობილი თორშთენი ხალისიანი მზერით შემომცქერის. ფოტოს ქვეშ გაკეთებული წარწერა – „დიპლომატის ცხოვრებაში ლხინი მხოლოდ ყოველდღიურ სამუშაო რუტინაშია“ – მაიძულებს იმაზე ვიფიქრო, იყო თუ არა ეს კაცი საერთოდ ჩვენი პლანეტის მკვიდრი, ან რომელ გალაქტიკაში მოღვაწეობდა დიპლომატად. ფანჯრიდან თოვლით დაფარულ ვარდის ბუჩქებს ვხედავ. მე ფრაკი არაფერში გამომადგება. ნეილონის კომბინეზონი უფრო გონივრულია, რადგან ავღანეთში საშინლად ცივა და ვერაფრით ვთბები.

ჰერატი

2005 წლის თებერვალი

ერთ ნაცრისფერსა და მოღრუბლულ დღეს აეროპორტისაკენ მიმავალ გზას დავადექი.

– ჰერატში მიდიხართ, მის დიანა? – მეკითხება ვაჰაბი. სარკეში მის მზერას ვიჭერ და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

– ჰერატში დენი აქვთ, – ისეთი სიფრთხილითა და მოწიწებით წარმოთქვამს ვაჰაბი, თითქოს მსოფლიო საიდუმლოს მიმჟღავნებდეს.

– ვიცი, გამიგონია, – ვპასუხობ მე.

– მთელ დღეს, – დასძენს ის.

– მმმ...

ავღანეთში ყოფნის დროს ელექტროენერგიისადმი ავღანელთა ამგვარ მიჯაჭვულობას მეც ვეზიარე და სისხლით ხორცამდე გავიზიარე. აქ ამინდზე არავინ საუბრობს, აქ მთავარი სასაუბრო თემა მხოლოდ ელექტროენერგიაა. სახლში დაბრუნებული მეც იმავეს ვეკითხები დაცვის თანამშრომლებს, მაინტერესებს, სახლში სინათლე თუ მექნება.

გუშინ რამდენი საათით გქონდათ დენი? საერთოდ არ გქონდათ?

იცით, გასულ პარასკევს დენი მთელ დღეს გვქონდა. მთელ დღეს! თითქმის შუაღამე იყო, რომ ჩაქრა. თუმცა, იცით, რომ მეზობელ კვარტალში ელექტროენერგია, აგერ უკვე სამი კვირაა, თვალითაც არ უნახავთ.

წარმოგიდგენიათ?

და ასე, სახეცვლილი ვარიაციებით გრძელდება საუბარი ელექტროენერგიის შესახებ. ერთ საათს, ორ საათს, ერთ დღეს, ორ კვირას. ხანდახან ელექტროენერგია იმდენად სუსტია, რომ ელექტრონათურის სპირალიც კი ძლივს ბჟუტავს სიბნელეში. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ელექტროენერგიის უეცარი წასვლისას ყველა ელექტროაპარატი მწყობრიდან გამოდის. ყველაფერი, რაც ღირებულია – სარეცხი მანქანა, კომპიუტერი, მაცივარი. ჩემი სახლი მძლავრი ჩინური სტაბილიზატორებით არის აღჭურვილი. ისინი რამდენიმე ხნით ადრე გრძნობენ ელექტროენერგიის ნაკადის წყვეტას და შესაბამისადაც რეაგირებენ მანამ, სანამ თავადაც არ გამოვლენ მწყობრიდან.

ავღანეთი ენერგომომარაგების მხოლოდ 6%-ით საზრდოობს. ქვეყნის ფეხზე დაყენება კი ამ რესურსით წარმოუდგენელია. ვერც ერთი საწარმო, პატარა სახელოსნო თუ უბრალო მაღაზია ვერ შეძლებს ელექტროენერგიის გარეშე არსებობას. წარმოების გაგრძელებაც შეუძლებელია და რაიმე სახის მომსახურებისაც.

ზამთარში, როდესაც დღის სინათლე მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება, ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გათბეს და საკვები როგორ იშოვოს. ავღანეთიდან ოპიუმის გარდა ცოტაოდენი თხილი და ხელით ნაქსოვი ფარდაგები გააქვთ. განა შესაძლებელია ამ რესურსით 25 მილიონი ადამიანის გათბობა (იქნებ 35-იც კი არის, ზუსტად ხომ არავინ იცის)? ელექტროენერგიის გარეშე ეფექტიანობა და პროდუქტიულობა მიუღწეველი ცნებებია. ფიქრიც კი შეუძლებელია. დეკარტე მართალი იყო, როცა ამბობდა, ფიქრებიც კი იყინებაო.

ის, ვისაც ცოტა უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, დიზელის ელექტროგენერატორებს ამუშავებს, რომლებსაც საშინელი ხმა აქვთ და შავ

გამონაბოლქვს გამოყოფენ. ასეთი გენერატორები ხშირ შემთხვევაში მაღაზიების მესაკუთრეებს აქვთ, რომლებიც ამ სიკეთეს მხოლოდ მაშინ იყენებენ, თუ შემთხვევით მაღაზიას ვინმე ესტუმრება. ავღანეთში დიზელი პაკისტანიდან სატვირთო მანქანებით გადმოაქვთ, გზა კი ძალიან გრძელია.

ჰერატი ტაჯიკი ისმაილ-ხანის სამშობლოა და ამ ადგილის კეთილდღეობისთვის სწორედ მას ემადლიერებიან.

თავად ისმაილ-ხანი თოვლივით თეთრი წვერითა და სხეულის სიმრგვალით თოვლის პაპას წააგავს. ის ავღანეთის ერთ-ერთი სახელგანთქმული თვითმარქვია მთავარსარდალია, რომელიც ისლამის კონსერვატორულ სწავლებას უჭერს მხარს. 2004 წელს, როდესაც ისმაილ-ხანი პროვინციის გუბერნატორის თანამდებობიდან გადააყენეს, ბევრმა ჩათვალა, რომ პრეზიდენტი, როგორც იქნა, გონს მოეგო და ქვეყნის ურჩი მთავარსარდლებისაგან გაწმენდა დაიწყო, თუმცა მათი მოლოდინები მალევე გაქარწყლდა, როდესაც გუბერნატორის თანამდებობიდან გადაყენებული ისმაილი ახალ მთავრობაში ენერგეტიკის მინისტრად გამოჩნდა.

ჰერატში ჩემს მეგობარ სოფისთან და მის კანადელ საქმროსთან, გარტთან ერთად ვცხოვრობ. სოფიც ჩემსავით შვედია, თუმცა შვედეთში არასდროს შევხვედრივართ. მე ის ერთი ჩემი მეგობრისგან ბაქოში გავიცანი. მე შვებულებით ვიყავი, ის აზერბაიჯანში მიმდინარე ისლამურ აქტივიზმზე სამაგისტრო ნაშრომს ამზადებდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გლობალიზაციის ტალღამ გადაუარა ჩემს სანაცნობო წრეს. ყველანი ისე თავისუფლად ვმოგზაურობთ მსოფლიოს გარშემო, როგორც ჩემი წინაპრები – თავიანთ მშობლიურ ვესტერბოთენში.

სოფისა და გარტს უშველებელი სახლი აქვთ. ჩაის ვსვამთ და ირანულ

ტკბილეულს შევექცევით, თან ცხოვრებაზე, ისლამზე, ავღანეთზე, მის ნაშრომზე, ჩემს სამსახურზე და სიღარიბის დასაძლევად გაცემულ მიკროკრედიტებზე ვსაუბრობთ. უზარმაზარ რბილ სავარძელში მოკალათებული მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, ჩემი სამუშაო ოთახი რომ სწორედ ამ სახლში ყოფილიყო. თავდავიწყებით შემიყვარდა ეს ქალაქი, რომელსაც ექსცენტრული რობერტ ბაირონი 1933 წელს აქ სტუმრობის შემდეგ ასე ახასიათებს: „როგორც იქნა, ვიხილე აზია არასრულფასოვნების კომპლექსის გარეშე“.

– საიდან გაქვთ? – ვეკითხები უეცრად სოფის.

– რა?

– ელექტროენერგია.

– ირანიდან, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, – მპასუხობს ის.

ნანატრი ელექტროენერგიის გარდა ჰერატში წყალი, მოქმედი სატელეფონო ქსელი და მოასფალტებული გზებიც აქვთ. აქ თავს ისე გრძნობ, თითქოს სხვა სამყაროში მოხვდი. აქ ირანის გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა; მაღაზიებიც ირანული საქონლითაა გამოტენილი.

ვაჭრობა ხომ ჰერატის შემოსავლის უმთავრესი წყაროა. მთელი პროვინცია ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს. აქედან იმართება ვაჭრობა ჩრდილოეთით – თურქმენეთთან და დასავლეთით – ირანთან. ავღანეთის საბაჟო შემოსავლების უდიდესი ნაწილიც სწორედ ჰერატიდან მოდის. ისმაილ-ხანი კი, ვინც წლების განმავლობაში მართავდა ამ პროვინციას, უარს ამბობდა შემოსავლების ქაბულში გაგზავნაზე. ამის ნაცვლად, მთელი ფული მის მილიციას და, რა თქმა უნდა, ქალაქსა და მოსახლეობას ხმარდებოდა.

მაღაზიები გადავსებულია. გზები მოასფალტებული. ქუჩების გასწვრივ ხეები ჩაუმწკრივებიათ. ქაბულში სიმწვანე არსად არის. იქ ამ-

გვარს ვერაფერს ნახავთ. ხეები ომის დროს გაკაფეს. ხალხს შეშა სჭირდებოდა. არც აქაური ხეებია საუკეთესო – აუტანელი სიცხისაგან საშინლად დამტვერილნი გახმობის პირას არიან, მაგრამ სულ არაფერს მაინც ჯობია.

რამდენიმე დღე ჟურნალისტებთან, გაეროს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრებში გავატარე. აქვე შევხვდი ბრიტანელ მარკსაც, რომელიც ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებულ გამნაღმველ ორგანიზაცია „რონკოში“ მუშაობდა.

– აქ გადასარევ ხალხთან ვმუშაობ. საქმეც ბევრია. ტონობით საბჭოურ, ამერიკულ, არაბულ, ბრიტანულ, ეგვიპტურ, ჩინურ ამუნიციასა და ნაღმებს ვაფეთქებთ ყოველ კვირას. აქ ყველაფერია და თან რამდენიც გინდა, იმდენი. იქნებ ერთ დღეს შენც წამოხვიდე ჩვენთან ერთად?! ამას ისე ამბობს, თითქოს ნაღმების გაუვნებელყოფა ტყეში ხის ძირას მიმალული სოკოების მოგროვება იყოს. არაფრის დიდებით არ ვაპირებ ნაღმის სიახლოვეს გავლასაც კი, ყოველ შემთხვევაში, სანამ ცოცხალი ვარ.

მარკმა ისიც მითხრა, ერთ დღეს მთელ ჯგუფს სთხოვა, სამსახურში თითო ბურკა მიეტანათ. შემდეგ ყველა ადგილობრივ მამაკაც თანამშრომელს აიძულა, ისინი ჩაეცვათ და მთელ დღეს ასე შემოსილებს ემუშავათ. მამაკაცებმა ერთმანეთს ფოტოები გადაუღეს და ბურკები დახიეს. მუშაობა ხომ პრაქტიკულად წარმოუდგენელია, როდესაც თვალებში ვერ იყურები; თან ერთ ნაბიჯსაც კი ვერ ადგამ ისე, რომ ფეხი კაბის კიდეს არ წამოსდო.

– ამის შემდეგ ორმა მათგანმა ცოლს ბურკის გახდა სთხოვა, – აგრძელებს მარკი და მხრებს იჩეჩავს. შემდეგ თავს ცოტა გვერდზე ხრის და მეუბნება:

– აი, ასე, მუდამ რაღაც ხდება.

ადგილობრივებთან საუბრიდან ვიგებ, რომ პროვინციაში ცხოვრება

შედარებით გაუმჯობესდა. ბევრს იმედი მიეცა. ისმაილ-ხანის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ქუჩებში უფრო მეტი ქალი გამოჩნდა. ზოგი მათგანი ბურკის ნაცვლად უკვე ჩადრს ატარებს. ჩადრი კი ბურკისგან იმით განსხვავდება, რომ სახეს არ ფარავს. საინფორმაციო არხებმა თავიანთი მაუწყებლობა გააფართოვეს და ისმაილ-ხანის საქმიანობის ამსახველი მასალის გარდა, შიგადაშიგ დასავლური ფილმების ჩვენებაც დაიწყეს. ჟურნალისტებს ისე აღარ გაურბიან. ქალებისათვის განკუთვნილმა რადიოსადგურმა და სპორტულმა დარბაზმაც დაიწყო მუშაობა. ჰერატი მაოცებს და გულში ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ნაპერწკალს მიღვივებს.

რამდენიმე წლის შემდეგ ფაუზა გაილიანი – ქალი, რომელმაც ჰერატში ქალბატონებისათვის განკუთვნილი სპორტული დარბაზი გახსნა, ოფისში მესტუმრა და ქაბულის პარლამენტში მიმდინარე ქაოტურ სამუშაოზე მესაუბრა. თავისი ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული საარჩევნო კამპანიის შემდეგ მან მხარდამჭერთა 16 800 ხმა მიიღო და 249 საპარლამენტო ადგილისათვის 34 პროვინციიდან წარმოდგენილ 5 800 კანდიდატს შორის ყველაზე მეტი პოპულარობითაც სარგებლობდა; მან ავღანეთის სახალხო კრებაში, ვოლსე ჯირგაშიც დაიმკვიდრა ადგილი. ეს ექვსი შვილის წარმატებული დედა, რომელიც ავღანელ ქალებს აერობიკის გაკვეთილებს უტარებს, ოფისში მესტუმრა და თავსაბურავსა და მადონასებურ ბიცეპსებზე შემოტმასნილ კოფთაში გამოწყობილმა, თავის ჩამორჩენილ და რეტროგრადულ კოლეგა პარლამენტარებსა და არეულ-დარეულ საპარლამენტო სესიებზე გამიბა საუბარი. ამგვარი საუბრები ყოველთვის ძალას მმატებს და მთელი კვირა წელში გამართული დავდივარ იმაზე ფიქრით, რომ ავღანეთი მხოლოდ გაცვეთილი კლიშეები არ არის, რომ აქაც არსებობს რაღაც უფრო მეტი – უდაბნოს ქვიშასავით გამოულეველი იმედი.

ერთ ნაშუადღევს სოფიმ და გარტმა სასეირნოდ წამიყვანეს. ბურკეების მაღაზიებში შევედით და ერთი ლურჯი ბურკა ჩემთვისაც ავარჩიე. შემდეგ ანტიკვარიატის მაღაზიაში შევედით, სადაც ნაირ-ნაირი ხელნაკეთი სამკაული და წვრილმანი იყიდებოდა. შემდეგ ჯუმა მეჩეთში გადავინაცვლეთ. ნამდვილი სასწაულია, რომ საუკუნეების განმავლობაში გადატანილი არეულობებისა და შეტაკებების შემდეგაც კი ყველა არაბესკა[34], მოზაიკა და ლაჟვარდისფერ, ცისფერ და მწვანე ფერებში შესრულებული კალიგრაფია ხელუხლებლად არის შემონახული. მეჩეთის სილამაზემ დამამუნჯა. ავღანეთში მსგავსი სილამაზის სხვა არაფერი მინახავს. მოზაიკა ზღვასავით კამკამებს მზის ჯერ კიდევ გრილ სინათლეში, ქვის იატაკზე წინდებით ვდგავარ და ფეხები მეყინება. მეჩეთი თითქმის ცარიელია, თეთრჩალმიანსა და ჭაღარაწვერიან მამაკაცებს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ხალიჩებზე სხედან და რაღაცაზე მშვიდად ბაასობენ, თან თითებში კრიალოსნებს ათამაშებენ. მეც კი შემშურდა მათი. მეც დიდი სიამოვნებით მოვკალათდებოდი ხალიჩაზე ამ სიმყუდროვეში და წარმოვიდგენდი, რომ შინ ვარ.

ექსკურსია XV საუკუნის დროინდელი მინარეთის მონახულებით დავასრულეთ, რომელიც ერთ დროს ცამეტნაწილიანი იყო და რომლის უმაღლესი ნაწილიც ლურჯ-მწვანე მოზაიკით იყო შემკული. ნატყვიარებითა და ჭურვების ნამსხვრევებით „მორთული“, გადარჩენილი ხუთი მინარეთი უდაბნოს ქვიშასავით ყავისფერია და კაკაოსფერ საკვამურებს ჰგავს. მანქანებში ვსხედვართ და მინარეთებს შორის ორმხრივ ტრასას მივუყვებით. მინარეთებს შორის თავდახრილები მივდივართ. მათ ირგვლივ არსებული მიწა სავარაუდოდ ნაღმებისაგან გაწმენდილი და უსაფრთხოა, თუმცა არც ერთ ჩვენგანს არ სურს გარისკვა.

---

[34] გეომეტრიული ფიგურებისგან, სტილიზებული ყვავილებისა და ფოთლებისგან შემდგარი რთული ორნამენტი, რომელიც ევროპაში არაბეთიდან შევიდა.

– ქვეყანაში გამეფებულ უიმედო მდგომარეობას თითქოს კი სძლიეს, მაგრამ ახლა სატრანსპორტო მოძრაობა იქცა ამ მინარეთებისთვის უმთავრეს საფრთხედ, – მოკლედ მითხრა სოფიმ.

მართლაც ასე იყო. საუკუნეების ქარტეხილებს გადარჩენილი ეს მინარეთები ერთ დღეს ალბათ ირანში ორცხობილების ჩამოსატანად მიმავალი სატვირთო მანქანების ვიბრაციას შეეწირებიან და მტვრად იქცევიან.

მეორე დღეს UNHCR-ის წარმომადგენლებთან ერთად ირანის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე ისლამ-ქალაქში მივდივარ. ახლად გარემონტებული ავტობანი, რომლითაც ჩვენ ვმგზავრობთ, რამდენიმე თვის წინ ჰამიდ ყარზაისა და ხათამის ხელშეწყობით გაიხსნა, როგორც სიმბოლო ღატაკი ბიძაშვილისადმი გავლენიანი დასავლელი მეზობლის კეთილგანწყობისა და ირანსა და ავღანეთს შორის ქაღალდზე გაფორმებული გულითადი ურთიერთობისა.

ავღანელი ტაჯიკები სპარსელები არიან და სპარსულად საუბრობენ, თუმცა მეზობლებს შორის ურთიერთობა არასდროს ყოფილა განსაკუთრებულად თბილი. დაძაბულობებიც მრავლად ახსოვთ. ავღანეთსა და სპარსეთში მოგზაურობის შემდეგ რობერტ ბაირონი წერდა: „როდესაც განათლებული ადამიანები იგებენ, რომ ავღანეთში ვიმოგზაურე, ღრმად ჩაისუნთქავენ და დიდი მოთმინებით მიწყობენ დაკითხვას ავღანელი ხალხის კეთილდღეობაზე. შემდეგ მორიდებით ინტერესდებიან, ქვეყანაში რკინიგზა, საავადმყოფო და სკოლები თუ მინახავს. საავადმყოფოები და სკოლები, რა თქმა უნდა, – ვპასუხობ მე. ისინი მთელ ისლამურ სამყაროში არსებობენ. რაც შეეხება რკინიგზას, ორთქლი ერთობ მოძველებულია ავტომობილების ხანაში. როდესაც ირზა იანცს ვუამბე, როგორ ღიად საუბრობდნენ ავღანელები თავიანთი პოლიტიკური პრობლემების შესახებ, იმის მაგივრად, რომ იმაზე ეჩურჩულა, რასაც აქ აკეთებდნენ,

მან მიპასუხა: – რა თქმა უნდა, ისინი ხომ ჩვენნაირი კულტურული ადამიანები არ არიან.

თავის მხრივ, არც ავღანელებს ეხატებათ გულზე სპარსელები. მათ კი არ შურთ, არამედ სძულთ“.

ისლამ-ქალაჰის საზღვართან ბევრი ხალხი ირევა. უმეტესად ავღანელი ლტოლვილები არიან, რომლებიც რამდენიმე ათწლეულიანი ლტოლვილობის შემდეგ შინ ბრუნდებიან.

UNHCR და გაეროს ლტოლვილთა ორგანიზაცია ორგანიზებას უკეთებენ ავღანელ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნებას – მხოლოდ გასულ წელს 400 000 ავღანელი დაბრუნდა, მათგან ნახევარი – ნებაყოფლობით, დანარჩენი კი დეპორტით. ზაფხულში ყოველდღე ათასობით ადამიანი მოდის, ზამთარში – შედარებით უფრო ცოტა. ნებაყოფლობით დაბრუნებულებს დახმარების სახით საკვების შესაძენად სულზე 12 დოლარი მისცეს, მშობლიურ სოფლებამდე მისასვლელად კი – დამატებით 10 დოლარი. იძულებით დაბრუნებულებს არაფერი მიუღიათ – მხოლოდ თავიანთი ბოხჩების ამარა იყვნენ.

გაეროს დიდ შენობებს შორის დავდივარ და ლტოლვილებს ვესაუბრები. უფროსებს მთელი თავიანთი ქონება ჩანთებში გამოუკრავთ და მათ შორის სხედან. დაღლილი თვალები აქვთ. ფეხსაცმელები და დაბამბული ჯუბები აცვიათ, დაბამბული ჯუბები! თითქმის აღარ მახსოვდა, რომ ასეთი ტანსაცმელი ოდესღაც არსებობდა. ტრადიციის შესაბამისად, შალის საბანიც ახურავთ. შავ ზედატანში გამოწყობილი პატარა გოგონა პურის ნაგლეჯს ლოღნის, კალთაში კი მიკი მაუსის ახალი, ფერადი ჩანთა უდევს. აქ ყოფნის განმავლობაში ასე კარგად ჩაცმული ბავშვები არსად მინახავს. მათ ჩემი კითხვებისა არაფერი ესმით და მხრებს იჩეჩავენ. ჩემი აყლაყუდა და მუწუკებიანი თარჯიმანი მთელი მონდომებით ცდილობს, თუმცა მათი გაგება უჭირს, რადგან მათ უმრავლესობას მთელი

ცხოვრება ირანში აქვს გატარებული და სპარსულის ავღანური დიალექ-ტის, დარის არაფერი გაეგება. თარჯიმანი იქნებ ცოტას იტყუება კიდეც. ერთი კი ცხადია, რომ საერთოდ არ აინტერესებს თავისი საქმე. ასეთ დროს თავს ძალიან გარიყულად ვგრძნობ. რას არ მივცემდი, ოღონდ კი ენა ოდნავ უკეთ ვიცოდე და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებებით ვიმსჯე-ლო.

ლტოლვილთა უმრავლესობამ უკანასკნელი ათწლეულები ირანის ლტოლვილთა ბანაკებში გაატარა. ბავშვებიც იქ დაიბადნენ. თუმცა, იძულებულები გახდნენ, ომის დასრულების შემდეგ შინ დაბრუნებულიყ-ვნენ, რადგან ირანის მთავრობას აღარ სურდა მათი სამედიცინო მომსა-ხურებისა და განათლების დაფინანსება, ავღანეთის მთავრობა კი მათ ვე-რაფერს სთავაზობდა. ბაირონის შემდეგ საავადმყოფოებისა და სკოლე-ბის მდგომარეობა აქ მხოლოდ უარესობისაკენ შეიცვალა. სურვილი გა-მიჩნდა, მათთვის მეკითხა, წინ ხომ არაფერი ელით გაუსაძლისი ყოველ-დღიურობის გარდა? იქნებ მათი სახლი დამწვარია, ან იქნებ სულ სხვა ვინმე ცხოვრობს ახლა იქ? იქნებ ზოგჯერ რამდენიმე საათით მაინც მი-აწოდონ ელექტროენერგია.

პანშირი

2005 წლის მარტი▌აპრილი

პროვინციის გმირის, აჰმედ შაჰ მასუდის უზარმაზარი პორტრეტით დამშვენებული საბჭოური გისოსის გასწვრივ ავღანური მილიციის დაქანცული ჯარისკაცები დგანან. მაგიდაზე ლითონის რამდენიმე ჩაფხუტი და ტყვიამფრქვევი აწყვია. ასეთია პანშირი შეტაკების მოლოდინში. მე კი რაღაც უფრო პოეტურს ველოდი.

ლურჯფორმიანი და კალაშნიკოვასხმული მამაკაცი მანქანას უახლოვდება, თან კეფას იფხანს და თავზე ჩამოფხატულ ქუდს აქეთ-იქეთ ათამაშებს. შემდეგ ჩვენს პასპორტებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვას ამოწმებს.

ექსპედიციის ხელმძღვანელი, ამსტერდამელი ტანმაღალი არქიტექტორი ანა ჯარისკაცს სიგარეტს – უნივერსალურ საერთაშორისო ვალუტას – უწვდის.

– ჩაის ხომ არ ინებებთ? მწვანე გნებავთ თუ შავი? – გვეკითხება ჯარისკაცი და პასპორტებს გვიბრუნებს.

– არა, გმადლობთ, სხვა დროს იყოს, – ვპასუხობ მე. ის კი გვიღიმის და მცირედი შეძლებულობის უტყუარ საბუთს, სამ ოქროს კბილს აჩენს. შემდეგ მძღოლს ნიშანს აძლევს და წასვლის ნებას რთავს. კმაყოფილი ანა კარს ღიმილით კეტავს.

აქაურობა სულისშემძვრელად ლამაზია. ამ სილამაზეს გაზაფხულის პირველი დღის მზე და ცაზე გადაფენილი ღრუბლები უფრო ამძაფრებს. სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად უქმეებზე მთის ბილიკებისკენ მიმავალ ვიწრო, ტალახიან ქუჩას მივუყვებით. გზის ერთ მხარეს ჰინდუქუშის ბუნებრივი კედელია აღმართული, მეორე მხარეს კი ფირუზისფერი მდინარე მოედინება. ომის ნიშნები მუქი ფერის ძაფებივით ამ თითქოს ხელით ნაქარგ პეიზაჟში. გზის პირას და მდინარის ციცაბო კალაპოტზე ძველი ტანკის ნაწილები ყრია. მუხლუხოები ერთ სავარგულს მეორისაგან გამოყოფს. ტანკის ცალი ფერდის ნაწილი წყალზე ხიდის ფუნქციას ასრულებს. სოფლის მაღაზიის წინ საბრძოლო მასალის შესანახი ყუთები კი ვერანდად გამოუყენებიათ, იმედს ვიტოვებ, რომ ყუთები ცარიელია.

სოკოსქუდიანი მასუდის პორტრეტი ისე მიყურებს, თითქოს იესოს, ბობ მარლისა და ჩე გევარას ნაზავი იყოს. თანამედროვეობის ერთადერთი ნიშანი სწორედ ტანკის ნაწილზე შესრულებული მასუდის პორტრეტია, რომელიც მახსენებს, რომ ახლა 2000-იანი წლებია, ანუ ფოტოგრაფიის აღზევებისა და საბრძოლო შეიარაღების დიდების ეპოქა. სხვა მხრივ კი პანშირის ჭიშკარი ნამდვილი დროის მანქანაა.

მეთაური მასუდი, როგორც ფრანგები მოიხსენიებდნენ თავიანთ ოქროს ბიჭუნას, ნამდვილი ფენომენია. დასავლეთში მას მოდერატ მოჯაჰედად მიიჩნევდნენ, თავისი თანამოაზრეების მსგავსად, ისიც ისლამისტური ირანის მხარდამჭერი და ისლამისტური პარტიების „ჯამიეთ-ე ის-

ლამისა“ და „შურა-ე ნაზარის“ ცენტრალური ფიგურაა. პირადად ჩემთვის ის სამხედრო დამნაშავეთა უგრძესი სიიდან ერთ-ერთია. ის პროფესორ რაბანის უმაღლესი რანგის მეთაური იყო, 1992 წელს კი კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, როდესაც რაბანი პრეზიდენტი გახდა, მასუდი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა. მოჯაჰედთა ფრაქციების მიერ წამოწყებულმა სამოქალაქო ომმა თითქმის სრულიად გაანადგურა ქვეყნის დედაქალაქი. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის, Human Rights Watch-ის მიხედვით, 1992-1993 წლებში ადამიანთა უფლებათა წინააღმდეგ მიმართულ რამდენიმე ყველაზე მძიმე დანაშაულს ჰქონდა ადგილი: თავდასხმები მშვიდობიან მოქალაქეებზე, ადამიანების სიკვდილით დასჯა, წამების ფაქტები, გატაცებები და მაროდიორობა მასუდის კონტროლის ქვეშ მყოფი სამხედრო დანაყოფების ორკესტრირებული იყო: „The attacks on civilians, summary executions, torture, abductions and looting... Were not spontaneous events or inevitable consequences of war. They were war crimes committed by troops within military structures with command-and-control mechanisms.“[35]

თუმცა მასუდი სხვებზე იღბლიანი აღმოჩნდა და გმირის სახელი სამუდამოდ შეინარჩუნა. ის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტამდე ორი დღით ადრე თახარის პროვინციაში ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა ორმა არაბმა მოკლა, რომლებიც თავს ჟურნალისტებად ასაღებდნენ. მისი გარემოცვის უმეტესი ნაწილი კი ისევ ისევე ცხოვრობს, როგორც ადრე. მათ წინააღმდეგ მიმართული ჩუმი კრიტიკა კი მხოლოდ პიანისიმოდ ჟღერს.

[35] შეტევა სამოქალაქო პირებზე, სიკვდილით დასჯა, წამება, გატაცებები და მაროდიორობა სპონტანური ან გარდაუვალი კი არა, ომის ლოგიკური შედეგი იყო. ეს იყო სამხედრო პირების მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებანი.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ დაშტკში ჩავედით. მდინარეესა და ჰინდუქუშს შორის არცთუ ბევრი თიხის სახლი იდგა. ერთ-ერთ მათგანში ჩვენი ბარგი მოვათავსეთ. ბარგის საცავი ოთახის ინტერიერი ფოტოების გასამჟღავნებელ ჯამში ჩადებული ქაღალდივით ნელ-ნელა და ფრთხილად გამოიკვეთა და ჩემი თვალებიც ნელ-ნელა შეეგუა ოთახში გამეფებულ სიბნელეს. ოთახი თითქმის ცარიელი იყო, ხალიჩებზე დაყრილი ლეიბების გროვასა და აქა-იქ მობზუილე ბუზებს თუ არ ჩავთვლით. ეზოში რამდენიმე ძროხა, ქათამი და ინდაური დაეხეტებოდა უმისამართოდ. მთელ სოფელს ეკომარკირება ესაჭიროებოდა.

ნაშუადღევს სოფელთან ახლოს მთას შევუყევით. გზაში ჰორიზონტამდე გადაჭიმული ჰინდუქუშის თოვლით დაფარული და მომნუსხველი სილამაზის მწვერვალების ნაცვლად რუსების მიერ თვითმფრინავებიდან გადმოყრილ ნაღმებზე ვფიქრობდი და გული დამიმძიმდა. ახალგაზრდა პანშირელი მობინი, რომელსაც ნახშირივით შავი წვერი და არწივივით ფხიზელი მზერა ჰქონდა, ჩემს დამშვიდებას ცდილობდა.

– The people from the village go here every day[36]. მე სიჩუმით ვპასუხობ.

– Every day they go here, – მიმეორებს მობინი. მე ისევ სიჩუმით ვპასუხობ.

ის კი განაგრძობს და იმგვარი გზნებით მიყვება, რომ კაცს ეგონება, სოფლის მაცხოვრებლები ამ მთაზე ასვლა-ჩამოსვლის გარდა სხვას არაფერს აკეთებენო, თუმცა მე მაინც ეჭვი მეპარება მის სიტყვებში. ისინი, ვინც მე მინახავს, მხოლოდ თავიანთი სახლების სიახლოვეს შემხვედრიან. მთებში არავინ დადის. სიმშვიდე კი მხოლოდ შიგნიდან მოდის.

სულ მალე ბილიკები სადღაც ქრება და წინ მხოლოდ ტალახსა და ლაფში მივიწევთ. ტყვიის პატრონებისა და ყუმბარის ნამსხვრევების დანახვაზე სხეული მეყინება.

---

[36] ხალხი სოფლიდან აქ ყოველდღე მოდის.

სულ რამდენიმე წამით თვალწინ მიდგება ერთ ავღანელ ვეტერანთან ჩემი პირველი შეხვედრის სცენა. ეს ძალიან ბევრი წლის წინათ, საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ზაფხულს მოსკოვის მეტროში მოხდა. ვეტერანი ბორბლებზე დამაგრებულ ხის დაფაზე იჯდა. ფეხები არ ჰქონდა. ერთადერთი, რაც შერჩენოდა, სამხედრო ფორმა იყო. მკერდზე დაფენილი მორთულობა ტანის მოძრაობასთან ერთად ირხეოდა. დაგრეხილი სამხედრო ქუდის (რომელიც წინ ედო) წითელ სარჩულზე სამი მონეტა ბრჭყვიალებდა. თვალი ვერ გავუსწორე, თუმცა მისი სახე სვირინგვით სამუდამოდ შემორჩა ჩემს მახსოვრობას.

– წელიწადის ამ დროს ყველაფერი წვიმასა და ლაფს ჩამოაქვს, – ვეუბნები მობინს და კეფაზე ვუყურებ. მას კი თითქოს არც ესმის ჩემი ან, უბრალოდ, თავს იკატუნებს. – რაც გუშინ კარგად იყო, დღეს ალბათ ისე აღარ არის, – ვაგრძელებ ისევ. მობინი კი თავის ქნევით მეთანხმება. – But this mountain is fine, Insh'allah[37], – ამბობს ის. ალაჰის მიმართ არანაირი ნდობა არ გამაჩნია. ის რომ მართლა არსებობდეს, ამ ქვეყანას ასე უმოწყალოდ არ მიატოვებდა ამდენი ხნით. მობინის ნაკვალევს ფრთხილად მივყვები და სუნთქვა მეკვრის. ასე გრძელდება უკანა გზაზეც, თიხიანსა და ქვიან გზებზე.

მომდევნო დღეს მთებში ახალი გასეირნება გველოდა. მთელი ძალით ვცდილობდი კარგი განწყობა შემენარჩუნებინა, თუმცა მაინც არ მასვენებდა ფიქრი, იქ რას ვაკეთებდი, რატომ მოვისურვე უქმე დღეების დანაღმულ ველზე ხეტიალში გატარება? ხომ შემეძლო ამის ნაცვლად პარიზში წავსულიყავი და რომელიმე კაფის ფანჯრიდან ქუჩებსა და მაღაზიებში მოფუსფუსე ლამაზი ადამიანების თვალიერებაში გამეყვანა

[37] ეს მთა მაინც მშვენიერია, ალაჰია მოწმე.

დრო.

ერთადერთი, რისაც ყველაზე მეტად მეშინია, ნაღმებია, თუმცა მე მაინც ჩექმები ჩავიცვი და ეზოში, საპირფარეშოში გავედი, გზად კი აბეზარი მამლაყინწას მოშორებას ვცდილობდი. მარტო დარჩენა და აზრების მოკრება მჭირდებოდა. ცოტა ხანში ისევ მანქანაში ჩავსხედით და უფრო ღრმად შევუყევით ხეობას. ნახევარ საათში პოლიციის საგუშაგოსთან გავჩერდით.

– ნებართვა! – მოგვაძახა საბჭოურის მსგავს შალის ფორმაში გამოწყობილმა ადგილობრივმა პოლიციელმა.

ანა ცდილობს თავი სულელად მოაჩვენოს, პოლიციელი კი არ ტყუვდება. Pourquoi faire simple quand on peut faire compliqué.[38]

– ზვავის საშიშროებაა და გვიბრძანეს, არავინ გავუშვათ, – ბოხი ხმით გვიხსნის პოლიციელი და აზრადაც არ მოსდის, ერთი სიტყვით მაინც თქვას: „ვწუხვარ“. ირგვლივ მიმოვიხედე და ავტომანქანებსა და რადიოაპარატებზე ძალაუფლების მოყვარული პოლიციის ოფიცრის კეთილგანწყობის მოსაპოვებელი რამენაირი ნიშნის ძებნა დავიწყე, თუმცა ამაოდ. ვერაფერს ვხედავდი ფარდულის, ჩაიდნისა და მისი ორი კოლეგის გარდა, რომლებიც ზამთრის სუსხს ცხელი ჩაის ხვრეპით ებრძვიან.

ანა ტაქტიკას ცვლის და უფრო მომთხოვნი ტონით იწყებს საუბარს, მაგრამ არც ეს ჭრის. უშედეგო მცდელობაში ერთი საათი გადის. დროს აქ არავინ ზომავს, ხალხის ბედი აქ არავის ადარდებს. ანა ცდილობს, მობინის დახმარებით პოლიციის ოფიცერს ქრთამი შესთავაზოს საზღვარზე გადაყვანის სანაცვლოდ, მაგრამ ოფიცერი ღიზიანდება და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. მანქანის უკანა სავარძლიდან თოვლში მდგარი მამაკაცების გამომეტყველებას ვაკვირდები. მოუსვენრობის შეგრძნება, თითქოს სადღაც მუცელში რომ ბობოქრობდა, ერთიანად ჩაწყნარდა

[38] (ფრანგ.) რა საჭიროა გამარტივება, როცა შეგიძლია ყველაფერი რთულად აკეთო!

და ფიქრი იმაზე დავიწყე, რომ ყველაფერი ადრე თუ გვიან მოგვარდებოდა. ასე დანაღმულ ველზე სეირნობა და უფეხოდ და უხელოდ დარჩენა მაინც არ მომიხდებოდა.

კიდევ დაახლოებით ნახევარმა საათმა განვლო, სანამ ანა მთებში ხეტიალის აკვიატებულ სურვილზე ხელს აიღებდა. ამის ნაცვლად იანგალაკის მახლობლად ერთ მომცრო ბორცვზე მდებარე მასუდის საფლავისაკენ, უშველებელი მინდვრის გადაღმა, მიმავალ ტალახიან ბილიკს დავადექით. ბილიკზე თავს გაცილებით უსაფრთხოდ ვგრძნობ და ერთი ნაბიჯითაც კი არ ვშორდები მას.

სოფლიდან სოფელში გადავდივართ, თუმცა მათი ერთმანეთისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ყველგან ერთმანეთის მსგავსი თიხის სახლები დგას. მათ ირგვლივ კი ფაფუკკუდიანი ცხვრების ფარა გვხვდება. მეცხვარე ამაყად მიუძღვება თავის ქარავანს, კრიალოსნის მძივებივით ჩამომწკრივებული ცხვრები კი მორჩილად მისდევენ. თვალს ვერ ვწყვეტ ამ სანახაობას, რომელიც თითქოს უხსოვარი დროიდან ან თუნდაც 1383 წლიდან (სპარსული კალენდრის მიხედვით, ახლა სწორედ 1383 წელია) უცვლელად შემოუნახავთ. სოფლის შარაზე ბავშვები ხროვებად გამოფენილან. ბიჭებს გრძელი პერანგები აცვიათ, გოგონებს კი თავსაფრები წამოუფარებიათ და აღდგომის ალქაჯებს ჰგვანან[39]. ბიჭები ხელნაკეთ სამბორბლიან სკეიტბორდებზე სრიალებენ და ერთმანეთის ჩამოგდებას ცდილობენ. სკეიტბორდების ბორბლები რომელიღაც საბრძოლო მანქანის ბურთულა-საკისრებისგან არის დამზადებული. რამდენიმე მათგანი ომობანას თამაშობს და ერთმანეთს პატარა ქვებს უშე-

[39] påskkärring – შვედური ტრადიციის მიხედვით, ჭრელ თავსაფარსა და ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი-ბავშვი, რომელიც აღდგომის დღეს მეზობლებთან მიდის სტუმრად და მცირე ნახატი საჩუქრების სანაცვლოდ ითხოვს ტკბილეულსა და ხურდა ფულს.

ნს. ვუყურებ ამ ბავშვებს და ვფიქრობ, რომ წესრიგი და ორგანიზებულობა, რომელიც ჩემს სამშობლოში ჩვეულებრივი რამაა ამ რეალობისგან ძალიან შორს არის.

გზაში მობინი წამომეწია და მთელი გზა მასუდზე მესაუბრებოდა. დაღლილობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ისიც კი მითხრა, რომ ჩემთვის მასუდის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ყიდვა სურდა, რომ მერე ერთად გვენახა და დარწმუნებულიყო, რომ არაფერი გამომრჩა. მზად იყო, მთელი ფილმი სიტყვასიტყვით ეთარგმნა ჩემთვის. მისთვის მასუდი ავღანეთში შემორჩენილი კეთილშობილების, სიწმინდისა და პრინციპულობის განსახიერებაა.

მასუდის მავზოლეუმი შემაღლებულ ადგილას, თვალწარმტაცი პეიზაჟის ფონზე დგას და მთის ძირას გადაშლილ მინდორს გადაჰყურებს. დროშაგადაფარებულ საფლავს ყურანიდან ამოღებული ციტატა და ნაირფერი ხალიჩები ამშვენებს. მწვანე გუმბათს ფერი შემოსძარცვია, მიწაზე დაგებული ფილები კი ჩემი ყელიანი ფეხსაცმლის ყოველ გატოკებაზე ხმაურობს.

– ერთ დღესაც აქაურობა ტურისტებით გაივსება, – ამბობს მობინი და ჰორიზონტზე გაწოლილი მთების ყინულოვან წვერებს უკრავს თავს. ჩემთვის ეს ყველაფერი თავის მოტყუებას უფრო ჰგავს. უკეთეს ცხოვრებასა და ნათელ მომავალზე ოცნება ხომ ყველაზე იაფი სიამოვნებაა და ჩვენც თავით ვეშვებით მასში.

შორიდან ლოცვის ხმამ მოაღწია ჩვენამდე. The soundtrack of their lives[40]. გულის სიღრმიდან მომავალი სევდიანი ხმა მთებს შორის ექოდ გაისმა. მავზოლეუმს ვათვალიერებთ და სტუმრების წიგნში ჩანაწერს

[40] მათი ცხოვრების მთავარი მელოდია.

ვტოვებთ. შემდეგ თან წამოღებული სადილით ვნაყრდებით და დაღმართზე მიმავალნი, სიგარეტს ვეწევით. სიგარეტის კოლოფზე დატანილი წარწერა Smoking kills slowly[41] მახსენდება. დღეს მართლაც რომ არსად მეჩქარება.

[41] მოწევა კლავს ნელა.

კონფერენცია კარგი ადამიანებისათვის

2005 წლის მარტი

მე, როგორც „ველზე“ მუშაობის გამოცდილების მქონე პირი, ჰააგაში ადამიანის უფლებათა დამცველების კონფერენციაზე მიმიწვიეს. ჩემი დარწმუნება რთული არ ყოფილა.

პირიქით, ძალიან მესიამოვნა, რომ სტოკჰოლმში ვიღაცამ ჩემი ანგარიშები წაიკითხა და ჩემი არსებობაც გაახსენდა. ჰააგაში გამგზავრება იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნიდან რამდენიმე დღით გასვლის საშუალება მომეცემოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, გამიხარდა – იქიდან ხომ რამდენიმე დღით სტოკჰოლმშიც მოვასწრებდი შერბენას. ჩემი მდგმური სხვაგან გადავიდა და გადავწყვიტე, არასდროს გამექირავებინა ჩემი ბინა. აღარასდროს! ეს ბინა ჩემს თავშესაფრად გადაიქცა, რომლის კარშიც ყოველთვის შევძლებდი გასაღების მორგებას და რომლის მისამართსაც თამამად დავუტოვებდი ჩემს ახლად შეძენილ მეგობრებს.

კონფერენციის მთავარი თემა იყო European Union Guidelines on a

Human Rights Defenders[42]. ორი დღის განმავლობაში გულითადად საუბრობდნენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი იმათი ბედით ინტერესდება, ვინც ადამიანთა უფლებებისათვის იბრძვის. ეს ყველაფერი ერთგვარ ზანტ მთქნარებას ჰგავს; თანამოაზრეთა წრეში ჯდომა და დისკუსიები კი – იხვი დონალდის საშობაო ტელეგადაცემას[43]. კონფერენციის თითოეული მონაწილე თანხმდება, რომ ადამიანთა უფლებები კარგი რამ არის.

– მნიშვნელოვანია! – აღვნიშნავთ ჩვენც და ყავის მორიგი დოზით ფინჯნების შესავსებად მივეშურებით.

თითოეული დამსწრე მიიჩნევს, რომ ყველა, ვინც ამ უფლებათა დასაცავად იბრძვის, კეთილშობილი და გამბედავი ადამიანია.

– გადასარევია! – აღვნიშნავთ ჩვენ და ლანგარზე ჩალაგებულ მადისაღმძვრელ ორცხობილებს შევექცევით.

უზბეკეთის მთავრობის წარმომადგენელი და ეგვიპტელი გამომძიებლები ალბათ მაინც გამართავენ დებატებს, მაგრამ სწორედ ამ დროს ჯონ ბლუნდთან და „შიშველ მეფესთან“ გაცხარებულ კამათში ჩავები და ისეთი წარმოდგენა დამრჩა, რომ ყოველივე ამისთვის შეუფერებელი ადამიანი ვიყავი და იქ არ მოვხვდი, სადაც ჩემი ადგილი იყო. – კარგი, მაგრამ რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? – შევჩივლე კონფერენციის კიდევ რამდენიმე მონაწილეს შესვენების დროს, – როდესაც საქმე საქმეზე მიდგება და რომელიმე ადგილობრივი აქტივისტის მიმართ ჩვენი მხარდაჭერისათვის პოლიტიკური ფასის გადახდა გვიწევს, როგორც წესი, ვმხდალობთ და უკან ვიხევთ, – განვაგრძე და დავინახე, რომ ჩემმა კოლეგებმა უხერხულად გადახედეს ერთმანეთს და ისევ თავის ყავის ფინჯნებს მიუბრუნდნენ.

---

[42] ევროკავშირის ინსტრუქცია ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის.

[43] „იხვი დონალდი გისურვებთ ბედნიერ შობას“ – დისნეის საშობაო ტელეგადაცემა, რომელიც ძალიან პოპულარულია შვედეთში და ყოველ შობას უჩვენებენ.

– ძლიერი დარტყმა ჰაერში, – ვაგრძელებ მე და ხელში სქელ ფურცლებზე დაბეჭდილი ინსტრუქციების თხელ ბროშურას ვაფრიალებ, რომლის დაბეჭდვაცა და აკინძვაც ვიღაცას ალბათ არცთუ ისე იაფი დაუჯდა.

– აქ ხომ ახალი არაფერი წერია, გარდა იმისა, რასაც ჩვენ უკვე ვაკეთებთ – მაშინ, როცა ჩვენ გვაწყობს ეს, – ვჯუჯღუნებ მე, თუმცა ყურს არავინ მიგდებს. ნელ-ნელა ყველა გამშორდა და სულ მარტო დავრჩი. ნამცხვრის ნამცეცები პიჯაკის საყელოდან ჩამოვიბერტყე და ისევ ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ისევ რაღაცას ვეძებ.

გაზვიადებისა და განზოგადებისკენ სწრაფვის ძლიერმა სიყვარულმა ცხოვრების დადებითი მხარეების უკეთ დანახვა მასწავლა. რატომ ვერ ვხვდები, რომ ურთიერთობათა ამგვარ თამაშს, რომელიც ამ ფურცლების დასტის წინ წამოწევას ემსახურება, შესაძლოა მოჰყვეს კიდეც დადებითი ძვრები მსოფლიო მასშტაბით? რატომ ვერ ვხვდები ამას მაშინ, როცა ჩემ ირგვლივ ყველას კარგად ესმის ეს? ძვრებს ალბათ დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ მაინც! ინსტრუქციების ქონაში ცუდი არაფერია. პირიქით, კარგი ბერკეტია სწორედ მაშინ, როდესაც რომელიმე წევრი ქვეყანა გარკვეული მოსაზრებების გამო უკან დახევას გადაწყვეტს. კრიტიკით დაწყებული მონოლოგის გამო სინდისი მქენჯნის, თითქოს შიგნიდან გამოღრღნას მიპირებს. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, ჩემი გულგრილი დამოკიდებულება უკეთ დამემალა და მადლიერება გამომეხატა იმისათვის, რომ კონფერენციაზე მიმიწვიეს; ალბათ უმჯობესი იქნებოდა ჩემი შვედი კოლეგის, კრისტოფერის, მსგავსად მეც აქტიურად ჩავბმულიყავი დებატებში. გატკიცინებული კოსტიუმი და ტანზე მომდგარი პერანგი კრისტოფერს განსაკუთრებულ წონას სძენდა; მასზე სულ ადვილად იტყოდით, რომ ძალზე მნიშვნელოვანი პერსონაა, რომელიც თავისი ფურცლებით აქეთ-იქით დარბის და თავისი სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ პრეზენტაციას ამზადებს. პატარა ადამიანებისათვის

დამახასიათებელმა არასრულფასოვნების კომპლექსმა მომიცვა. თუმცა ენთუზიაზმი ვერც ამან გამიმძაფრა. ერთადერთი, რასაც განვიცდიდი, დანაშაულის გრძნობა იყო. კაცმა რომ თქვას, რა მესაქმება აქ საერთოდ? აქ ყოფნას ისევ ქაბულში დარჩენა და რამე სასარგებლოს გაკეთება მირჩევნია.

შემდეგ სესიას გაჭირვებით გავუძელი, ბოლო ნაწილიდან გამოვიპარე და თავი ჰააგის ქუჩებს შევაფარე. უმისამართოდ დავეხეტებოდი და ზამთრის სუსხიანი ჰაერის ყოველი ჩასუნთქვა სიამოვნებას მგვრიდა. ცოტა ხანში ქალაქის ერთ-ერთი კაფის ვიტრინასთან აღმოვჩნდი. ყავის ფინჯანში ყავა ცივდებოდა, მე კი ფანჯრიდან თბილ ფეხსაცმელებში გამოწყობილ ადამიანებს ვაკვირდებოდი, ზამთრის სიცივეში ლოყები რომ შესჭარხლოდათ, თან ვცდილობდი, საკუთარ თავთან ზავი დამედო. თავს ვირწმუნებდი, რომ სულაც არ იყო რთული რაღაცის შეცვლა. ამქვეყნად ხომ უამრავი როლი არსებობს – მსახიობების, მოწმეების, დამკვირვებლების, შუამავლების, წინამორბედების, მაცნეების, მედიატორების, პროპაგანდისტების... რამდენიც გნებავთ. ჩემი პრობლემა კი ის არის, რომ მე საკონფერენციო დიპლომატიაში მოვიკოჭლებ, მაგრამ თავს პირობას ვაძლევ, რომ მუდმივად მემახსოვრება ეს და შევეცდები ვისწავლო, გონებაში ჩავიბეჭდო და მომავალში თავი ავარიდო ასეთ სიტუაციებს.

მეორე დღეს სტოკჰოლმში გავფრინდი. არლანდაში[44] მიმოვიხედე და კონფერენციიდან წამოღებული ინსტრუქციების კრებული სანაგვე ურნაში მოვისროლე. სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა და ღიმილი ვერ შევიკავე.

ქალაქის ცენტრამდე ავტობუსს მივყვები. ავტობუსის ფანჯრებიდან

[44] სტოკჰოლმის აეროპორტი.

მარტის ნაცრისფერ ნისლში E4-ის[45] კიდეებზე დატანილ რეფლექსის საღებავებსა და ზედმიწევნით სწორ ასფალტს ვხედავ. სატრანსპორტო მოძრაობა მოწესრიგებულია, სავაჭრო ცენტრებისა და უზარმაზარი საავტომობილო სალონების სარეკლამო აბრები ისე თვალისმომჭრელად ანათებს, რომ მთელ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელსა და სითბოს ვგრძნობ.

[45] საავტომობილო ტრასა.

ქვეყანა, რომელსაც დედობრივი მზრუნველობა შეუძლია

2005 წლის მარტი▌აპრილი

სტოკჰოლმი. სახლში ვარ, მაგრამ თითქოს მხოლოდ იმისთვის დავ-ბრუნდი, რომ ჩემი ნივთები დავიბრუნო. ვგრძნობ, როგორ მომნატრებია შინ ყოფნა, თუმცა იმის გარკვევა კი მიჭირს, ჩემი სახლი ისევ აქ არის თუ არა. სახლის ზღურბლს ვაბიჯებ და ვგრძნობ, რამხელა შვებაა იმის გა-ფიქრება, რომ ზღურბლს იქით დანაღმული ველი არ მელოდება, რომ ვესტერბოთენულ[46] ყველს შევჭამ და კუჭი არ ამეშლება, რომ შევძლებ ზუსტად ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ, რომ არც ერთი სიტყვა არ იქნება ჩემთვის გაუგებარი, რომ ყველაფერს გონების დაძაბვისა და ზედმეტი ფიქრის გარეშე გავიგებ. ქაბულში გატარებულმა თვეებმა კიდევ უფრო შემაყვარა სტოკჰოლმი, რომელსაც ყოველ ჩამოსვლაზე ახლებურად ვხედავ.

[46] მხარე შვედეთში.

მეტროთი მგზავრობისას მოჯადოებულივით შევცქერი მინი ქვედა-ბოლოებსა და ვიწრო მაისურებში გამოწყობილ მოზარდებს, რომლებსაც თბილი ქურთუკებიდან შიშველი მუცლები მოუჩანთ. ისინი უსაქმურად დაეხეტებიან აქეთ-იქეთ, უაზროდ ბევრ შეტყობინებას აგზავნიან მობილური ტელეფონით და ყოველ წუთს ტუჩის საცხს იმატებენ. ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ჩემს აქ არყოფნაში SL-მა[47] ნუდისტური ვაგონების გამოშვება დაიწყო. ნუთუ შეიძლება ქუჩაში ასე გასვლა? ნუთუ ადრეც ასე ეცვათ შვედ მოზარდებს? როგორც ჩანს, ჩემი წარმოდგენების ჩარჩო სხვა მხარეს გადაიხარა, დაიბრიცა და მხოლოდ განცვიფრების გამოხატვაღა შემიძლია.

ჩემი ნივთების წამოსაღებად წავედი. მარტინმა არ მოისურვა ან უბრალოდ ვერ შეძლო ამ ყველაფრის ყურება და წავიდა. მარტო დავრჩი მის ბინაში. ჩემი ნივთების ჩანთებში ჩალაგება დავიწყე. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა: მთავარია, გრძნობებს არ ავყვე! მთავარია, გრძნობებს არ ავყვე! მთავარია, გრძნობებს არ ავყვე!..

ჩანთები და მუყაოს ყუთები იმ ნივთებით გავავსე, ოდესღაც ჩემი რომ იყო, მაგრამ თვეების განმავლობაში არ გამხსენებია. შემდეგ კარლბერგსვეგენზე მდებარე ჩემს ბინას მივაშურე, ბარგი ბინის შესასვლელში ჩამოვამწკრივე და საწოლში ჩავწექი, რომ ემოციებისათვის ჩახშული გზა გამეხსნა. თვალები დავხუჭე, მაგრამ ცრემლები, იმის ნაცვლად, რომ გუგებს მიღმა გაჩენილი ხანძარი ჩაექროთ, ლოყებზე გადმოიღვარნენ და კიდევ უფრო გამიმძაფრეს განცდები. სულ მარტო დავრჩი სულში გაჩენილი უზარმაზარი ბზარის ამარა, რომელშიც თვითმფრინავიც კი თავისუფლად გაეტეოდა.

---

[47] სტოკჰოლმის სატრანსპორტო კომპანია.

მეორე დღეს საკუთარი თავის მიმართ თანაგრძნობა სადღაც გაქრა და სტოკჰოლმში ყოფნის თითოეული წუთი ახლებურად დავაფასე. მინდოდა ყველაფერი მომესწრო, რაც ასე ძალიან მენატრებოდა სამყაროს მეორე ბოლოში ყოფნისას. ქალაქის ქუჩებში დედოფალივით ამაყად დავდივარ და ვცდილობ, შინ დაბრუნების სიხარული გავიათკეცო.

კარლბერგსვეგენზე მდებარე კაფე „ქრიმში“ კამილას ვხვდები. მე და კამილამ უნივერსიტეტი ერთად დავამთავრეთ და საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ერთად მოვხვდით, თუმცა მე მთელი ეს დრო სამსახურებრივი მისიებით მსოფლიოს გარშემო ხეტიალში გავატარე, ის კი სტოკჰოლმში დარჩა და მხოლოდ რამდენიმე წელი იცხოვრა ბრიუსელში. გაყინულ ფეხებზე პლედი შემოვიხვიე და ლატეთი სავსე ნახევარლიტრიან ფინჯანს ჩავეხუტე. მაგიდაზე დიდი ბურთისხელა მაფინები ეწყო.

– როგორია ავღანეთში? – მეკითხება კამილა.

– ცივა. ისე ცივა, რომ ყინვა სხეულს გიქვავებს, – ვეუბნები მე.

შემეძლო კამილასთან საათობით მესაუბრა ავღანეთზე, განადგურების პირას მისულ ქვეყანაში ცხოვრებაზე და იმ ადამიანებზე, თითქმის ყოველდღე რომ ვხვდები იქ. შემეძლო იმაზეც მესაუბრა, რომ არსად ისე მძაფრად არ შეიგრძნობ სიცოცხლეს, ვიდრე იქ, სადაც სიკვდილი ასე ახლოა; სადაც სიკვდილის ცელი თავად შენ თუ არ მოგხვდება, შენ ირგვლივ ვინმეს მაინც გამოსჭრის ყელს. ამ ქვეყანაში ხომ ისეთი არაფერი არსებობს, რაც იქ არსებულ სიტუაციას რამენაირად მაინც მიუახლოვდება. ამიტომ აქაც ზოგადი ფორმულირებით შემოვიფარგლე და ჩემი კითხვების ჯერიც დადგა.

– შენ როგორ ხარ? გადასარევად გამოიყურები! ბინის გაყიდვის საქმე როგორ მიდის?

ჩემს თვალში კამილა დახვეწილი ნორმალურობის ეტალონია. წარმოსადეგ, თავაზიან, უნაკლო მამაკაცთან ერთად ცხოვრობს. თავადაც

მუდამ უნაკლოდ გამოიყურება. ტანსაცმლის ფერებს ერთმანეთს უხამებს და სახლის ინტერიერის იმგვარი შეგრძნება აქვს, რომ ნებისმიერს დაამუნჯებს.

– ამ შაბათ-კვირას მე და ფრედრიკი ლიდინგოზე[48] ვიყავით და სახლები დავათვალიერეთ.

– მერე?

– რა ვიცი, აბა! იმედი მაქვს, რომ ესეც მალე მოგვარდება. უკვე ძალიან დავიღალე მის ბინაში ცხოვრებით. ჩემი ნივთები მენატრება.

ჰო, აქ განვითარებული ქვეყნების ბოლო დროის ერთერთ ყველაზე დიდ პრობლემას შევეჯახეთ. შემდეგ საუბარი კამილასა და ფრედრიკის მომავალ შვებულებასა და მათ სამომავლო გეგმებზე გავაგრძელეთ. იმდენი გეგმა ჰქონდათ, რომ წარმოდგენისთანავე თავბრუ დამესხა. რატომ? ნუთუ მშურს მისი ურთიერთობის? რომ გვერდით ის მამაკაცი ჰყავს, რომელსაც ენდობა? რომ ვიღაც ჰყავს გვერდით, ვისაც ენდობა? რომ მარტო არ არის? არც კი ვიცი. არც ის ვიცი, ამაზე ფიქრისთვის მზად ვარ თუ არა. ამ კითხვაზე პასუხი რომ დადებითი აღმოჩნდეს, მაშინ რა ვქნა? ამ აღმოჩენას, ამ გრძნობას რა ვუყო? ალბათ სხვებივით რომელიმე გაზეთში პაემნების სვეტში შემდეგ განცხადებას განვათავსებ:

კარიერისტი ქალბატონი გეძებს შენ – ულტრასოციალურ, განათლებულ, ხალას მამაკაცს, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ამბიციები და არც მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა ხიბლავს. დიდი პლუსი იქნება, თუ ლოჯისტიკაში, კერძების მომზადებასა და ადმინისტრაციულ საქმეებში ერკვევი და, რაც მთავარია, შეგიძლია გარკვეული დროით გაძლო ელექტროენერგიის გარეშე. ქონებრივ მდგომარეობას და გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს.

[48] Lidingö – ერთ-ერთი პრესტიჟული კუნძული სტოკჰოლმის არქიპელაგში.

კიდევ რამდენიმე საათს დაუღალავად ვსაუბრობთ დიზაინზე, შოპინგსა და ინტერნეტით შეკვეთილ საბავშვო ეტლებზე, რომლებიც, რატომღაც, სულ სხვა ფერის აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე შეუკვეთე. სხვა რამეზე საუბარი არც მსურს. სიამოვნებას მანიჭებს ჰაერში ფარფატი და მხოლოდ მოდაზე, დიზაინსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ჭორებზე ლაპარაკი. მომწონს ასე ყოფნა – თბილ კაფეში ჯდომა და თბილ მაფინებზე ფიქრი. მომწონს, რომ აქ სხვანაირი ვარ. მომწონს ასეთი დიანა.

რამდენიმე საათის შემდეგ ანტიკვარიატის მაღაზიაში აღმოვჩნდით 60-იანი წლების ლარნაკის წინ, რომელიც 1400 კრონა ღირდა.

– რამდენი ხანია, ასეთ ლარნაკს ვეძებ, – აღმოხდა კამილას.

აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვარ.

– ეს ხომ სტიგ ლინდბერგია!

წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლება იყოს ეს სტიგ ლინდბერგი.

– მოგწონს?

ათას ოთხასი კრონა. რამდენი ავღანელის ყოველთვიურ ხელფასს დაფარავდა ნეტა ათას ოთხასი კრონა? ვიცი, ვიცი. სისულელეა ახლა ამაზე ფიქრი და უადგილოც.

სტოკჰოლმში ამ ვიზიტიდან კიდევ ის დამამახსოვრდა, რომ ჩემი ბინის საპირფარეშოში ერთ მილს წყალი გასდიოდა. წყალგაყვანილობის ხელოსანი გამოვიძახე და ცოტა ხანში თეთრ სადურგლო შარვალში გამოწყობილი ქერა გოგონა მომადგა სამუშაო იარაღებით ხელში. ჩემს ვიწრო საპირფარეშოში მჟონავ მილთან რომ ჩაიმუხლა, გოგონას შარვალსა და მაისურს შორის გაჩენილ ღარზე, სწორედ იქ, მაქმანიანი სტრინგი[49] რომ ასო T-ს ფორმას იღებს, სვირინგი გამოუჩნდა.

[49] ერთგვარი ტრუსი.

– ესეც ასე! მზად არის! – გამომიცხადა გოგონამ თხუთმეტი წუთის შემდეგ და კარი გაიკეტა. მე კი, ჩემივე ბინის მისაღებში ვიდექი გაოცებისგან დამუნჯებული.

დღეებმა სწრაფად გაირბინეს და უკან დაბრუნების დროც დადგა. წინ კიდევ ერთი მშვიდი დღე-ღამე მელოდა. არსად ვარ წასასვლელი. არც ტელეფონი რეკავს. ფიქრშიც არავინ მიშლის ხელს. საჭმლის მომზადებაზეც არ ვფიქრობ. ჯინსის ლამაზი შარვალი, თბილი სვიტერი, კოლგოტი, დიდი თავშალი, კომპიუტერი და წიგნების, გაზეთებისა და ფურცლების მთელი გროვა მიწევს კომპანიას. გაზეთებში მხოლოდ იმაზე წერენ, „როგორ უნდა მოვუაროთ პრობლემურ ფრჩხილებს“, „როგორ ჩავიცვათ, რომ ბარში ყველაზე მომხიბლავად გამოვიყურებოდეთ“. ყურსაცობები, კანფეტები და აიპოდი. თბილად მოკალათებულს მუხლებში Vanity Fair-ის ერთ-ერთი ნომერი მიდევს და ფანჯრიდან სტოკჰოლმს გადავყურებ, რომელიც თითქოს თანდათან ქრება.

შვედეთის საკმარისი დოზა უკვე მივიღე და მეტი აღარ მინდა. სტოკჰოლმში არის რაღაც, რაც მუდამ მაფორიაქებს შეუსაბამობა, შიში იმისა, რომ აქაურობას ვეღარ შევეგუები, სწორედ ამიტომ უკან გამგზავრება ერთდროულად კარგიც არის და სევდიანიც. ნუთუ მეც მელანქოლიური ადამიანების იმ სიას მივეკუთვნები, რომლებისთვისაც არსად არ არის ნამდვილი სახლი. იქნებ, პირიქით – იმ ბედნიერ ადამიანებს, რომლებიც ყველგან კარგად გრძნობენ თავს?! დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ უფრო მეორე ჯგუფში შევდივარ და ვხვდები, რომ უცხოდ დარჩენა ქაბულში უფრო ადვილია, ვიდრე სტოკჰოლმში, სადაც, წესით, თავს სულაც არ უნდა ვგრძნობდე უცხოდ.

თვითმფრინავში გამცილებლები ამოუცნობი საკვებით სავსე ლანგრებს გვირიგებენ.

– ესე იგი, ლონდონში მიდიხართ? – მეკითხება თვითმფრინავის თანამგზავრი, რომელიც გაყიდვების აგენტს ჰგავს.

– არა, ქაბულში, – ვპასუხობ მე და ვაცნობიერებ თუ არა, რომ მივქარე, იმწამსვე ტუჩს ვიკვნეტ. მე ხომ სიმშვიდეში ყოფნა მინდოდა, ამ პასუხით კი ჩემს თანამგზავრს ჰითროუში დაშვებამდე ამერიკის მიერ ავღანეთში ტერორიზმისა და ქალების ჩაგვრის წინააღმდეგ წამოწყებულ ოპერაციებზე დისკუსიის გაბმის შანსი ვაჩუქე.

– კი, მაგრამ... ქაბულში რა უნდა აკეთოთ?

ყურადღებით ვაკვირდები ჩემს თანამგზავრს და ვცდილობ შესაძლო პასუხებიდან ამ სიტუაციისათვის შესაბამისი პასუხი ამოვირჩიო. სადღაც წამიკითხავს, რომ აბეზარ თანამგზავრებს ადვილად გაუქრობთ საუბრის სურვილის, თუკი ეტყვით, რომ საიენტოლოგების[50] „ფანდრაიზერი“[51] ხართ. დაიჯერებდა კი, რომ საიენტოლოგები ისეთ მუსლიმურ ქვეყანაშიც მოღვაწეობენ, სადაც სარწმუნოების შეცვლისთვის ადამიანებს სიკვდილით სჯიან? არა, ახლა უკვე ნამდვილად გვიანია და ესეც რომ არ იყოს, უხეირო მატყუარა ვარ.

– იქ ვმუშაობ, დიპლომატი ვარ, – ამოვიოხრე მე. ჩემი თანამგზავრი შეცბა და უკან გაიწია ისე, თითქოს სხეულში კათეტერი შევუყვანე.

– თქვენ?

მის თვალებში ამ ხუთ ასოში ჩაქსოვილი მთელი ეჭვი გამოიხატა.

– დიახ, მე.

– გასაგებია... იმის თქმა მინდოდა, რომ... თუმცა, რატომაც არა?! – ჩემმა თანამგზავრმა თავის გამართლება და გაცინება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა – შუბლი შეიჭმუხნა და დადუმდა. ალბათ მიხვდა, რომ ამით თავის თავს უფრო დიდი პრობლემა შეუქმნა, ვიდრე მე. მიყურებდა და

---

[50] ჯ. რ. ჰაბარდის მიერ დაარსებული სექტა.

[51] (ინგლ.) ფულის შემგროვებელი, ფიზიკური პირების, ორგანიზაციებისა და მთავრობებისაგან საქველმოქმედო მიზნებისათვის დაფინანსების მომპოვებელი პირი.

ყურადღებით მათვალიერებდა.

– რა რატომაც არა? – კითხვაზე კითხვით ვუპასუხე მე. მთელ მსოფლიოში გავრცელებული წარმოდგენით, დიპლომატები საოცარ ფუფუნებაში ცხოვრობენ. მე კი ჩემი ნახევრად ატეხილი ფრჩხილის ლაქითა და ტურისტული კლასის ბილეთით არაფრით ვჯდებოდი ამ წარმოდგენაში. ალბათ საიენტოლოგიაზე უფრო ადვილად წამოეგებოდა. – რატომ მეკითხებით? არც არაფერი, ისე, უბრალოდ ვიფიქრე... – ისევ თავის მართლება სცადა ჩემმა თანამგზავრმა, მაგრამ მალევე დადუმდა. ალბათ ვერც ვერასდროს გავიგებ, სინამდვილეში რის თქმა სურდა.

დიპლომატის ფუფუნებით სავსე ცხოვრებაზე შექმნილი ამბავი დიდი სიფრთხილით შექმნილ მითს წააგავს. ცისფერსისხლიანი, გათამამებული ბურჟუები. ასეთები კი უმეტესად გამორჩეული გარეგნობის ჭაღარა მამაკაცები არიან, რომლებსაც ორბორტიანი პიჯაკები აცვიათ, ერთმანეთს ძმებივით ესაუბრებიან და ხიზილალასა და შამპანურს არ იკლებენ. მეც მათ შორის ვიგულისხმები დაუვარცხნელი თმითა და ჩემ წინ მდგარი კონცენტრატებით გაჯერებული წვენის ნახევრად სავსე ჭიქით. ცისფერსისხლიანის არაფერი მცხია. არც გათამამებული ვარ იმით, რომ შვედეთში დავიბადე.

სულ ერთი წამით ჩამოწოლილი სიჩუმე, რომელიც თითქოს დიდხანს გაგრძელდა, თვითმფრინავის ხმაურმა შეავსო. ჩვენ კი თითქოს მთელი ყურადღება თვითმფრინავის პლასტმასის დანით ფუნთუშის შუაზე გაჭრაზე გადავიტანეთ.

– თქვენ ხშირად დადიხართ ლონდონში? მშვენიერი ქალაქია, – სიჩუმის დარღვევა ვცადე და გარნირად მსოფლიოში ყველაზე მეგობრული ჩემი ღიმილიც დავაყოლე.

ალბათ ღირსი იყო ჩემი კითხვებით თავი მომებეზრებინა და მეიძულებინა მიმხვდარიყო თავის გონებაშეზღუდულობას, მაგრამ გადავიფიქრე. ამის თავი არ მაქვს. ვიღაცას უთქვამს: დიპლომატია იმას კი არ

ნიშნავს, რომ დაამტკიცო, ვინ არის მართალი, არამედ იმას, რომ ორივე მხარეს ასიამოვნო. სადილობისას წამოწყებულ უმნიშვნელო საუბარზე უარს არასდროს ვამბობ, თუმცა შემდეგ მირჩევნია მშვიდად ვიმგზავრო და წავიკითხო, როგორ მოვუარო ჩემს მყიფე ფრჩხილებს.

ქალის ხვედრი

2005 წლის აპრილი

– თქვენ რა აირჩიეთ? – ვეკითხები ქალებს, რომლებიც ჩემ წინ, მაგიდაზე ჩაის, შემწვარ კვერცხსა და პურს აწყობენ.

– დიზელის გენერატორი, – მპასუხობენ ისინი.

სულ რამდენიმე წამით ლაპარაკის უნარს ვკარგავ. – დიზელის გენერატორი? ყველაზე, ყველაზე ძალიან დიზელის გენერატორი გინდათ?! – კიდევ ერთხელ გავიმეორე კითხვა.

ქალები თანხმობის ნიშნად თავს მიქნევენ.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

– კაცებს რა სურთ? – ვაგრძელებ კითხვების დასმას და პურის ნაჭერს კვერცხის გულში ვალბობ.

– დიზელის გენერატორი, – მპასუხობენ ისინი და თავიანთი თბილი და ცნობისმოყვარე თვალებით მაკვირდებიან. მე და ჩემი რამდენიმე კოლეგა ვარდაკის პროვინციაში, დურანის დასახლებაში ქალთა შურაში[52]

[52] (არაბ.) საბჭო.

ქალებთან სასაუბროდ ჩავედით. ისლამური ტრადიციის მიხედვით, შურა სათათბირო სტრუქტურაა, რომლის დანიშნულებაც ავღანეთში შემოსული მილიარდიანი ჰუმანიტარული დახმარების ირგვლივ გადაწყვეტილებების მიღება და მათზე სამოქალაქო გავლენის მოხდენაა. შურას წევრებს სოფელში მცხოვრები ოჯახებიდან ირჩევენ. ყოველ სოფელში ორი შურაა, მამაკაცებისა და ქალებისა. თითოეულ სოფელს გადაეცემა გარკვეული ოდენობის ფული. შურები კი თათბირობენ, თუ რას მოახმარონ ეს დახმარება. ქალთა შურა სოფლისთვის გამოყოფილი დახმარების ათ პროცენტს იღებს, მამაკაცები კი – ოთხმოცდაათს, თუმცა ისინი მაინც დიზელის გენერატორს ირჩევენ.

– დიზელის გენერატორი?! – ვეკითხები კიდევ ერთხელ. თავიდან მათ საკერავი მანქანები და გოგონათა სკოლა აირჩიეს, თუმცა მოგვიანებით მიხვდნენ, რომ დიზელის გენერატორი უფრო საჭიროა. ამას კი რაღა თქმა უნდა, მაც შემდეგ მიხვდნენ, როცა მამაკაცებმა თქვეს ასე. – რა თქმა უნდა, დიზელის გენერატორი!

ყველა თანახმაა და დასტურის ნიშნად თავს აქნევს. – დიზელის ფულს ვინ გადაიხდის? – საიდანღაც ისმის კითხვა.

– სარემონტო ხარჯებს ვინ დაფარავს? – ისმის კიდევ ერთი უპასუხო კითხვა.

სოფელში გოგონათა სკოლა არ არსებობს. გოგონებსა და ქალებს სოფლიდან გასვლაც კი ეკრძალებათ. ტრადიციებით დაობებულ ჰაერში რადიკალური იდეების მასაზრდოებელი ჟანგბადი აღარ დარჩა. უსამართლობა აქ ღუზასავით ღრმად არის ჩაფლული ტრადიციების გაქვავებულ ფსკერზე. თითოეულ ქალს სახლიდან გასვლისას თან ერთი მაჰარამი, ანუ ოჯახის მამრობითი სქესის წევრი, უნდა ახლდეს. მაჰარამის ასაკს მნიშვნელობას არავინ ანიჭებს. ის შეიძლება ხუთი წლის ბიჭუნაც იყოს. მამაკაცების მიერ ქალების სხეულზე, ქალურობასა და ქალურ სექსუალობაზე კონტროლი ავღანური კულტურის უმთავრესი ელემენტია.

ქვეყანაში მცხოვრები სხვა ქალების მსგავსად, მათი ცხოვრებაც სამუდამო შინაპატიმრობას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებას. საპრეზიდენტო არჩევნებში მათ ხმის მიცემის უფლებაც კი არ მისცეს.

პოლიტიკაზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. ჩვენ უფრო მეტად მათი ყოველდღიურობით, უფრო კონკრეტულად კი იმით დავინტერესდით, რასაც რიგითი ავღანელი ქალის ხვედრი ჰქვია – ანუ ბავშვები, ოჯახი, სახლი. აქ არც ძიძები ჰყავთ და არც ამბულატორიაში წასვლის უფლება აქვთ. თუმცა, უფლება რომც ჰქონოდათ, ეკონომიკური სიდუხჭირე მაინც შეუშლიდათ ხელს.

– სულ მცირე ორი ჩვენგანი წელს მშობიარობას გადაჰყვება, – ამბობს ერთი მათგანი, დაახლოებით ოცდაათი წლისა.

სახეზე ემოციის ნატამალსაც ვერ ვამჩნევ. ამას ვერსად გაექცევი. ეს ხომ ის რეალობაა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ავღანეთში ქალების დაახლოებით 99 საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ქორწინდება. რაიონებსა და სოფლებში გოგონათა ქორწინების ასაკი თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე მერყეობს, ზოგ პროვინციაში კი ათი წლის გოგონების გათხოვებასაც არ ერიდებიან. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამგვარი ქორწინება პედოფილიად ითვლება, აქ კი ეს არავის აღელვებს.

ქორწინება ხშირ შემთხვევაში წინასწარ დაგეგმილია და კლანებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებასა და გამყარებას ემსახურება. თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ მოქიშპე კლანები ქალებს ერთმანეთს უცვლიან მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებისა და ვალების საკომპენსაციოდ. მაგალითისათვის, ჩადენილი მკვლელობა ადვილად მიეცემა დავიწყებას, თუკი მკვლელის ოჯახი მსხვერპლის ოჯახს ქალიშვილს გადასცემს. თუმცა ეს ჟესტი შერიგების ნაცვლად მკვლელის ოჯახის დამცირებას უფრო ემსახურება.

მსხვერპლის ოჯახისთვის გადაცემულ გოგონებს ახალ ოჯახებში მონებივით ეპყრობიან.

იატაკზე, ჩემ გარშემო წრეში ჩამომსხდარ ქალებს შორის ორი ერთი მამაკაცის ცოლია. უფროსი ცოლი უკბილოა და დანაოჭებული სახის გამო ასი წლის მოხუცს ჰგავს, უმცროსი კი ჩემზე ათი წლით უმცროსი იქნება. იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რამდენი წლის შეიძლება იყოს მათი ქმარი. – ნამდვილად არ არის სასიამოვნო, როდესაც შენი მეუღლე კიდევ ერთ ცოლს ირთავს, რომელიც შენზე მეტად მოსწონს, – ტრაგიკული სახით გვიხსნის დაახლოებით ოცი წლის გოგონა, პურის ნაჭერს ღეჭავს და უსიცოცხლო თვალებით გვიყურებს.

დრო მალე გადის და ჩვენი წასვლის დროც დგება.

მასპინძლებსა და გუბერნატორს მადლობას ვუხდით სადილზე დაპატიჟებისათვის და მივდივართ.

გზად კიდევ ერთ სოფელს ჩავუარეთ, სადაც თიხის სახლები ისე შერწყმოდა მთის ფერდობებს, რომ ძლივს გამოარჩევდით. ასე გამოიყურება ეს სოფლები, სადაც თორმეტი წლის გოგონებს ყიდიან – თავისზე ორმოცდაათი წლით უფროსს მამაკაცებზე ათხოვებენ; სწორედ ასე გამოიყურება ეს სოფლები თავიანთი ფარღალალა სახლებით, სადაც საოჯახო ომები მძვინვარებს. აქ გოგონებს ურჩევნიათ, თავი დაიწვან და ასე გადაურჩნენ აუტანელ მომავალ ცხოვრებას, მაგრამ ისინი, რომლებიც თავის დაწვასაც ვერ ბედავენ, თავიანთივე ოჯახის რისხვის ობიექტები ხდებიან. ზურგშექცეულ ქალებს კი წასასვლელი არსად აქვთ და მთელი მათი ცხოვრება პირღია უფსკრულის პირას დგომას ემსგავსება. მათხოვრობა, პროსტიტუცია ან „მარასტონში“[53] ცხოვრება. „მარასტონი“ ღატაკთა, ფსიქიკურად დაავადებულთა და ნარკომან-

[53] (არაბ.) ღატაკთა შორის ყველაზე ღატაკთა თავშესაფარი.

თა ერთგვარი ძმათა სასაფლაოა. კულტურის ძმათა სასაფლაო ცოცხლად დამარხულთათვის – აი, რა ელის მათ.

რამდენიმე წუთში პროვინციის დედაქალაქს, მაიდანშაჰს მივადექით. თუმცა სიტყვა „დედაქალაქი“ აქ ალბათ ზედმეტია. მაიდანშაჰში თიხის რამდენიმე სახლი, ბენზინის რამდენიმე საქაჩი და სამიოდე ნახევრად ჩამონგრეული ბეტონის ნაგებობა დგას, სადაც პროვინციის ადმინისტრაციას დაუდია ბინა. ამ ღვთისაგან მივიწყებულ მხარეში თვალწარმტაცი სილამაზის მთების ფონზე წამოჭიმულ შენობათა ეს ჯგუფი დეპრესიისა და სამარცხვინო სიღატაკის ყველაზე მკაფიო განსახიერებაა.

გუბერნატორის შენობაში არც წყალია, არც ელექტროენერგია, მაგრამ თავის საუკეთესო კოსტიუმში გამოწყობილ ახლად დანიშნულ გუბერნატორს, აბდულ ჯაბარ ნაეემის, ჩვენთან შეხვედრისას თვალები პატარა ბავშვივით უბრწყინავს. კოსტიუმთან შედარებით, ჭყეტელა ფერის პლასტმასის ყვავილებით მორთული მისი სამუშაო ოთახი გაცილებით უბრალო ჩანს.

– კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება! ძალიან მიხარია, რომ აქ ხართ! იმდენ რამეზე მინდა გესაუბროთ! – სხაპასხუპით ამბობს ჩვენი მასპინძელი, ფუმფულა სავარძელში ეშვება და ფეხს ფეხზე იდებს.

– ეს ხალხის საჩუქარია, – პლასტმასის საძაგელ ყვავილებზე მიგვანიშნებს და, ჩემი დაჟინებული მზერის პასუხად, თითქოს ბოდიშის მოხდით გვიხსნის.

– ვერ ჩამოვიღებ. რომ ჩამოვიღო, იფიქრებენ, რომ ხალხს პატივს არ ვცემ, – კიდევ ერთხელ გვებოდიშება.

საუბარი პროვინციაში არსებული მდგომარეობის განხილვით განვაგრძეთ. პროვინციაში არსებულ მდგომარეობაზე მოსაყოლი არც არაფერია. აქ არაფერი ხდება, თუმცა გუბერნატორი იხტიბარს არ იტეხს და

თავისი იდეებისა და მათი განხორციელების მეთოდების შესახებ გვესაუბრება. გუბერნატორს, უპირველეს ყოვლისა, სკოლების აშენება და პროვინციაში მცხოვრები ასობით მასწავლებლისთვის განათლების მიცემა სურს.

– სხვანაირად, აბა, ბავშვებმა რა უნდა ისწავლონ?! – ამბობს ის და მე ვეთანხმები.

სადილად შემწვარი ბრინჯი, უმი ბოსტნეული და ქათმის ბარკლების მთელი გროვა მოგვართვეს, თუმცა თავად ნაეემიმ თეფშის დასველებაც კი ვერ მოასწრო, რომ იძულებული გახდა კიდევ ერთ დელეგაციას დახვედროდა კარში, – მაპატიეთ, იძულებული ვარ, ცოტა ხნით დაგტოვოთ, გავიგებ, რა სურთ და ისევ დაგიბრუნდებით, – მოგვიბოდიშა ჩვენმა მასპინძელმა და კარში გაუჩინარდა.

– რაღაც იმედი მაინც არსებობს, – ვუთხარი ჩვენს თარჯიმანს, ნადიას.

ბავშვივით მიხარია, რომ ასეთი ენთუზიაზმით სავსე და შრომისმოყვარე გუბერნატორი დაგვხვდა, თუმცა ნადია ჩემს სიხარულს არ იზიარებს.

– მარტო კოსტიუმითა და ჰალსტუხით ამ ქვეყანას ვერ გადაარჩენ, – ჩაიბურტყუნა მან და საუბარიც აქ დავასრულეთ.

სადილის შემდეგ ასიოდე მეტრი კიდევ გავიარეთ და პოლიციის შტაბს მივადექით. პოლიციის უფროსი ერთი შეუვალი, უინიციატივო და გონებაშეზღუდული ადამიანი გამოდგა. ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ. ჩვენს მასპინძელს ერთობ ვიწრო და ტანზე შემოტკეცილი, უამრავი ვარსკვლავით დახუნძლულსამხრეებიანი შალის საბჭოური ფორმა ეცვა. მისი სამუშაო ოთახი ალბათ „იკეას“ 1973 წლის კატალოგის საბჭოთა ანალოგის მიხედვით იყო მოწყობილი. მის ოთახში მდგარი დალაქავებული და დაბრეცილი მაგიდა სახლში რომ წამეთრია, რეტროდიზაინის რომელიმე მაღაზიაში ალბათ რამდენიმე ათასადაც კი

გაიყიდებოდა.

– ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, პრობლემები არ გვაქვს, – მითხრა ჩვენმა მასპინძელმა, თვალი თვალში გამიყარა და საწერი მაგიდიდან რაღაც ქაღალდების გადმოღება დაიწყო, – ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ. არაფერი გვაკლია. ჩვენი ერთადერთი პრობლემა დაბალი ხელფასია. პოლიციელთა უმრავლესობა ხშირად იძულებულია სახლში პირველი საათისთვის წავიდეს. ზოგჯერ კი საერთოდ არ მოდიან სამსახურში.

– ამას გაკონტროლება სჭირდება, – ამბობს პოლიციის უფროსის მოადგილე და საათს უყურებს.

ამასობაში ოთხი საათი შესრულებულიყო.

გზა განვაგრძეთ. ჩვენი მძღოლი ნანგრევების მსგავს კონსტრუქციასთან ამუხრუჭებს, რომლის შედარებით ხელუხლებელ ნაწილში, სადაც ჭერი ჯერ კიდევ არ იყო ჩამონგრეული, პროვინციის პროკურორის, აბდულ აჰმედის ოფისი განეთავსებინათ. მასპინძელმა სავარძლებზე ჩამოსხდომა შემოგვთავაზა. გუბერნატორის მსგავსად აბდულ აჰმედიც ახალი დანიშნულია, თუმცა მისგან განსხვავებით ენთუზიაზმის ნაკლებობითა და ახალი გამოწვევების მიმართ გულგრილობით გამოირჩევა. მისი უსუსურობა მის მიერვე წარმოთქმულ თითოეულ სიტყვაში იგრძნობა. – პროკურატურა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, – გვამცნო ჩვენმა მასპინძელმა.

პროვინციის პროკურატურას გამოძიების წარმოების არანაირი საშუალება არ გააჩნია, არც დანაშაულის ადგილამდე მისასვლელი ტრანსპორტი ჰყავს და არც ტექნიკურ აღჭურვილობას ფლობს. საკანონმდებლო ტექსტებსაც თითქმის არავინ იცნობს, რადგან პროკურატურის პერსონალის მხოლოდ ორი პროცენტია განათლებამიღებული.

– იმითაც ვკმაყოფილდებით, თუ რომელიმე მათგანს სრული საშუალო განათლება მაინც აქვს, – უხალისო ღიმილით აგვიხსნა ჩვენმა მასპინძელმა, რომლის, როგორც ამ სახელმწიფო სტრუქტურის ყველაზე

კვალიფიციური მუშაკის თვიური შემოსავალი თვეში 2300 ავღანს, ანუ 320 შვედურ კრონას შეადგენს.

ამ თანხამ გაოგნებისაგან საუბრის უნარი დამაკარგვინა და რამდენიმე წუთი სრულ სიჩუმეში გავატარეთ.

– ეს თანხა იმისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ დანაშაულის ადგილზე გავიდეთ და გამოძიება ვაწარმოოთ, – ამბობს ის დასასრულს.

– ანუ, თქვენს სამსახურს არანაირი ბიუჯეტი არ გააჩნია? – ვეკითხები მე.

– არა, არანაირი, – მპასუხობს ის.

ძალიან მაინტერესებს პროკურატურის თანამშრომლები დღის განმავლობაში რით არიან დაკავებულნი, ან პროვინციაში ყველაზე გავრცელებულ დანაშაულთან მიმართებაში რა მდგომარეობაა ამჟამად.

ფიზიკური ძალადობა, მკვლელობა, ადამიანებით ვაჭრობა და ადამიანების გატაცება, წესით, ამ პროვინციისათვის ხომ უცხო ხილი არ უნდა იყოს, თუმცა, მაინც თავს ვიკავებ და არაფერს ვეკითხები. პასუხი ისედაც ცხადია.

იშვიათი ვიზიტი

2005 წლის აპრილი

მამაჩემი და ჩემი ორი უმცროსი და, ჰელგა და გერდა, ჩემს მოსანახულებლად ჩამოვიდნენ. სიხარულით ცას ვეწიე. ამგვარი ვიზიტები ხომ ძალიან იშვიათია აქ, მე კი სიგიჟემდე მინდა, ჩემიანებმა ჩემი აქაური ყოფის, ჩემი ყოველდღიურობის თუნდაც ერთი მონაკვეთი დაინახონ; ნახონ, როგორ ვუძლებ, როგორ ვცხოვრობ ჩემს პატარა და საყვარელ სახლში. მინდა მამაჩემიც დარწმუნდეს, რომ საშიში არაფერია და აქ არაფერი მემუქრება.

ჰელგა ჩამოსვლისთანავე გახდა ავად და, მაღალი სიცხისაგან გათანგული, პატარა, უსუსური თოჯინასავით დიდი და ცარიელი თვალებით იყურება. თითქმის არ ლაპარაკობს. გერდა და მამა კი ბევრს საუბრობენ. მათ გამო ქალაქი მეც ახლებურად, უცხოელის თვალით დავინახე.

– ეს რა არის? როგორი სიღარიბეა! – გერდა მანქანის ფანჯრიდან გზის პირას გაშლილ კარავზე მიგვითითებს, რომელიც ერთ დროს თეთრი იყო, ახლა კი ჭუჭყიანი ნაცრისფერი დასდებია და ქსოვილიც ნაფხრეწებად ჩამოჰკიდებია.

– ეს სკოლაა, – ვპასუხობ მე.

– ღმერთო ჩემო, ზამთარში ალბათ იყინებიან, ზაფხულში კი სიცხისგან იწვიან, – ამბობს პრაქტიკული მამა. – კი, ნამდვილად ასეა, თუმცა სულ არაფერს მაინც სჯობია.

თალიბანის დამხობის შემდეგ მილიონობით ბავშვმა მიიღო სკოლაში სიარულის უფლება, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია.

– ამ სახლებში ვინმე ცხოვრობს? – კითხულობს გერდა და ჩემთვის უკვე ჩვეულებრივ, მოცუცქნულ და დაფახფახებულ სახლზე მიუთითებს, დაბრეცილი კარი რომ ჰკიდია. – კი, როგორ არა.

„ასე ცხოვრება არცთუ ისე საშიშია, – გავიფიქრე ჩემთვის და მივხვდი, რომ თანდათან ქაბულის დამცველის როლს ვირგებდი, – იქნებ რამე უფრო პოზიტიურზე გაემახვილებინათ ყურადღება?!“

მანქანას ჩემი სახლის წინ ვაჩერებთ და გადმოვდივართ. ჩემი ჭიშკრის მცველი ნაჯიბი გვესალმება. მე ჩემს ოჯახს ვაცნობ და ისიც ჩვეული ენთუზიაზმითა და ხალისით ეგებება მათ და ელვის სისწრაფით შეაქვს ბარგი სახლში.

მამამ სახლი შემოიარა და ყველა ფარდა და გისოსი შეამოწმა.

– აქ სრულიად მარტო ცხოვრება მართლა უსაფრთხოა? – კი, ნამდვილად ასეა.

– კი, მაგრამ, დაცვა არ გჭირდება? – ისევ მეკითხება მამაჩემი და იქვე ახლოს, სკამზე ჩამომჯდარ, სპორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილ ნაჯიბს უყურებს, რომელიც სადღაც შორს იყურება.

მამაჩემის აზრით, კარის უფრო საიმედო საკეტები და დაცვის უფრო კვალიფიციური სამსახურისა და მათი შეიარაღებული თანამშრომლების მომსახურება მჭირდება რადგან ასე უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობ თავს,

ვიდრე სახლის უკანა ნაწილში ლეიბზე წამოგორებული და მძინარე დაცვის ხელში.

– დაცვას საღამოობით და ღამით ვიყენებ, ისე კი ნაჯიბი უმეტეს დროს აქ ატარებს, როცა მე შინ არ ვარ, რომ დღის განმავლობაში სახლი ცარიელი არ იყოს, – ვცდილობ, მამაჩემი დავარწმუნო, თუმცა ის მაინც თავისას ბუზღუნებს, მე კი იმის შეგრძნება მიჩნდება, რომ გამუდმებით თავს ვიცავ და არ მსიამოვნებს, როდესაც ავღანეთის, ჩემი საყვარელი ავღანეთის გაკიცხვას იწყებს.

ქაბულში თავშესაქცევი თითქმის არაფერია. ტურისტული ინდუსტრია, დიდი ხანია, ჩაკვდა, თუმცა ქალაქის გადარჩენილი ნაწილების სანახავად მაინც მივდივართ და ერთი-ორჯერ ვსადილობთ აქა-იქ შემორჩენილ რესტორნებში.

ერთ დღეს ჩემს სამსახურშიც გავიარეთ და ჩემს კოლეგებს გავესაუბრეთ. ჩიქენ-სთრითზეც ვივაჭრეთ და პაკისტანიდან ჩამოტანილ მეკობრულ DVD დისკებს გადავავლეთ თვალი. დრო ამ ქვეყნის, მთელი რეგიონისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მომავალზე საუბარში, კითხვასა და ყავის სმაში გაგვყავდა. ზოგჯერ ღვინითაც ვიმშვიდებდით თავს და ავღანეთის სადღეგრძელოს ვსვამდით.

ერთ საღამოს ჩემი სახლის მისაღებ ოთახში ვისხედით და მაქსიმალურად აწეული გაზის ლამპის სასიამოვნო და რბილ განათებაში ჩაის შევექცეოდით. მამას უკვე ეძინა. გერდამ, ჰელგამ და მე ფილმის ყურება დავასრულეთ და საღამო მისი განხილვით გავაგრძელეთ, თუმცა საუბარმა თანდათან სხვა მიმართულება მიიღო და ჩემთვის მტკივნეულ თემებსაც შევეხეთ. წესით, ალბათ არც უნდა მწყენოდა, რადგან ისინი ხომ ჩემი დები არიან. ღრმად ჩავისუნთქე და საპასუხოდ მოვემზადე.

– და მაინც, მთელი ეს თვეები რას აკეთებ აქ? თავისუფალ დროს როგორ ატარებ? – მორიდებით მეკითხება გერდა და, ჰელგასი არ იყოს, ისიც

დაძაბული ელოდება ჩემს პასუხს.

– ვვარჯიშობ, ვსეირნობ, მეგობრებს ვხვდები, ფილმებს ვუყურებთ.

ეს სრული სიმართლე არ არის, თუმცა მინდა, რომ მათ ამ ქალაქში ცხოვრება ისე დავანახო, თითქოს ის არაფრით განსხვავდება მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში ცხოვრებისაგან. სინამდვილეში კი სულ ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი დრო მქონდეს. სამსახური მთელ ჩემს დროს შთანთქავს და არც მე ვეწინააღმდეგები. კარგად ვიცი, რომ ჩემი სამუშაო ჭლექივითაა, რომელსაც მე თითქოს არ ვუშინდები. ჩემი სამსახური და თავისუფალი დრო კარგა ხანია ერთმანეთშია არეული. თანამშრომლები ჩემი მეგობრები გახდნენ. ჩემი სამუშაო მხოლოდ იმას კი აღარ განსაზღვრავს, როგორ ვშოულობ საარსებო პურს, არამედ იმასაც, თუ რომელი ქვეყნიდან ვარ წარმოშობით, რომელ ქალაქში ვცხოვრობ, ასე შორს იმ ყველაფრისგან, რაც ერთ დროს ასე ახლოს იყოს ჩემთან. ბედის მადლობელი ვარ იმისთვის, რომ აქ ჩამოსვლის საშუალება მომეცა. მიყვარს ჩემი საქმე, რომელიც ასეთ ადგილებში ჩასვლის ფუფუნებას მაძლევს. არც მინდა მთელი ცხოვრება ამ რეალობისგან ზურგშექცეულმა ვიცხოვრო. მინდა ვცადო მაინც; შევხვდე ხალხს, საკუთარი თვალით ვნახო, გავიცნო მთავარი მოქმედი პირები, მოვაგროვო ფაქტები და მათზე დაყრდნობით გავაანალიზო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი შვედეთისა და მთელი ევროპისათვის. მე მინდა მათ, გადაწყვეტილებების მიმღებთ, მივაწოდო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებისა და სხვა ქვეყნების გავლენისაგან თავისუფალი ინფორმაცია.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთის არსს შიგნიდან ჩავწვდე, რათა უკეთ გავიგო ვინ ვართ „ჩვენ, ანუ საერთაშორისო საზოგადოება“, და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ შვედეთმაც სწორი მიმართულებით იაროს. ალბათ ცოტა ამბიციურია, თუმცა ასეა და რას ვიზამთ.

– არც კი ვიცი. დრო ისე სწრაფად გადის, – ვპასუხობ მოკლედ, ვიზმორები, ვამთქნარებ და დასაწოლად ვემზადები, – წავალ დავწვები.

ხვალ შევხვდებით. ძილი ნებისა! რამდენიმე დღეში ყველაფერს მივხვდი. თავიდან მეგონა, რომ ისინი უფრო მარტივად გაიგებდნენ ყველაფერს, თუ თავად ჩამოვიდოდნენ და ნახავდნენ, როგორ ცხოვრობს აქ ხალხი – რომ ცხოვრება ჩვეული წესით მიედინება, რომ აქაც არსებობს ყოველ-დღიური რუტინები, რომ ყველაფერი კარგად მაქვს, თუმცა როდესაც მა-მაჩემის, გერდასა და ჰელგას სკეპტიკურ და თანაგრძნობით სავსე მზერას ვეჯახები, ვხვდები, რომ ვცდები. ისინი მხოლოდ იმას ხედავენ, რასაც მე თითქმის ვეღარ ვამჩნევ; რომ საცხობი სანაგვეზე დგას; რომ ყველაფერი, სულ ყველაფერი დაზიანებულია; რომ ელექტროენერგია იმდენად სუს-ტია, ერთ ოთახსაც ვერ ანათებს; რომ სურსათის პატარა მაღაზია თით-ქმის ცარიელია, ხოლო შემორჩენილი საქონელი – კარგა ხნის ვადაგასუ-ლი. თითოეულ დასუსტებულ სხეულსა და ჩამონგრეულ სახლში ისინი მხოლოდ სიღატაკეს, ჯავშანმანქანებს, ბეტონის ფილებს, გადაკეტილ ქუჩებსა და საფრთხის მანიშნებელ წარწერებს ხედავენ. ასეთ ვითარება-ში, რა თქმა უნდა, ყველას ვეცოდები.

– მინდა უფრო ბევრი რამ განახოთ ქაბულში, მაგრამ წელიწადის ამ დროს აქ ყველაფერი ნაცრისფერი და უღიმღამოა. ავღანეთი მხოლოდ ეს, მხოლოდ ჯვალოს –კარვები და ფერფლი არ არის, – ვეუბნები ჩემებს და ვცდილობ რამით მაინც მივიპყრო მათი ყურადღება, თუმცა პასუხად მხოლოდ სკეპტიკურსა და ჩუმ მზერას ვიღებ.

სწორედ ამიტომ ისლამაბადში წასვლისა და მათი უკან, ევროპაში გამგზავრების წინ სოფლის გზებზე ხეტიალის იდეა გამიჩნდა.

– ულამაზეს პეიზაჟებს ვნახავთ. მთებს, რომლის დანახვაზეც სუნ-თქვა შეგეკვრებათ!

სიჩუმე.

– შემდეგ ხაიბერის ლეგენდარულ უღელტეხილზეც გადავივლით! ყო-ველთვის მინდოდა მისი ნახვა! – არ ვჩერდები მე და ეჭვის თვალით მოშ-ტერებული მსმენელების დარწმუნებას ვცდილობ.

მას შემდეგ, რაც ერთ მცხუნვარე ზაფხულს ყირგიზეთსა და ყაზახეთ-ში ვიმოგზაურე, ხაიბერის უღელტეხილი სამუდამოდ დამამახსოვრდა. მოგზაურობისას პეტერ ჰოპკირკის „დიდი თამაში“ მედო მუხლებზე და ბრიტანელი ჯაშუშებისა და იარაღით, სიგარებითა და შამპანურით დატვირთული აქლემების ქარავნების გარდა ვეღარაფერზე ვფიქრობდი. რადიარდ კიპლინგი ამ გზას მთებს შორის ჩასობილ ხმალს უწოდებდა. ასწლეულების განმავლობაში ამ გზაზე სავაჭრო თუ სამხედრო ქარავ-ნებს გაუვლია.

– რომელი უღელტეხილი? – მეკითხება ჰელგა.

ახალგაზრდობა. რაღაც ახალს მაინც გაიგებენ.

გამგზავრების წინა დღეს უამრავ ადგილას დავრეკე და გზებზე არსე-ბული მდგომარეობა გამოვიკვლიე. მითხრეს, რომ დღისით მანქანით გამ-გზავრება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

– მე არ მომწონს ეს იდეა, – მეუბნება მამა თავისი მკაცრი ხმით, რო-მელსაც გზააბნეულ ბავშვებთან სასაუბროდ იყენებს ხოლმე.

გერდა და ჰელგა დუმან.

– საშიში არაფერია. ყველას გამოვკითხე და მითხრეს, რომ საშიში არაფერია.

მამა უკმაყოფილებას ვერ მალავს. არც გერდა და ჰელგა ჩანან აღ-ფრთოვანებულნი. თუმცა, მე მაინც არ ვნებდები. – ნუ გეშინიათ, საშიში არაფერია! გავერთობით!

არ ვიცი, რატომ არის ცნება „შვებულება“ ასე განსხვავებული ჩემ-თვის. შვებულება არასდროს ასოცირდება ჩემთვის დასვენებასა და მხო-ლოდ ახალი ადგილების მონახულებასთან. ჩემთვის ის ადგილები უფრო საინტერესოა, რომლებიც ყოველდღიურობაში დაბრუნებისას თავს გახ-სენებენ და კმაყოფილების გრძნობით გავსებენ. მე ის ადგილები უფრო მიყვარს, რომლებიც წლების შემდეგაც კარგად მახსოვს; ადგილები, რომ-

ლებიც მაიძულებს, სხვა მხრიდან შევხედო ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას. როდესაც ჩემი კოლეგები იტალიაში კომოს ტბაზე ან ესპანეთში ბარსელონის კლუბებში ატარებდნენ დროს, მე ალბანეთის სოფლებში ან აშხაბადის უკაცურ ქუჩებში დავეხეტებოდი იმის იმედით, რომ რაიმე საჭმელს მაინც ვიშოვიდი.

– საინტერესო იქნება, – ვცადე ფორმულირება შემეცვალა. – მე და შენ იქნებ წავიდეთ კიდეც, თუმცა მე არ მინდა, რომ ჰელგა და გერდაც წამოვიდნენ. უმჯობესი იქნება, თუ ისინი თვითმფრინავით ჩამოვლენ, – მკაცრად მეუბნება მამა. ოჯახის ორი წევრის მსხვერპლად გაღება შეიძლება და ოთხისა კი არა? თუ რას გულისხმობს ნეტა? ნუთუ თალიბების რისხვის მსხვერპლი მხოლოდ ჰელგა და გერდა შეიძლება გახდნენ? არ მსურს ამ მოსაზრების ლოგიკას ჩავწვდე. – საშიში არაფერია, მამა, ხომ გითხარი! თქვენთვის უმჯობესი იქნება, თუ ქვეყნის სხვა მხარესაც ნახავთ ნაცრისფერი ქაბულის გარდა, – ხმაში სასოწარკვეთილება მერევა და უფრო დაჟინებით ვცდილობ მამაჩემის გადარწმუნებას, რომ ავღანეთი არაჩვეულებრივად ლამაზი ქვეყანაა, რომელიც აუცილებლად უნდა ნახონ.

მამა თვალებში მიყურებს და ცდილობს სახის გამომეტყველება არ შეეცვალოს. მისი გადარწმუნება მაინც ვერ შევძელი, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ ატეხილი ხანგრძლივი აურზაურის შემდეგ, მაინც გავიმარჯვე და საშუალება მომეცა მამაჩემისა და ჩემი დებისათვის დამემტკიცებინა, რომ საქმე ჩემს კონტაქტებს ეხებოდა, რომ მეც წარმოვადგენდი რაღაცას. მამაჩემი მიხვდა, რომ ჩემთან ომში დამარცხდა, და გაღიზიანების გარდა სხვას ვერაფერს გამოხატავდა. ახლა ყველაფერი ჩემს ხელშია. ავტომანქანა და მძღოლი გამოვიძახე და ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის გადასაკვეთად მზადებას შევუდექით.

მოგზაურობა დილის რვა საათზე დავიწყეთ, რომ ისლამაბადში ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფეშავარში დაბნელებამდე ჩაგვეღწია. ნაჯიბმა

ჩანთები ჩამოგვაზიდვინა და კეთილი მგზავრობა გვისურვა. ჩემს დაბრუნებამდე ისევ ჩემი სახლის გალავანთან ჯდომასა და უკიდეგანო სიცარიელეში ყურებას აპირებს? ზოგჯერ მშურს კიდეც მისი, რომ ამბიციის ნატამალიც კი არ გააჩნია. მასთან შედარებით მე თავს ოთხთვალაში გამობმული ცხენივით ვგრძნობ. რისკენ მივისწრაფვი? რატომ ვესწრაფვი სწავლას, კითხვას, მოგზაურობას, საკუთარი თვალით ნახვასა და ყურით გაგონებას, რატომ ვერ ვისვენებ? რატომ ვიწყებ დღეს სისხამ დილით? რატომ ვიძინებ გვიან? რას ვიღებ შედეგად? პარაზიტებსა და ვიტამინების ნაკლებობას. ყვავილოვანი კომბოსტო გარგარის შემოსვლამდე, სულ ბოლოს კი ბროწეული. უაზროდ ბევრი საზამთრო. კონსერვები და ჩაი. თხილი და კუსკუსი. სხვა არაფერი შემიძლია. სხვა არაფერი მინდა. ასე ცხოვრება ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც.

ქაბული სულ მალე უკან მოვიტოვეთ და უსწორმასწორო გზას დავადექით, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანდა და ჩვენც შეუჩერებლად ვხტუნაობდით მანქანის სავარძლებზე. შედარებით უკეთესსაფარიან გზაზე 45 კმ/სთ-ით ვმოძრაობდით. ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ეს მგზავრობა მთელი საუკუნე გაგრძელდებოდა და არასდროს დამთავრდებოდა.

ხაიბერის უღელტეხილი ისე გადავიარეთ, ვერც კი მივხვდი. შოკირებული დავრჩი. ძველი ბრიტანული ციხისაგან მხოლოდ ნანგრევები და რამდენიმე ქვაღა შემორჩენილიყო. ხომ არ გავცდით? იქნებ ჯერ არც მივსულვართ? ჩვენი ავტომანქანა ნერვიული ცხენივით მიიკვლევდა გზას უღელტეხილის გზებზე.

თორხამის სასაზღვრო ზოლთან ქაოსი დაგვხვდა. საზღვართან მსუბუქი ავტომანქანებისა და ყვავილებით მოხატული წარმოუდგენლად დიდმისაბმელიანი სატვირთო ავტომანქანების კოლონა იცდიდა. ყველგან ხალხი ირეოდა. ზოგი მათგანი ჩვენი მანქანის კარს ეცა და გაღება სცადა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდნენ, მინებზე ცხვირმობჯენილებმა

შემოიხედეს მანქანაში. მამაჩემი თითქოს გაახალისა კიდეც ამ სპექტაკ-ლმა. ჰელგა კიდევ უფრო მოიკუნტა სავარძელში, გერდა კი შიგადაშიგ მეკითხებოდა, როგორ ვუძლებდი იქ ცხოვრებას.

პასპორტები მოვაგროვე და მანქანიდან გადავხტი. ვუძლებ ისე, რო-გორც ვუძლებ. ახლა თავის შეცოდების დრო ნამდვილად არ არის!

ჩვენი მძღოლი, რომელიც ქაბულიდან გამოგვყვა, ახალი ტაქსის მო-ძებნაში დაგვეხმარა და ერთი პირქუში და ზორბა კაცისაგან დამტვრე-ულსავარძლებიანი მიკროავტობუსი დაგვექირავებინა. ამ მანქანით ის-ლამაბადში დაბნელებამდე უნდა ჩაგვეღწია. ფასზე მოლაპარაკება რთული არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ შეთავაზებულ ფასზე პრეტენზია არავის გამოუთქვამს. ჩვენ კი იმითაც კმაყოფილები ვიყავით, რომ ახლა მანქანაში ფეხის გასაშლელად უფრო მეტი ადგილი გვექნებო-და, ვიდრე იქ ჩასვლამდე გვქონდა.

სასაზღვრო პოლიციის საგუშაგოზე ფორმიან ადამიანებთან მოლა-პარაკება ვცადე. რთული სათქმელია, ვინ ვინ იყო. ამას მათი ფორმებით ნამდვილად ვერ მიხვდებოდით, თუმცა ვინ თქვა, რომ ყველა ფორმა ერ-თნაირი უნდა იყოს?!

მესაზღვრეებმა ჩაი, თხილი და ტკბილეული შემომთავაზეს და ჩემი დის, გერდას, გათხოვებაც განიზრახეს. პასუხად მხოლოდ ჩემი თავაზია-ნი ღიმილი და მოთხოვნა მიიღეს, რაც შეიძლება სწრაფად შეესრულები-ნათ თავიანთი მოვალეობა და ჩვენს პასპორტებში ბეჭდები ჩაერტყათ, რომ საზღვრის გადაკვეთა შეგვძლებოდა.

– მანქანაში ერთი სამხედრო უნდა გყავდეთ, – მაცნობა ერთ-ერთმა.

– როგორც გენებოთ, whatever![54]

– ეს ფასიანია.

[54] (ინგლ.) სულერთია!

ვერ ვიჯერებ!

გარს უამრავი ადამიანი მეხვევა, თავგზას მიბნევს, თხილს მტენის და დახმარებას მპირდება, თუმცა, საბოლოოდ, მაინც არაფერი იცვლება.

– არც ისე რთული იყო, არა? – ვკითხე მამას და გოგონებს, როცა „ბინდის ზონა“[55] უკან ჩამოვიტოვეთ. ძალიან მოვინდომე, რომ ხმაში დაღლილობა არ შემპარვოდა.

ჩვენი ძუნძგლიანი მიკროავტობუსის მძღოლს მთელი გზა ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მის გვერდზე ჯარისკაცი იჯდა, რომელსაც თავზე ჭის სახურავივით დიდი ბერეტი ეხურა, იარაღი კი მუხლებს შორის მოექცია. ჯარისკაცი მთელი გზა წინ იყურებოდა, ერთხელაც არ მოუბრუნებია ჩვენკენ თავი. ალბათ კისერი ჰქონდა გაშეშებული და იმიტომ. დანამდვილებით არც კი ვიცი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ის პარამილიტარისტული დაჯგუფების „ხაიბერ რაიფლის“ წევრი უნდა ყოფილიყო, რომელიც ხაიბერის პროვინციაში კონტროლის შენარჩუნებას ცდილობდა. მისდამი ისეთ მადლიერებას ვგრძნობდი, რომ უარს ნამდვილად ვერ ვეტყოდი. სხვა თუ არაფერი, მისი წყალობით უპრობლემოდ გავიარეთ ყველა დაბრკოლება.

თანდათან დაბინდდა. კარგად ვხედავდი, ნელ-ნელა როგორ კარგავდნენ ჩემი ოჯახის წევრები ჩემ მიმართ რწმენას. „აქ რა გვესაქმება? თვითმფრინავით რატომ არ წამოვედით?“ – არ ილეოდა მათი კითხვები, მე კი პასუხად მხოლოდ გაღიმებას და იმის თქმას ვახერხებდი, რომ ღამის გათევას ფეშავარში მოვახერხებდით.

[55] Twillight Zone – ამერიკული ტელესერიალი.

ფეშავარში გვიან ღამით ჩავედით. ქალაქში ისე ბნელოდა, თავი აკლდამაში გეგონებოდათ. მძღოლი ქალაქს კარგად არ იცნობდა და ჩვენი დახმარება ან ჩემ მიერ მითითებული სასტუმროს მისამართის მოძებნა მოისურვა. ჩაბნელებულ ქალაქში უცხოელებით სავსე ავტობუსით ხეტიალი და უცნობი სასტუმროს ძებნა ალბათ არცთუ ისე კარგი იდეაა, ამიტომ საზღვარს იქით, მთავარ გზასთან მდებარე ერთ ქეციან სასტუმროს მივადექით. აბრაზე თვალისმომჭრელი წარწერა Grand Hotel იწონებდა თავს, თუმცა თავად სასტუმროს „გრანდ ჰოტელისა“ არაფერი ეცხო. ოთახები ნამდვილად ჰქონდათ, მაგრამ ფასზე მოლაპარაკება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. მოლაპარაკებების შემდეგ შვებით ამოვისუნთქე და ჩვენს მძღოლს კუთვნილი გასამრჯელო გავუწოდე. მძღოლმა კუპიურებიანი ხელი ჯიბეში ჩაიცურა და ხელი ხელახლა გამომიწოდა დამატებითი გასამრჯელოს მოლოდინში.

– არა, არა, – მტკიცედ ვუთხარი მძღოლს, რომელიც იმ რამდენიმე კუპიურას მისჩერებოდა, კიდევ რომ მეჭირა ხელში – No! You got everything, even if you did not take us all the way Islamabad[56].

საუბარი ჟესტებით და დაძაბული რეპლიკებით გაგრძელდა. ვითარება საკმაოზე მეტად გართულდა. მძღოლი უარს ამბობდა უფულოდ წასვლაზე. ის სასტუმროს ფოიეში შემომყვა და ფულის დამატებას ჯიუტად მოითხოვდა.

– Can you help me translate?[57] – დახმარებისათვის სასტუმროს მიმღებში მდგარ გამხდარ კაცს მივმართე.

გამხდარმა კაცმა თავი დამიკრა და ჩემს დასახმარებლად გამოემართა.

– Explain that he has received what we agreed, even though he

---

[56] (ინგლ.) არა, თქვენ უკვე მიიღეთ კუთვნილი ფული, იმის მიუხედავადაც, რომ ისლამაბადამდე არ მიგყავართ.

[57] (ინგლ.) შეგიძლიათ, თარგმნაში დამეხმაროთ?

has taken us to Peshawar only. Not Islamabad![58] – დახმარების მოლოდინში უკანმოუხედავად მივახალე სასტუმროს თანამშრომელს.

ვერ გამიგია, რატომ ვსაუბრობ ინგლისურად უფრო ცუდად მაშინ, როდესაც იმ ხალხს ველაპარაკები, რომლებიც, ჩემი აზრით, ბოლომდე მაინც ვერ გამიგებენ? ჩემს დამახინჯებულ ინგლისურს უკეთ გაიგებენ ვითომ? მე ხომ ყველა გრამატიკულ შეცდომას ვუშვებ.

ორივე მამაკაცი დადუმდა. ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ – მე.

– Please explain. No more money. Finish. Tomorrow we take other taxi[59].

ორიოდ წამში მთელი მიმღები სიტყვათა კორიანტელში გაეხვია. ჩვენი მძღოლი რომ გაბრაზებული იყო, ამის მისახვედრად ურდუს ცოდნა ნამდვილად არ არის საჭირო. არც კი ვიცი, ურდუზე საუბრობდნენ თუ პუშტუზე, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. გაცოფებული მძღოლი მძვინვარებდა, კედლის საათი წიკწიკებდა და ჩვენი ხმების გადაფარვას ამაოდ ცდილობდა.

– No more money, Already paid too much. Too, too much![60], – კიდევ ერთხელ ვუთხარი მძღოლს და თავი გავაქნიე. სასტუმროს ფოიეში გაცხოველებული დისკუსია გაიმართა. ვითარების დაძაბულობის რაიმე ინსტრუმენტით გაზომვა რომ შეიძლებოდეს, იქ და იმ დროს ის ინსტრუმენტი მწყობრიდან კარგა ხნის გამოსული იქნებოდა. დისკუსიას თითქოს ბოლო არ უჩანდა, მე კი მთელი ამ გაუგებრობიდან მხოლოდ ის მესმოდა,

---

[58] (ინგლ.) აუხსენით, რომ მან უკვე მიიღო შეთანხმებული თანხა იმის მიუხედავადაც, რომ მხოლოდ ფეშავარში ჩამოგვიყვანა და არა ისლამაბადში.

[59] (ინგლ.) გთხოვთ, აუხსენით, რომ მეტი ფული აღარ იქნება. დამთავრდა. ხვალ სხვა ტაქსით წავალთ.

[60] (ინგლ.) მეტი ფული აღარ იქნება. უკვე ისედაც ძალიან ბევრი გადაგიხადეთ.

რომ მძღოლი გასამრჯელოს მომატებას ითხოვდა. არავითარ შემთხვევაში, მეტს აღარ გადავუხდი! მან უკვე მიიღო წინასწარ შეთანხმებული თანხა.

სიტუაციის განმუხტვა ვცადე და ჩანთაში მობილური ტელეფონის ძებნა დავიწყე, რათა ისლამაბადში შვედეთის საელჩოსთვის მეცნობებინა, რომ იმ საღამოს ვეღარ ჩავიდოდით, თან ადგილის მისამართიც უნდა გადამეცა, სადაც ასე უგულოდ ჩამოგვყარეს. ეს ჩვენს პრობლემას ნამდვილად ვერ გადაჭრიდა, მაგრამ ირგვლივ მყოფებზე შთაბეჭდილების მოხდენას მაინც შევძლებდი. იმწუთას ეს ყველაზე გონივრულ ნაბიჯად მიმაჩნდა, თუმცა ჩანთაში მობილური ვერსად ვიპოვე და მაშინვე მიკროავტობუსისაკენ გავიქეცი. უკან ტრიუმფით დავბრუნდი. თან ხელში ნაპოვნ მობილურს ვაფრიალებდი“ რომელიც ავტობუსის სავარძლებს შორის გადავარდნილიყო. – რომ წასულიყო, მობილური მაინც შერჩებოდა, – სიცილით აღნიშნა გერდამ.

მეც გამეღიმა. თურმე მთებში გატარებული რამდენიმე დღეც კი საკმარისი ყოფილა, რომ გაუგებრობებში გამოწრთობილ სქელკანიან არსებად გაქციოს.

ჩვენი მძღოლი ბოლოს მაინც დაგვნებდა და წავიდა. უხერხულობა ამით არ გამქრალა, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, თავად მძღოლი უკვალოდ გაქრა და ეს ნამდვილად ჩვენი გამარჯვება იყო.

მეორე დღეს ისლამაბადისკენ ავიღეთ გეზი. იქ ჩასულებმა კი ჯადოსნური დღე გავატარეთ ქრისტეს შობამდე VII საუკუნის დროინდელ ტაქსილას ნანგრევებში, სადაც მეგზურობას ერთი მეცხვარე და მისი ფარა გვიწევდნენ.

შემდეგ ჯინას ბაზარში უფაქიზესი ფაშმინის[61] უამრავი ყელსახვევი და ოციოდე DVD დისკი შევიძინეთ.

საღამოს ჩემს ერთ-ერთ კოლეგასთან სასიამოვნო გარემოში ვივახშმეთ და კარგადაც ვიმხიარულეთ. ჩემს საყვარელ ოჯახსაც მოეხსნა დაძაბულობა, თითქოს სულ ცოტა ხნით ადრე ეშმაკის კლანჭებისგან დაეხსნა თავი. – ო, ღმერთო, რა სასიამოვნოა პაკისტანში დაბრუნება, – ერთიანად აღნიშნავდა სამივე.

„განსაკუთრებული არაფერი“, – ვფიქრობდი ჩემთვის.

მეორე დღეს ჩემი ოჯახი შვედეთში გაფრინდა, გაეროს თვითმფრინავმა კი, რომელშიც მე ვიჯექი, ისევ უკან, ქაბულისაკენ აიღო გეზი. ქაბულში დამძიმებული გულით გამოვემგზავრე – თავს მსოფლიოში ყველაზე წარუმატებელი მტვერსასრუტების გამყიდველივით ვგრძნობდი.

საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ აღარასდროს ვიქნებოდი ამგვარი ვიზიტების ინიციატორი.

[61] ქაშმირული შალის ნაირსახეობა.

სახლის მოწყობა

2005 წლის მაისი

– ზაკი-ჯან, შეგიძლია დამეხმარო და ეს ორი სურათი სადმე დამაკიდებინო? იქნებ აგერ აქ? – ვეკითხები ზაკის ჩვენი ოფისის თანამშრომელს, რომელიც ჩემს სახლში ელექტროგაყვანილობის კარადის შესამოწმებლადაა მოსული. კარადას რამდენიმე ხნით ადრე ცეცხლი გაუჩნდა.

– Yes, miss Diana.

– მინდა, ერთმანეთის გვერდით დაკიდო. ერთ სიმაღლეზე, – ვამბობ და წებოვანი ქაღალდით კედელზე დასაკიდ ადგილს ვნიშნავ.

– Yes, miss Diana.

– მადლობა, ძალიან კეთილი ხარ!

შინ დაბრუნებულს სურათები კედელზე სწორედ იქ ან დაახლოებით იქ დაკიდული დამხვდა, სადაც ზაკის ვთხოვე. აშკარა იყო, რომ მარჯვენა სურათი მეორე სურათზე ხუთი სანტიმეტრით დაბლა ეკიდა.

ზაკის დავურეკე და ვთხოვე ჩემთან მოსულიყო. ამოვიოხრე, ტელეფონი გვერდზე გადავდე და ღრმად ჩავისუნთქე. ზაკი ზუსტად ორ წუთში მოვიდა.

– ხომ გთხოვე ორივე ერთ სიმაღლეზე დაგეკიდა? – ვკითხე ზაკის.

– Yes, miss Diana. – მიპასუხა ზაკიმ და ცარიელი თვალებით შემომხედა.

– კი მაგრამ, მარჯვენა რომ მარცხენაზე დაბლა კიდია? ზაკიმ ჯერ კედელს შეხედა, შემდეგ მე და მაინც ვერაფერი გაიგო.

– იქნებ ხელახლა დაგეკიდა? მინდა, რომ ერთ სიმაღლეზე ეკიდოს ორივე და არა ხუთი სანტიმეტრით დაბლა, არც ერთით, არც ნახევრით. ზუსტად ერთ სიმაღლეზე.

– Yes, miss Diana.

– რამე გაუგებარია?

– No, miss Diana. – ამბობს ზაკი და მიღიმის. ის ყოველთვის მეხმარება.

ორი დღის შემდეგ ისევ სურათების საქმეს ვარკვევთ. უკვე მეხუთედ ან მეშვიდედ. ყოველ მცდელობაზე უფრო და უფრო ვუახლოვდებით მიზანს, ზაკი კი ყოველ ჯერზე უფრო და უფრო იღუშება, რადგან მე სულ უფრო და უფრო მიჭირს გაღიზიანების დამალვა, რაც ჩემს სიტყვებზე მეტად ხმის მკვეთრ ინტონაციაში იგრძნობა. თავაზიანობა სადღაც ქრება და მხოლოდ ის მინდა, ერთი კარგად შემოვცხო. ნუთუ ასე რთულია? ჩემს ყველა უარყოფით მხარეს ერთიანად ავხადე ფარდა. უარყოფითი მხარეები კი სწორედ ამ ქვეყანაში ყოფნისას აღმოვაჩინე. ჩემდა გასაოცრად, იმდენად ბევრი უარყოფითი თვისება აღმომაჩნდა, რომ საკუთარი თავისა შემრცხვა. ეს კი იმის ბრალი იყო, რომ ძალიან დიდი ხნით ვერ შევძელი ავღანეთიდან სადმე წასვლა და განტვირთვა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, სურათები თავიანთ კუთვნილ ადგილას აღმოჩნდა – ერთი-ორი მილიმეტრის ცდომილებით, თუმცა მე უკვე დავნებდი. საცოდავი კედელი სარეცხის ღრუბელივით დახვრეტილი დარჩა.

ამ შემთხვევის შემდეგ ვეცადე საკუთარი თავისათვის შემეგონებინა, რომ რაღაც – რაღაცეების სხვადასხვანაირად გაკეთება შეიძლება; რომ ამ ქვეყანაში ზედმიწევნით სიზუსტეს უპირველეს მნიშვნელობას არავინ ანიჭებს, აქ ფუნჯის უხეში მონახაზი უფრო აინტერესებთ; რომ მეც შემიძლია წვრილმანი დეტალების უგულებელყოფა – რამდენიმე სანტიმეტრს, მილიმეტრს ან თუნდაც დეციმეტრს იქით თუ აქეთ ხომ არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ხომ აქ ჩამოსვლამდე ამ საზრუნავზე უფრო სერიოზული საზრუნავი არასდროს მქონია. თუმცა, მეორე მხრივ, საოცარი ის არის, რომ სწორედ სახლის ინტერიერის მოწყობის მოსაწყენ პრობლემებს გამოვექეცი, როდესაც თავი აქაურობას შევაფარე. ახლა კი ვდგავარ ამ აზიურ ხალიჩაზე და სურათების გამო ვჩხუბობ. გასაგებია, რომ აქ ნოუ-ჰაუს განსაკუთრებულ, ყველაზე ძირეულ ფორმასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მე მაინც დავმარცხდი. ვკვდები, ისე მაინტერესებს, როგორ ხდება აქ ცოდნისა და ახალი კონცეფციების შემოტანა. პოლიტიკის დოკუმენტებში ამას ავღანური პოტენციალის დახვეწას უწოდებენ. მთავარია, მათ ყველაფერი ისე გააკეთონ, როგორც ჩვენ ვეტყვით და ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება და დალაგდება. კი, მაგრამ როგორ? ჩვენ ანუ საერთაშორისო საზოგადოებამ ხომ პასუხისმგებლობა ავიღეთ, რომ ავღანელებს ეროვნული არმიისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნაში დავეხმარებოდით. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩვენი აქ ყოფნა მხოლოდ საპირისპირო ეფექტის მომტანია. ჩვენ ვიყენებთ წერა-კითხვის, უცხო ენების მცოდნე და განათლებულ, ისედაც თითზე ჩამოსათვლელ ადგილობრივ მოსახლეობას თარჯიმნებად, მძღოლებად და თანაშემწეებად. შემდეგ ჯერზე, როდესაც ზაკის ისევ მოვთხოვ ზუსტი ზომების აღებას, ხოლო სანამ ბურღს კედელთან მიიტანს, ზომების გადამოწმებას და კედელზე მხოლოდ ამის შემდეგ რამის ჩამოკიდებას, გააკეთებს კი ამას? იქნებ გააკეთოს კიდეც, მაგრამ, სავარაუდოდ, არ გააკეთებს. იმის შესაძლებლობა კი, რომ შემდეგ ჯერზე მე მომიწევს იმის გაკეთება, რაც გასაკეთებელია, გაცილებით უფრო მაღალია.

ასე ნერვებს მაინც გავუფრთხილდები და აღარც ზაკის შევაწუხებ ერთი და იმავე დავალების რამდენჯერმე შესრულებით. დავალებისა, რომლის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა თავად მას არაფერი გაეგება.

ყველაფერი კი ჩამთავრდა, მაგრამ იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთილების შეგრძნება მაინც არ მომშორდა. თავს გაღიზიანებულად და მიტოვებულად ვგრძნობ. პატარა ბავშვივით უსუსური ვარ, რომელიც თავის სათქმელს ვერავის აგებინებს და მხოლოდ კივილი შეუძლია. ერთი რამ ნამდვილად ვიცი რამდენიმე დღით აქაურობას უნდა მოვშორდე მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის.

Fashion, Glamour, Lifestyle

2005 წლის მაისი

ისინი ისე უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს. ადამიანები, რომლებიც მუდმივ სტრესს განიცდიან, სადღაც შორს იყურებიან და იმ უამრავ საქმეზე ფიქრობენ, გასაკეთებელი რომ აქვთ. ცელოფნის პარკები, ჩანთები, ქაღალდის ფურცლები, Tax Free მაღაზიების ერთგვაროვანი საქონელი, როგორც წარმოსახვითი მინიშნება იმაზე, თუ საით მიგვაქანებს გლობალიზაცია. ლავაცას[62] ყავა ჰავანაში. ფარადას სუნამო კიგალიში[63], დუშანბეში მთელი წლის ხელფასით შეძენილი „მონბლანის“ ფირმის ავტოკალმები. თუმცა ისლამაბადის აეროპორტს ურბანულობის, მოდურობისა და უდარდელობის ნატამალიც კი არ სცხია. იქ განთავსებულ რამდენიმე ჯიხურში კედლის საათები, ყურანის ციტატები, ათასი უსარგებლო წვრილმანი და ადგილობრივი ტკბილეული იყიდება. გაფრენის დარბაზში უცნობი მამაკაცი სიგარეტის კოლოფებითა და მინიქვედაბოლოებსა

[62] ყავის იტალიური მწარმოებელი.
[63] რუანდის დედაქალაქი

და საცურაო კოსტიუმებს დანატრებული ბარბის პაკისტანური ანალოგებით დატვირთულ ურიკას აქეთ-იქით დაასრიალებს. იქვე ახლოს პაკისტანელი მამაკაცების ერთი ჯგუფი მოწყენილობას შეუპყრია და აეროპორტის ჩახუთულ ჰაერში ჩასხდომის ბარათების ფრიალით ცდილობს თავის გაგრილებას. მამაკაცებს ტრადიციული ნაღებისფერი და ღია ყვითელი შალვარ-კამიზები აცვიათ. მთლიანობაში მთელი დარბაზი საძილე განყოფილებას უფრო ჰგავს, ვიდრე მოსაცდელს. ერთი ქალიც დავლანდე, რომელსაც სახე ქინძისთავებით გულმოდგინედ დამაგრებული თავსაფრით ჰქონდა დამალული. ფსტის ფორმის თვალებისა და კოხტად ამოქნილი წარბების გარდა მხოლოდ დეკორატიული ნახატებითა და ოქროულით შემკული ხელები მოუჩანდა. Some things will never be different[64] მღერის კელე ოკერეკე[65] ჩემს აიპოდში და არ შემიძლია არ დავეთანხმო.

თეთრ უნიფორმასა და ბაფთიან ყელსახვევში გამოწკეპილ ოფიციანტს ჩაი შევუკვეთე.

– ასი რუპია, – ოფიციანტი ხელს მიწვდის და ცდილობს, ჩემს მზერას თვალი აარიდოს.

– კი მაგრამ, წინა ჯერზე მხოლოდ ოცდახუთი ღირდა, – წამოვიძახე აღშფოთებულმა.

– კარგი, მაშინ ოცდახუთი, – დამნებდა და გაწვდილი ოცდახუთი რუპია ოხვრით ჩაიცურა ჯიბეში.

ეს ცხოვრებისეული პრობლემებითა და უიმედობით განმსჭვალული ამოოხვრა იყო.

---

[64] (ინგლ.) ზოგიერთი რამ არასდროს შეიცვლება.

[65] ბრიტანელი მომღერალი და რიტმ-გიტარისტი; ჯგუფ „Block Party“-ის ვოკალისტი

ნედლი ნავთობივით ბლანტსა და ექსტაზივით მაგარ ჩაის აუჩქარებ-ლად ვწრუპავ და სხეულში ჟრუანტელი მივლის იმის გაფიქრებისას, რომ გზაში ვარ. მოლოდინით სავსე ჰაერს ძალუმად ვისრუტავ და ვფიქრობ, როგორი იქნება იქ დაბრუნება. ალბათ ცოტა განსხვავებული. იქნებ უკე-თესიც იყოს. საათობით ვიჯდებოდი ასე ამ ტკბილ-მწარე ოცნებებსა და მოლოდინში გართული.

უკვე საკმაოდ ვაგვიანებდით. ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავის პი-ლოტმა მოშლილი აკუსტიკური სისტემის დახმარებით გვამცნო, რომ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე გაჰყავდა.

ხელში ქაღალდის გაკეცილ ფურცელს ვათამაშებ, რომელშიც ჩას-ხდომის ბარათი დევს და ხალხით გადაჭედილ კაბინას ვათვალიერებ. ჩემ გვერდით სავარძელში მოკალათებული პაკისტანელი კაცი ჩემსავით გა-ურკვეველ მდგომარეობაშია, ხელში კრიალოსანს ათამაშებს და რაღა-ცას ბუტბუტებს. თუმცა ცხოვრებისეულ ქარტეხილებსა და დაუგეგმავ სიტუაციებს მოწყვეტილი ღმერთი პაკისტანურ ტექნიკას ალბათ მაინც ვერაფერს უშველის.

რამდენიმედღიანი განცხრომისათვის დამძიმებული სულით, თუმცა, მაინც გავემგზავრე დუბაიში. არანაირი მოლოდინი არ გამაჩნია, რადგან არც კი ვიცი, რას უნდა ველოდო. მხოლოდ ის ვიცი, რომ რამდენიმე დღით მაინც ავღანური ჰაერისაგან განსხვავებული ჰაერი მჭირდება.

სასტუმრო იმაზე უკეთესი გამოდგა, ვიდრე ქაბულის მტვრით დაღ-ლილს წარმომედგინა ჩემი ფანტაზიით. კარში ფორმიანი პორტიე შემე-გება, რომლის ფორმაც ისეთი გახამებული იყო, იატაკზე რომ დაგედგათ,

ფორმას მაინც არ დაკარგავდა. ლუსიას თეთრ ანაფორებში[66], თავსაბურავებსა და როლექსის საათებში გამოწყობილი მამაკაცები საფორტეპიანო მუსიკის ფონზე გედებივით დასრიალებენ სასტუმროს ფოიეს მარმარილოს იატაკზე და ბრჭყვიალა მობილურ ტელეფონებზე არაბულად საუბრობენ. ჰაერში სუნამოსა და სიმდიდრის მძაფრი სურნელი ტრიალებს. სასტუმრო ხუთვარსკვლავიანია, თუმცა თხუთმეტ ვარსკვლავსაც თამამად გასწვდებოდა. თვალს ვერ ვაშორებ მარმარილოს იატაკის ფილათა ზედმიწევნით ზუსტ წყობას და მათ შორის დატოვებული ხაზების სიმეტრიულობას, რაც იატაკს კურლინგის[67] სასრიალო ბილიკივით პრიალა, გლუვ და მბზინავ იერს სძენს.

დუბაიში ყველაფერი გლამურისა და მოდური ცხოვრებიც ირგვლივ ტრიალებს – ყოველ შემთხვევაში მინის ლიფტში გამოკრულ სარეკლამო განცხადებას თუ დავუჯერებთ, ნამდვილად ასეა. მე მაწყობს. სული უკვე გავყიდე და სიამოვნებით გადმოვიდოდი დუბაიში საცხოვრებლად, თუნდაც ემიგრანტის სტატუსით. არც ჟურნალისტად მუშაობასა და იარაღით ვაჭრობის ან არალეგალური მიგრაციის შესახებ ინდუქციურ-საგამოძიებო სტატიების წერაზე ვიტყოდი უარს. მგონი, არც კონსულტანტობა ან მდიდარ რუსებთან სავაჭრო საკითხებში მრჩევლად მუშაობა იქნებოდა ურიგო.

ჩემი ოთახი სამეჯლისო დარბაზივით უშველებელი იყო და თვალწარმტაცი ხედი მოჩანდა. ტელევიზორში იმაზე მეტი არხი აღმოვაჩინე, ვიდრე მოველოდი. არხიდან არხზე გადართვისას თვალში ბაღდადში ნაღმზე აფეთქებული ბიჭუნა მომხვდა, რომელსაც აფეთქების შემდეგ

---

[66] წმინდა ლუსიას დღე შვედეთში აღინიშნება ტრადიციული კოსტიუმირებული ტრადიციული წარმოდგენით ყოველი წლის 13 დეკემბერს. წარმოდგენის მონაწილეებს კოჭებამდე გრძელი, თეთრი ანაფორები აცვიათ.

[67] ზამთრის სპორტის სახეობა ყინულზე.

ტერფების მაგიერ აკეპილი ხორცის ნაგლეჯებიღა შერჩენოდა. Freedom's untidy[68], როგორც ერთხელ რამსფელდმა აღნიშნა ჭკვიანურად. სწორედ ასეთი სახე აქვს დემოკრატიის მარშსა და იაფ ნავთობზე ნადირობას, თუმცა იმ დღეს ვარჩიე, ამ ყველაფრისთვის თავი ამერიდებინა. ტელევიზორი გამოვრთე და ისევ მარმარილოთი მოპირკეთებულ ფოიეში დავბრუნდი. აღტაცებას ვერ ვმალავდი. სასტუმრო იმდენად მომეწონა, რომ მთელ ჩემს შვებულებას სიამოვნებით გავატარებდი მისი ფოიეს უფაფუკეს სავარძელში – გაზეთებით, წიგნებითა და ჩემი კომპიუტერით გარემოცული, და სიამოვნებით გავუბამდი საუბარს გამვლელ-გამომვლელ უცნობებს.

ყავას და შოკოლადის ტორტს მივირთმევ და ვცდილობ მტვრისა და თანაგრძნობის შეგრძნებებისაგან გავთავისუფლდე. თან პრიალა ფურცლებზე დაბეჭდილ ჟურნალს ვათვალიერებ, რომელიც თვალისმომჭრელი ფოტოებით არის სავსე, და გარეთ გასვლისათვის თავის შემზადებას ვცდილობ. ფოიეში მყოფი ადამიანები თავს მიკრავენ და მიღიმიან. თავაზიანი აზიელი ქალები ყავას მიმატებენ და მეკითხებიან, კიდევ რამეს ხომ არ ვინებებ მენიუდან. პასუხად თავაზიანადვე ვუღიმი და სავარძლის რბილ ბალიშებზე ვეშვები. ქაბული თითქმის აღარც მახსოვს. თითქოს არასდროს ვყოფილვარ იქ. არ მაინტერესებს. ახლა ყველაფერი სულერთია ყავის შემდეგ სასტუმროს ზედა სართულზე განთავსებულ აუზზე გავდივარ და შეზლონგზე ვეშვები. მზე ისე აცხუნებს, თავი სოლარიუმში მგონია. აუზის პირას ჩემ გვერდზე წამოწოლილი ქალი შესანიშნავი რუჯით, ტალღოვანი თმითა და უწვრილესი ბიკინით, სატვირთო მანქანის სარკეებივით დიდი სათვალით კითხულობდა სტატიას სახელწოდებით „How to marry a Millionaire“[69]. იმდენად წვრილი ბიკინი ეცვა,

[68] (ინგლ.) თავისუფლება უსუფთაოა.
[69] (ინგლ.) „როგორ გავთხოვდეთ მილიონერზე“.

რომ თავი ვერ შევიკავე და ორჯერ გამექცა თვალი მისკენ. ადგილი სწორად შეურჩევია-მეთქი, გავიფიქრე და ვინატრე, მისი მიზანმიმართულობის ერთი უნცია მაინც მქონოდა. ყოველ შემთხვევაში, არც ცხოვრების მთავარ არსზე ფოკუსირების მისეული ნიჭის ნახევარზე ვიტყოდი უარს. დუბაი ხომ მათი მექაა, ვისაც გადაჭარბების არ ეშინია; მფლანგველობა ხომ აქ ცხოვრების მთავარი აზრი და ერთგვარი რელიგიაა. რუსები ფულით სავსე ჩემოდნებით ჩამოდიან და ნაღდი ფულით 45 მილიონად შეფასებულ ბინებს ყიდულობენ, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ აქ აქლემებისათვის განკუთვნილი საცურაო აუზებიც კი არსებობს, სადაც დაღლილ ცხოველებს კიდურების კუნთებს უვარჯიშებენ.

ჩემს მეორე მხარეს კიდევ ერთი ქალი მოკალათებულიყო რომელსაც სისხლივით წითელი საცურაო კოსტიუმი ეცვა და თმები ჩალის ზვინს მიუგავდა. ჩემს წარმოდგენაში ის ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო, შარვლის ტოტები რომ არასდროს ეჭმუჭნება და ზედატანს რომ არასდროს ითხუპნის კეტჩუპით. მობილურ ტელეფონზე საუბრისას კოხტად შეღებულ ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს მარგალიტები უნდა გადმოყაროსო.

– Oh, really! That's fantastic![70] – სიცილით ამბობს ის და ხელოვნურად გათეთრებულ კბილებს აჩენს. ჩალის ღერივით წვრილი ღიმილი სახეს თითქოს არათანაბარი სილამაზის ორ ნაწილად უყოფს.

იმ ქალს სავარაუდოდ იმდენი იღბალი, წარმატება, ფული და შესანიშნავი უნივერსიტეტი აქვს მითითებული თავის რეზიუმეში, რომ მისი რაიმეთი დაინტერესება წესით რთული საქმე უნდა იყოს, თუმცა მე ერთობ თავაზიან და სავსებით მომხიბლავ ადამიანადაც კი მეჩვენა.

ულამაზესი ფრჩხილები ჰქონდა.

„დაუყოვნებლივ უნდა დავრეკო მიმღებში და ვიკითხო, სად შეიძლე-

[70] მართლა? რას ამბობ? გადასარევია!

ბა კარგი მანიკურის გაკეთება. პედიკურისაც... იქნებ მასაჟისაც“, – გავიფიქრე ჩემთვის.

მეორე დღეს სავაჭრო ცენტრ Emirate Towers-ისაკენ ავიღე გეზი. მანქანის რადიოდან, რომელსაც კიდევ ერთი პაკისტანელი გასტარბაიტერი მართავდა, იაფფასიანი კომერციული პოპმუსიკის ჰანგები იღვრებოდა. მანქანის ფანჯრებიდან სიმდიდრისა და ფუფუნების მეტს ვერაფერს ვხედავდი. ეს მზიანი ქალაქი სქელ, პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილი ტურისტული ბროშურებიდან გადმოსულს ჰგავს. არქიტექტურა უკიდეგანოდ სრულყოფილია. დაწკრიალებული ქუჩების ასფალტი მცხუნვარე მზეზე სარკესავით ლაპლაპებს. ელექტროენერგია. სრიალა ბეტონი. თხელ მაისურებსა და მოკლე ქვედაბოლოებში გამოწყობილი ქალები. ეს ქალაქი კარგა ხნის წინათ დაჭრილი და შინაარსს მოკლებული ჩემი სულისათვის ნამდვილ შვებისმომგვრელ მალამოდ იქცა.

მაღაზიები დავლაშქრე – თანდათან კომერციის ჭაობმა მეც ჩამითრია. ჩემი დროის ბავშვი, რომელიც „ლუი ვუტონის“ ყელსახვევებსა და „პრადას“ კაბებს შორის დადის და თითის ფაქიზი შეხებით სინჯავს თითოეულ ქსოვილს. ეს ნივთები ქაბულში გატარებულ დღეებს მნიშვნელოვნად შემიმსუბუქებდა და ხალისსა და სილამაზეს შესძენდა თითოეულ დღეს. კანადელი მწერლის, ნაომი კლაინის წიგნში „ლოგოს გარეშე“ გამოთქმული არგუმენტები გაცილებით მსუბუქი მეჩვენა, ვიდრე მაღაზიის ქრომირებულ დახლზე შემოდებული ჩემი „ევროქარდი“. ვინ თქვა, ბედნიერების ყიდვა არ შეიძლებაო? ცდად ხომ მაინც ღირს? ყოველ შემთხვევაში, მე არასდროს შევუპყრივარ იმგვარ დეპრესიას, რომელსაც ერთი წყვილი ძვირადღირებული ფეხსაცმელი ვერ განკურნავს.

ნავაჭრით სავსე ჩანთებით დატვირთული და კმაყოფილი, სულის მოსათქმელად ერთ-ერთ კაფეში შევდივარ. ვენტილატორის ზუზუნი ისმის.

ცოტა ხანში ჩემს მაგიდასთან დახვეწილ კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი ჯდება და ერთობ სერიოზული გამომეტყველებით ფურცლების შრიალსა და მაგიდის ზედაპირზე კალმის ნერვიულ კაკუნს იწყებს, სანამ პირველ კითხვას შემომბედავს.

– აქ სავაჭროდ ხართ? – მეკითხება და ტუჩს იკვნეტს. – უფრო დასასვენებლად, – ვპასუხობ მე, დემონსტრაციულად ვაბოლებ სახეში და ისევ ჩემი გაზეთის კითხვას ვაგრძელებ იმის იმედად, რომ მიხვდა, თუმცა შევცდი. – საიდან?.. – მეკითხება ისევ და მოლოდინით სავსე თვალებით მიყურებს. მე კი არსადაც არ მეჩქარება. ჯერ ჩემს ახალ მანიკურს დავყურებ და შემდეგ ვპასუხობ:

– ავღანეთიდან.

– ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელი ხართ? რა საინტერესოა! – აღტაცებას ვერ მალავს ჩემი თანამოსაუბრე და ხელებს ერთმანეთს ისე აჭდობს, თითქოს უნდა ილოცოსო.

ასე გგონია, არა? მაშინ უნდა მნახო, სიმარტოვე რომ თავის კლანჭებს მასობს და შეჭმას მიპირებს; ან მაშინ როცა პირს ვაღებ და არ ვიცი, რომელ ენაზე უნდა დავიწყო საუბარი; როცა თავს ვპირდები, რომ არ ვიტირებ, როცა ჩემივე მომთაბარე ცხოვრებისაგან უსაშველოდ დაღლილს ცნობისმოყვარეობა და მოუსვენრობა ტანჯვად მექცევა და ყველაფერი, რასაც ვფლობ, იმსხვრევა, ფუჭდება, ნადგურდება, ილეწება და მაიძულებს საკუთარ თავს ვკითხო: ვინ ვარ? ან სად არის ჩემი სახლი. ერთადერთი, რაც ყველაზე ძალიან მინდა, ბრუმაში[71] დარჩენილ ჩემს ოჯახთან გამგზავრებაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩავალაგო ჩანთები და აქ აღარასოდეს დავბრუნდე.

პასუხად კი ყალბ ღიმილს ვაგებებ.

– კი მაგრამ, ავღანეთში ყოფნა უსაფრთხოა? – მესმის კიდევ ერთი კითხვა, თითქოს უფრო მეტი თანაგრძნობით, და ჩემი თანამოსაუბრე

[71] უბანი დასავლეთ სტოკჰოლმში.

თავს ნებას აძლევს, ჩემთან უფრო ახლოს მოჩოჩდეს. იმდენად, რომ შეიძლება სკამიდან ჩამოვარდეს. – საკმაოდ.

Present fears are less than horrible imaginings[72]. – გასაგებია, მაგრამ ალბათ როგორი საშინელებაა ბურკაში შეფუთული ქალების ცქერა.

– ამინდის შესაფერისი ჩაცმულობაა.

ნეტავ, მართლა მხოლოდ ის თხელი ლურჯი ქსოვილი იყოს მთელი პრობლემა და არა ის, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარზეა.

– სიღარიბეს როგორ უძლებ?

– ძნელად. ძალიან რთულია.

სიღარიბის დაძლევა მე კი არა, იმ ღატაკ ადამიანებს სჭირდებათ, იდიოტო!

ყავის ფინჯანს ბოლომდე ვცლი, ბოდიშს ვიხდი და უკან, მაღაზიებისაკენ მივემართები.

დუბაი. კიდევ ერთი დუნე საშვებულებო დღე. ქალაქში ისეთი ხვატი დგას, ალბათ ჯოჯოხეთშიც არ ცხელა ასე. უმიზნოდ დავეხეტები ქუჩებში. ჩემს ზედაპირულობას თეატრის ბილეთების შეძენითაც კი ვერ ვფარავ. დუბაის მუზეუმში მოვალეობის მოსახდელად მივდივარ და შეიხ რაშიდ ბინ საედ ალ-მაქტუმისათვის შეწირულ ხარკს ვათვალიერებ. შეიხი რაშიდი ამჟამინდელი შეიხის მამა იყო, რომელმაც ნავთობის დახმარებით კოსმოპოლიტური დუბაის აღზევებას ჩაუყარა საფუძველი. მან მესამე მსოფლიოს პირდაღებული სიღარიბე პირველი მსოფლიოს თავაწყვეტილი სიმდიდრით ჩაანაცვლა. მუზეუმის უმეტესი ნაწილი ძველ სამუზეუმო ექსპონატებსა და თოჯინებს უკავია, რომლებიც მოდერნიზაციამდე მცხოვრები ხალხის მარტივი და უპრეტენზიო, თუმცა ტრადი-

[72] ის, რისაც შეიძლება ახლა გეშინია, გაცილებით უფრო ცოტაა იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს.

ციებით დამძიმებული ცხოვრების ამსახველ სცენებს განასახიერებენ. პატარ-პატარა თვალწარმტაცი მაღაზიები და ადგილობრივი ფოლკლორული ელემენტებით მოწყობილი სახლები და კაცები, კაცები, კაცები. აბრები აღწერს, თუ როგორ ეძალებოდნენ მომთაბარეები ღამის დადგომისთანავე ფინიკის ჩირსა და ისტორიების თხრობას. ბიზნესის ხელოვნური ბაზები ქაბულისას მახსენებს, მხოლოდ ერთი განსხვავებით – აქ ნაგავი, ფეკალიების სიმყრალე და სასოწარკვეთილება მაინც არ გხვდება თვალში. რატომ არის სიღარიბე, წერა-კითხვის უცოდინრობა და დაავადებები ასეთი რომანტიკული? დუბაის ქალთა ისტორიისადმი მიძღვნილი მუზეუმიც ხომ არ არსებობს სადმე ახლოს?! საკმარისია, მეყო ამდენი კულტურული თავაზიანობა. მზეზე გავრბივარ, ტაქსიში ვჯდები და კიდევ ერთი ახალი სავაჭრო ცენტრისკენ მივემართები.

სასტუმროში ყოფნის ბოლო დილას საუზმეს ჩვეულზე უფრო დიდხანს მივირთმევ. ვკითხულობ და ვჭამ. არა, კი არ ვჭამ, უზომოდ ბევრ მარწყვსა და ფრანგულ შოკოლადიან ფუნთუშებს, ერბოკვერცხსა და ნაირ-ნაირ ფრანგულ ყველს შთავნთქავ. თმის სადა ვარცხნილობით გამორჩეული ტაილანდელი გოგონები თითქმის შეუმჩნევლად მაცლიან თეფშებს მაგიდიდან. არაბი ქალები მხოლოდ საპასპორტო კონტროლის განყოფილებებში მინახავს, დანარჩენი გაცილებით შემოსავლიანი სამუშაო ადგილები კი აზიელ და ასი ათასობით უცხოელ ქალს უკავია.

– Another cappuccino, miss?![73] თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

საუზმის შემდეგ სასტუმროს ვტოვებ და ვგრძნობ, რომ უკან დასაბრუნებლად მზად ვარ. ემირატებში გატარებულმა დღეებმა, რომლებიც თითქმის სრულიად მივუძღვენი მაღაზიებში სიარულს, მელანქოლიითა და სამსახურის მიტოვების სურვილით შეკერილი ჯავშანი გაარღვია და

[73] (ინგლ.) კაპუჩინო ხომ არ დაგიმატოთ, მის?

უკან დაბრუნების თითქოს უფრო მეტი ხალისი შემმატა – ფიქრი ისევ გეგმებზე, ახალ იდეებზე, შეხვედრებსა და მოსამზადებელ ანგარიშებზე დავიწყე; თავი ისევ ძლიერ და ხალისიან ადამიანად ვიგრძენი და ქაბულისაკენ მიმავალ თვითმფრინავში მომავალი რამდენიმე თვის გამოწვევების მისაღებად შემართული ავედი. მზად ვიყავი კიდევ უფრო გამეუმჯობესებინა ჩემი სელექციური ხედვა, როდესაც ღატაკ ქუჩებში ჩამოძონძილ ღატაკ ადამიანებს დავინახავდი.

ტერმინალთან მდგარ მანქანამდე ჩანთები ჩემით მივათრიე.

– როგორ არის საქმეები? – ჩვეული ტონით ვეკითხები მძღოლს, რომელსაც მანქანა ქალაქის მიმართულებით მიჰყავს.

ვაჰაბი დაღონებული ჩანს და მანქანის საჭეს ძალუმად უჭერს პატარა ხელებს.

– This situaiton no good, miss Diana.[74]

თავი დამნაშავედ ვიგრძენი.

– Yesterday there was a bomb on Jalalabad Road again. Three wounded.[75]

ხმას ვერ ვიღებ.

– This situaiton, miss Diana. No good.[76]

ჩემივე უემოციობის შემრცხვა. მანქანის სავარძელზე გვერდს „მიუმიუს“ ახალი ჩანთა მიმშვენებდა, რომელმაც კიდევ უფრო მტკივნეულად გაჰკრა კლანჭი ჩემს სინდისს. ფანჯრიდან მტვერში გახვეულ, ყველასაგან მიტოვებულ ქალაქს ვხედავდი. არა, სიტუაცია მართლაც რომ არ არის კარგი და, სავარაუდოდ, არც გამოსწორდება. მბზინავი ბრონირებული მინის მიღმა ხედი არასდროს იცვლება, თუმცა მე მაინც ვუყურებ, მაშინაც კი, როდესაც ამის ძალა აღარ შემწევს.

---

[74] (ინგლ.) ცუდი მდგომარეობაა, მის დიანა!

[75] (ინგლ.) გუშინ ისევ ბომბი აფეთქდა ჯალალაბადის გზაზე. სამი დაიჭრა.

[76] (ინგლ.) ცუდი მდგომარეობაა, მის დიანა! ცუდი!

ახალი დღე

2005 წლის ივნისი

2005 წლის ზაფხულში მე და ჩემი კოლეგები გაეროს მისიიდან ავღანეთის პროვინცია ბადახშანის დედაქალაქ ფაიზაბადში მდებარე ქოხებივით ოფისებს ვეწვიეთ. სასამართლოში, პროკურატურაში, პოლიციის უფროსისა და გუბერნატორის ოფისებში მხოლოდ ცარიელი საწერი მაგიდები დგას, არსად ჩანს კომპიუტერები, წიგნები, ფურცლები. მხოლოდ ცარიელი მაგიდები და მწვანე ჩაი ულევად.

რეფორმის ერთადერთი მტკიცებულება ოფისის მბრუნავი, ჯერ კიდევ ცელოფანშემოუცლელი სკაში იყო, რომელსაც პროვინციის უმაღლესი რანგის მოსამართლე ფლობდა, თავად მოსამართლე კი თავისი გრძელი და ბინძური წვერითა და უზარმაზარი ჩალმით პარკერისა და სტოუნის“[77] სატირებში ნანახ რელიგიურ ფანატიკოსს უფრო ჰგავდა. ვინმეს

[77] ამერიკელი პროდიუსერები.

მსოფლიოს ქვეყნებში ჩალმის ზომები რომ ერთმანეთისათვის შეედარებინა, ავღანეთი პირველი ქვეყანა იქნებოდა, თუმცა, თანამედროვე სამყაროში ქვეყანათა უპირატესობას ხომ მხოლოდ შემოსავლის, წერა-კითხვის ცოდნის დონითა და სიმდიდრით განსაზღვრავენ. ამ სიაში კი ავღანეთი სულ ბოლო ადგილზეა და მხოლოდ სიერა-ლეონესა და ბურკინა-ფასოს უწევს მეტოქეობას. თუმცა, დარწმუნებით თქმა მაინც რთულია, რადგან ავღანეთი იმდენად ღარიბი ქვეყანაა, რომ ამ სიღარიბის მასშტაბი დანამდვილებით არავინ იცის, რადგან სანდო ინფორმაცია და სტატისტიკა არ არსებობს. სადღაც ამომიკითხავს, რომ მშობიარე ქალთა გარდაცვალების ყველაზე მაღალი რიცხვი სწორედ ბადახშანში დაფიქსირდა. 100 000 მშობიარობიდან 6 500 გარდაცვალებით დასრულდა. იქნებ სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქალებს აქ თითქმის ვერ ვხედავ.

ჩვენს სტუმრობას მოსამართლე ოდნავადაც არ აუღელვებია, სკამიდან წამოდგომაც კი არ იკადრა, მით უმეტეს, რომ თუ თარჯიმანს არ ჩავთვლით, ჩვენს ჯგუფში ერთი მამრიც არ იყო. დასაჯდომად კაბინეტში მდგარი ძველი, გაცვეთილი დივანი შემოგვთავაზეს, რომ კითხვები პროფესიული წარსულის შესახებ უფრო კომფორტული ადგილიდან დაგვესვა მისთვის.

– შემთხვევით, რაიმე განათლება ხომ არ გაქვთ? – ვეკითხებით ფრთხილად.

როგორ არა, ის ყანდაარში თალიბების აღზევების ხანაში მედრესეში სწავლობდა. მედრესე ყურანის იდეოლოგიური სკოლაა, სადაც, როგორც ჩანს, კონსტიტუციის შესახებ არაფერი იციან, რადგან მოსამართლეს მხოლოდ სადღაც მოეკრა ყური, რომ ასეთიც არსებობს. მოგვიანებით ეს კარგ ნიშნად ჩავთვალე – რაღაცნაირი დღე იყო, ვცდილობდი ყველაფერში რაღაც კარგი დამენახა. მთელი გულით მინდა მჯეროდეს, რომ

მომავალი ახალ იმედებსა და წინსვლას მოიტანს და რომ ერთ დღეს ბადახშანიც პროგრესული სამყაროს ნაწილი გახდება.

თუმცა, სინამდვილეში ჩვენი ვიზიტის ყოველი დღე უფრო და უფრო რთულდება და იმედებისგან იცლება. რწმენამ გვიმტყუნა. იმისიც კი აღარ მჯერა, რომ ავღანეთის ამ მხარეს რაიმე მომავალი გააჩნია საერთოდ. ამ ეტაპზე მხოლოდ არსებულის შენარჩუნებაზე ფიქრი შეიძლება.

ჩვენი მანქანა მთავარი ქუჩის ლაფში მისრიალებს. მთელ პროვინციაში ერთი მტკაველი ასფალტიც კი არსად არის, ელექტროენერგიასა და წყალმომარაგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. წყალი მხოლოდ მდინარე კოქჩაში მოდის.

სავაჭრო ჯიხურებში მცენარეული ზეთის ბიდონებს, ფერად სინთეტიკურ თოკებსა და ხურჯინებს ყიდიან. გარეთ კი რამდენიმე მამაკაცი თიხიან ტალახში მოიკვლევს გზას. – სთროგეთამდე[78] ცოტაღა დარჩა, – აღნიშნა მარიანემ, ჩემმა დანიელმა კოლეგამ.

– რა სასაცილოა, მეც სწორედ იგივე გავიფიქრე.

გვერდზე საბარგო მანქანამ ჩაგვიარა, რომლის საბარგულშიც ბურკებში ჩაცმული სამი ქალი წელში გამართული იჯდა და საბარგულის კარს მიყრდნობოდა, ეს კარი კი მოშვებული იყო. კიდევ ერთ მანქანაში ორი მკვდარი ცხვრის თავი დავინახეთ. ცხვრებს პირები ისე დაეღოთ, გეგონებოდათ ამთქნარებენო. თვალები დახუჭული ჰქონდათ, კისრები კი – გადახლეჩილი.

შემდეგი გაჩერება პროვინციის „რკინის ხელისა“ და თავად მთელი ქვეყნის სამხედრო მთავარსარდლის, ნაზირ მუჰამედის რეზიდენცია იყო.

---

[78] ტურისტული უბანი კოპენჰაგენში, ყველაზე დიდი სავაჭრო უბანი ფეხით მოსიარულეთათვის.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაიმ ქაბულში დაიდო ბინა, ქვეყნის თვითმარქვია მთავარსარდლების წინააღმდეგ თითქმის არაფერი გაკეთებულა. ამ ადამიანებმა მთელი ქვეყანა დაანაწევრეს და ფასადები ნაირ-ნაირი სლოგანებით შეამკეს, რომ თალიბების მიმართ დასავლეთის უდიდესი სიძულვილი გამოეწვიათ. ისინი დღემდე აგრძელებენ „თავიანთ“ პროვინციებში ბატონობას, ატერორებენ მოსახლეობას და თესავენ შიშს. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი დანაშაულობებისათვის პასუხი ეგოთ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოების მხრიდან მარგინალებად შერაცხულიყვნენ, მათ მინისტრების, მრჩევლების, პოლიციის უფროსებისა და გუბერნატორების თანამდებობები უბოძეს.

ნაზირ მუჰამედმა თავისი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გიგანტური რეზიდენციის უავეჯო, ხალიჩებით გაწყობილ ოთახში მიგვიღო. აბრეშუმის ნაქარგებიან, თოვლივით ქათქათა სამოსში გამოწყობილი, ნახევრად გრძელი, ტალღოვანი თმით ნაზირ მუჰამედი იესოს მოგაგონებდათ. ხალიჩაზე ფეხმორთხმით მოკალათებულიყო. ფრთხილად არჩევდა ჩვენთვის სათქმელ თითოეულ სიტყვას და შეძლებისდაგვარად აქილიკებდა ვიცე-გუბერნატორს, რომელიც მხარეში მის უპირველეს მეტოქედ ითვლებოდა. ჩვენი მასპინძელი ისე საუბრობდა, იფიქრებდით, ტალახიან ხელებს სხვას აწმენდს და შემდეგ ისე იბანს, თითქოს თავად არც არაფერშია დამნაშავეო.

– მე მინდა ჩემს ხალხს ვემსახურო. მეც ისევე ვცხოვრობ, როგორც ჩემი ხალხი, – გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა და ალბათ გულუბრყვილოდაც დაიჯერა, რომ მის სიტყვებში ეჭვს არ შევიტანდით.

ბუნებრივია, მისი არავის სჯერა. საკუთარი ხალხის ბედის გაზიარება უკიდურეს სიდუხჭირესა და გაუსაძლის პირობებში ცხოვრებას, ნახევარი წლის განმავლობაში ყინვაში მშიერი დაძინებას, ელექტროენერგიის, ჯანდაცვის, განათლების, სუფთა სასმელი წყლისა და დღეში თუნდაც

ორმოცდაათი ავღანის არქონას ნიშნავს.

– მე ჯარისკაცები არ მყავს, მთელი ჩემი გარემოცვა ეს ხალხია, ვისაც აქ ხედავთ, – თქვა მან და წრიული მოძრაობით შემოატარა ხელი ოთახს, რომელიც ამასობაში ფარისევლობის მყრალი სუნით აივსო.

– მე უბრალო კაცი ვარ, – დასძინა ჩვენმა მასპინძელმა. – ოჰ... – ვუპასუხე მე ისე, თითქოს მეც ავუბი მხარი ამ ტირილნარევ კომედიაში.

იქნებ თავს რაბანისაც კი ადარებს. ისიც ხომ ბადახშანიდან არის წარმოშობით. პროფესორი რაბანი რელიგიურ ფუნდამენტალისტთა ნამდვილი ბელადია. ის კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ თალიბების გაბატონებამდე პრეზიდენტობდა ქვეყანას და ომის პერიოდში საკუთარი ვალუტაც კი გამოუშვა, რომელსაც თავად ბეჭდავდა და ნამდვილი ვალუტის დაჯაბნას ცდილობდა, რაც წარმატებით გამოუვიდა კიდეც – ის დღეს ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება, რომელსაც ქონება და ბიზნეს-ინტერესები სპარსეთის ყურესა და ევროპაშიც კი აქვს. ამჟამად რაბანიც ქაბულშია, ფუნდამენტალისტთა პარტიას, „ჯამაათ-ე-ისლამის“ უდგას სათავეში და პრეზიდენტ ყარზაის ჯიჰადის ლიდერთა არაფორმალურ მრჩეველთა შორისაა. წვერიანი მამაკაცების ეს დაჯგუფება მთელ ქვეყანას ატერორებს და ქვეყნის განვითარების ყოველ ნაბიჯს წინ ეღობება. ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ ეს უკანონო მთავარსარდლები და მათი ძალაუფლება ომის შემდგომ გერმანიაში ჰაინრიხ ჰიმლერისა და იოზეფ გებელსის მიერ დემოკრატიის შეტანის მცდელობას შეადარა.

იატაკზე გაშლილი სუფრიდან ავღანურ ფლავსა და შამფურზე შემწვარ ხორცს მივირთმევთ და სამი საათის შემდეგ დამშვიდობების დროც დგება. ნაზირ მუჰამედი მანქანამდე გვაცილებს. გზაში ბუზკაშის მატჩის შესახებ გვიყვება. ბუზკაში საცხენოსნო პოლოს ავღანური ნაირსახე-

ობაა, რომლის მონაწილე ასობით ცხენოსანი მამაკაცი ცდილობს, მოწინააღმდეგე გუნდს მკვდარი თხა წაართვას.

– ხომ არ ისურვებთ მატჩზე დასწრებას? – გვეკითხება მასპინძელი.

– ძალზე სამწუხაროა, მაგრამ კიდევ რამდენიმე შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, – ვპასუხობთ ჩვენ.

– მაშინ ჩემს ბუზკაშის ცხენებს გაჩვენებთ. ულამაზესი ცხენები მყავს.

– სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვიჩქაროთ.

ნაზირ მუჰამედს რეზიდენციის ზღურბლზე ვტოვებთ მასთან აუდიენციის იმედად ტალახსა და ლაფში რიგში მდგარ უამრავ ადამიანთან. შესაძლოა, ვინმეს ნაზირ მუჰამედის კერძო ციხეში მოხვედრილი ბიძაშვილის განთავისუფლება ან ჩამორთმეული მიწის ერთი ნაწილის დაბრუნება სურს, ვინ იცის. დამშვიდობებისას ნაზირ მუჰამედი ხელს ისე მაგრად მართმევს, რომ ხელისგული სულ მთლად გაშენება.

შემდეგი შეხვედრა ავღანეთის ადამიანის უფლებათა დაცვის დამოუკიდებელ კომისიასთან გვქონდა. ჩვენი მასპინძლის ავეჯით გადავსებულ კაბინეტში შეგვიპატიჟეს და მეც იმედით აღვსილმა მოვიმარჯვე ჩემი წიგნაკი. ამგვარი კომისიები, როგორც წესი, იმ ხავსს ჰგვანან, წყალწაღებულები რომ ეჭიდებიან ხოლმე. თუმცა, იმ კომისიაზე ამას ნამდვილად ვერ იტყოდით. ჩვენი მასპინძელი და კომისიის უფროსი გულმხურვალედ იცავდა და ამართლებდა ავღანურ ტრადიციებსა და კულტურაში ინსტიტუციონალიზებულ ქალთმოძულეობას. მისი მოსაზრებით, ულემანი, ანუ განსწავლულთა ისლამური კრება, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს რელიგიური საკითხების გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანი ძალაა, რომელიც ქალთა უფლებების დასაცავად იბრძვის. იგი პრობლემას ვერც იმაში ხედავდა, რომ ავღანეთში ქმრის მხრიდან ფიზიკური ძალადობის შემთხვევაშიც კი ქალს განქორწინების უფლება არ აქვს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მისთვის საკითხის არგუმენტირებულად განმარტება და იმის დამტკიცება ვცადეთ, რომ ქალსა და მამაკაცს არაფერი განასხვავებს და, შესაბამისად, თანასწორუფლებიანნი არიან, თუმცა ამაოდ.

– ეს ჩვენს კულტურას ეწინააღმდეგება, – გვიმტკიცებს ის თავის მხრივ და ისე მშვიდად გვიღიმის, რომ სურვილი მიჩნდება, სახეში ვთხლიშო და კბილები ჩავუმტვრიო. „თქვენი კულტურა ნამდვილი ნაგავია“, – მომინდა პირში მიმეხალა მისთვის, მაგრამ ესეც ჩემთვის დავიტოვე. – ჩვენ, ავღანეთში, პატივს ვცემთ ჩვენს ქალებს, – სათქმელის უკეთ განმარტება სცადა ჩვენმა მასპინძელმა და ისე შემომხედა, რომ მისი ნება რომ ყოფილიყო, ალბათ თვალის დაუხამხამებლად გამიშვებდა საკონცენტრაციო ბანაკში ოცი წლით სამუშაოდ.

იგივე ფირფიტა, იგივე სიმღერა. ეს ადრეც იმდენჯერ გამიგია. მანტრასავით არის, რომლის ვერც განვითარებას ახერხებს და ვერც თვითგანმარტებას. ავღანეთის მთავრობაში სამი ქალია: ქალთა საკითხების მინისტრი, ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი და წამების მსხვერპლთა მინისტრი, რომლებიც დღედაღამ ცდილობენ, წინ აღუდგნენ პატრიარქთა დაუნდობელ დამოკიდებულებას და ქალების წინააღმდეგ რელიგიისა თუ კულტურის სახელით ჩადენილ საშინელ დანაშაულებს.

გაღიზიანების დამალვა თანდათან რთულდება. ჩვენი მასპინძლის მდედრობითი სქესის კოლეგა ვითარების განმუხტვას ცდილობს და საუბარში ერთვება:

– აქ, ავღანეთში, ქალებს პრივილეგიები აქვთ და ისინი მუდამ დაცულნი არიან. მათ ყოველთვის იცავენ თავიანთი მეუღლეები და ოჯახები. ისინი არასდროს არიან მარტონი. მომინდა მისთვის მეკითხა, თავად მეუღლისა და ოჯახისგან ვინ იცავს ამ ქალებს. მათ მხარეს ხომ არც ტრადიციებია, არც კანონი და არც თავად ალაჰი, თუმცა ესეც ჩემთვის დავიტოვე.

რატომ არ იფიცებიან ძალადობის მსხვერპლნი? რატომ არ ქურდობენ მშივრები? ძლიერთა ამა ქვეყნისა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ აქაურობა ჯოჯოხეთის ნაწილად აქციეს. მაგრამ ავღანელმა ქალებმა საიდან

უნდა იცოდნენ ეს? მათ ცხოვრებაში ხომ ყველაფერს აკონტროლებენ, ჰაერში გაბნეული ჭეშმარიტების გარდა. კომისიიდან წამოსულმა ოცნებამ იმაზე დავიწყე, რომ ერთ დღეს მილიონობით გაბრაზებული მუსლიმი ქალი ხმას აღიმაღლებს ისლამის არსებულ ინტერპრეტაციაზე. ვოცნებობ, რომ შემეძლოს მთელ ავღანეთზე ვალერი სოლანას[79] მანიფესტის სპარსული თარგმანის თვითმფრინავიდან გადმოყრა, თუმცა თავადვე მივხვდი, რომ ამ მანიფესტს არავინ წაიკითხავდა და ეს ოცნებაც გახეული ბურთივით ნელ-ნელა ჩაიფუშა.

შემდეგ ახლად დანიშნულ გუბერნატორს შევხვდით, რომელიც „ათას ერთი ღამიდან“ გადმოსულ მაჰარაჯას ჰგავს. პუშტუნი ტაჯიკებში – მტრის ტერიტორიაზე. გუბერნატორმა ჩალმის ქვემოდან გამომხედა, როდესაც ვკითხე, პროვინციის ეკონომიკის ფეხზე წამოყენების რაიმე გეგმა თუ გაქვს-მეთქი. – ვაშლი, – მიპასუხა მან, – არსად არ მოდის ისეთი კარგი ვაშლი, როგორც აქ, ბადახშანში, – ოცნებაში წასულმა ჩვენმა მასპინძელმა ხელი თეთრ წვერზე ჩამოისვა.

ვაშლი გადაარჩენს პროვინციას. ეს ყველაფერი თავის მოტყუებას უფრო ჰგავს. უკეთეს ცხოვრებასა და ნათელ მომავალზე ოცნება ხომ ყველაზე იაფი სიამოვნებაა და ჩვენც თავით ვეშვებით მათში.

– ერთი კილო ვაშლი თორმეტ ავღანად გაიყიდება, – ამბობს ის.

თორმეტი ავღანი დაახლოებით ორი შვედური კრონაა.

გუბერნატორის შენობიდან გარეთ რომ გამოვედით, ირგვლივ მიმოვიხედე. გისოსს მიღმა დამაგრებულ აბრას ინგლისური წარწერა Governery[80] ამშვენებს, ცას კი – ღრუბლის ფენები. ქალაქში მოღუშული და ოღროჩოღრო გზით ვბრუნდებით. გზის პირას თიხის სახლები ჩამწკრივებულა. საშინელი ადგილია. ნეტავ რამდენი კილო ვაშლი უნდა გა-

[79] სამხრეთ აფრიკელი ფემინისტი მწერალი ქალი.

[80] (ინგლ.) გუბერნატურა.

ყიდონ, რომ აქაური ეკონომიკა ოდნავ მაინც წამოაყენონ ფეხზე? ირ-
გვლივ მხოლოდ მთებია. მათ ფონზე კი ერთადერთი, ქარისაგან წელში
გადახრილი ვაშლის ხე დგას.

ზაფხული

შვებულება. მოვალეობის გრძნობით შეწუხებულმა, საგარეო საქმეთა სამინისტროში დრო დავკარგეთ, რომ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებისათვის ანგარიში ჩამებარებინა საუბარს „ჩემი“ პირადი ხელმძღვანელი, ჩემივე ასაკის ქალი გაუძღვა. ის საკადრო საქმის სპეციალისტია და აზიაში ჩვენი საელჩოებისთვის პერსონალს არჩევს – ოფისში რამდენი ხართ? როგორ ცხოვრობთ? მანქანა გყავთ? – დამაყარა კითხვები.

ვუსმენ და გაოცებას ვერ ვმალავ, რომ მან აბსოლუტურად არაფერი იცის იმ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე, სადაც ხალხი უნდა გაიწვიოს. სხვა რა არის მისი საქმე, თუ არა იმის ცოდნა, თუ რა ტიპის სამუშაოზეა საუბარი და რა მიზნებს ემსახურება ის. მე მისი დაულაგებელი მაგიდის ერთ მხარეს ვზივარ, ყავას ვსვამ და ვნანობ, რომ მივედი მასთან შეხვედრაზე. შემეძლო თავი მომეკატუნებინა, თითქოს არასდროს მინახავს ის ტელეგრამა, რომელიც აქ ჩამოსვლას მთხოვდა. არასაიმედო საკომუნიკაციო ხაზების გათვალისწინებით, ეს არც ისე ცრუ მიზეზი იქნებოდა. გარეთ მზე ანათებს და ამ ქალთან საუბარს, რომელიც მაინც არ

მისმენს, მეგობრების ნახვა მირჩევნია. თუმცა, ზოგად ინფორმაციას მაინც ვაწვდი ავღანეთის შესახებ და მოთმინებით ვუყვები უსაფრთხოების ზომებზე, სიდას პერსონალთან ურთიერთობაზე, კომუნიკაციების ნაკლებობაზე და იმაზე, რომ აქედან მანქანით წასვლა რომც გადამეწყვიტა, მსოფლიოში არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ დამიზღვევდა მას, რადგან იქ მძღოლობა ქალის საქმე არ არის. – სტამბულში რამდენად ხშირად დადიხართ?

– სტამბულში?

ბოლოს იქ ალბათ 1999 წლის ზაფხულში ვიყავი.

– ალბათ ისლამაბადს გულისხმობთ? – შევუსწორე მე. – ხო, ისლამაბადში, – მეთანხმება ისიც და მხრებს იჩეჩავს ისე, თითქოს სტამბული და ისლამაბადი ერთი იყოს. – ქალებისთვის რთულია იქ მუშაობა?

საინტერესოა, სად, სტამბულში თუ ისლამაბადში?

საკმარისია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბოდიშს ვიხდი და ქუჩაში გავდივარ. მალმშილნადსგათანს მივუყვები სერგელის მოედნამდე და არ ვიცი, უნდა გამეცინოს თუ უნდა ვიტირო. გეოგრაფიული ატლასი ხომ არ მეყიდა მისთვის?

ღარიბებს ხელოვნება არ სჭირდებათ

2005 წლის აგვისტო

სასტუმრო „ბამიანის სახურავზე“ ამბობენ, წინა გუბერნატორის ცოლის საკუთრებაა და ვიცე-პრეზიდენტ ხალილის ძმას მიაქირავაო. ამ უმნიშვნელოდ დაზიანებულ სახლში, რომელსაც უზარმაზარი ხალიჩებით მოკაზმული ჩამოძონძილი ოთახები აქვს, საპირფარეშო არ არის. ჩვეულებრივზე უფრო მოკლე საწოლები, გაცვეთილი საბნები და ძაფებგამოძენძილი ზეწრები – სასტუმროს კორპორატიულ და უემოციო ინტერიერზე შორს ვერ წასულან.

სამაგიეროდ, ზეგნიდან ჯადოსნური ხედი იშლება მთელ მდელოზე, ტირიფებსა და მთის ფერდობებზე, სადაც დაახლოებით ორი ათასი წლის განმავლობაში ბაიმანის ბუდას სახელგანთქმული ქანდაკებები იდგა 2001 წლამდე, სანამ თალიბები ააფეთქებდნენ. მოყვითალო-ყავისფერ მიწაზე გაჩენილი ორი ორმო კბილის კარიესს ჰგავს.

ბაიმანი ჰინდუქუშის ნაწილია და ავღანეთის მთების ცენტრალურ მასივებში მდებარეობს. ქაბულიდან აქამდე მანქანით მგზავრობას ათი

საათი სჭირდება, თვითმფრინავით კი – ოცი წუთი. მოსახლეობის უმეტესობა ხაზარები არიან – თქმულების თანახმად, ჩინგიზ-ხანის შთამომავალი მონღოლები. ხაზარები ყოველთვის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ ავღანეთის სოციალური იერარქიის კიბეზე. მათ მუდმივად აშინებდნენ, ატერორებდნენ და სდევნიდნენ. ისინი ყოველთვის ღარიბები იყვნენ.

მე და ჩემი ჰოლანდიელი მეგობარი და კოლეგა, მარიკო, მოხრეშილ მოედანზე ვსხედვართ, თან წამოღებულ ღვინოს ვწრუპავთ და დღის შთაბეჭდილებებზე ვსაუბრობთ, საღამოს ცას სავსე მთვარე ანათებს. სასტუმროს წინ მწვანე და ყვითელი ფერის ნეონის ნათურები ციმციმებს. ამდენი სიმწვანე თავისი სქელკანიანი და წარმოუდგენლად ამტანი ხალხით, ამ ღვთისგან დავიწყებულ ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ არსად მინახავს. მეორე მხარეს ბუდას ქანდაკებების ადგილას გაჩენილი ღრმულები ანათებს ისე, თითქოს თავად ალაჰს დაემაგრებინოს თავისი ფარანი მთებს იქით.

„BBC“-ის ჟურნალისტი, ბაქირ მოინი, რომელიც ირანიდან და ავღანეთიდან, უკვე ოცი წელია, რეპორტაჟებს აგზავნის და ამჟამად ჩვენთან ერთად ცხოვრობს სასტუმროში, მე და მარიკოს შემოგვიერთდა. ის ავღანელ პოსტმოდერნისტ პოეტ ქალებზე გვიყვება.

– პუშტუნთაგან არავინ ეჭვქვეშ არ აყენებს თავიან კულტურას. მოდერნიზაციის ყველა მცდელობა ადგილობრივი საზოგადოების გარედან მოდის და არა შიგნიდან. თუმცა ეს პოეტები სულ სხვანაირი, უნიკალური რამის შემოქმედნი არიან, – გვიხსნის ის და თავის სიგარილიას ეწევა. მისი ენთუზიაზმი იმედს ბადებს. მთიდან მონაქროლი ჟანგბადით სავსე ჰაერი აბრეშუმივით თხელია.

ბაქირ მოინი კი საკუთარ თავზე ლაპარაკს არჩევს. – აქ ყველა მიცნობს, ყველა! სასტუმროს მმართველმა საკუთარ თვალებს ძლივს და-

უჯერა, როდესაც რეგისტრაციის გასავლელად მივედი, – ამბობს ის, კიდევ ერთ სიგარილიას უკიდებს და ბოლს ცხვირწინ უშვებს, თუმცა ბოლიც კი ვერ ფარავს მის თვითკმაყოფილებას.

მეორე დღეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომელ ქამალთან ვიყავით ვახშამზე დაპატიჟებულნი. გზას ლეილა ფრუარის სიმღერების ფონზე მერსედესის კლასის ჯიპით მივიკვლევდით თიხის სახლების გასწვრივ, რომელთა წინ კოხტად დაწყობილი შეშა და ნეხვის გროვები იყო. მინდვრებში გლეხები კარტოფილის მოსავალს იღებდნენ. კუნთმაგარი ვირები თხრილებში ამოსულ ბალახს ძოვდნენ ჭუჭყიანი ბავშვები მტვერში თამაშობდნენ. უფრო ზუსტად – უფროსები უმცროსებს ურტყამდნენ. გლობალიზაციამ აქამდე ჯერ ტოიოტას მისაბმელიანი მანქანების სახით ჩამოაღწია მხოლოდ.

ჩვენ რომ მივედით, სტუმრების უმეტესობა შეკრებილი დაგვხვდა. მათ შორის გაეროსა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლები იყვნენ. ყელსახვევებსა და მტვრიან ტანსაცმელში გამოწყობილი სტუმრები იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე ჩამომსხდარიყვნენ და საჭმელს მათ წინ ჩამოლაგებული თეფშებიდან მიირთმევდნენ. Très ethno chic[81]. საუბარი ბუდას ქანდაკებებსაც კი შეეხო. ხელოვანმა ჰირო იამაგატამ რამდენიმე კვირით ადრე ბუდას ქანდაკებების სამახსოვროდ პროექტი წარმოადგინა. ლაზერული სისტემების დახმარებით მას სურდა 140 უსახო ქანდაკების ნეონის მწვანე, ვარდისფერ, თეთრ, ლურჯსა და სტაფილოსფერში წარმოჩენა იმ მთის ფერდობსა და გზაზე, სადაც ერთ დროს მართლაც იდგა ის ქანდაკებები. ხელოვანის იდეა იმას გულისხმობდა, რომ ეს პროექცია ყოველ კვირადღეს უნდა ეჩვენებინათ რამდენიმე სა-

[81] (ფრანგ) ეთნიკური ხიბლი.

ათის განმავლობაში. სურათები დროდადრო შეიცვლებოდა. პროექტორებს კი ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ ბამიანში ქარის ენერგიით მომუშავე ორმოცამდე დანადგარით აამუშავებდნენ. მთელი ეს პროექტი რვა მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდებოდა. თანხის ნაწილს, რა თქმა უნდა, სპონსორი კომპანია „მერსედეს-ბენცი“ დაფარავდა. თავდაპირველად შემოთავაზებამ ავღანელ ხელმძღვანელობას შორის ერთგვარი მოწონება დაიმსახურა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც გაეროს ორგანოს, იუნესკოს, მიანდეს. საბოლოოდ, იუნესკოს კეთილი ნების ელჩმა, იკუო ჰარაიამამ, განაცხადა, რომ სჯობდა ღრმულები ხელუხლებლად დაეტოვებინათ, როგორც ადამიანთა ბარბაროსობის თვალსაჩინო მაგალითი.

ამ დისკუსიამ ბაქირ მოინის ნათქვამი გამახსენა, კულტურა საზოგადოებაში ცვლილებების ინიციატორი და მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალააო. ჩემი აზრით, მთელ მსოფლიოში ადამიანთა ბარბაროსული საქციელის უამრავი თვალსაჩინო მაგალითი არსებობს, ლაზერული სისტემების საშუალებით გაცოცხლებული ბუდები კი ნამდვილად კარგი სანახაობა იქნებოდა, მრავალფეროვნებისთვის მაინც.

– წარმოუდგენლად კარგი იდეაა! – წამოვიყვირე უცებ. პასუხად კი ხალიჩაზე მოკალათებული ხალხის სუსტი ოხვრა გავიგონე, რადგან მათთვის იამაგატას ლაზერ-შოუ პოპულარობით მალარიას არ ჩამოუვარდებოდა.

– თქვენ რა, ირონიას ვერ ხედავთ იმაში, რომ ბუდას ქანდაკებები ლაზერების საშუალებით გაცოცხლდება? თალიბები ხომ მოდერნიზაციის ყოველგვარ გამოვლინებას უპირისპირდებიან? ოთახში ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. – აქ მაგის ადგილი არ არის, – სიჩუმე ერთმა გარუჯულმა ახალზელანდიელმა დაარღვია, რომელსაც ნავარჯიშები კუნთები და შაქრის ნატეხებივით თეთრი კბილები ჰქონდა. ნამდვილ სერფერს ჰგავდა. თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეკითხა, ასეთი

ქათქათა კბილები სად გაიკეთა, ან ნებართვა მეთხოვა, რომ მის დაბერილ კუნთებს შევხებოდი.

– კი მაგრამ, ვინ ჩამოვა აქ მათ სანახავად? – იკითხა სტეისიმ, მხრებზე შემოხვეულ, ნაქარგებიან თავშალსა და ხის სამკაულებში გამოწყობილმა გოგონამ.

ასეთია ბოჰემის ხიბლი.

ტურისტები? არა, ტურისტთა დიდი ჯგუფები აქ არასდროს ჩამოვლენ. წიგნში „მოგზაურობა ავღანეთში“ წერია, რომ ამ იდეაზე ფიქრი ჯერ კიდევ ორმოციოდე წლის წინათ დაიწყეს, მაგრამ ნახეთ, რა გამოვიდა? 1959 წელს იან მირდალი ბამიანში იჯდა და მოსახლეობის გაფართოებასა და ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე ფიქრობდა. მას სწამდა, რომ ავღანეთი აზიის ყველაზე წარმატებული ტურისტული ქვეყანა გახდებოდა. ის, რა თქმა უნდა, ცდებოდა, რადგანაც ტურისტებს აქეთ გამოხედვაც არ უფიქრიათ, თუ 60-70-იან წლებში ოპიუმზე მონადირე ჰიპების სუსტ ნაკადს არ ჩავთვლით. წლების განმავლობაში ტურისტებმა სამოგზაუროდ შედარებით მშვიდობიანი ქვეყნები არჩიეს.

– ბამიანის მოსახლეობაზე, ჩვენნაირ ხალხზე რას იტყვი? სტეისიმ ამოიოხრა.

– რა საჭიროა ეს? რა სარგებელი მოჰყვება ამას? – სარგებელი? ნუთუ საკმარისი არ არის, რომ ეს ხელოვნების ნიმუში იქნება? – ვსვამ კითხვას ... და ვცდილობ თავისუფალი ხელოვნება ჩემი მოულოდნელი, გაუაზრებელი და ახალი პოზიციიდან დავიცვა.

– ხელოვნება ხელოვნებისთვის?

გოტიეს ხელოვნების თეორიების მსგავსად, მეც ამაოდ დავახარჯე ჩემი ფრანგული სტეისის, სერფერ ბიჭსა და სხვებს. სტეისიმ ამრეზით გადმომხედა:

– მაგრამ მათ ხომ ელექტროენერგია და წყალიც კი არა აქვთ აქ?

ამ დისკუსიამ ჩემს სამშობლოში გამართული სამხარეო საბჭოს დებატები გამახსენა. რატომ ხდება ყოველთვის ისე, რომ კულტურისათვის

გამოყოფილ თანხებს ჯანდაცვისათვის გამოყოფილ თანხებთან აბალანსებენ და არა საჯარო მოხელეთა სამივლინებო ხარჯებთან, გადასახადების ზრდასთან ან სახელმწიფოს მიერ შეძენილ უკანასკნელი მოდელის შეიარაღებასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურთან, გზების მშენებლობასთან ან მასმედიისათვის გამოყოფილ დახმარებასთან?

სტეისიმ და მის გარშემო ხალიჩაზე ჩამომსხდარმა საზოგადოებამ ქედმაღლურად, უფრო სწორად კი, ეჭვის თვალით გადმომხედა. მე კი ერთი კითხვა მაწუხებდა. ლაზერშოუს პროექტის ჩავარდნის შემთხვევაში, გაიღებდნენ კი მერსედეს-ბენცი და იამაგატა წყალმომარაგების პროექტისათვის იმავე 8 მილიონ დოლარს? ჩემთვის ეს ყველაფერი ერთგვარ არჩევანს წააგავს, სადაც ერთ მხარეს დგას ბამიანი ლაზერ-შოუთი, მაგრამ ელექტროენერგიისა და წყლის გარეშე, მეორე მხარეს კი – ბამიანი ლაზერ-შოუს, ელექტროენერგიისა და წყლის გარეშე.

ყანდაარი

2005 წლის სექტემბერი

სექტემბრის შუა რიცხვებია. საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღეღა რჩება. ოფისში ვზივარ და ქვეყნის სამხრეთ ნაწილებში მიმდინარე მოვლენების სამხედრო ვერსიას ვისმენ. კონკრეტულად კი იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ტერორიზმის წინააღმდეგ წამოწყებული უიმედო ომი. სიმართლე გითხრათ, ტერორისტთა წინააღმდეგ წამოწყებული ომის არსს უფრო ვხვდები, თუმცა ისეთი ფრაზებისა, როგორებიცაა War on terror და War on terrorism, ნაკლებად მესმის. როგორ შეიძლება გრძნობის ან მეთოდის წინააღმდეგ ბრძოლა?! ამ ლოზუნგების მიღმა ყველაფერი ავიწყდებათ, რაც ექსტრემიზმის გავრცელების შესაჩერებლად არის საჭირო: საკვები, განათლება, სამუშაო, კანონები, რომლებსაც ემორჩილებიან; ათასობით გაბრაზებული, უმუშევარი მამაკაცი, რომლებიც ოცნებობენ ცვლილებებსა და იმ მომავალზე, რაც არასდროს მოვა. ამგვარი ასიმეტრია მუდამ მაოცებდა, კოალიციური ძალების თვალისმომჭრელი მაღალტექნოლოგიური საბრძოლო მანქანები – ტექნოლო-

გიურად დაბალგანვითარებული, კალაშნიკოვის ასლებით შეიარაღებული ფეხშიშველა და გრძელწვერიანი კაცების წინააღმდეგ. თუმცა ერთი მუჭა ქვა-ღორღითაც მიაღწევ წარმატებას, თუ დაზეთილი მანქანებით სწორედ იმ სიღრმეზე ჩააყრევინებ, რამდენზეც საჭიროა. ფიქრი ახალგაზრდა მაიორის ფეხის ხმამ გამაწყვეტინა. მაიორი სამხედრო ნაბიჯით შემოვიდა კარში.

– ეს ადამიანი ურუზგანის პროვინციის ნამდვილი ექსპერტია, – გვითხრა ყანდაარის აეროპორტში ჰოლანდიური სპეცდანაყოფის უფროსმა და მის უკან მდგარ ამერიკელ მაიორზე მიგვითითა, რომელსაც ერთი წელი უკვე გაეტარებინა ავღანეთში. მაიორს ქერა თმა და ისეთი სუსტი აღნაგობა ჰქონდა, რომელიმე ახალგაზრდული სუპერრომანტიკული ფილმიდან გადმოსულ ბეისბოლის მოთამაშეს უფრო ჰგავდა. მაიორმა განგვიმარტა, რომ ურუზგანის პროვინციაში მომსახურე ამერიკელ სამხედროებს პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ ურუზგანის პროვინციის მაცხოვრებლებთან. ცოტა სასაცილოდ მეჩვენა ამგვარი კონტაქტი. აბა, სხვა რაღა დაგრჩენია, როდესაც აქ იმისთვის ხარ, რომ მათი გულები მოიგო. მეგაფონიდან უნდა იყვირო ურჩხულებივით უშნო სამხედრო მანქანებზე ამხედრებულმა, რომლებსაც ადგილობრივი მამაკაცები შურით შესცქერიან? ჰალალის წესით მომზადებული Happy Meal-ებით უნდა დაბომბო? თუმცა, მისი რა ბრალია. პირადად მე, პისტოლეტის მუქარითაც კი ვერ გავბედავდი ურუზგანში ჩასვლას. ჩემი საზომით, ურუზგანი სახიფათო ადგილია. თავგადასავლები ყოველთვის მიტაცებდა, თუმცა სიკვდილი ჯერ არ მომნატრებია.

– მაზდარიას შესახებ ხომ არ იცით რამე? ამბობენ, თავის საარჩევნო კამპანიას გუბერნატორ იან მუჰამედის ოფისიდან მართავსო, მართალია? – მაიორის მისამართით იკითხა ტომასმა, გერმანიის საელჩოს თანამშრომელმა, რომელიც მეგზურობას მიწევდა.

ტომასმა ყველაფერი იცის. ის ყველას იცნობს და ყველაფრის საქმის

კურსშია. პუშტუსა და დარიზე საუბრობს და ავღანეთში 80-იანი წლებიდან მოყოლებული სხვადასხვა მისიით მუშაობს, თუმცა აღმოსავლეთ გერმანელი დიპლომატის რანგში დაიწყო. ის, ერთ-ერთი იმ დასავლელ ექსპერტთაგანია, რომლებიც ყველაზე ახლოს მივიდნენ ავღანური თავსატეხის ამოხსნასთან.

მაიორმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

– დარწმუნებული არა ვარ, რომ ვიცი, ვინ არის მაზდარია, – თქვა მაიორმა და დასაკეც სკამზე შეიშმუშნა, ოთახში კი მისი ოდეკოლონის სურნელი გავრცელდა.

– ის ურუზგანის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია, – განუმარტა ტომასმა და იქიდან დაუყოვნებლივ წამოსვლის სურვილი გაუჩნდა.

შეხვედრის შემდეგ უკაცური გზების გავლით ქალაქში დავბრუნდით. ირგვლივ 360 გრადუსზე გადაშლილი უდაბნო გადაჭიმულიყო. მანქანის ღია ფანჯრებში ორმოცგრადუსიანი ცხელი ქარი უბერავდა. ტომასი ზოგადად არ არის სამხედროების მიმართ სიმპათიით განწყობილი და ამ კონკრეტული შეხვედრის შემდეგ, მგონი, საერთოდ დაკარგა რწმენა, რომ საერთაშორისო კოალიციური ძალები რამენაირად მაინც მოახერხებდნენ ამ ქვეყნის სწორ გზაზე დაყენებას; ან რომ ჩვენი აქ ყოფნა რაიმე შედეგის მომტანია. თუმცა იგი არაფერს ამბობს, მხოლოდ ფიქრობს და მის ეჭვებს მეც ვიზიარებ. თალიბების მიერ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ არანაირი სტრატეგია არ არსებობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოს აღმშენებლობის გეგმის ქაღალდიდან რეალობაში გადატანა. ამაზე უკეთეს შედეგს საერთაშორისო საზოგადოებამ ჯერ ვერ მიაღწია. სხვა გარემოპირობებში შესაძლებელია მიეღწია კიდეც, მაგრამ ავღანეთი ხვრელებით სავსე ნავს ჰგავს. ჩვენ კი, ყველანი, ამ ნავში ვსხედვართ და იმის ნაცვლად, რომ ხვრელები ამოვავსოთ, წყალს ვხაპავთ და ერთმანეთს ვეტრაბახებით, ვინ რამდენი ამოხაპა.

მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათებულნი სიცხეში მოლასლასე რამდენიმე აქლემს ვუყურებთ, რომლებიც ქვიშიან პეიზაჟზე ჩანან. თვითნაკეთი ასაფეთქებელი საშუალებების შესახებ მოსმენილი ინფორმაციის შემდეგ გზის ნაპირებს ფრთხილად ვათვალიერებ და საეჭვო საგნებს ვეძებ. იქნებ ეს ნავთის კასრი იყოს? ან ეს დაფეხვილი მოპედი? არა, აზრი არა აქვს, ამ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარი თავის დასაშინებლად თუ გამოვიყენებ, სხვა ვერაფრისთვის. ასე დაშინებული კი მხოლოდ ბუნკერში თუ გამოვიკეტები, რის სურვილიც ნამდვილად არ მაქვს. ამჟამად სხვა რამეზე ვფიქრობ. მანქანის მაგნიტოფონიდან Coldplay-ის სიმღერა „Talk“ ისმის, რომელიც მე და ტომასმა მაშინვე თალიბების სიმღერად შევრაცხეთ.

Are you lost or incomplete?
Do you feel like a puzzle,
you can't find your missing piece?
Tell me, how do you feel?
Well, I feel like they're talking in a language I don't speak
And they're talking it to me...[82]

მოლა ხაკსარს ვხვდებით – უსაფრთხოების სამსახურის უფროსსა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, რომელიც თალიბური მთავრობის უსაფრთხოებაზე აგებდა პასუხს, თუმცა ძველი ცოდვები მიუტევეს და ახლა საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატია.

---

[82] თუკი დაიკარგე [redacted] თუ თავი ფაზლი გგონია, რომელსაც ნაწილი აკლია; [redacted] და თუკი შენი დაკარგული ნაწილის პოვნა არ შეგიძლია, [redacted] მითხარი, რას გრძნობ. [redacted] თავს ისე ვგრძნობ, თითქოს იმ ენაზე მესაუბრებიან, რომელიც არ მესმის, [redacted] ისინი კი მაინც მესაუბრებიან...

ჩვენ რომ მივედით, მოლა ხაკსარი სავარძელში იჯდა, ჩაის მიირთმევდა და „ეშმაკის ყუთში“ – ასე თალიბები უწოდებდნენ ტელევიზორს – ფეხბურთს უყურებდა. მის ცივ ოთახში რომ შევედით, მოლამ ტელევიზორი Tolo TV-ის მუსიკალურ პროგრამაზე გადართო და ოთახი მხიარული ტექნოს ჰანგებით გაახალისა. თუმცა, ჩვენი ნათქვამის გაგება რომ შეძლებოდა, ხმას სულ ოდნავ დაუწია, ისიც ძალიან უხალისოდ.

ჩვენმა მასპინძელმა სიგარეტს მოუკიდა, ჩვენ კი პეპსი-კოლა და თხილი შემოგვთავაზა. საუბარი საარჩევნო კამპანიასა და მის კანდიდატურაზე დავიწყეთ. შემდეგ შერიგების პროცესსა და ხაკსარის ამბიციებსაც შევეხეთ. ის გეგმავდა დიდი, ეროვნული და მრავალეთნიკური პარტიის დაარსებას, რომელიც ცვლილებებს მოიტანდა.

– ქალებიც ამ საზოგადოების ნაწილნი არიან. თალიბებს სწორედ ამიტომ ჩამოვშორდი, – გვითხრა მან.

– არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, რას აპირებთ? რომელი საკითხების წამოწევას გეგმავთ? – ვკითხეთ ჩვენ. მან კი ცარიელი თვალებით შემოგვხედა და აშკარად დაეტყო, რომ ჩვენს კითხვას ვერ ჩასწვდა.

შუქი ჩაქრა. მუსიკაც გაითიშა. სიბნელეში დარჩენილებმა არჩევნების გაყალბებაზე დავიწყეთ საუბარი.

მეორე დღეს ნურულა ოლუმის შევხვდით. ის კომუნისტური რეჟიმის დროს მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, ახლა კი პარტიას უდგას სათავეში და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე ძლიერ კანდიდატად ითვლება. ოლუმი ოცნებობს, რომ მისი პარტია მალე ყველაზე დიდი და მრავალეთნიკური გახდება.

– ჩვენ ცვლილებები გვწყურია. ერთმანეთს გაგებით უნდა მოვეკიდოთ, – გაუთავებლად გვიმეორებს ოლუმი და სუპერ-კოლასა და თხილზე გვეპატიჟება. ბოლოს იძულებულნი ვართ, შევაწყვეტინოთ და შემდეგ შეხვედრაზე გავემგზავროთ, სადაც პრეზიდენტის ძმა, ქაიუმ ყარზაი

გველის.

ქაიუმ ყარზაიც საპარლამენტო არჩევნებში იყრის კენჭს. ის პრეზიდენტ ყარზაის ნამდვილი ასლია. მათ ჯდომისა და საუბრის მანერა და ჟესტების ენაც კი ერთნაირი აქვთ. პრეზიდენტის ძმა მომხიბლავი ადამიანი და კარგი მოსაუბრეა.

საუბარი უმეტესად მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ ტრიალებს. ქაიუმი გამარჯვებაში დარწმუნებულია.

– ოი, ოი, როგორ უნდა ჩაიაროს?! – „წუწუნებს“ თვითკმაყოფილი ქაიუმი, – ცხოვრებაში პირველად მიწევს ქაბულში გადასახლება და საკუთარი საცხოვრებელი ადგილისა და შესაფერისი ავეჯის ძებნა.

კენჭისყრის სისტემა და ის, რომ მის გარდა კიდევ ბევრი იყრის კენჭს, როგორც ჩანს, საერთოდ არ აღელვებს. ალბათ საამისო მიზეზი აქვს და იმიტომ.

პრეზიდენტმა ყარზაიმ უარი განაცხადა რომელიმე პარტიის ან გაერთიანების მეთაურობაზე, რასაც იმით განმარტავს, რომ სძულს პოლიტიკური პარტიები. მისი თქმით, სწორედ პოლიტიკური პარტიების აღზევებამ მიიყვანა ქვეყანა ამ სავალალო მდგომარეობამდე. თუმცა ის კი აშკარაა, რომ მისი მეთაურობის ქვეშ პროპუშტუნური პარტია უფრო იქნება, ვიდრე მრავალეთნიკური პოლიტიკური ძალა. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ მისით იმედგაცრუება პუშტუნთა ლიდერებშიც კარგად შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი – ავღანეთ-პაკისტანის საზღვართან, სადაც ომი ტერორიზმის წინააღმდეგ სრული სვლით მიმდინარეობს და უაღრესად გართულებული უსაფრთხოების მდგომარეობის გამო, ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებაც ვერ აღწევს. სხვადასხვა პუშტუნურ კლანს შორის მტრობა ასობით წლის განმავლობაში ბატონობდა რელიგიასა და პოლიტიკურ იდეოლოგიაზე და ყველაფერზე, რაც მათ შორის არსებობს. ბევრი პუშტუნი ნამდვილად ვერ ხედავს ნამდვილ

პუშტუნს კოსმოპოლიტურ და განათლებულ ყარზაიში. შედეგად კი მხოლოდ დანაწევრებულ პარლამენტს მივიღებთ, რომელსაც პრეზიდენტი ვერც გააკონტროლებს და ვერც დაუპირისპირდება.

საუბრის დროს ოთახში პრეზიდენტის კიდევ ერთი ძმა, შალვარ-კამიზში გამოწყობილი, ფეხშიშველი აჰმედ ვალი შემოვიდა. ავღანელთა უმეტესობა მას ქვეყნის ყველაზე ძლევამოსილ ნარკობარონად მიიჩნევს, თუმცა საუბრის დროს ის თითქოს დარცხვენილიც კი იყო. ჩაის სვამდა, ცერა თითებს ათამაშებდა და ინტერესით უსმენდა ჩვენს დისკუსიას ბევრი არაფერი უთქვამს.

საპარლამენტო არჩევნებში აჰმედ ვალიც იყრის კენჭს, თუმცა პროვინციის ძალაუფლებადაკარგულ საბჭოს მეთაურის პოზიციაზე.

– ყანდაარში თუ არ დარჩა, თავის ნარკოიმპერიაზე კონტროლს დაკარგავს, – სარკასტულად აღნიშნა ერთმა ჩვენმა კოლეგამ.

მართლაც რომ ასეა. ნარკოვაჭრობიდან მიღებული ფული ხომ ყველაზე უკეთ პოხავს ავღანეთის ეკონომიკის დაჟანგულ ბორბლებს.

წასვლამდე ქაიუმ ყარზაი საღამოს ვახშამზე გვეპატიჟება, სადაც საბოლოო ჯამში ათიოდე ადამიანმა მოიყარა თავი. ვახშმად ფლავს, ქათმის ხორცსა და ბოსტნეულს მივირთმევთ და სამი საათის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოების ჩართულობას, ავღანეთის პასუხისმგებლობას, ინსტიტუტების მშენებლობასა და ზოგადად გასაკეთებელ საქმეებს ვაანალიზებთ, თუმცა არსებობს ორი – საკითხი, რომლებსაც სიღრმისეულად არასდროს ვეხებით. ეს საკითხები პრეზიდენტის მიერ გატარებული სამუშაო და – ანტინარკოტიკული პოლიტიკაა.

– ჩვენ გვსურს ცვლილებები, – ამბობს ქაიუმი.

„ალბათ უმჯობესი იქნება, ამაზე შენს ძმას გაესაუბრო“, – გავიფიქრე ჩემთვის.

მომდევნო საღამოს ვახშამზე გუბერნატორის, ჰაჯი აზადულას, სახლში დაგვპატიჟეს. 34 წლის გუბერნატორი აბდ ალ-რაბ ალ-რასულ საიაფის მოკავშირეა და ყოფილი მოჯაჰედის ძალადობითა და სისხლით მოთხვრილი წარსულით – ამაყობს.

საიაფი ხელწამოსაკრავი ფიგურა არ არის. თავისი თეთრი სამოსითა და გრძელი თეთრი წვერით ზღაპრებიდან გადმოსულ კეთილ ბერიკაცს ან ბრძენს წააგავს. მას ყველაფერი აქვს: კარგი მანერები, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის საშუალება, განათლება, სიმდიდრე, თუმცა ამ კეთილშობილური საფარველის მიღმა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი პოლიტიკური და რელიგიური ფიგურა იმალება, რომელმაც ავღანეთში ვაჰაბიტური სულისკვეთების ისლამური ფუნდამენტალიზმი გააცოცხლა. 1990-იანი წლების დასაწყისში საიაფი ავღანეთსა და პაკისტანში ტერორისტთა რამდენიმე ბანაკს აფინანსებდა. ახლა კი სრულიად ბუნებრივია, რომ ის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ქაბულთან ახლოს მდებარე პაღმანის პროვინციიდან იყრის კენჭს.

საიაფი ყველას მიავიწყდა, როდესაც ჰაჯი აზადულამ იმ მშვიდ საღამოს თავისი რეზიდენციის კერძო ნაწილში მიგვიღო. ჩოგბურთის სათამაშო მაისურსა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილ გუბერნატორს წვერი ათი დღის გაუპარსავი ჰქონდა და თავისი აუღელვებელი და ქარიზმატული მანერით იმ სერბ მასწავლებელს ჰგავდა, ბავშვობაში ჩელოზე დაკვრას რომ მასწავლიდა და შიშის ზარს მცემდა. აზადულა გვერდზე მომიჯდა და სავარძლის საზურგეზე ხელი გადმომხვია. მე და ტომასმა ერთმანეთს გადავხედეთ. გამიმართლა, რომ წარმოშობით აქედან არ ვარ და ჩემს ნათესავთაგან აქ არავინ ცხოვრობს.

– ჩვენ ცვლილებები გვსურს. ახალი თაობის დრო მოვიდა. ახლა მათ

უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, – ამბობს გუბერნატორი, რომელიც თავისუფლად საუბრობს ინგლისურად და კიდევ უფრო ახლოს იწევს ჩემკენ.

„ალბათ უმჯობესი იქნება, ამაზე საიაფს დაელაპარაკო“, – გავიფიქრე ჩემთვის და სავარძლის კიდისკენ მივიწიე.

ვახშამს ქაიუმიც დაესწრო. იგი ბიძასთან, ჩეხეთის რესპუბლიკაში ავღანეთის ელჩთან ერთად მოვიდა. ვახშმამდე ავღანეთში მოახლოებული არჩევნების დასრულების შემდეგ გაეროს როლზე ვსაუბრობდით.

– გაერო. რას იზამს გაერო? – გადამდები სიცილით აღნიშნა ელჩმა.

– გაერო მოკრძალებულ მოხუცს ჰგავს, რომელიც საავადმყოფოში წევს და აპარატზე შეერთებული სიკვდილს ებრძვის. სადენებს თუ გამოურთავენ, მოკვდება, თუმცა, ცხადია, რომ მოხუცი და ასეთი ძვირფასი ბაბუის სიკვდილში ხელის გასვრა არავის სურს. ამის ნაცვლად მასთან მიდიან ყოველდღე და ყვავილები მიაქვთ. კითხულობენ მის ამბავს და უაღრესად დიდ პატივისცემას იჩენენ მისდამი, – ელჩმა ისევ გაიცინა, – მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ მოხუცი ბერიკაცი რამის შეცვლას შეძლებს, ნამდვილად სასაცილოა. მე კი პირიქით მომეჩვენა, რომ გაეროს ბედისწერას უფრო ადრე ავღანეთი გაიზიარებდა და ამ აზრმა გული ჩამწყვიტა.

გაეროს სასტუმრო სახლში რომ დავბრუნდით, პიკის საათი კარგა ხნის გამოცხადებული იყო. გუბერნატორმა, უსაფრთხოების მიზნით ჯარისკაცებით გატენილი ჯიპი გამოგვაყოლა, რომ უკაცრიელ ქალაქში ჩვენთვის მეგზურობა გაეწიათ.

საარჩევნო დღე. საშინლად ცხელა. თუმცა სექტემბერში შუაგულ უდაბნოში სხვას რას უნდა ელოდო? მანქანის მიღმა უდაბნოს მარტივი და გაშიშვლებული პეიზაჟი მისრიალებს, რომელიც ასე შორს არის იმ

კომერციალიზმისაგან, მე რომ ძალიან დიდხანს ბუნებრივ მოვლენად მივიჩნევდი. ჩამოწეულ ფანჯარასთან ვზივარ და ვგრძნობ, რომ მზე დღეს ჩემთვის ამოვიდა და არსად წასვლას არ აპირებს. მეც მოვედი, ცხოვრებისაგან ასე გამოფიტული.

ჰაერი აუტანელი სიცხისაგან ცახცახებს, მე კი – დაძაბულობისაგან. არჩევნებსა და დემოკრატიას შორის ტოლობის ნიშნის დასმა და საკუთარი უკმაყოფილებისა და ნეგატიური – განწყობის დამალვა ხომ არც ისე ადვილია. დემოკრატია ავღანურად – მთელი თავისი, ოქროს ფურცელივით თხელი ბრწყინვალებით.

მე და ტომასი ყანდაარის აღმოსავლეთით, დამანის რაიონში დაბომბილ, უკაცრიელ ქუჩებს მივუყვებით. თან ჩემი თარჯიმანი, ჰუმა, გვახლავს. ძალიან მიხარია, რომ ტომასის დახმარებით მისი პოვნა შევძელით.

ის ქალები, რომელთაც აქ მუშაობის ნებას რთავენ, იმდენად ცოტანი არიან, რომ ძალიან დიდხანს ამის დაჯერებაც მიჭირდა. ჰუმას ბოლო წამს დართეს ნება, ჩემთან ემუშავა, და არჩევნების წინა დღეს ის ყანდაარში ჩემთან შესახვედრად ჩამოვიდა.

თითოეულ საარჩევნო პუნქტთან ვიყოფით. ჰუმა ბრწყინვალედ საუბრობს ინგლისურად, ენთუზიაზმით სავსე, გონებამახვილი და ენერგიულია და საარჩევნო პუნქტებშიც დანაშაულის ადგილზე მისული პოლიციელივით მოძრაობს, მისი სახე მახალისებს და მცირე იმედს მიღვივებს, რომ ახალგაზრდა ავღანელ ქალებს თავიანთ დედებზე უკეთესი მომავალი ექნებათ. ამ ქვეყანას ხომ ჰაერივით სჭირდება თავისი ქალები.

– მინდა დეტექტივი გამოვიდე, – მპასუხობს ჰუმა, როცა სამომავლო გეგმებზე ვეკითხები.

ალბათ „CIS“-ის[83] ბევრი სერია აქვს ნანახი.

– ნამდვილად კარგად გამოგივა ეგ საქმე, – ვამხნევებ მე იმიტომ კი არა, რომ პოლიციის საქმიანობაში ზედმიწევნით კარგად ვარ ჩახედული, არამედ იმიტომ, რომ გულწრფელად მინდა ყველაფერი გამოუვიდეს. ჰუმა საღეჭი რეზინის ღეჭვას განაგრძობს და ყველაფერს გაფართოებული თვალებით აკვირდება. ლტოლვილობისას ქუეტაში ცხოვრებას თუ არ ჩავთვლით, ჰუმა არასდროს ყოფილა ქაბულს გარეთ.

საარჩევნო პუნქტებს ერთიმეორის მიყოლებით ვათვალიერებთ. ზამ-ზამ-კოლასა და თხილზე გვეპატიჟებიან.

ყველგან ძილისმომგვრელი სიმშვიდეა. ამომრჩეველთა შორის იმდენად ცოტა ქალია, რომ თითზე ჩამოსათვლელადაც კი არ ღირს.

მეორე დღეს, ქაბულში გაფრენამდე, სასტუმრო სახლში უკანასკნელად ვსაუზმობთ. საუზმედ ერბოკვერცხს მივირთმევთ. გაეროს მისიის თვითმფრინავში ასასვლელად რომ ვემზადებოდით,, ჩვენ წინ უპილოტო და უფანჯრო მზვერავი თვითმფრინავი დაეშვა და ჩვენკენ გამოგორდა. სხვა მხრივ, მთელმა მგზავრობამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა. სამი დღის შემდეგ ტომასმა დამირეკა.

– ჰუმამ დარეკა. ტიროდა. მამამისი გაბრაზებულია იმის გამო, რომ ის უცხოელ მამაკაცთან ერთად დაინახეს. ტომასს იმდენად მტკიცე ხმა ჰქონდა, რომ მისი ნათქვამის გარჩევაც კი გამიჭირდა.

– ის ამბობს, რომ მან ჩირქი მოსცხო ოჯახის ღირსებას და შეურაცხყოფა მიაყენა მათ, ამიტომ უნივერსიტეტში სწავლას აღარ გააგრძელებს.

პუშტუნვალის, ანუ პუშტუნების პატივისა და ღირსების კოდექსის თანახმად, ოჯახის ღირსება ყველაზე წმინდა რამ არის. მნიშვნელობა

[83] CSI – Crime Scene Investigation, ამერიკული კრიმინალური სერიალი.

არა აქვს, საქმე ერთი ცხვრის მოპარვას ეხება თუ შეურაცხყოფილ ქალიშვილს; მთავარი ოჯახის პატივისა და ღირსების ნებისმიერ ფასად დაცვაა.

გადავწყვიტეთ, მაშინვე მიკრორაიონში წავსულიყავით. აქ ტალახისფერ და ნახევრად დანგრეულ ბარაკთაგან ერთერთში ჰუმა ცხოვრობდა. ავღანეთის მიკრორაიონებშიც სწორედ ისეთი საცხოვრებელი კორპუსები დგას, როგორც კიევის, ერევნისა თუ ტალინის გარეუბნებში. მათ ალბათ განზრახ ამახინჯებენ ასე, ვინმე ავადმყოფი, არქიტექტურის დოქტორი მენგელეს[84] ბრძანებით, რომ ადამიანებმა წარმოუდგენლად მძიმე პირობებში იცხოვრონ.

ჰუმასთან რომ მივედით, ისეთი ნაცემი დაგვხვდა, ფეხზე ძლივს იდგა. ტკივილისაგან სახე დამანჭვოდა. წვალებით დაეშვა ბალიშზე დეპრესიით სავსე ბინის დეპრესიულ მისაღებ ოთახში, სადაც მასთან ერთად მისი ბიძა, ექიმი საბერიც იჯდა და ჩაის მიირთმევდა.

ექიმი საბერი გაცოფებული იყო თავისი ძმის საქციელის გამო და ემოციურად იქნევდა ხელებს.

– როგორ შეეძლო ასეთი რამ გაეკეთებინა! ის ხომ დემოკრატიული პარტიის წევრია! და ამის შემდეგ ამტკიცებს, რომ სურს ცვლილებები ავღანეთში! თვითონ ხომ კარგად დადის გერმანიაში ლუდის დასალევად! თავის ქალიშვილს კი ასე ეპყრობა!

საბერი სტაკატოებით ლაპარაკობდა; თითოეული წინა. დადების შემდეგ ჰაერის ნაკადს ისუნთქავდა, რომ შემდეგი ფრაზა კიდევ უფრო მეტი სიბრაზით წარმოეთქვა.

– ის ამბობს, რომ მე ოჯახის ღირსება შეურაცხვყავი; რომ ყველაფერი

---

[84] იოზეფ რუდოფ მენგელე, ნაცისტური გერმანიის პარამილიტარისტული ორგანიზაციის, „შუტცშტაფელის“ ოფიცერი, მეტსახელად – „სიკვდილის ანგელოზი“.

შეიძლება მომხდარიყო; რომ აღარავინ მოისურვებს ჩემზე დაქორწინებას, მაგრამ მე არაფერი დამიშავებია, არაფერი მომხდარა! – შეშინებული თაგვივით ამოიწრიპინა ჰუმამ და ცრემლები წასკდა.

– არ მინდა, ჩემი ძმისშვილი ისეთ კაცზე გათხოვდეს, რომელიც ასე ფიქრობს, – საბერი ბალიშზე ირხევა, – ჩემი ძმა გიჟია! რა ცვლილებების იმედი უნდა ჰქონდეს ქვეყანას ასეთი ხალხის ხელში?! მე მას პარტიიდან გავრიცხავ! საბერი თავს აქნევს და ერთი წამით სახეს ხელებით იფარავს. ტომასი სახეწაშლილია და დროდადრო საბერისაგან ითხოვს, რომ ჰუმას მამას შეახვედროს, მისგან მოისმინოს, რომ ის, მისი დიდი ხნის მეგობარი ტომასი, მაჰარამად, ანუ მისი ქალიშვილის მხლებლად, აღარ გამოდგებოდა. პატივისა და ღირსების შესახებ გამართული საუბრის თითოეულ სიტყვას გულდასმით ვუსმენ და ასე მგონია, რამდენიმე საუკუნით უკან, პუშკინის რომელიღაც რომანში მოვხვდი, სადაცაა, დუელი გაიმართება. ტომასი დუელისტია, ექიმი საბერი კი – სეკუნდანტი.

თავი საშინლად ვიგრძენი. ასე ცუდად დიდი ხანია არ ვყოფილვარ. სხვა რის მაქნისია ის თავბრუდამხვევი მილიარდი, რომელიც ჩვენ ამ არჩევნებსა და ავღანეთის დემოკრატიული განვითარების შესახებ მაღალფარდოვან საუბარში ჩავდეთ, თუ არა თავბრუდამხვევი ილუზია? ლამაზი სიტყვები ვერ ეწინააღმდეგება რეალური ცხოვრების სირთულეებს და მათთან შეჯახებისას ნამსხვრევებად იქცევა. გარდა იმისა, რომ ქვეყნის მმართველებმა რამდენიმე ცარიელი ფრაზა დაიზეპირეს დემოკრატიისა და ქალთა უფლებების შესახებ, ამ ქვეყანაში ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო. არჩევნები ინსტიტუციონალიზაციისა და დემოკრატიის მშენებლობის ამ ფართო პროცესის ერთი მცირე ნაწილიც კი არ არის. სხვა რა შეიძლება იყოს ეს კონვენციები და კანონები იმის შესახებ, რომ ქალებსაც იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს, თუ არა აბუჩად აგდება და ჰუმანიტარული ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად მათ

ცხვირწინ ფურცლების ფრიალი. ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობის შემდეგ ახალი ცხოვრება ახალი ათვლის წერტილიდან არავისთვის დაწყებულა, მით უმეტეს, არც ავღანელი ქალებისთვის შეცვლილა რამე. კიდევ ერთი დამხობილი რეჟიმი დამხობილი რეჟიმების უგრძეს სიაში. ქვეყანაში არსებული საერთაშორისო ძალების წარმომადგენლობა თავისი მონდომებული და კეთილი თანამშრომლებით, სამხედროებითა და დიპლომატებით – მხოლოდ ერთი თავია ავღანეთის სისხლითა და სისასტიკით სავსე ისტორიაში.

ჰუმას გავხედე, რომელიც ცრემლებით სავსე ცარიელი თვალებით მიშტერებოდა ხალიჩას. ის განადგურებულია და ფრთამოტეხილ ჩიტს ჰგავს. ის უკვე აღარ არის ის, ვინც რამდენიმე დღის წინ სადარბაზოში გამოვაცილე.

ისლამაბადი

2005 წლის ოქტომბერი

ხუთშაბათი დილა. გაეროს თვითმფრინავით ისლამაბადში მივემგზავრები. იქ, სადაც ცოტა ხნით მაინც თავისუფლად სუნთქვა შემიძლია. ორ დღეს საელჩოში ვატარებ და ყველა იმ ანგარიშს ვკითხულობ და ვაგზავნი, რომელთა წაკითხვისა და გაგზავნის საშუალებაც ქაბულში არ მაქვს, რადგან ჩვენს ოფისს დაცული საკომუნიკაციო საშუალებები ღალატობს.

ავღანეთში შვედეთის სამხედრო წარმომადგენლობა წელიწადში 315 მილიონი კრონა ჯდება. ჰუმანიტარული მიზნებისთვის 2004 წელს 406 მილიონი კრონა გამოიყო. თუმცა ჩვენი წარმომადგენლობის პოლიტიკური ნაწილისათვის – ერთი დიპლომატი ერთ ადგილზე – დაცული საკომუნიკაციო საშუალებები ან თუნდაც ინტერნეტში ჩართული, გამართულად მომუშავე ერთი კომპიუტერიც კი არ გამოუყვიათ.

ჩემი აქ ყოფნის პირველ თვეებში სამინისტროს სატელეფონო შეტყო-

ბინებით ვაცნობე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში თანამედროვე კომუნიკაციის შენარჩუნება. სატელეფონო შეტყობინების საშუალებით ოფიციალურად მოვითხოვე სარეგისტრაციო ნომრის მონიჭება, თუმცა დაგეგმვის შტაბში დაავიწყდათ ან საერთოდ არ მიუქცევიათ ყურადღება ამ დეტალისთვის. იმ დღის შემდეგ ყველა საშუალებითა და მეთოდით ვიბრძოდი, მაგრამ პასუხად არაფერი მიმიღია. როდესაც, დაახლოებით ორი წლის თავზე, ქვეყანა დავტოვე, ზემოხსენებული პრობლემა კვლავაც მოუგვარებელი იყო. ის ადამიანები, რომლებიც სტოკჰოლმში სხედან და გეგმავენ, ადგენენ ბიუჯეტებსა და იღებენ გადაწყვეტილებებს, თუ რამდენად სქელი უნდა იყოს არქივის კედლები, როგორი საოფისე ავეჯი უნდა შეიძინონ მთავრობის სახელით, მე და ჩემნაირ თანამშრომლებს წელიწადში ერთი შვებულება გვეყოფა თუ სამი, რომ ცოტა აზრზე მოვიდეთ, არასდროს უწყობენ ფეხს მთელი სამინისტროს საქმიანობას. პოლიტიკურ ამბიციებს, საველე სამუშაოებსა და Excel-ის ცხრილებს შორის იმდენი ხარვეზი იჩენს ხოლმე თავს, რომ გაუმართავი კომუნიკაციების იმედზე დარჩენილი სახელმწიფო მოხელე შეიძლება სრულიად ადვილად გადაიჩეხოს უფსკრულში.

კრიპტოფაქსის არქონის გამო ისლამაბადში იმდენჯერ შემიძლია წავიდე, რამდენჯერაც მოვასწრებ. გარესამყაროს შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა კი კარგი მიზეზია იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ოფისს გარეთ, შევხვდე ხალხს, თავად გამოვიძიო და საკუთარი დასკვნები გამოვიტანო.

მსიამოვნებს პაკისტანის დედაქალაქში ყოფნა, რომელიც ავღანეთის შემდეგ ყველაზე ნათელ და უდარდელ წერტილად მიმაჩნია მთელ მსოფლიოში. სინამდვილეში კი პაკისტანი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საშიში ადგილია თავისი ბირთვული იარაღით, ისლამისტი ექსტრემისტე-

ბითა და მოუგვარებელი კონფლიქტებით. პაკისტანი ერთი მხრივ ტერორიზმის მსხვერპლია, ხოლო მეორე მხრივ – მისივე სპონსორი. თუმცა თუ მხოლოდ რამდენიმე დღით ხართ აქ, პაკისტანის დედაქალაქი სრულიად ნორმალურ ქალაქად მოგეჩვენებათ – თანამედროვე, კვადრატულსახლებიანი უბნებით, მოვლილი ყვავილნარებით, სავაჭრო ცენტრებითა და ავტომობილების სარეგისტრაციო ნომრებით. დღის უდიდეს ნაწილს საელჩოში ვატარებ, საღამოს კი მასაჟზე მივდივარ. შემდეგ, დივანზე მოკალათებული, ღვინოს ან ჩაის მივირთმევ და ელჩს ვესაუბრები. მსოფლიოში არსებულ სისულელეებზე ვიცინით და ჩვენში ჩაბუდებულ იმედგაცრუებებს ასე ვანიავებთ. შემდეგ აუზზე მივდივარ საცურაოდ. იქ არავინაა. ასეთ აუზში ცურაობა ღვთიური ნეტარებაა.

კვირა დილით ისევ უკან მივფრინავ და თან მეკობრული DVD-დისკებით გატენილი მთელი ჩანთა და გერმანული „პუმპერნიკელის“ კონსერვირებული პური მიმაქვს. ქაბულში მარტოობას ყველაზე ეფექტიანად მეკობრული ფილმებით ვებრძვი. ასე შეიარაღებული კი თამამად შევეგებები ახალ კვირას.

ინსპექცია

2005 წლის ნოემბერი

ისლამაბადში იმდენჯერ ვარ ნამყოფი, სათვალავი ამერია, თუმცა ამჯერად მგზავრობის მიზეზი ნამდვილად არ იყო სასიამოვნო. გაღიზიანებული ვარ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ინსპექტორი ისლამაბადში იმისთვის ჩამოვიდა, რომ შეემოწმებინა, რამდენად გამართულად მუშაობდა იქაური საელჩო და ყველაფერი წინასწარგაწერილი ინსტრუქციებისა და წესდების შესაბამისად თუ ფუნქციონირებდა. ამას გარდა, ინსპექტორმა და მისმა კოლეგამ მიიჩნიეს, რომ ქაბული ვიზიტისათვის ზედმეტად საშიში ადგილი იყო და ბოლო წამს ქაბულში ვიზიტი გააუქმეს. ის, რომ ჩემი მეგობრები ქაბულში ჩამოსვლას ვერ ბედავენ, გასაგებია, მაგრამ ჩემი უფროსი? ჩემი უფროსი, რომელსაც ჩვენი ოფისისთვის ჯავშანმანქანების საყიდლად ფულის გამოყოფა დაეანა? რომელიც უსაფრთხოების შესახებ დაწერილ ანგარიშებს სიჩუმით ხვდება? თუ მე და ჩემს კოლეგებს, სიდას თანამშრომლებს, თვიდან თვემდე აქ ყოფნა შეგვიძლია, რატომ არის ბატონი ინსპექტორისათვის აქ ორდღიანი ვიზიტით ჩამოსვლა ასე საშიში? ჩემს უკმაყოფილებას ვყლაპავ და

პაკისტანში მივდივარ.

ინსპექტორი ერთი ზორბა კაცია, რომელსაც ყველაზე მეტად ქაბულში გაუქმებული ვიზიტის გამო გამოთავისუფლებულ დროში პროგრამით დაგეგმილი გოლფის ტური ადარდებს. საუბარს ავღანეთში არსებულ სამუშაო მდგომარეობაზე ვიწყებთ. ინსპექტორი სხვადასხვა რეგულაციაზე მიგვითითებს და მათ ზედმიწევნით დაცვას გვთხოვს, არც უხამსობებსა და უაზრობებს ერიდება და ისეთ კითხვებს სვამს, რომლებიც მხოლოდ მის უვიცობას ადასტურებს. ერთი წამითაც კი არ ვაძლევ იმის დავიწყების საშუალებას, რომ თავად მან იქ წასვლა ვერ გაბედა. მინდა ნებისმიერი შესაძლებლობა გამოვიყენო და ამ ფაქტის გამო ღიად გავამასხარავო, მაგრამ თავს ვიკავებ.

უკან ისევ გაეროს თვითმფრინავით ვბრუნდები. გაეროს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას (რომელიც მსოფლიოში არსებულ საომარ ტერიტორიებზე პატრულირებს) რომ ბონუს-პროგრამა ჰქონოდა, აქამდე აბაჩეში ან ბასრაში მაინც გავემგზავრებოდი უფასოდ, მაგრამ ეს ხანმოკლე მგზავრობა და თვალწარმტაც მთებზე გადაფრენაც ძალიან მომწონს.

Lost in trance[85]

2005 წლის დეკემბერი

შობა ახლოვდება. ოქტომბრის შემდეგ სიცივისაგან მაკანკალებს. შობა ქაბულში უმნიშვნელო დღეა და მხოლოდ საკუთარი თავის სიბრალულს ემსახურება, მაგრამ მე მაინც არ მსურს შინ დაბრუნება და ძველი ჭრილობების ხელახლა გახსნა. სანამ აქ ვარ – სადაც უნდა ვიყო სტოკჰოლმიდან შორს – თავს უფრო დაცულად ვგრძნობ. შობა ან სხვა რომელიმე დღესასწაული არასდროს ყოფილა ჩემთვის, რადგან იმხელა მნიშვნელობას იძენენ, რომ შინ ყოფნის სიამოვნებას მიუფერულებენ, ამიტომ გაცილებით უფრო სასიამოვნოა ამ ყველაფრისგან დასხლტომა და უცხოებს შორის უცხოდ ყოფნა. მხოლოდ იქ შემიძლია ამაყად გამართულმა ვიარო და ერთგვარი სიმსუბუქითაც კი ვატარო თავსმოხვეული მარტოობის ტვირთი.

[85] (ინგლ.) ტრანსში დაკარგული.

ჩემს შესაძლებლობებს განვიხილავ. იმდენი შთაბეჭდილება დამიგროვდა, რომ აღარაფერი მაინტერესებს. აღარაფრის გაგება, შესწავლა და ნახვა აღარ მინდა. მხოლოდ გონების გადატვირთვა და დასვენება მჭირდება. ბამბის ოთახში რომ შემეძლოს გამოკეტვა, სიამოვნებით გამოვიკეტებოდი. არც საგიჟეთში წასვლაზე ვიტყოდი უარს.

თუმცა, საგიჟეთის ნაცვლად თავი ტოკიოში ამოვყავი. იქ ჩემი და, ჰელგა, იაპონურს სწავლობდა. თავს პირობა მივეცი, რომ მშვიდად დავისვენებდი, აქეთ-იქით არ ვირბენდი და ყველაფრის ერთბაშად ნახვას არ მოვინდომებდი.

ტოკიოში რომ ჩავედი, ჰელგას სწავლა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა. პირველი ორი დღე მის სტუდენტურ საცხოვრებელში გავატარე, სადაც ერთი პატარა ოთახი ვიქირავე და მთელ დღეებს მუხლებში ჩადებულ ნოუთბუქთან ვატარებდი ან საწოლზე ვიყავი გართხმული და წიგნებს ვკითხულობდი. დარჩენილ დროს კი მეძინა. მეძინა ღრმად და უსიზმროდ. იმ ხნის განმავლობაში ერთი უცნაური სიზმარიც კი არ მინახავს. ერთხელაც არ დამსიზმრებია, როგორი ვხოცავდი ხალხს. არც ნანგრევებში დამარხული ჩემი მეგობრები მინახავს და არც ცეცხლის ალში გახვეული ქაბული. რამდენიმე დღის შემდეგ სამალავიდან გამოვედი და ათასგვარი ნიშნით აჭრელებული ქალაქის დასათვალიერებლად გავეშურე. დამშვიდებული გულით დავდივარ და დაწკრიალებულ ქუჩებსა და მეტროს მოლოდინში რიგში ჩამწკრივებულ ხალხს ვუღიმი. მეტროს მატარებლები ბაქანზე სპეციალურად მათთვის მონიშნულ ადგილებთან ჩერდება. მაღაზიებში თოჯინისსახიანი და ბავშვივით ტკბილად მოსაუბრე მომსახურე პერსონალი მესალმება და მიღიმის. აბრებიდან უცნაური წარწერები და მათი თარგმანები მიყურებს. საპირფარეშოებში თბილი უნიტაზები შიგ ჩამონტაჟებული მრავალღილაკიანი სამართავი

პულტებითაა აღჭურვილი. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სამოთხეში მოვხვდი.

ქალაქში სეირნობისას აღმოვაჩინე უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი „ტობუ“ – იმდენად დიდი, რომ ალბათ შვედეთის რომელიმე პატარა ქალაქსაც დაჯაბნიდა. თუმცა მასშტაბის მიუხედავადაც კი მხოლოდ ინსტინქტებიც კი მყოფნის, რომ არსად დავიკარგო. ეს ალბათ ქალებისათვის დამახასიათებელი გენეტიკური უნარია, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოუკვლევიათ მეცნიერებს. მთელი შენობა მოღიმარი ასისტენტებით არის სავსე. ჩემთვის ერთი ძალიან მოკლე ქვედაბოლო ვიყიდე. იმდენად მოკლე, რომ ალბათ ვერსად ჩავიცვამ, თუმცა მაინც ვიყიდე.

გამყიდველი ნელა და აუჩქარებლად კეცავს ჩემს შენაძენს. შემდეგ შრიალა აბრეშუმის ქაღალდში ახვევს.

ოქროსფერი ლენტითა და ეტიკეტით კრავს.

ლამაზ ბაბთას უკეთებს.

უსქესო ქაღალდით დამზადებულ ჩანთას იღებს და ჩემს პაკეტს მასში ათავსებს.

ჩანთას სქელი აბრეშუმის ლენტით კრავს.

კიდეს კიდეზე ადებს და აკურატულად კეცავს ქვითარს. დაკეცილ ქვითარს ფრთხილად ათავსებს კონვერტში. კონვერტს ვერცხლის ლამბაქზე დებს და ორივე ხელით მაწვდის.

თავს გაწვრთნილი ცხენივით ვგრძნობ, რომელიც ერთ ადგილზე დგას და ცქმუტავს.

მაღაზიის გასასვლელამდე მაცილებს და პაკეტს მაწვდის, თავს მიკრავს და მემშვიდობება.

მაღაზიაში შეძენილი პაკეტით ხელში სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი კაფისაკენ მივემართები და მოწყვეტით ვეშვები სავარძელში. ეს ას ოც-

პროცენტიანი ქვეყანა ასეთი რამეებითაც თავისებურად გხიბლავს. მთელი ეს სიზუსტე ერთდროულად მავსებს და თავბრუს მახვევს. მიყვარს და მძულს, აქ ცხოვრება გამადიდებელი შუშის მიღმა არსებობას ჰგავს. არაფერია ზედმეტად პატარა, ზედმეტად უმნიშვნელო.

უცებ გულკეთილღიმილიანი ოფიციანტი გოგონა მომიახლოვდა და დახმარება შემომთავაზა. მენიუს ჭრელ-ჭრელ სურათებს შორის ერთი კრემიანი ნამცხვარი გამოვარჩიე და ყავასთან ერთად შევუკვეთე. გოგონამ ხელის გულები ერთმანეთს მიადო, თავი დამიკრა და ფრთხილად დაიხია უკან, შემდეგ ძალიან სწრაფად დაბრუნდა და ჩემი არჩეული ნამცხვარი დამანახვა.

დანა გაწმინდა.

ნამცხვარში ქირურგის მსგავსი ზუსტი ჭრილი გააკეთა. დანა უკან ამოიღო და ფრთხილად გაწმინდა კიდევ ერთხელ.

კიდევ ერთი ჭრილი და ქანდაკებებისათვის დამახასიათებელი ზუსტი პროპორციების ნაჭერი გამოიკვეთა.

შემდეგ კიდევ ერთხელ გაწმინდა დანა და მის ნაცვლად ნამცხვრის ასაღები ნიჩაბი აიღო.

ნამცხვარს ქვემოდან შეუცურა და ნაჭერი ლამბაქზე მოათავსა.

გვერდზე პატარა ჩანგალი მიუდო.

თავი დამიკრა და წავიდა.

კიდევ რამდენიმე სასიამოვნო, მსუბუქი და უდრტვინველი დღე გავიდა.

თუმცა ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა შობის წინა დღეს ბებიაჩემი გარდაიცვალა. ჩემი საყვარელი, ფოთოლივით მსუბუქი ბებია. მისი სიკვდილი მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა მაინც მატკინა გული.

ყველა არშემდგარი ვიზიტი, საუბარი, როდესაც სათქმელი თითქმის არაფერი მქონდა და ღია ბარათები, რომლებიც არასდროს გამიგზავნია

მისთვის, ბურთივით გამეჩხირა ყელში და სამურაის ხმალივით ჩამესო გულში.

მისი ხატება სადღაც შორს, ტვინის ხვეულებში დავმალე, რომ რაც შეიძლება იშვიათად გამხსენებოდა, რომ არ გაცვეთილიყო. თუმცა არასდროს დამავიწყდება, ერთ ზაფხულს უმეოში[86] მდებარე თავის ბინაში როგორ მასწავლიდა ფინური ჩხირებისა და ფუნთუშების გამოცხობას და ზღვაზე საბანაოდ მივყავდი იქ, სადაც წყლის ტემპერატურა 12 გრადუსიც არ იყო. წყლიდან ერთიანად გალურჯებული, მაგრამ ბედნიერი ამოვდიოდი. ბებია არასდროს ყოფილა საზღვარგარეთ, თუმცა ყოველთვის ოცნებობდა იმაზე, რომ ერთ დღეს ჩვენ ერთად გადავცურავდით ბოტნიის ზღვას, ჩავიდოდით ვაასაში[87] და მთელ მსოფლიოს მოვინახულებდით. ბოლო წლებში ბებია ხშირად საუბრობდა რუსეთზე.

წლების ბურუსში გახვეულს, გეოგრაფია და უცხოური ტერმინები საერთოდ აღარ ახსოვდა.

– რუსეთში რა გინდა? – მკითხა და გადაიხარხარა, სულ ბოლოს რომ ვნახე.

– ავღანეთში, ბებო! ავღანეთში! უკვე დიდი ხანია, მოსკოვში აღარ ვცხოვრობ.

– რუსეთში ცხოვრება ძალიან სახიფათოა, – თქვა და ისევ ისე გადაიხარხარა, რომ მისი ლაღი სიცილი მეც გადმომედო. ტუმბოზე ჩემი სურათი ედო, სადაც მოსკოვში სახელმწიფო ვიზიტით მყოფ შვედეთის დედოფალს რევერანსით ვესალმები. შესაძლოა, ჩემთან მიმართებაში მისი მახსოვრობა სწორედ იქ ამიტომაც გაიყინა. მისი წარმოდგენით ხომ ამ ქვეყნად სამეფო ბრწყინვალებაზე უფრო მშვენიერი არაფერი არსებობს. მე ხომ თავად სამეფო ოჯახს შევხვდი! ეს მისთვის უდაოდ დიდი მოვლენა იყო.

---

[86] ქალაქი ჩრდილოეთ შვედეთში.

[87] ქალაქი ფინეთში.

ახლა ის სულ მარტოა. სულ მარტო მიდის იქით – მარადისობაში, საითაც ერთ დღეს ყველანი წავალთ. მე კი ისევ აქ ვრჩები – ცოცხალთა ქვეყანაში.

A new beginning[88]

2006 წლის იანვარი

შობის შემდეგ ისევ ქაბულში დავბრუნდი და მესიამოვნა. როგორც ამბობენ, სხვაგან კარგია, მაგრამ შინ ყოფნა – გაცილებით უკეთესი. ცხრის ტყავის ფაჩუჩებსა და ფაშმინის სამ ფენად შემოხვეულ თავშალში გამოწყობილმა მთელი სახლი შემოვიარე და თითოეული კუთხე-კუნჭულ სიამოვნებით დავათვალიერე. აქ თავს მყუდროდ ვგრძნობ. გენერატორი, რომელსაც ტრაქტორის ხმა აქვს, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჩართულია და ყურთასმენა მიაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, სახლში თბილა. ქვედა სართულზე ოცი გრადუსი სითბო მაინც იქნება. დამატებითი სითბოსთვის გაზის ღუმელსაც ვანთებ. მომწონს იმის გაფიქრება, რომ ახალი წელი დადგა. ახალი წელი, რომელიც აუცილებლად უკეთესი იქნება.

[88] (ინგლ.) ახალი დასაწყისი.

ოფისში დაბრუნებულს ინსპექტორების ანგარიში დამხვდა, რომელიც ყველაზე მაღალფარდოვანი შვედურით იყო დაწერილი. ინსპექტორი აღნიშნავდა, რომ ქაბულში არსებული მდგომარეობა ერთობ საშიშია და ისლამაბადში საელჩოს თანამშრომლებს ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების გავლას ურჩევდა. ხანძარსაწინააღმდეგო მომზადება – ეს ხომ სასაცილოა.

ყოველდღიურობა ქაბულში

უკუნი სიბნელე. ცივი ჰაერი. ისაფის მთავარი შტაბის სავარჯიშო დარბაზიდან ფეხით წამოვედი და ჯერ კიდევ ოფლიანი, მაგრამ ვარჯიშით გამხნევებული, პირდაპირ ჩემს მცველთან მივედი. კაბირი გარეთ მელოდა, რადგან ის ავღანელია და მას ისაფის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალება. კაბირი და სხვა ავღანელი მძღოლები ლოდინის დროს არასდროს კითხულობენ. არც გაზეთი აინტერესებთ, არც წიგნი. არც რადიოს უსმენენ. მხოლოდ სხედან და სიბნელეს მიშტერებიან. მე კი ეს მძაბავს და მგონია, რომ ისინი მთელ ცხოვრებას ჩემ გამო ფლანგავენ.

კაბირი სახლში ამერიკის საელჩოს გავლით მიდის. საელჩოს ირგვლივ ტერიტორია ბარიერებითა და ქვიშის ტომრებით არის ჩახერგილი,, მაგრამ თუ დიპლომატიური მანქანით ხარ, ამ ბარიერებს შორის ზიგზაგური მოძრაობით გაძრომა მაინც შესაძლებელია.

პირველ დაბრკოლებასთან სვლა რომ შევანელეთ, ასე ოცდათხუთმეტიოდე წლის ამერიკელმა კონტრაქტორმა გაგვაჩერა.

– სინათლე რატომ არ ჩააქრე? – ჩურჩულით ჰკითხა კაბირს, რომელმაც ფანჯრის მინა ჩამოსწია და მართვის მოწმობა გაუწოდა.

ამერიკელს გრძელი და ხვეული თმა ჰქონდა. თავზე კეპი ეხურა. ცალი ხელით ავტომატი მოემარჯვებინა და თითი ჩახმახზე ედო.

– But I did, sir[89] – მიუგო კაბირმა.

– Not quickly enough![90]

კაბირს პასუხად მხოლოდ გაეღიმა. ის მუდამ იღიმის.

– Next time I will have to shoot you.[91]

სავარჯიშო დარბაზიდან წამოყოლილი კარგი განწყობა ერთიანად გამიქრა. To win hearts and minds.[92] კი, აბა რა! – What a jerk, This is your country, not his[93]. – წამოვიძახე ჩემთვის, როდესაც კაბირმა მანქანა დაძრა.

– He was not very polite[94], – თქვა კაბირმა. როდის დამშვიდდებიან ნეტავ? რას ემსახურება ამ ცინიკოსთა ბრბოს აქ ყოფნა? სამშობლოში ალბათ სამსახურსაც ვერ იშოვიდნენ, აქ კი მეფეებად მოაქვთ თავი და გზის ერთი მონაკვეთის დარაჯობით ქონებას აგროვებენ. მანქანიდან გადასვლა და იმ არამზადისთვის ჭკუის სწავლება მომინდა, მომინდა, მისთვის პირში მიმეხალა, რომ ეს მისი კი არა, კაბირის ქვეყანაა, რომ ეს ქუჩებიც მისია და კაბირს უფრო მეტი პრეტენზია აქვს მათზე, ვიდრე თავად მას. ამის შემდეგ, თუ მოინდომებს, შეუძლია ტყვიაც დამახალოს შუბლში.

---

[89] (ინგლ.) მაგრამ მე ხომ ჩავაქრე, სერ?!

[90] (ინგლ.) უფრო სწრაფად უნდა ჩაგექრო,

[91] (ინგლ.) შემდეგში სროლა მომიწევს.

[92] (ინგლ.) მათი გულების მოსაგებად.

[93] (ინგლ.) ნამდვილი არამზადაა. ეს შენი ქვეყანაა, მისი კი არა.

[94] (ინგლ.) ჰო, ცოტა უხეშად გამოუვიდა.

ამ ფიქრებში გართული, გონს ჩემი სახლის ჭიშკართან მოვეგე. კაბირს მშვიდობიანი ღამე ვუსურვე და ჯიბეში ჩაჩრილი მომუშტული ხელით სახლისაკენ გავემართე.

Wolrds apart[95]

ნიკმა „სამარყანდში“ მუსიკის საღამო მოაწყო და მეც, დაპირებისამებრ, მივედი. იქ მისულს იმდენი მამაკაცი დამხვდა, თავი გეიკლუბში მეგონა – პოსტმოდერნისტული ხანის მომთაბარე მამაკაცები, რომლებიც მზად არიან, თვეების განმავლობაში წუმპეში იცხოვრონ, თუკი საჭირო გახდა; ბევრის ამტანი, შესანიშნავი ადამიანები: ცინიკური, ილუზიებისაგან თავისუფალი, ქედმაღალი ადამიანები, რომლებსაც ჩემსავით ცვლილებებისაკენ სწრაფვა ამოძრავებთ, თუმცა არც კი სჯერათ ამის. Save the world, or die trying.[96]

„სამარყანდი“ არასდროს მომწონდა. ერთობ ახალი ადგილი იყო, თუმცა სულ მცირე ხანში თვის მოვლენად იქცა. ქვედა სართულზე ძვირფასი და მდიდრული რესტორანია განთავსებული შუააზიური მენიუთი,

[95] (ინგლ.) ერთმანეთისაგან შორს.

[96] გადაარჩინე სამყარო, ან მცდელობაში დაშვერი.

ზედა სართულზე კი – უშველებელი ბარი. რესტორნის შესასვლელს ჩავუვლიდი თუ არა, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: თალიბი რომ ვყოფილიყავი, ჩემს სამიზნედ ალბათ სწორედ ამ ადგილს ავირჩევდი. რესტორანი გზასთან ახლოს მდებარეობს, მუდამ უცხოელებით, უფრო კონკრეტულად კი ევროპელებითა და ამერიკელებით, არის სავსე და დაცვის არანაირი მექანიზმი არ გააჩნია (სტუმართაგან ბევრს საკუთარი იარაღი დააქვს თან, რომ ალკოჰოლის ზედმეტი დოზის მიღების შემდეგ ჰაერში აფრიალოს). ნამდვილი ცოდვის ბუდე. შესასვლელთან გაჩერებული ერთი დანაღმული ავტომობილიც კი საკმარისი იქნებოდა. უეცარი აფეთქება და მორჩა! თუმცა, ყოველ ჯერზე თავს ვანებებ ამაზე ფიქრს. უაზროდ წუხილს აზრი მაინც არა აქვს.

ყველაფრის მიუხედავად, ახლა მეც აქ ვარ – ამ XXI საუკუნის სტილში მორთულ აღმოსავლურ სალონში, ლუდს ვსვამ და პოპვარსკვლავის ვარცხნილობიან სიმპათიურ ყმაწვილს ვესაუბრები, რომელსაც ერთმანეთზე მიჯრილი თეთრი კბილები აქვს. ადრე არასდროს მინახავს, ალბათ ახალი ჩამოსულია.

– საიდან ხარ? – საუბარს მე ვიწყებ.

– დიდი ბრიტანეთიდან, თუმცა დედაჩემი იტალიელია, მამაჩემი კი – ფრანგი.

– ბრიტანელი? ლონდონში გაიზარდე?

– არა, უმეტესად ადის-აბებაში, სანამ ოქსფორდში დავიწყებდი სწავლას.

– აქ რამ ჩამოგიყვანა?

– ესპანური ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომელი ვარ.

ჩემთვის ვზუზუნებ, ის კი გაუთავებლად ატრიალებს სტანდარტულ ფრაზებს და საკუთარ თავსა და სამუშაოზე მიამბობს, რომელიც უზადო სამსახურებრივი რეზიუმეს დამსახურებით მიიღო.

ახლა მისი ჯერი დადგა:

– შენ საიდან ხარ?

დედაჩემი შვედია. მამაჩემიც. მეც შვედეთში გავიზარდე და შვედეთის სახელმწიფო სამსახურში ვარ. ერთი მშობლიური ენა მაქვს და ისიც შვედურია.

– ბოდიშს ვიხდი, ერთი წუთით უნდა დაგტოვოთ, – ღიმილით მივმართე ჩემს თანამოსაუბრეს და გაურკვეველი მიმართულებით დავუქნიე თავი.

გარეთ უნდა გავიდე, ჰაერი მჭირდება.

მძულს ასეთი ადამიანები. მშურს მათი, ვინც ყოველთვის ასე თავისუფლად მოძრაობს მთელი მსოფლიოს გარშემო. ჩემი ბავშვობიდან ერთადერთი რაც მახსოვს – ოჯახთან ერთად მჭახე ლურჯი ფერის „ფორდ-ესკორტით“ უფლანდში მოგზაურობაა. დედაჩემი, სამი ბავშვი, ორი ძაღლი და ერთი კატა. მახსოვს, როგორ მაფრთხილებდა დედა, გოთსუნდაში რომ ვცხოვრობდით, მაღლობზე მიმოფანტულ ძველ შპრიცებს მოერიდეო. იმ დროს მსოფლიოს შესახებ ჩვენს წარმოდგენას ის რამდენიმე ფინელი მეზობელი აყალიბებდა, ჩვენს კორპუსში რომ ცხოვრობდა. რას არ მივცემდი, რომ პატარა პროვინციიდან შერჩენილი ეს გრძნობა, რომელიც პრინციპში ავღანეთში სატრაბახოდ მაინც არაფრად ღირს, არაფერში გამეცვალა. რას არ მივცემდი, რომ რივიერაზე გატარებული სუსხიანი საზაფხულო არდადეგები შემორჩენოდა ჩემს მახსოვრობას.

მშვიდი საღამოა. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. აქ ცა ისე ახლოს არის, რომ შეგიძლია ვარსკვლავებს ხელით შეეხო. არც ქალაქის გარეგანათება გიშლის ხელს, რადგან ამ ქალაქს განათება არა აქვს. მხოლოდ აქა-იქ, კარზე, გზაჯვარედინსა თუ გალავანზე შემორჩენილი ნათურა ანათებს ეულად. სხვა მხრივ ქალაქი ყოველღამე უძირო სიბნელეშია ჩაძირული. აქ ცა განსხვავებულია. თითქოს ვარსკვლავებიც სხვაგ-

ვარად განლაგებულან. ვარსკვლავების მკვეთრი ნათების გამო ცაც უფრო ახლოს გეჩვენება და თავი სამოთხეში გგონია. აქ ხომ სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც იმაზე უფრო ახლოა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლია.

ქუჩაში გასასვლელ კართან პრიალა ჩექმებში გამოწყობილი რამდენიმე კალაშნიკოვასხმული მცველი იცდის. კალაშნიკოვების გარეშე არ შეიძლება. ნეტავ რამდენი კალაშნიკოვი არსებობს მთელ მსოფლიოში? ალბათ ძალიან ბევრი. თავის წიგნში „მილიარდი ფსკერზე“, რომელიც სამყაროს ფსკერზე მცხოვრებ მილიარდზე მეტ ადამიანს ეძღვნება, პოლ კოლიერი წერს, რომ ომს გადარჩენილი ერთადერთი მემკვიდრეობა სწორედ ეს კალაშნიკოვებია. სკამებზე ჩამომხდარი მამაკაცები ფხიზელი მზერით მათვალიერებენ, დამშვიდობების ნიშნად თავს მიკრავენ და თვალს მაყოლებენ.

მანქანას რომ მივუახლოვდი, ვაჰაბი წინა სავარძელზე გაშოტილი დამხვდა. ჩასძინებოდა და ჯავშან-მინაზე რომ დავუკაკუნე, გაუხარდა – ადრე შეძლებდა შინ დაბრუნებას, ცარიელი ქუჩები სრულ სიჩუმეში გავიარეთ, თუმცა კითხვები არ მასვენებდა: ნეტავ ამ კედლებს მიღმა რა ხდება? შევძლებთ კი ოდესმე ავღანურ ყოველდღიურობაში შეღწევას?

ვაჯობებთ კი რომელიმე არასწორ ადგილას ჩამოვარდნილ ბომბს ან რომელიმე ამერიკულ სპეცდანაყოფს, რომელიც რომელიმე სახლში მხოლოდ იმიტომ შეიჭრება, რომ ეჭვს აიღებს, იქ ტერორისტები აფარებენ თავსო? შევძლებთ კი მე და ის ლამაზკბილებიანი პოლიგლოტი როგორმე დახმარებას? შევძლებთ კი, მხოლოდ კეთილ განზრახვებს გავცდეთ და რაიმე რეალური გავაკეთოთ? ყველაფერი, რაც თითქოს კარგად მუშაობდა, გაქრა. ის სიბრძნე, რითაც გვწამდა, რომ რასაც ვაკეთებდით, თუ სრულიად მართებული არა, უაზრო მაინც არ იყო, აღარ გვაქვს. ყველაფერი გაქრა.

წვეულებაც სამუშაოს ნაწილია

2006 წლის თებერვალი

ფარა ავღანეთის რუკაზე მონიშნული ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ცნობილი ადგილია. აქ ჩამოსვლის შემდეგ მის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ გამიგია; არც ის ვიცოდი, იქ რა ხდებოდა. იქიდან ანგარიშებს არავინ აგზავნიდა. ამიტომ მე, ტომასი, მარტინი და ამირი ცნობების შესაგროვებლად ფარაში გავემგზავრეთ.

ქაბული 2006 წლის თებერვლის დასაწყისში დავტოვეთ. თავს ცოტა უქეიფოდ ვგრძნობდი – ყური მტკიოდა, მაგრამ არაფრის დიდებით არ მინდოდა ამ მოგზაურობას გამოვკლებოდი.

– თუკი ავად ხდები, დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად ინდა წამოსვლა? – მკითხა აგნეტამ, სიდას გულკეთილმა ადმინისტრატორმა – ყურის ანთება აქამდეც ბევრჯერ მქონია, საშიში არაფერია, – დავამშვიდე მე.

აგნეტამ ეჭვის თვალით გადმომხედა.

– სულ ქაბულში ვერ ვიჯდები. როგორც ამბობენ, „სამუშაო მაგიდი-

დან დანახული სამყარო ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს არ შეესაბამე-ბა“.

ფარას პროვინცია შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ადგი-ლიც კია სამყაროზე დაკვირვების საწარმოებლად, თუმცა ახლა ნამდვი-ლად არ მსურს ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოცდა. წამლების შესანახი ყუთიდან ერთ პაკეტ ვადაგასულ კოვეპენინს, სახვევებსა და მორფინის შპრიცებს ვიღებ და მივდივარ.

ფარაში ყოფნისას პროვინციის ერთადერთ უცხოელთან – გერმანუ-ლი ჰუმანიტარული ორგანიზაციის ინჟინერთან დავიდეთ ბინა. ჩვენი მასპინძელი არც დარის ფლობდა, არც პუშტუს და ინგლისურისაც არა-ფერი გაეგებოდა. ალბათ ასეთები არიან ჰუმანიტარული მისიის უსახე-ლო გმირები. წარმოდგენაც კი არ მაქვს, როგორ ახერხებდა იმ პირობებ-ში მარტო ცხოვრებას ან, საერთოდ, რამ აიძულა, რომ იქ დასახლებუ-ლიყო. ალბათ ვერც ვერასდროს მივხვდები. იქნებ ჩემი გერმანულის გამო ვერ გავუგე, ან იქნებ რაიმე კონკრეტული პასუხი არც არსებობს. თუმცა თავისი ორგანიზაციისათვის, რომელიც სადღაც გერმანიაში მდებარე-ობს, ის სკოლის შენობასა და თხრილებს აგებს. სხვა დახმარება ამ ღვთი-საგან მივიწყებულ თალიბურ ჯურღმულში ვერც შეაღწევს.

გუბერნატორ ეზატულა ვასაფის ვესტუმრეთ თავის მოკრძალებულ რეზიდენციაში, რომელსაც ბეტონის გალავანი ერტყა გარს. მოყვითალო ბალახზე ბოძზე მიბმული ცხენი ფრუტუნებდა. სადილი ეზოში მდებარე დაცარიელებული და ბრეზენტგადაფარებული აუზის ფსკერზე მოგვარ-თვეს.

ჩვენი მასპინძელი ლაპარაკის საღერღელაშლილი კაცი გამოდგა, რო-მელმაც თავისი ყავისფერი კოსტიუმი პლასტმასის სკამის საზურგეზე

გადაფინა და სუფრას ისე მიუჯდა, თუმცა კოსტიუმში, ტყავის ბუდეში ჩადებული პისტოლეტი ჩემს მზერას მაინც არ გამოჰპარვია. გუბერნატორმა ბოდიში მოგვიხადა, რომ სადილთან მხოლოდ ლიმონათის შემოთავაზება შეეძლო და საუბარი თანამდებობებზე დანიშვნის ყარზაისეული პოლიტიკის შეჯამებით დაიწყო. ის, რომ ყარზაი გავლენიანი და პატივსაცემი ადამიანის შვილია, ვასაფის თქმით, მისი ერთადერთი ღირსებაა. სხვა მხრივ მისი რეზიუმე სავსეა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალწლიანი ცხოვრებისას დაგროვილი ნასამართლობისა და პატიმრობის, ნარკოკრიმინალთან დაკავშირებული დანაშაულებითა და სარესტორნო სფეროში მუშაობის გამოცდილებით. Afghanistan Compact[97]-ის მიხედვით კი ქვეყნის მთავრობასა და დამხმარე ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმება ქვეყანას კიდევ რამდენიმე მილიარდიან დახმარებას ჰპირდებოდა: ავღანეთის მთავრობა სამსახურში აიყვანს მხოლოდ პროფესიული ღირსებით გამორჩეულ ადამიანებს; ჩამოაყალიბებს უფრო ეფექტიან, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ ადმინისტრაციას მთავრობის ყველა დონეზე; დანერგავს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურ მეთოდებს, დაიცავს სამართლიანობას და კანონის უზენაესობას და პატივს სცემს თითოეული ავღანელის უფლებებს.

მთავრობის უფრო ეფექტურად სამართავად სხვადასხვა თანამდებობაზე პირების პროფესიული ღირსების მიხედვით „ბონის შეთანხმების“ „მემკვიდრე“, რომელიც 2006 წლიდან ავღანეთის რეკონსტრუქციის მეორე ეტაპის მმართველი დოკუმენტია. შერჩევა იგეგმებოდა. ამგვარი ამბიციით კი ნარკოდანაშაულისათვის დასჯილი და ქამარში პისტოლეტგაყრილი პიცერიის ადმინისტრატორიც კი შესაძლოა შესაფერისი ადამიანი და ქვეყნის 43 პროვინციის ღირსეული წარმომადგენელიც კი აღმოჩნდეს. ან იქნებ პრეზიდენტს იმის იმედი აქვს, რომ ინგლისურის

[97] „ბონის შეთანხმები“ „მემკვიდრე“, რომელიც 2006 წლიდან ავღანეთის რეკონსტრუქციის მეორე ეტაპის მმართველი დოკუმენტია.

მცოდნე გუბერნატორი საერთაშორისო ჰუმანიტარულ ძალისხმევაში ჩაბმულ საზოგადოებას მიმართავდა დახმარებისთვის? ან თავისი კოვ-ბოური სტილით პრეზიდენტ ბუშს მოხიბლავდა. ეს, შესაძლოა, კარგი განმარტება ყოფილიყო, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება რომ არა. პროვინციაში არც ერთი უცხოელი არ იყო, რომლითაც ვასაფი როგორმე მაინც მოიხიბლებოდა. არც პრეზიდენტ ბუშს ჩამოუვლია აქეთ. შანსი იმისა, რომ ევროპულად ჩაცმული კაციც კი, რომელიც პატარა ბიჭივით გაუთავებლად ტრაბახობს იმაზე, თუ რამდენი ალკოჰოლის დალევა შე-უძლია ერთ ჯერზე და თალიბების ადგილობრივ მოკავშირეებს ემეგობ-რება, რაიმე სიმპათიას მოიპოვებს ხალხში, ნამდვილად არ არსებობს. მე რომ ვიყო, ამ ადამიანში ნამდვილად არ დავაბანდებდი ჩემს საპენსიო ფულს. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რომ „ტრუმანის შოუს“ ერთგვარ ანალოგში მოვხვდი. შეუძლებელია, ეს მართლა ხდებოდეს.

თუმცა, სინამდვილე მართლაც ასეთია. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ და ვცდილობთ ის გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია, თუმცა გარანტიები არ გვაქვს.

სადილად ბრინჯი და შამფურზე შემწვარი ქაბაბი მოგვართვეს. პრო-ვინციაში არსებულ სიტუაციაზე მსჯელობის შემდეგ გუბერნატორს და-ვეკითხეთ, საით გვირჩევდა გამგზავრებას და რომელი ადგილებისთვის უნდა აგვერიდებინა თავი. მისი თქმით, დასავლეთით მგზავრობა უსაფ-რთხო იყო; ჩრდილოეთით კი, ანუ ბალა-ბოლუკისაკენ, სადაც თალიბები ჯერ კიდევ ბატონობდნენ, მგზავრობა ნამდვილად არ ღირდა. იქ წასვლა შეგიძლიათ. აქ კი – არა. ამას შეგიძლიათ შეხვდეთ, იმას კი – არა. ჩვენ ბეჯითად ვინიშნავთ ყველა სახელსა და ადგილს და ვცდილობთ შესაფე-რისი რესპონდენტების სახელები ჩავიწეროთ. თავს დაქანცულად, მაგ-რამ სავსედ ვგრძნობ. თვალის მოვლებაც საკმარისია, აუზის ბეტონის ფსკერზე პეპსის ჭიქით ხელში მჯდომიც კი დარწმუნდე, რომ შენი საქმე

ყველას სჯობია; რომ ასეთ მომენტებში სხვა არაფერი გინდა, სხვაგან არ-სად ისურვებდი ყოფნას; ასეთ მომენტებში სიცოცხლესაც კი არ დავიშუ-რებდი ჩემი საქმისათვის, მსოფლიოში საუკეთესო საქმისათვის.

– Are you ok, Princess?[98] – მკითხა ამირმა დღის განმავლობაში გა-მართული რამდენიმესაათიანი შეხვედრების შემდეგ, როდესაც ჩვენს მანქანას დავუბრუნდით და სასტუმრო სახლისაკენ ავიღეთ გეზი.

ამირი რომ ავღანელი არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, რომ მეარშიყებო-და.

– უბრალოდ, ცოტა დავიღალე, – ღიმილით ვუპასუხე მე. იმწუთას პრინცესასავით ნამდვილად არ ვგრძნობდი თავს. მტვერში დაკონსერვე-ბულ მუმიას უფრო ვგავდი და საშინლად დაქანცული ვიყავი, საბოლო-ოდ კი, ცალ ყურში სმენა დავკარგე. იმ ყურში დღემდე არაფერი მესმის.

საღამო ფარაში. ოთახში, დივანზე წამოწოლილი ამირი ტელევი-ზორში საინფორმაციო გადაცემა „BBC World“-ს უსმენს და თითოეულ წარმოთქმულ ფრაზას თუთიყუშივით იმეორებს ხმამაღლა. სწორედ ინ-გლისურენოვანი გადაცემების სმენით დაეუფლა ასე უბადლოდ ბრიტა-ნულ ინგლისურს. არასდროს უვლია ინგლისურის მასწავლებელთან, არც სახელმძღვანელოები ჰქონია, თუმცა ამის მიუხედავადაც საუბარში ისეთ სიტყვებს ამბობს, რომლებსაც მე არასდროს ვიყენებ. მარტინი და ტომასი ჩვენს ინჟინერ მასპინძელთან ერთად ვახშმობენ. მე ჭამის თავიც კი არ მაქვს. გულგრილად ვიღებ პენიცილინის კოლოფს და ვხვდები, რომ რაღაც უნდა მოვიმოქმედო.

სატელიტური ტელეფონი ავიღე და ეზოში გავედი, საგარეო საქმეთა

[98] (ინგლ.) ხომ კარგად ხართ, პრინცესა?

სამინისტროს მორიგეს რომ დავკავშირებოდი, რათა მას საგარეო საქმეთა სამინისტროს ექიმთან დავეკავშირებინე. რამდენიმე წუთის შემდეგ ტელეფონში ექიმის ხმა გავიგონე. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ გამხმარი ვაზით დაბურულ ცემენტის ხიდზე ვზივარ და მესმის, როგორ მიხტუნავს ჩემი ხმა სამყაროს მეორე მხარეს. ექიმს ჩემი ვინაობა და ადგილსამყოფელი გავუმხილე და ისიც ვუთხარი, რომ ცალ ყურში სმენა დავკარგე.

– დაუყოვნებლივ ექიმთან უნდა წახვიდეთ, ახლავე! – მტკიცედ მომიჭრა ექიმმა.

– მაგრამ თქვენ არ გესმით. მე დასავლეთ ავღანეთში ვარ, აქ არაფერი ხდება. ეს ადგილი ამ ქვეყნისთვისაც კი არაფერს წარმოადგენს და ალბათ თქვენ არასდროს ყოფილხართ ავღანურ საავადმყოფოში. ჩემი ნებით იქ ფეხსაც არ მივადგამ!

ვთქვი თუ არა, მაშინვე კუნდუზის პროვინციაში არსებული საავადმყოფოს შემზარავი სურათები წარმომიდგა თვალწინ. ჭუჭყიანი, სისხლით დალაქავებული იატაკი, ძუნძგლიანი ხალათები, უთეთრეულო საწოლებზე ჩამწკრივებული დაუბანელი, ტკივილისაგან მოკუნტული ავადმყოფების რიგები, გულისამრევი სიმყრალე, უიმედობა, სიკვდილი.

– ადამიანს სმენა ორივე ყურში უნდა ჰქონდეს. ალბათ რაღაც სერიოზული გჭირთ, – მომახალა ექიმმა.

– ისიც კი არ ვიცი, ამ მხარეებში ექიმი ან თუნდაც საავადმყოფო თუ არსებობს, – ვცადე თავის დაცვა და აგრერიგად გაკიცხული შვედური სათემო საბჭოები გამახსენდა. რას არ მივცემდი, რომ მაშინ იქ ვყოფილიყავი. უშველებელ რიგშიც სიამოვნებით ჩავდგებოდი და არც გაყინულ, მაგრამ ყავის აპარატიან მოსაცდელ ოთახში გატარებულ ხუთ საათზე ვიტყოდი უარს. მოსაცდელ ოთახებში ხომ მუდამ დევს სიძველისაგან გახუნებული „სვენსკ დამთიდნინგის“[99] რომელიმე ნომერი.

[99] შვედური ქალთა გაზეთი.

– მაშინ სადმე სხვაგან უნდა წახვიდეთ და ექიმს ეჩვენოთ, – მკაცრად გამიმეორა ექიმმა.

მეტი ახსნა-განმარტების თავი არ მაქვს. აქედან შემდეგი თვითმფრინავი, რომელსაც მხოლოდ ხუთი მგზავრი გადაჰყავს და მათ შორის ერთ-ერთი ადგილი უკვე ჩემთვის არის დაჯავშნილი, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაფრინდება. ის მაინც შევძელი, რომ ექიმმა კოვეპენინით მკურნალობა დამინიშნა. საუბრის ბოლოს ექიმს ექიმთან წასვლას დავპირდი, თუმცა უფრო იმიტომ, რომ ჩემზე ასე აღარ გაბრაზებულიყო. შემდეგ მკვდარივით დამეძინა.

ისიც კი არ მახსოვს, მეორე დღეს ლოგინიდან როგორ წამოვდექი. ჩვენი ინფორმატორის მიერ მითითებულ შედარებით უსაფრთხო სოფლებს შორის თითქმის არარსებულ გზებზე დავდივართ – იქ, სადაც, მისი თქმით, თალიბანის გავლენა შედარებით უმნიშვნელოა. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მიტევს დაღლილობა და გაღიზიანება. ჩემი თარჯიმანი, ამირი, ჯერ კიდევ ჯანსაღ ყურში მეუბნება რაღაცას, მე კი ვატყობ, რომ სულ უფრო და უფრო მიჭირს მის ნათქვამზე ყურადღების კონცენტრირება.

– თავს როგორ გრძნობთ, პრინცესა? – მეკითხება ამირი. პასუხად უღონოდ ვუღიმი და ჩურჩულით ვპასუხობ:

– მგონი, ჯობია, სახლში დავბრუნდე.

უფრო შორს მგზავრობას ვეღარ გავუძლებდი.

მეორე დღეს ფარას სიახლოვეს მდებარე ამერიკული PRT-ის (Provincial Reconstruction Team) ბაზისაკენ გავემართე, რომელიც მსგავს დაწესებულებათა შორის ყველაზე მცირერიცხოვანია, დაახლოებით, ასამდე მამაკაცითა და თითქმის არცერთი ქალი თანამშრომლით. ეკლიანი მავთულხლართების მიღმა მტრულად განწყობილი ქვეყანაა, რომლისაგან თავის დასაცავად მათ მხოლოდ საკუთარი თავი გააჩნიათ. ეს კი ერთგვარი გამოწვევაა.

მანქანამ მავთულხლართებიდან 150 მეტრის მოშორებით ჩამომსვა. ღობესთან უფრო მეტად მიახლოება აკრძალული იყო. პირველი საგუშაგო, რომელსაც ავღანელი სამხედროები იცავდნენ, უპრობლემოდ გავიარე. შესასვლელთან რომ მივედი, სრულ საბრძოლო აღჭურვილობაში გამოწყობილმა ამერიკელებმა გამაჩერეს. წინა ღამეს ჩამოგდებული რამდენიმე ყუმბარის შემდეგ განსაკუთრებულ მზადყოფნაში იყვნენ. საკუთარი თავის წარდგენაც ვერ მოვასწარი, ერთერთმა მათგანმა მაშინვე გაფრთხილებით მომმართა:

– Ma'am, this is a combat zone! What are you doing here?[100] მადლობა, რომ გამაფრთხილე, საყვარელო. მე ვარ... ნეტავ საიდან უნდა დავიწყო? ეს ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენ საათს გამომიყოფ, რომ ყველაფერი დაწვრილებით აგიხსნა. მე დიპლომატი ვარ. არც კი ვიცი, რამ გადამაწყვეტინა, დიპლომატი გავმხდარიყავი. ოცნება მქონდა, ცვლილებები მომეხდინა. მოგზაურობა, უცხო ენების შესწავლა, ქვეყნიდან წასვლა მინდოდა. ალბათ სწორედ ამიტომაც გავხდი დიპლომატი. ახლა კი სწორედ იმიტომ ვარ აქ, რომ სხვა არაფერი შემიძლია. ვმოგზაურობ, ვსაუბრობ უცხო ენებზე და სამშობლოდან შორს მყოფიც შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ზოგჯერ ცვლილებების შემოქმედიც ვხდები.

– I am a diplomat. Just visiting. I got sick. I thought you must have a doctor. A proper one[101].

– Are you American?[102]

– Swedish.[103]

---

[100] (ინგლ.) ქალბატონო, ეს საომარი ზონაა, აქ რას აკეთებთ?

[101] (ინგლ.) დიპლომატი ვარ. უბრალოდ, ჩამოვედი და ავად გავხდი. ვიფიქრე აქ ექიმი გეყოლებოდათ, კარგი ექიმი.

[102] (ინგლ.) ამერიკელი ხართ?

[103] (ინგლ.) შვედი.

ჯარისკაცმა ყურადღებით შეათვალიერა ჩემი დაქანცული მზერა, ჯინსები, უნივერსიტეტის ლოგოიანი მაისური, თავზე დაუდევრად შემოხვეული თავშალი და რადიოგადამცემით ბრძანება გასცა. რამდენიმე წუთში ერთი თავაზიანი ადამიანი მომიახლოვა და ექიმის კაბინეტთან მიმაცილა.

ექიმი საღეჭ რეზინს ენერგიულად ღეჭავდა. ათასი კითხვა დამისვა, რის შემდეგაც მითხრა, სავარაუდოდ, შუაყურის ანთება გაქვს, რადგანაც გარე დათვალიერებით არაფერი ჩანსო.

– თქვენი წამლის ნაცვლად პენიცილინი მიიღეთ. ის უფრო ძლიერად მოქმედებს. აუცილებლად გიშველით, – ექიმმა გულიანად გამიღიმა და წამლით სავსე პატარა ქისა გადმომცა.

რაკი ძირითადი საფრთხე უკან ჩამოვიტოვე, ცოტაოდენი გვერდითი მოვლენები, ანუ collateral damage, როგორც მას ამერიკელები უწოდებენ, ადვილი ასატანია.

ტომასმა, მარტინმა და ამირმა შეხვედრების შემდეგ გამომიარეს და დღის ბოლოს ყველანი ერთად PRT-ის უფროსთან სასადილოდ გავემართეთ. უსაშველოდ დაღლილი ვიყავი, თუმცა თავს ძალა დავატანე და მეც წავედი.

სასადილოში ფანტასტიკური ამერიკული სადილი დაგვხვდა უხვი ცხიმიანი საჭმლითა და ბოსტნეულით, რომელიც უკვე რამდენიმე თვე არსად მენახა. დესერტად ნაყინი, მაფინები და ნაირფერი გამაგრილებელი სასმელი მოგვართვეს, რომლის თითოეული გრამიც ძალზე მნიშვნელოვანია. აქ წყალიც კი გაერთიანებული არაბული საემიროებიდან ჩამოაქვთ, რათა ამერიკელმა ჯარისკაცებმა ისეთი საკვები მიიღონ, რომელსაც მიჩვეულნი არიან. ასე იცავენ საკვებს პარაზიტებისაგან და ასე

ართმევენ ადგილობრივ ეკონომიკას საერთაშორისო ძალების მეშვეობით განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას.

უფროსი თავაზიანი და ენთუზიაზმით სავსე ადამიანი აღმოჩნდა – ავღანეთის იდილიურ მომავალზე ნათელ ფერებში გვესაუბრება. ჩვენ მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებს კი ედემის ბაღში შეპარული გველივით ეშმაკურად არიდებს თავს. ჩემი დაკვირვებით, PRT-ს უფროსი ავღანეთს ორი საწრუპი ჩხირიდან ხედავს და დანახულს მეგობრული კეთილგანწყობით, მჭევრმეტყველურად გვიმხელს.

ყავის დრო რომ დადგა, უფროსმა პლასტმასის ყუთში შეფუთული შოკოლადის ნამცხვარი გადმოიღო და საუბრის გაგრძელებას აპირებდა, რომ უეცრად თავი საშინლად ვიგრძენი და ტუჩებზე დორბლი გადმომივიდა, თუმცა ჩვენი თანამოსაუბრის მადის აღმძვრელი ნამცხვრის გამო არა. საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე. სუფრიდან ბოდიშის მოხდით ავდექი და ისევ ექიმის კაბინეტისაკენ გავემართე. იქ ისევ ის კეთილი ექიმი მელოდა.

– არც კი ვიცი, რა დამემართა, – ძლივს ამოვილუღლუღე. ექიმმა სისხლის ანალიზი ამიღო და ოთახში გავლებულ სწორ ხაზზე გავლა მთხოვა.

– ინსულტი არ მიგიღიათ.

გამეცინა, მაგრამ ისევ სიჩუმე ვარჩიე. სახალისო მაინც არაფერი იყო. ექიმმა რეფლექსები შემიმოწმა, შემდეგ სახის დამანჭვა მთხოვა და თვალებში მომაშტერდა. ვგრძნობდი, თანდათან როგორ მემატებოდა მღელვარება.

– დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ სახის ერთი ნაწილი პარალიზებული გაქვთ.

ავღანეთში ყოფნის წელიწად-ნახევრის შემდეგ პირველად ვიგრძენი

შიში ყველაზე ცხადად. პარაზიტები, კუჭის აშლილობა, გაცივება – რამდენიც გინდათ. არც თვითმკვლელი ტერორისტები მაკვირვებდნენ და არც გატაცებები და ყუმბარები, მაგრამ ეს? ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. – მიჭირს იმის თქმა, თუ კონკრეტულად რას შეეძლო ამის გამოწვევა. შესაძლოა, ყურის ანთების ბრალი იყოს ან ხანგრძლივი სტრესისა და გადაღლილობის. თქვენი ფოტო ხომ არ გაქვთ თან, თუნდაც პირადობის მოწმობისა? ზოგადად ასე გამოიყურებით ხოლმე? – მკითხა ექიმმა და პლასტმასის ხელიანი სარკე გამომიწოდა.

სარკე აკანკალებული ხელით გამოვართვი და შიგ ჩავიხედე. კი, ეს ნამდვილად მე ვარ. საკუთარ თავს ნამდვილად ვცნობ, თუმცა ერთი კია, რომ როცა ვიღიმი, სახის ნახევარი არ მემორჩილება.

– ამგვარი შემთხვევების უმეტესობა ექვსიდან რვა კვირის ვადაში იკურნება, – მითხრა ექიმმა და მცირე ზომის ქისები სხვადასხვაგვარი წამლებით გამივსო.

გამიხარდა კიდეც, რომ საავადმყოფოს საწოლზე ვიჯექი. იმის იმედიც კი არ მაქვს, რომ ფეხები დამემორჩილება. თითოეულ მოძრაობას ყურადღებით ვაკვირდები.

– თუ ეს მართლაც ის არის, რასაც ვფიქრობ, მაშინ ასე უნდა იყოს, – დასძინა ექიმმა ბოლოს.

ჩუმად ვარ.

– ეს წამალი დღეში სამჯერ დალიეთ, ეს კი – დღეში ორჯერ და პენიცილინის მიღებაც არ შეწყვიტოთ. ჰო, რა თქმა უნდა, სულ მცირე ორი კვირა – არანაირი სამსახური. სულ მცირე.

დიპლომატის ცხოვრება. აქ დღესასწაული მხოლოდ სამსახურებრივ რუტინაშია.

რამდენიმე დღის შემდეგ, კვირის გეგმები რომ ამოიწურა, ამირი, მარტინი და ტომასი ნიმრუზის პროვინციისაკენ გაემართნენ, მე კი ჩემი წამ-

ლის ტომსიკებით დატვირთული და ჩემივე ავადმყოფობით დაღონებული შინ დავბრუნდი და ბიულეტენი ავიღე.

რა უნდა ვაკეთო ქაბულში სამსახურის გარეშე? ასეთი მოწყენილობა მხოლოდ სამარეში თუ იქნება. იმაზე უარესი ხომ არაფერია, როდესაც შენ გარშემო არაფერი ხდება. ყველაზე ძალიან ის მინდოდა, მოლოდინის ამ ორ თვეს რაც შეიძლება სწრაფად გაევლო, რომ ჩემი ძველებური სახის დანახვა ისევ შემძლებოდა. თუკი, რა თქმა უნდა, ჩემი სახის ნახევარი ისევ ძველი იერსახის დაბრუნებას მოისურვებდა. თუმცა არა. დრო არასდროს გასულა ისე ნელა, როგორც მაშინ. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დრო წინ კი არა, უკან მოძრაობდა. დღეებს ძილში, კითხვასა და ფილმების ყურებაში ვატარებდი. ცოტ-ცოტა მეძინა კიდეც. დარდის განსაქარვებლად ვწერდი, სახლში დავბორიალობდი, გათბობის მილებს ვეხუტებოდი და ჩაის ვსვამდი. ძველი და ჩვეული ინგრედიენტებით ახალი და უცნაური კერძების გამოგონებას ვცდილობდი. დღეში ოცჯერ ვიხედებოდი სარკეში, რომ რამენაირი ცვლილება ან გამოჯანმრთელების რაიმე ნიშანი მაინც დამენახა, მაგრამ ამაოდ.

ერთი კვირის შემდეგ სამსახურში დავბრუნდი.

ასე უსაფრთხოდ ვერავინ იქნება

2006 წლის თებერვალი

ერთ უქმე დღეს უამრავ თბილ სვიტერსა და შალში გახვეული სახლში დავბორიალობდი. დედას დავურეკე. ვიფიქრე, გაუხარდებოდა ქალიშვილის ხმის გაგონება და იმის გაგება, რომ ცოცხალი ვარ და არაფერი მიჭირს. – გამარჯობა, დედა!

სტატიკურმა ელექტროობამ კონტინენტებს შორის გაიარა და დედის ნაცნობი ხმა გავიგონე.

– გამარჯობა, საყვარელო. როგორ ხარ? სად ხარ?

– კარგად ვარ, ყველაფერი კარგად არის. სახლში ვარ. – რა კარგია, ანუ სტოკჰოლმში ხარ?

– არა, დედა! ჩემს სახლში ვარ, ქაბულში.

– ხო, რა თქმა უნდა. აქაც ყველაფერი კარგად გვაქვს. ჩვენი ზაფრანებიც აყვავდნენ. წარმოგიდგენია, უკვე აყვავდნენ! დღეს დილით გარეთ გავედი, ჩვენს ბაღში, შემდეგ ვერანდაზე შუადღისას ყავა დავლიე. მართლაც რომ თბილი დღე იყო.

– მართლაც რა კარგია. აქ...

– კარგია, რომ მალე დღის ხანგრძლივობაც მოიმატებს. დაღლილობა ვიგრძენი და რაიმე სკამის მაგვარს დავუწყე ძებნა, რომ ცოტა ხნით მაინც ჩამოვმჯდარიყავი. საშინლად ვინანე, რომ დავრეკე.

– ნამდვილად. აქ სინათლე თითქმის არ გვაქვს. ვიყინები... – გასულ კვირას ფოსტით ჩემი წამალიც ჩამოვიდა. – წამალი? რამე მოხდა? ავად ხარ? – აღელვებულმა მივაყარე კითხვები და ვიგრძენი, როგორ აიწია ჩემმა ხმამ ერთი ტონით მაღლა.

– არა, არა, შენ არ იდარდო. ტამიფლუ მივიღე. არ მინდა გავრისკო. შენ არ იდარდო, საყვარელო!

კარგი, მაგრამ იქნებ ჩემზეც იღელვოს ვინმემ სულ ცოტა ხნით და ცოტათი მაინც.

კარგი, კარგი, არ ვიდარდებ.

ვცდილობ, ძალა მოვიკრიბო.

– მაგრამ ტამიფლუ. არც კი ვიცოდი, რომ ფრინველის გრიპმა შვედეთშიც შემოაღწია. მეგონა მხოლოდ აზიაში იყო. ანუ აქ, აზიაში-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა.

– კი, აქაც არის. გასულ კვირას გერმანიიდან გადმოსცეს, რომ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ბალტიის ზღვაზე. გაოცებას ვერ ვმალავ.

– კი, მაგრამ ეგ ხომ მაინც შორსაა...

რა თქმა უნდა, ცხადია, რომ უსაფრთხოების საკითხებით აჟიტირებულმა ჟურნალ-გაზეთებმა და ტელევიზიებმა ბალტიის ზღვაში დაღუპული გედის ამბავი გადმოსცეს, რაც საუკეთესო შემთხვევაში ბანალურად და სულელურად ჟღერს, უარეს შემთხვევაში კი სასაცილოც კია.

ზოგჯერ მგონია, რომ შვედეთში მხოლოდ იმაზე დარდობენ, რაც კონკრეტულად მათ ეხებათ. ასე ხომ უფრო მარტივია. რატომ უნდა შეიწუხო თავი იმ ათასობით ადამიანზე ფიქრით, რომელიც ცუდი კვების, მალარიის ან ბინძური წყლის გამო კვდება. თუ დაღუპულთა შორის ევროპელები ან ამერიკელები არ არიან, ესე იგი მათზე დარდი არც ღირს. – ვერ

გავრისკავ, – აგრძელებს ჩემი სიჩუმით წახალისებული დედა და ცდილობს, დამამშვიდოს: – როცა იქნება, ხომ ჩვენთანაც მოვა. ვერ გავრისკავ. მთავარია, ახლა ტამიფლუ მაქვს. შენ ნუ იდარდებ!

– კარგი, მაშინ...

დედამ ყურმილი დაკიდა. მობილური ტელეფონი ხელში გამეყინა და სკამიდან წამოდგომაც კი გამიჭირდა. საკუთარი ოჯახისგან, ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანებისაგან, თავი ასე შორს არასდროს მიგრძნია.

ცდუნებანი

2006 წლის მარტი

ერთ საღამოს სავარჯიშოდ წავედი და თან ერთი ბოთლი ძვირფასი ვისკიც გავიყოლე, რომელიც მატის გულისხმიერი მეგობრობისათვის მადლობის ნიშნად ვაჩუქე. დაახლოებით ორი საათის შემდეგ მატიმ დამირეკა და თავისი გაწელილი ფინური აქცენტით მკითხა:

– ვისკის ამბავი ალბათ ხუმრობა იყო, ხომ?

– რა? რას გულისხმობ? – დავიბენი მე.

– სითხეში ჩაის ფოთლებიც კი ჩანს, – გაეცინა მატის. სასწრაფოდ შინ გავიქეცი და ის კარადა გამოვაღე, სადაც ალკოჰოლურ სასმელებს ვინახავდი. ჯინისა და არყის ქილებში წყალი ესხა. ღვინის გაცილებით მეტი ბოთლი მქონდა და არყის მთელი ყუთიც არსად ჩანდა. ყველაფერი ალბათ სწორედ იმ დღეს მოხდა, სახლში მისულს მალალაი იატაკზე მძინარე რომ დამხვდა, საკუთარი ნარწყევით მოთხვრილ ხალიჩაზე. იქნებ მოწამლული სულაც არ იყო მაშინ?!

მალალაი რომ მოვიდა, დაკითხვა დავუწყე. კითხვას კითხვაზე ვაყრიდი, ის კი მხოლოდ თავს აქნევდა და მაგიდას თვალს არ აშორებდა. მე არ ვჩერდებოდი:

– გასაღები დამიბრუნე და იცოდე, რომ ჩემს სახლში შენი ადგილი აღარ არის.

– კი, მაგრამ, მე ხომ ისეთი დაბალი ხელფასი მაქვს, – წუწუნებდა ის.

– ეს იგი აღიარებ, ხომ?

– სხვა დროს ასე აღარ მოვიქცევი, გპირდებით!

– მალალაი, მე ვერ დავუშვებ, რომ ჩემს სახლში ისეთმა ადამიანმა იაროს, რომელსაც არ ვენდობი, რომელიც ჩემს ნივთებს იპარავს. ასე არ გამოვა, – მტკიცედ მივუგე მე. – შვილები ვარჩინო? ახლა ქუჩაში მომიწევს გასვლა, – შემომჩივლა მან.

მეორე დღეს მალალაიმ სამსახურში მომაკითხა და ცრემლიანი თვალებით უკან დაბრუნებას მევედრებოდა, მაგრამ ჩემი გაყინული გულის გალღობა მაინც ვერ შეძლო.

ავღანელი ვარსკვლავი

2006 წლის მარტი

ერთხელ სამსახურში მასმედიის თავისუფლებისა და საფრთხის ქვეშ მყოფ ჟურნალისტთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელმა ავღანელი ჟურნალისტის, ვინმე შაქებ ისაარის დახმარების მიზნით მომმართა. აინტერესებდათ, შეძლებდა თუ არა ეს ჟურნალისტი შვედეთისგან რაიმე სახის დახმარების მიღებას.

შაქები ტელეკომპანია „Tolo TV"-ის მუსიკალური გადაცემა „Hop"-ის წამყვანი იყო. „Tolo TV" ავღანეთის ერთადერთი კერძო ტელეკომპანიაა, რომელიც ავსტრალიაში მცხოვრები, მაგრამ ახლახან უკან დაბრუნებული ავღანელი ძმების საკუთრებაა. ტელეკომპანია დღითი დღე აფართოებს საზოგადოებაში დაშვებული და მიღებული საკითხების საზღვრებს და ინდურ-თურქულ პოპ-მუსიკასთან ერთად ჯანმრთელობაზე რჩევებსა და დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს სთავაზობს იმ ქალებს, რომლებიც მთელ ცხოვრებას სახლში ატარებენ. მათ პოპულარული გადაცემა „Extreme Makeover"-ის საკუთარი ვერსიაც გააჩნიათ, სადაც

შალვარ-კამიზებში გამოწყობილი წვერიანი ახალგაზრდა ავღანელები დასავლურ ტანსაცმელში გამოწყობილ და წვერგაპარსულ ადამიანებად ტრანსფორმირდებიან, მათ რამდენიმე ქალი წამყვანიც ჰყავთ, რომლებიც, სხვათა შორის, წამყვან მამაკაცებთან ერთად ჩნდებიან – კადრში. ეს ალბათ სწორედ ის არის, რაზედაც ბაქირ მოინი საუბრობდა – ცვლილება შიგნიდან. „Tolo TV“ სწორედ ასეთი ყოველდღიური ამბოხია, რომელსაც ცვლილებები მოაქვს. ერთგვარი მშვიდობიანი რევოლუცია.

თუმცა ყველა როდია „Tolo TV“-თი აღფრთოვანებული. მოლები და სხვა რელიგიური დაჯგუფებები საშინლად უკმაყოფილონი არიან და ამტკიცებენ, რომ „Tolo TV“ მხოლოდ ავღანური კულტურისა და ისლამის შეურაცხყოფას ემსახურება. ამგვარი დაჯგუფებების მუქარებიდან ერთ-ერთი 2005 წლის მაისში შესრულდა, როდესაც შაქების მანდილოსანი კოლეგა, შაიმა რეზაიე, რომელსაც მუსიკალური გადაცემა მასთან ერთად მიჰყავდა, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

შაქებ ისაარს „Tolo TV“-ს იმ მცირე საკონფერენციო დარბაზში შევხვდი, სადაც თავს აფარებდა. შაქებს შაქრის ნატეხივით ტკბილი გარეგნობა ჰქონდა და ჯინსის შარვალსა და ჰიპის ტანსაცმელში იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ „JC“-ის ჯინსის ტანსაცმლის რეკლამაშიც თავისუფლად გადაიღებდნენ. თუმცა უკანასკნელი მოვლენების გამო თავჩაქინდრული და დაღონებული დამხვდა.

– I don't even dare to go home[104], – მითხრა მან. შაიმას სიკვდილის შემდეგ მუქარების უგულებელყოფა გაცილებით უფრო რთული გახდა.

– მე ვერაფერს დაგპირდებით. ძალიან რთულია, – ვუთხარი მე და ისლამაბადში შვედეთის საელჩოს დახმარებით საქმე მიგრაციის საბჭოს

[104] (ინგლ) სახლში წასვლასაც კი ვერ ვბედავ.

გადავუგზავნე. უპირველესად, ის უნდა გამერკვია, საერთოდ შევძლებ-დით თუ არა რაიმეს გაკეთებას.

რამდენიმე დღის შემდეგ შეტყობინება მივიღე. მაცნობეს რომ შესაძ-ლებელი იყო შაქებისათვის ვიზის დამზადება. შვედეთში ჩასული შაქები შეძლებდა თავშესაფარი მოეთხოვა. საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი მხოლოდ მიგრაციის საბჭოზე იყო დამოკიდებული, რასაც, შესაძლოა, რამდენიმე თვე დასჭირვებოდა.

„Tolo TV“-ს ოფისში ვაჰაბმა წამიყვანა.

ისეთ დღეებში, როდესაც ეჭვი მეპარება საკუთარ შესაძლებლობებში და იმისიც კი არ მჯერა, რომ რაიმეს შეცვლა შემიძლია, სწორედ ამ დღეს ვიგონებ.

შაქები სიხარულით ცას ეწია. თავიდან არ სჯეროდა, რომ ეს სიმარ-თლე იყო. მე კი მის დამშვიდებას ვცდილობდი და ვაფრთხილებდი, რომ სრულიად შესაძლებელი იყო, მისი მოლოდინები არ გამართლებულიყო ან ძალიან ბევრი რამე მის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილიყო. ჯერ არა-ფერი დასრულებულა. მან, შესაძლოა, თავშესაფარი ვერც მიიღოს; შე-საძლოა, ამასობაში აქაც შეიცვალოს სიტუაცია და ყველაფერი დამ-შვიდდეს. ვცდილობ ავუხსნა, რომ არც იქ ცხოვრებაა ადვილი. აქ მას ყველაფერი აქვს: საკუთარი წრე, სამსახური, ოჯახი, თითქმის ვარ-სკვლავური სტატუსი. იქ კი მხოლოდ სიცარიელე ელოდება. აქ ყველა-ფერი აქვს, იქ... არაფერი. თავშესაფრის მაძიებელთა ბანაკის კიდევ ერ-თი უსახელო სტუმარი. ფორთოხლისფერი ფარდები, გატეხილი ჟალუ-ზები, უცნაური ავეჯი და გაცვეთილი თეთრეული. ის აქ ჟურნალისტია, რომელმაც მხოლოდ საკუთარი ენა იცის სრულყოფილად. შვედეთში

ჟურნალისტის სამუშაოს შოვნა კი სრულყოფილი შვედურითაც გაუჭირდება. რა რთულია ამ ყველაფრის სწორად ახსნა. შაქები იღიმის და უხარია, მე კი ვცდილობ მომავალი შვედეთში შეძლებისდაგვარად შავბნელ ფერებში დავანახო. მას ჩემი არ ესმის და დაბნეული შემომცქერის:

– But Diana, I cannot stay here. I just want to live[105]. ენა ჩამივარდა.

რთულია ასეთ არგუმენტს შეეწინააღმდეგო.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ორგანიზაციამ შაქებს თვითმფრინავის ბილეთის საყიდელი და ცოტაოდენი გზის ფული შეუგროვა და გამგზავრების დღეც დადგა. შაქებს ეშინოდა, რომ მას ქაბულის აეროპორტში დააკავებდნენ, მე კი იმის უფრო მეშინოდა, რომ მას შვედური შენგენის ვიზის მიუხედავად, ფრანკფურტის აეროპორტიდან უკან გამოაბრუნებდნენ. შაქებს მოუსვენრობა ეტყობოდა. ის ხომ პირველად მიდიოდა ევროპაში. მრავალი სხვა ავღანელის მსგავსად, მთელი მისი ცხოვრებაც ავღანეთსა და მის შემოგარენში – პაკისტანში, უზბეკეთსა და თურქმენეთში – განვითარდა.

თანხმობა მისი ვიზის შესახებ ისლამაბადში ჩამოვიდა. შაქებს პირადად ჩავუტანე და კიდევ ერთხელ ავუხსენი, რა უნდა ექნა, როდესაც არლანდაში ჩავიდოდა. რის მოლოდინი უნდა ჰქონოდა პირველ თვეებში. ისიც გავუმეორე, რომ საბოლოო ჯამში შესაძლოა თავშესაფარი ვერც მიეღო და იქ ცხოვრება ძალიან გართულებოდა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ შაქები, როგორც იქნა, შვედეთისაკენ გაემგზავრა.

პირველად ფრანკფურტიდან დამირეკა, ახლა რა ვქნაო. – წადი სტოკჰოლმში და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გითხარი.

---

[105] (ინგლ.) მაგრამ, დიანა, მე აქ ვერ დავრჩები. მე მხოლოდ ის მინდა, რომ სიცოცხლე შევინარჩუნო.

არლანდაში ჩასულმა შუაღამისას ისევ დამირეკა და დაბნეულმა მკითხა:

– ახლა რაღა ვქნა?

თვალწინ დამიდგა არლანდის აეროპორტში მარტოდმარტო დარჩენილი შაქები. ყველა სადღაც გაქრა, ყველას სადღაც ეჩქარება. ის კი მარტო დარჩა ჩანთაში ჩარაზულ თავის მომავალთან ერთად.

– პირველსავე ჩინოვნიკს უთხარი, რომ თავშესაფარს ითხოვ, – ალბათ ათჯერ გავუმეორე, – მიგრაციის საბჭოში იციან, რომ ჩადიხარ. გელოდებიან და ყველაფერს მოაგვარებენ.

ყურმილს ვკიდებ და დაძინებას ვცდილობ, მაგრამ ამაოდ. საწოლში ვტრიალებ და სულ შაქებზე მეფიქრება: „ნეტავ რას აკეთებს, თავს როგორ გრძნობს. ახალი ცხოვრების დაწყების სიხარული ეჭვებმა ხომ არ გაუუფერულა. მას ხომ, ჩემგან განსხვავებით, საკუთარი სურვილით არ დაუტოვებია სამშობლო?!“

შვედეთში ჩასული შაქები ლუნდვიკაში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა ბანაკში მოხვდა. ძალიან მინდა, რომ მანაც იგივე არ განიცადოს, რაც მე – ქაბულში ჩამოსვლისას, სახელმწიფო ჩინოვნიკებთან ჩემი კონტაქტების მიღმა არსებულ პარალელურ სამყაროში. ერთადერთი ლუნდვიკელი, ვისაც ვიცნობ, ანდერსია, პოპმომღერალი, მეტსახელად Monkeybrother, მაშინვე მას დავურეკე და ვკითხე, ვინმეს ხომ არ იცნობდა, ვინც შაქებთან ერთად გასეირნებასა და ყავის დალევას ისურვებდა.

– იქნებ შვედური საზოგადოების შესახებ გაესაუბროს. არ მინდა, სულ მარტო იყოს, ასე შორს თავისი სამშობლოდან.

ანდერსი ჩაფიქრდა და ბოლოს მითხრა:

– ერთ გოგონას ვიცნობ, რომელიც ჯერ კიდევ ლუნდვიკაში ცხოვრობს. მას დაველაპარაკები.

მოგვიანებით შაქებს რომ დავურეკე, შედარებით კარგ გუნებაზე დამ-ხვდა. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. სულ ვუმეორებდი, რომ შვედური მაქსი-მალურად კარგად უნდა ესწავლა, ის კი იმაზე მიყვებოდა, დღეები რო-გორ გაჰყავდა ბანაკში თავის ერაყელ, ქურთ და სომალელ მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაშში. ისიც მითხრა, რომ მის შესახებ სტატიები დაწერილა, რომ შვედეთში სამსახურის დაწყება სურდა და შვედურის გაკვეთილებზე დადიოდა.

– Diana, thank you so much for everyhing. I am so happy.[106]

– მე ნუ მიხდი მადლობას. მე ჩემი საქმე გავაკეთე მხოლოდ.

– I realize now that we live like dogs in Afghanistan. Like dogs[107].

[106] (ინგლ.) დიანა, მადლობა ყველაფრისთვის. ძალიან ბედნიერი ვარ!

[107] (ინგლ.) ახლა ვხვდები, რომ იქ, ავღანეთში, ჩვენ ძაღლებივით ვცხოვ-რობთ. ნამდვილი ძაღლებივით.

შვედური სახელმწიფო უწყებები

2006 წლის მარტი

კურიერმა ფოსტა მომიტანა. ჩემი ბანკი თავს არ მავიწყებს და უამრავ წერილს მიგზავნის. ახლაც, როგორც ყოველთვის, ბანკის წერილები მომიტანეს, თუმცა მათ შორის ერთი ხმოვანი წიგნებისა და ბრაილის შრიფტის ბიბლიოთეკიდანაცაა. A4 ფორმატის წერილში იუწყებიან, რომ საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტისათვის დაწერილი ჩემი 32-გვერდიანი პუბლიკაცია ხმოვან წიგნად უნდა გამოიცეს და ბიბლიოთეკიდან ყოველ ჯერზე გატანისათვის რამდენიმე ერეს[108] მივიღებ.

წერილი მაცივარზე გამოვაკარი, რომ სხვა, პარალელური სამყაროების არსებობა არ დამვიწყებოდა.

[108] შვედური ხურდა ფული.

გაზაფხულის მზე

მარტი 2006

ქაბულში თალიბების ბატონობის დროს ერთი ბაზრობა არსებობდა, სადაც მეკობრულ კასეტებსა და DVD-ზე ჩაწერილ ფილმ „ტიტანიკს“ ყიდდნენ. სწორედ ამიტომ ბაზარსაც „ტიტანიკის ბაზრობა“ შეარქვეს. ამ ბაზრობასთან ახლოს ერთი ფოტოგრაფი მუშაობდა, რომელსაც მე „თალიბანის ფოტოგრაფი“ შევარქვი, რადგან ის უძველესი, ყუთიანი ფოტოკამერით თალიბურ სტილში გადაღებულ ფერად ფოტოებს ხელით ამჟღავნებდა და ბეჭდავდა. რისთვის აკეთებდა ამას, ირონიით თუ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ნამდვილად არ ვიცი. იქნებ, სანამ სხვა დაასწრებდა, ბაზარზე სიახლე დანერგა და თავისი ნიშა დაიკავა... არც კი ვიცი, თუმცა თალიბურ სტილში გადაღებული ფოტოები რომ ნამდვილად მინდოდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ იქ კლინტონთან ერთად გავემგზავრე. კლინტონი ახალგაზრდა ამერიკელია, რომელიც

ჩემთვის გაუგებარი მოხერხებულობით მცირე დროში ადგილობრივ ენასაც ბრწყინვალედ დაეუფლა და აქაურ წეს-ჩვეულებებსაც კარგად აუღო ალღო. კლინტონი სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც გარეგნობით 19 წლის ბიჭს ჰგავს. მისი შეყვარება რომ შემძლებოდა, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. ამერიკის რომელიმე პატარა ქალაქში დავსახლდებოდით. გარაჟში ორი მანქანა გვეყოლებოდა, „როტარიში“[109] გავწევრიანდებოდით და ვაშლისლოყება ბავშვებს გავაჩენდით, რომლებიც საუზმედ ბურღულს შეჭამდნენ. თუმცა არა, სასაცილოდაც არ მყოფნის.

მარტის ერთ თბილ დღეს ბაზრობაზე წასვლა გადავწყვიტეთ. გარეთ ყველაფერი ფერს იცვლიდა. ნაცრისფერგადაკრულმა სახლებმა და კედლებმა თითქოს მოყვითალო ფერი მიიღო და კამკამა ლურჯი ცის ფონზე ქალაქს გარშემორტყმული მთებიც თითქოს ამაყად გაიშალნენ მხრებში.

ირგვლივ ყველგან პატარა ნიშნებს ვხედავ, ამ ნიშნების მიღმა კი – ქვეყანას, რომელიც მშიერი მგელივით დახარბებია უკეთეს მომავალს. ქალაქში ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულა პატარ-პატარა ჯიხურები, რომლებშიც ბოლივუდის ფილმები, CD-დისკებზე ჩაწერილი თურქული პოპმუსიკა, ქვაბები და სინთეტიკური ბაწრები იყიდება. მუშები ასფალტს არემონტებენ. გზაზე მიმავალ შეფერხორციანებულ ვირს, რომელსაც სამბორბლიანი ურიკით ტვირთი მიაქვს, პატრონის მზრუნველი ხელი ეტყობა. კედელს მიყრდნობილი, ჯინსიანი და თავშალმოხვეული გოგონები რაღაცაზე ისე გულიანად იცინიან, რომ სხეული უცახცახებთ. ბაზარი კი სახელდახელოდ გაპრიალებული ბოსტნეულის პირამიდებით არის სავსე.

ფოტოატელიე ზამთარ-ზაფხულ თიხითა და ნაგვით სავსე მდინარე ქაბულის მარცხენა სანაპიროზე ბაზრის ჯიხურებს შორის იდგა. შევედით თუ არა, ფოტოგრაფმა დირიჟორივით გადაგვინაწილა როლები და

[109] საქველმოქმედო ორგანიზაცია.

მომავალი ფოტოს სტილიც მალე განსაზღვრა – საქორწინო ფოტო უნდა გადაგვეღო ჭყეტელა ფერებით მოხატული შპალერის ფონზე, რომელზე-დაც ქაბულის მთები იყო გამოსახული. ფოტოგრაფმა კლინტონს ჩალმა დაახურა, ჯავშანჟილეტი ჩააცვა და ხელში პლასტმასის კალაშნიკოვი მისცა. მე ბურკა ჩამომაცვა და ხელში დისკოთეკისათვის შესაფერ ფე-რებში გადაწყვეტილი პლასტმასის ყვავილების თაიგული მომაჩეჩა.

– არა, გაღიმება არა! ნიკაპი დაბლა დასწიე! – მითხრა ფოტოგრაფმა და ქსოვილის ქვეშ შეძვრა.

როგორ არ უნდა გამეცინა? შუაგულ ქაბულში, ე. წ. ფოტოატელიეში ვიჯექი და ვიღაცის ბიზნეს-იდეის წყალობით თალიბანის დროსა და იდეალებს დავცინოდი.

ფოტოსესიის შემდეგ ქალაქის ახლად გახსნილ და ყველაზე მდიდ-რულ სასტუმრო „სერენაში“ წავედი, რათა ჩემს საყვარელ კაფეს ჩაის დასალევად ვწვეოდი. სევდიანი ფიქრებისაგან განთავისუფლება მინდო-და. უკუთვლა უკვე დაწყებული იყო და გულში ტკივილს ვგრძნობდი იმის გამო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ზეწოლის მიუხედავად, კონტრაქტის კიდევ ერთხელ გაგრძელებაზე უარი განვაცხადე. მათ რომ დამირეკეს, საშინლად დაღლილი და სასოწარკვეთილი ვიყავი.

ახლა კი სასტუმროს კაფეში ვზივარ და სასწორის ერთ მხარეს მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი მეგობრები, ჩემი ქალაქი და ჩემი სამსახური დევს, მეორე კი მხოლოდ გაურკვევლობით არის სავსე.

მშვიდობით, იარაღო!

2006 წლის აპრილი

ჩვენ რომ ჩავედით, სოფლის მეჩეთი ხალხით გადავსებული დაგვხვდა. სამლოცველო დარბაზში იმდენი ხალხი იყო, რომ მთელი მეჩეთი თონეს-ავით ხურდა. სუნთქვაც კი ჭირდა. მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული მამაკაცები მუხლმოყრილნი ისხდნენ მეჩეთის ხალიჩით დაფარულ იატაკზე.

ზოგი ფეხით ჩამოვიდა, ზოგიც – ვირით. ერთ-ერთ მათგანს მხარზე სანადირო თოფი მოეგდო, წელზე კი ტყავის ქამარზე ასხმული მასრები შემოერტყა. თვალებს ისე აცეცებდა, 1910 წელს გამოშვებულ „რემბოს“ ჰგავდა. კიდევ რამდენიმეს ისე ახლოს დაედო თავისი კალაშნიკოვი, საჭიროების შემთხვევაში ხელის ერთი გაწვდენით რომ მისწვდომოდა.

ირლანდიელმა მაიკლმა, რომელსაც ნამდვილი ირლანდიელისათვის დამახასიათებელი ლურჯი თვალები და ულევი ენერგია აქვს, ადგილზე ჩასვლა და უკანონო იარაღის ჩამორთმევის პროცესზე დასწრება მთხოვა. კომენდანტი დიდარი ძალას არ იშურებს, რომ დაგვიმტკიცოს, თუ

რამდენად კარგი კანდიდატია ახალი პარლამენტისათვის და მთელ სოფელს განიარაღებისაკენ მოუწოდებს.

– როგორც დაგპირდით, რამდენიმე უცხოელი მოწმე ჩამოვიყვანე, – მაიკლმა თვალები ზეცას მიაპყრო. საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი ექვსი უცხოელი მოწმე პარასკევის გამო დაცლილი ქუჩებით ხაკ-ჯაბარისაკენ მივიკვლევდით ლაფიან გზას. მოღუშულ ავღანურ ყოველდღიურობას კაშკაშა მზეც ვერაფრით ახალისებდა. „ლენდკრუიზერსა“ და პიკაპში გადანაწილებული კომენდანტი დიდარი და მისი დაცვა კი წინ მიგვიძღოდა. ჩვენც მორჩილად მივყვებოდით მანქანის ნაკვალევით დაქსაქსულ გზას. ნანგრევებს შორის სარკისებური მინებით მოპირკეთებული ახალშენი გამოჩნდა.

დაახლოებით ერთ საათში ხაკ-ჯაბარში მივედით. სხვა რომ არაფერი ყოფილიყო, ამას ყველა კედელსა და ქვაზე გამოკრული პლაკატებითაც მივხვდებოდით, რომელზედაც უკომპრომისო სახის, მეკობრესავით წვერითა და ბერეტის მსგავსი ფაქულით[110], კანდიდატი დიდარი იწონებდა თავს. მას იმედი ჰქონდა, რომ იარაღი, მუქარები და ზეწოლა საპარლამენტო არჩევნების მოგებაში დაეხმარებოდა და რამდენიმე თვეში უზრუნველ მომავალს გაინაღდებდა. პლაკატების გამოჩენიდან სულ მალე კომენდანტ დიდარის მშობლიურ სოფელს, მზის ოქროსფერი სხივებით მოხატული თიხის სახლებით სავსე ხორდ-ქაბულს მივადექით.

ხალხით სავსე მეჩეთში შევედით. მეჩეთს ქალებისთვის გამოყოფილი ცალკე სამლოცველო არ ჰქონდა. პარასკევის ლოცვაზე ქალებს ისედაც არავინ ეპატიჟებოდა, თუმცა მე და ჩემი კიდევ ერთი კოლეგა ქალბატონი ცნობისმოყვარე ღიმილს გაგვარიდეს და გვერდითა ოთახში შეგვიყვანეს. კაცები ერთხანს ჩუმად ისხდნენ და ხელში კრიალოსნებს ათამაშებდნენ. მაიკლის გაბუჩქული წვერი ჟღალი რომ არ ყოფილიყო, მწვანე ჩალმასა

[110] ავღანური ქუდი.

და შალვარ-კამიზში გამოწყობილი, ისიც ნამდვილი ავღანელი გეგონებოდათ. კომენდანტი დიდარი საკუთარ მშობლიურ სოფელში ბოლოს სამი წლის წინ ჩამოვიდა. თავიდან საუბრის დაწყებაც გაუჭირდა. ბოლოს მხნეობა მოიკრიბა, ფეხზე ადგა და სიტყვა წარმოთქვა. დიდარი ქედმაღლური და ყალბი ღიმილით საუბრობდა ეთნიკურ ერთიანობაზე, ირანთან და პაკისტანთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, სოფლის პრობლემებსა და ახმედჯაის კლანთან სისხლიან დაპირისპირებაზე, რომლის დავიწყებაც სურდა. ერთი სიტყვით ქალების მდგომარეობასაც შეეხო, რაც ალბათ იმ სამი წყვილი თვალის დაჟინებულმა მზერამ განაპირობა, გვერდითა ოთახიდან რომ მისჩერებოდა. საუბრის ბოლოს კი კომენდანტმა ხალხს განიარაღებისაკენ მოუწოდა.

– იარაღი მხოლოდ პრობლემებს იწვევს! პარლამენტში რომ ამირჩევენ, მე ქაბულიდან ვიზრუნებ თქვენს პრობლემებზე! – უთხრა მან ხალხს და გაოფლილი შუბლი შეიმშრალა. ხალხში ჩურჩული გაისმა. არ ვიცი, მის სიტყვებს ეწინააღმდეგებოდნენ თუ პირიქით – ნდობას უცხადებენ. ამ ქვეყანაში ნდობა ხომ, კარგა ხანია, თითქმის აღარ არსებობს, რადგან კანდიდატი დიდარის დაპირებები შენიღბულ მუქარებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილ საქმიან საუბარს.

DIAG[111] ანუ უკანონოდ შეიარაღებულ დაჯგუფებათა განიარაღების პროცესი ადრე დაწყებული განიარაღების პროცესის გაგრძელებაა, რომლის შედეგადაც ავღანური მილიტარისტული დაჯგუფებები ავღანურმა არმიამ ჩაანაცვლა.

განიარაღების პროცესის მეშვეობით იგეგმება იმ 130 000-მდე შეიარაღებულის განიარაღება, როგორც ცალკეული ინდივიდებისა, ასევე მილიტარისტული დაჯგუფებებისა, რომლებიც მთავრობის კონტროლს

[111] Disarmament of Illegaly Armed Groups.

არ ექვემდებარებიან. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს ჯართის მოგროვების უდიდესი პროცესია მთელ მსოფლიოში, რადგან, მათი თქმით, ომის თვითმარქვია მთავარსარდლები იმ იარაღს აბარებენ, რომელსაც თავად ვეღარ იყენებენ.

შეხვედრის დასრულებისთანავე მეჩეთი დაიცალა და ჩვენც ქუჩაში გავედით, სადაც ლანგრებზე ჩამოლაგებულ ფლავსა და ქაბაბს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. ქალები იმ ოთახისაკენ წაგვიყვანეს, რომელიც კედლების გასწვრივ ჩამომსხდარი ქალებით იყო სავსე. ჩვენც ბალიშებზე ჩამოვსხედით. საუბარი რთულად დაიწყო.

– პუშტუ? – იკითხა ვიღაცამ.

უარყოფითი პასუხის ნიშნად თავს ვაქნევ.

– ურდუ?

არც ურდუ.

თავსაფრიანთაგან რომელიღაც ცოტაოდენ დარის ფლობდა. ოცდაათი წლის იყო და ცხრა შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი, ორიოდე წლის პატარა, კალთაში ეჯდა და ძუძუს სთხოვდა.

– შენ რამდენი შვილი გყავს? – მკითხა და თითქმის უკბილო პირით გამიღიმა.

გამიგია, რომ მეძუძური დედები ძუძუთი ბავშვის ხანგრძლივად კვების გამო ადრეულ ასაკში კარგავენ კბილებს.

– არც ერთი, – ვუპასუხე მე.

კითხვის ავტორს თვალები გაუფართოვდა და შეძრწუნებული მომაშტერდა.

დანარჩენმა ქალებმაც ელდანაკრავებივით შემომხედეს. – თქვენ? – მრავალშვილიანმა დედამ ახლა ჩემს კოლეგებს მიმართა კითხვით.

პასუხად მათაც თავები გააქნიეს.

საუბარი თითქმის დასრულდა. ჩვენმა მასპინძლებმა მზერა ხალიჩებზე გადაიტანეს.

როგორი სულელური და ქარაფშუტულიც უნდა იყოს საუბარი, ეს ქალები ჩვენისთანა დასავლელ სტუმრებში ერთგვარ მისაბაძ მაგალითებს ხედავენ, თუმცა ის კი არ იციან, რომ მათთვის ცნობილი რეალობის გარდა სხვაგვარი რეალობაც არსებობს. ისინი თითქმის არ იცნობენ კარიერისტ, საკუთარი აზრისა და ფულის მქონე ქალებს, რომლებიც იმას აკეთებენ, რაც მოესურვებათ. ამიტომ, ამ საუბრის შემდეგ, მათ ჩვენში მხოლოდ ის საცოდავი ქალები დაინახეს, რომლებმაც თავსაფარი რიგიანად ვერ შემოიხვიეს თავზე და ამის გამო ალაჰმა უშვილობით დასაჯა.

სიჩუმე იმდენად დაძაბული და უხერხული გახდა, რომ გადავწყვიტეთ მასპინძლებისთვის მადლობა გადაგვეხადა და წავსულიყავით, თუმცა სანამ წავიდოდით, დამშვიდობებისას თითოეულმა ჩვენგანმა საჩუქრად თავშალი მიიღო.

მე სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული ღია იისფერი თავშალი მერგო.

სახლიდან გამოსულებმა ჯგუფის დანარჩენი წევრების ძებნა დავიწყეთ, რომ ყველას ერთად გვესადილა. სადილად ისევ იგივე გველოდა: ფლავი, ქათმის ხორცი, ქაბაბი, მოხარშული ისპანახი, ახლად გამომცხვარი პური და, რაღა თქმა უნდა, ბოთლებში ჩამოსხმული პეპსი და ფანტა. ბოთლებში ჩამოსხმული პეპსი და ფანტა ყველგან არის – ყველა სუფრასთან, ყველა სოფელში, სადაც კი ვყოფილვარ. პენიცილინი და ძიძები აქ თითქმის არ არსებობენ, თუმცა გაზიანი სასმელები ყველგან იშოვება.

ქაბაბს ვჭამ. უკვე რამდენიმე თვეა, ვეგეტარიანელობაზე უარი ვთქვი. თითქმის ოცი წლის განმავლობაში ვირწმუნებდი თავს, რომ ხორცეულს იმიტომ არ ვჭამდი, რომ არ მიყვარდა. ეს მართლაც ასეა, თუმცა ამ ყურით მოთრეული ევროპული კაპრიზის გამო აქ თავს საშინლად სასაცილოდ ვგრძნობ. ხორცს არ ჭამ? აქ? მეკითხებოდა ყველა და მეც მივხვდი,

რომ იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი მშიერი კუჭით იძინებს, შემოთავაზებულ საჭმელზე უარის თქმა, უბრალოდ, არ შეიძლება.

მე და დიდარი ბრინჯს ერთი ლანგრიდან ვჭამდით, თუმცა ვცდილობდი მის ნაწილს არ შევხებოდი. არ მინდოდა მეც მასავით სისხლის წყურვილითა და სიველურით დავინფიცირებულიყავი.

– შეგროვდა იარაღი? – იკითხა მაიკლმა.

კომენდანტი დიდარი უხერხულად შეიშმუშნა, შემდეგ შუბლზე ჩამოგორებული ოფლის რამდენიმე წვეთი შეიმშრალა და თქვა:

– სოფლის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ეს ადვილი არ არის. მათ არ შეუძლიათ მოსვლა და იარაღის ჩაბარება. ერთხელ უკვე განაცხადეს, რომ იარაღი არ აქვთ.

– მართლაც, მართლაც, – დაეთანხმა მაიკლი და გაეცინა. – იქნებ მართლაც არა აქვთ იარაღი? – დიდარის დაცვა ვცადე მე.

კი, კი, აბა, რა. თუ აქ იარაღი საერთოდ არა აქვთ, მაშინ გამოდის, რომ ეს მთელ ავღანეთში ერთადერთი ადგილია, სადაც იარაღი არა აქვთ.

დიდი ფილოსოფია არ დასჭირვებია იმის მიხვედრას, რომ კომენდანტი დიდარი არ აპირებდა, როგორმე ხელი შეეწყო განიარაღების პროცესისთვის. ამ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ თუ რამე გასაკეთებელია, ვინმე სხვა გააკეთებს. სხვა სოფლის სხვა მაცხოვრებლები, სხვა ლიდერები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატები, პაკისტანი, ირანი – ვინც გინდა იყოს, მთავარია, რომ საქმე სხვამ გააკეთოს. კოლექტიურ აზროვნებას მიჩვეულ ავღანურ საზოგადოებაში პირადი პასუხისმგებლობის იდეამ ვერაფრით დაიმკვიდრა თავი.

სადილის შემდეგ იარაღის დეპოების სანახავად მივდივართ, თუმცა

იარაღის ნაცვლად იქ მხოლოდ მიწაში ამოთხრილი რამდენიმე ცარიელი ორმო გვხვდება.

– ჰმ... – ამოიოხრა მაიკლმა.

კომენდანტმა დიდარმა წვერზე ხელი ჩამოისვა და ბოდიში მოიხადა. იარაღს ალბათ არც არავინ ჩააბარებდა, მაგრამ დარწმუნებული მაინც ხომ ვერ იქნები. ალაჰის ნებით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

სოფლის გარეთ გერმანელი სამხედროების მიერ ახლად აშენებული კლინიკის სანახავად მივდივართ. შენობა ახალია, თუმცა – სრულიად ცარიელი. ერთი ექიმიც კი არ გვყავსო, შემოგვჩივლეს ადგილობრივებმა, რამაც ისე გაგვაოცა, რომ გაცხარებული დისკუსია გავმართეთ. რა საჭიროა ასეთი კლინიკები, თუკი მას ვერავინ მოუვლის? თუმცა, საუბრის ბოლოს გაირკვა, რომ კლინიკაში ერთადერთი ექიმი მუშაობდა, რომელიც სწორედ იმ დროს შვებულების გამო პაკისტანში იმყოფებოდა.

– მხოლოდ ერთი ექიმი? მეტი არა?

აქ კიდევ ერთი დისკუსია წარმოიშვა, რის შემდეგაც გვითხრეს, რომ კლინიკას ერთი მედდაც ჰყავდა, რომელიც პარასკევის გარდა ყოველდღე იღებდა პაციენტებს რამდენიმე საათის განმავლობაში.

სამკურნალო ვარჯიშების, ქალთა კონსულტაციის, პალატებისა და საოპერაციოების შესახებ აღარაფერი გვიკითხავს. იქნებ ჰქონდათ კიდეც, ვინ იცის. აქ ყველაფერი მაინც თავისებურად არის. როგორც ავღანეთში ოცწლიანი გამოცდილების მქონე ჩემი გერმანელი კოლეგა იტყოდა: Expect the unexpected.[112]

კლინიკის მონახულების შემდეგ ისევ სოფელში დავბრუნდით, რომ კიდევ ერთხელ გვენახა, როგორ მიმდინარეობდა იარაღის ჩაბარების პროცესი, თუმცა ამაოდ.

---

[112] ელოდე იმას, რასაც არ ელი.

ჩაბარებული იარაღის ნასახიც კი არსად იყო. კომენდანტი დიდარი შეფიქრიანებული ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში კი ალბათ თვალს გვიხ-ვევდა.

– როგორ ჩააბარებს ახლა ხალხი იარაღს, როცა ერთხელ უკვე თქვეს, რომ არა აქვთ?! – კიდევ ერთხელ მოგვიბოდიშა დიდარმა.

მაიკლი ისევ იცინის და მეუბნება:

– ავღანეთს ორი საექსპორტო პროდუქტი აქვს. მსოფლიოში არსებუ-ლი ჰეროინის 87% სწორედ აქედან გადის.

მეორე პროდუქტი კი მსოფლიოსათვის მოხდილი ბოდიშია, რომელიც დაახლოებით 90%-მდე ავღანურია.

იარაღის ჩაბარებას არავინ აპირებდა, ამიტომ ჩვენც სხვა რა დაგ-ვრჩენოდა, ქაბულის მტვერს მოშორებულებმა, მცხუნვარე მზითა და მთების თვალწარმტაცი ხედებით ტკბობით ვიჯერეთ გული.

თუმცა კომენდანტ დიდარს თავის გამოჩენის წყურვილი ჰკლავდა და ქალაქის განაპირა ერთი სახლისაკენ გაგვიძღვა, სადაც კედელთან მეორე მსოფლიო ომის დროინდელი, დაჟანგული, მტვერსა და აბლაბუდებში გახვეული იარაღი დაეხვავებინა ვიღაცას. დიდარი კმაყოფილებას ვერ მალავდა. მისმა მცველებმა ხროვიდან რამდენიმე იარაღი გადმოიტანეს. აშკარა იყო, რომ მათ არანაირი ზიანის მოტანა არ შეეძლოთ, თუკი ვინ-მე მათ სამუშაო იარაღად არ გამოიყენებდა, ან უბრალოდ, ფეხს არ წა-მოჰკრავდა. ჩაბარებული დაჟანგული იარაღის გროვა იმდენად პატარა იყო, რომ სასაცილოდაც არ გეყოფოდათ. თუმცა მათთვის, ვინც განია-რაღების პროცესს აკვირდებოდა, ეს გროვა ნათელი მაგალითი იყო სრუ-ლიად ავღანეთში მიმდინარე ამ პროცესის წარმატებისა.

– აი, სულ ეს არის, – გვითხრა კომენდანტმა დიდარმა და ხელებიდან მტვერი და ჭუჭყი ჩამოიბერტყა.

– Insh'allah.

იმედი

2006 წლის აპრილი

ქალ-ე ფატულაში ნამდვილი ოაზისი აღმოვაჩინე. სილამაზის სალონი, სადაც დროდადრო დავდივარ და მომსახურე გოგონებთან ფარსის ენაზე გასაუბრებას ვცდილობ. ისინი ჩაითი მიმასპინძლდებიან და ჩემი ჩამოშლილი ფასადის გალამაზებას ცდილობენ. ასეთი ადგილები იმედს მიღვივებს და ისე მახალისებს, რომ იქიდან წამოსული, შემდეგ მისვლამდე ვიღიმი.

ლტოლვილთა სამინისტრო

2006 წლის აპრილი

ლტოლვილთა სამინისტროს ჩაბნელებულ დერეფანში ვიჯექი და შვედეთსა და ავღანეთს შორის დადებული რეადმისიის ხელშეკრულების როგორმე წინ წაწევის გეგმას ვაწყობდი, რომ უეცრად ტელეფონმა დარეკა.

– გამარჯობა, მარტინი ვარ.

ტელეფონის მეორე ბოლოდან საშინლად ნაცნობი და ამავე დროს გაუცხოებული ხმა მომესმა.

– გაგიმარჯოს, – მთელი ძალით შევეცადე, გაოცება დამემალა, მაგრამ, მგონი, ამაოდ. ის ზედმეტად კარგად მიცნობს, იმის მიუხედავადაც, რომ რამდენიმე თვეა, მისგან არაფერი გამიგია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ბოლოს რამდენიმე თვის წინ შემეხმიანა.

– პარიზში ვარ ავღანეთის საელჩოს წინ. მოწვევა მჭირდება ვიზისთვის.

– ვიზისთვის?

– ხო, ვიზისთვის. წინა მოწვევას ვადა გაუვიდა. ეს ჩამოსვლის ბოლო

შანსი იქნება ალბათ, ხო?

– პარიზში რას აკეთებ?

– შვებულება მაქვს.

– გასაგებია.

სინამდვილეში ვერაფერი გავიგე. მე რომ მოგზაურობასა და რამის გაკეთებას მოვინდომებდი ხოლმე, სოდერმალმიდან ფეხის გადგმაც კი არ უნდოდა, ახლა კი შვებულებით პარიზში წასულა. ალბათ უნდა გამხარებოდა კიდეც, თუმცა პირველი ინსტინქტი ეჭვი იყო მის მიმართ, ვის ან რის გამოც პარიზში წასვლა გადაწყვიტა. ის, რომ ახლა ტელეფონით მომიკითხა, არანაირ შვებას არ მგვრის.

– მოწვევას ფაქსით გამოგიგზავნი ოფისიდან. ახლა გარეთ ვარ და ერთ-ორ საათში მივბრუნდები.

ტელეფონი გაითიშა და ისევ ლტოლვილთა სამინისტროს ჩაბნელებულ დერეფანს დავუბრუნდი. დათქმულ დროს, კარგა ხანია, ჩაევლო, მაგრამ ის კაცი, მე რომ უნდა შემხვედროდა, არსად ჩანდა. იქნებ საერთოდაც დაავიწყდა ჩვენი შეხვედრა. ჩაი შემომთავაზეს. ქალები და კაცები ბოდიშის მოხდით უვლიდნენ გარს ჩემს სავარძელს. ნეტავ რა უნდოდა მარტინს?

ოფისში დაბრუნებულმა მარტინისთვის ახალი მოწვევა გავაგზავნე. ახალი ვიზაც გაუმზადეს, მაგრამ არც ამჯერად ჩამოვიდა. თუმცა, წინა შემთხვევასთან შედარებით ახლა ეს საერთოდაც არ მადარდებდა.

მოკალი ისინი

2006 წლის გაზაფხული

ერთ დღეს „ფლაუერ კაფეში“ გაზაფხულის მზის სხივებით ტკბობისას დიპლომიან იურისტსა და ნიუ-იორკში გაზრდილ მალალაის გავესაუბრე. ის გამხდარი, კოხტად ჩაცმული და ისეთი მაგარია, რომ კაფეში მისი შემოსვლისთანავე ტემპერატურამ რამდენიმე გრადუსით დაიკლო. მალალაი წყლისა და ენერგორესურსების სამინისტროში მრჩევლად მუშაობს, სადაც ამჟამად კონსერვატორი ისმაილ-ხანია მინისტრი. მისი ქმარი კი თავად პრეზიდენტ ყარზაის მრჩეველია. პირადად არც მალალაის და არც მის ქმარს კარგად არ ვიცნობ, თუმცა მათი სუპერკონსერვატული ნიუ-იორკულ-პუშტუნური ქორწილის შესახებ ბევრი მსმენია და არც წარმოდგენა მიჭირს. მამაკაცები და ქალები ერთმანეთისაგან მოშორებით, ცალ-ცალკე ზეიმობენ. კბილებამდე შემოსილი, მსუყე მაკიაჟიანი ქალები, ხრინწიანი გამაძლიერებლებიდან წამოსული ყურისწამღები მუსიკა, ფანტას ბოთლებით გადავსებული სუფრა და ლანგრებზე დახვავებული საჭმელი. ზოგჯერ მგონია, რომ მე პარალელურ სამყაროებში ვცხოვრობ. ამ ქალმა რაღა უნდა თქვას მაშინ? ის ისეთი თავისუფალი

და პროგრესულად მოაზროვნეა, რომ მგონი მეუღლეც არაფერში სჭირდება. პირადად მე, მათი ერთად წარმოდგენა მაინც მიჭირს. მალალაის მეუღლე ისევე სჭირდება, როგორც თევზს ველოსიპედი, რადგან მისი ქმარი, ჩემი აზრით, დიდს არაფერს წარმოადგენს. საუბარი თითო ჭიქა ბროწეულის წვენით დავიწყეთ და უამრავ რამეზე ვისაუბრეთ. ბოლოს ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და უსაფრთხოების მდგომარეობის თემას მაინც ვერ ავცდით. – ხანდახან უიმედობა მიპყრობს. არც კი ვიცი, ამ ქვეყნის აღმშენებლობა საიდან უნდა დავიწყოთ, – ამოვიოხრე მე. მალალაიმ ტუჩზე შერჩენილი წვენი მოილოკა და ჭიქა მაგიდაზე დადგა:

– ომის უკანონო მთავარსარდლების ამოხოცვით უნდა დავიწყოთ. მათი, ვინც ეს ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა. ისინი სიცოცხლის ღირსნი არ არიან! რაც მალე მოვაშორებთ ამ ქვეყანას, მით უკეთესი იქნება, – თქვა მან, მისი სიტყვები მუხლებში რეზინის ჩაქუჩივით მომხვდა – გეთანხმებით, რომ ისინი აუცილებლად უნდა მოშორდნენ ამ ქვეყანას, მაგრამ მათი დახოცვა... – დავიწყე მე, მაგრამ მალალაიმ სხაპასხუპით შემაწყვეტინა:

– დიახ, აუცილებლად უნდა დავხოცოთ ისინი, რადგან თუ ციხეში ჩავკეტავთ, ავღანელები ჩათვლიან, რომ ისინი ერთ დღესაც ციხიდან გამოვლენ და მათ ისევ მათთან შეგუება მოუწევთ. სწორედ ამიტომ მათი დახოცვა და მიწაში დაფვლაა საჭირო. ეს იქნება მათი თავიდან მოშორების ერთადერთი საშუალება.

ვცდილობ, მალალაის ავუხსნა, რომ სისხლით სისხლი არ დაიბანება, რომ უსამართლობა ახალ უსამართლობას წარმოშობს, თუმცა ჩემი მორალისტური არგუმენტები მასზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მორალი ვერ მართავს პოლიტიკას, არსად დედამიწის ზურგზე და მათ შორის არც აქ.

გარდამავალი მართლმსაჯულების გეგმაზე ვფიქრობ, რომელიც ადა-

მიანის უფლებათა დამრღვევების პასუხისგებაში მიცემას ითვალისწინებს. ეს გეგმა დასავლური საელჩოების ერთმა ჯგუფმა რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ შეიმუშავა შესაბამის ავღანურ სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად. ამ გეგმის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლნი მცირე შვებას მაინც იგრძნობდნენ, დამნაშავენი კი თუ არ დაისჯებოდნენ, პოლიციის უფროსების, მინისტრებისა და გუბერნატორების ამჟამინდელ პოზიციებს მაინც დაკარგავდნენ. თუმცა, დასკვნით ეტაპზე, როდესაც გვეგონა, რომ გეგმის განხორციელებას მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობა სჭირდებოდა, მან უკან დაიხია და უარი განაცხადა მის ერთპიროვნულ მხარდაჭერაზე, ამის სანაცვლოდ კი გეგმის მთავრობისათვის წარდგენა შემოგვთავაზა. მინისტრთაგან კი რამდენიმე აუცილებლად ამოიცნობდა საკუთარ თავს, თუმცა, საბოლოო ჯამში არაფერიც არ მომხდარა. საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა უძლურია ქვეყნის შიგნით არსებული ინტერესების წინაშე. ბევრს აწუხებს კითხვა, თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალი რატომ არ მოეწყო. რთულია იმის დაჯერება, რომ ეს ქვეყანა ეროვნული შერიგების რამენაირი პროცესის გარეშე გადარჩება. შესაძლოა, მალალაის იდეები პოლიტიკურ რეალობას უფრო ეხმიანება, ვიდრე ჩემს სამართლებრივ მსჯელობას. მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი აქედან წასვლის შემდეგ დაუსჯელობის სინდრომი დასრულდება და სამართალი იზეიმებს. რაღა თქმა უნდა, უკლებლივ ყველას ვერ დასჯიან, მაგრამ თავისუფლებას თუ მაინც შეუზღუდავენ, ესეც დიდი წარმატება იქნება. – ისინი უნდა მოკვდნენ! ტყვია უნდა დაახალო შუბლში თითოეულ მათგანს! – მალალაიმ წვენის ჭიქა ისე ძალუმად მოიშორა ხელიდან, თითქოს ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ამას ჩემს გასაგონად ამბობს თუ ჩვეულებრივ ავღანელ ხალხსა და თავის უფროსობასაც ასე ესაუბრება?“ – გავიფიქრე ჩემთვის.

– ისმაილ-ხანზე რას იტყვით? მასთან მუშაობა როგორ შეგიძლიათ? ისიც რომ ერთ-ერთი იმათგანია?

– He is a very interesting man.[113]

– კი, მაგრამ...

სიტყვებს ვეძებ. მინდა შევეკამათო. ისმაილ-ხანი ომის დამნაშავეთაგან ყველაზე საშიში დამნაშავე მართლაც არ არის, თუმცა არც ანგელოზივით უმანკოა. ნუთუ მასაც გაიმეტებს მოსაკლავად სადმე სამინისტროს შენობაში? ნეტავ როგორ მოკლავს: ესვრის თუ ჩაიში ჩაუყრის თაგვის წამალს? ბევრი მიიჩნევს, რომ ავღანეთში დაბრუნებულ ემიგრირებულ ავღანელთა უმეტესობა ისე იხიბლება ისმაილ-ხანისნაირი ადამიანებით, რომ მტყუანსა და მართალს ვეღარ არჩევენ. საინტერესოა, რატომ ხდება ეს? ძალაუფლებასთან სიახლოვის თუ სხვებზე გავლენით ტკბობის გამო? თუ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბალი რანგის სამსახურიდან ავღანეთში პირდაპირ მაღალი პროფილის სამსახურებში ხვდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოშობით ავღანელები არიან? თუმცა, არა მგონია, მალალაი ერთ-ერთი იმათგანი იყოს, ვინც ამერიკაში ღვთისაგან მივიწყებულ ადგილას ჰამბურგერებს ყიდდა. ამგვარ მსუბუქ შთაბეჭდილებას ის ნამდვილად არ ტოვებს.

ბევრი ამბობს, რომ ომის თვითმარქვია მთავარსარდლები იმიტომ რჩებიან თავიანთ ადგილებზე, რომ ქვეყანაში მათზე უკეთესი სხვა არავინ არის. იმავდროულად, საერთაშორისო საზოგადოება ე.წ „გამოსასვლელ სტრატეგიას“ ამუშავებს იმ მოსაზრებით, რომ ერთ დღეს ჩვენ წავალთ და ქვეყანას ადგილობრივი ადმინისტრაციის მზრუნველ ხელს მივანდობთ, მაგრამ თუკი ეს ხელი იმავე ადამიანების არის, ვინც ჩვენს მოსვლამდე ბატონობდა ამ ქვეყანაში, მაშინ რაღა აზრი აქვს ასეთ წასვლას? უწინ, როდესაც ავღანელების გამაერთიანებელი ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი – საბჭოთა ოკუპაცია – აღარ არსებობდა, ერ-

[113] (ინგლ.) ის ძალიან საინტერესო ადამიანია.

თმანეთის მოქიშპე ავღანელებმა მაინც ვერ შეძლეს გაერთიანება. ეთნიკური ჯგუფის, ენის, წარმომავლობის, რელიგიისა და კლასის გარშემო წარმოშობილმა ქიშპობამ და შუღლმა ქვეყანა სრულ განადგურებამდე მიიყვანა, რომელიც თალიბების ძალაუფლებაში მოსვლამდე გაგრძელდა. პოლ კოლიერი თავის წიგნში „The Bottom Billion“ ამბობს, რომ დაბალ შემოსავალს, ნელ წინსვლასა და ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებულებას ქვეყანა ხშირ კონფლიქტებამდე მიჰყავს... „the risk that a country in the bottom billion falls into civil war in any five year period is nearly one in six, the same risk facing a player of Russian roulette[114]. კონფლიქტი უფრო მეტ კონფლიქტს წარმოშობს. Civil war leaves a legacy of organized killing that is hard to live down“[115].

ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგივე მთავარსარდლები მშვიდობიან გაერთიანებას შეძლებენ, თუკი ქვეყანა კიდევ ერთხელ ჩავარდება მათ ხელში? რატომ ეძლევათ მათ კიდევ ერთი შანსი? შესაძლებელია, რომ ავღანეთის ოცდახუთ თუ ოცდათხუთმეტ მილიონ მოსახლეში ვერავინ მოიძებნოს ისეთი, რომ ამ ერთ მუჭა ხალხზე უკეთესი იქნება? ჩემი აზრით კი, წარმოუდგენელია, ვინმე იმაზე უფრო უარესი იყოს, ვიდრე ეს კაცები არიან.

რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმა გიგანტური გამოწვევაა. მინისტრის ან გუბერნატორის გადაყენება, თუკი მას მომხრეთა მხრიდან ხმაურიანი და სისხლიანი პროტესტი არ მოჰყვა, საოცრად იოლად ხდება. ყველაზე მთავარი ადმინისტრაციული გამოწვევა კი

---

[114] რისკი იმისა, რომ სამყაროს ფსკერზე მყოფი ქვეყნები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე დადგებიან, დაახლოებით ექვსიდან ერთს უდრის, ანუ იმდენსავეს, რამდენიც რუსული „რულეტკის“ თითოეულ მოთამაშეს აქვს.

[115] სამოქალაქო ომი ტოვებს ორგანიზებული დანაშაულის მემკვიდრეობას, რომელიც რთული მოსაშორებელია.

იმ ათი ათასობით ადამიანის მართვაა, რომლებიც სამინისტროებში, გუ-ბერნატორების ადმინისტრაციებში, სასამართლოებსა და მსგავს სტრუქტურებში სხედან. აშკარაა, რომ ეს ადამიანები თანამდებობისათ-ვის შესაფერის კომპეტენციას არ ფლობენ და ხშირ შემთხვევაში კორუმ-პირებულნი და რომელიმე ადგილობრივ პოლიტიკურ ფიგურას მიკედ-ლებულნი არიან. აქვე ისმის მეორე კითხვა, ვინ შეავსებს გადაყენებული მინისტრებისა და ჩინოვნიკების ვაკანტურ ადგილებს იმ ქვეყანაში, სა-დაც განათლებისა და კომპეტენტური სამუშაო ძალის დეფიციტია? მე-ორე მხრივ, ეს ადამიანები საფრთხეს არ უქმნიან უკეთესი ავღანეთის შექმნის იდეას ომის თვითმარქვია მთავარსარდლებისაგან განსხვავე-ბით, რომლებიც რეინკარნაციის შემდეგ პოლიციის შეფებისა და მინის-ტრების რანგში მოგვევლინნენ. მანამ, სანამ ეს ადამიანები ისევ თავიანთ ადგილებზე არიან, ისინი დაუსჯელობისა და იმის შიშის სიმბოლონი იქ-ნებიან, რომ ისტორია შესაძლოა, განმეორდეს.

თითოეულ პასუხზე კიდევ უფრო მეტი კითხვა მომდის თავში, მაგრამ სანამ მათ დავსვამ, ვიღაც ან რაღაც გვიშლის ხელს და საუბრის თემაც იცვლება. დროა, გზა განვაგრძო.

არეულობა

მაისი–ივნისი 2006

29 მაისი ჩვეულებრივი საოფისე სამუშაოთი დაიწყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, expect the unexpected. ქაბულის ჩრდილოეთ დასახლებაში მოძრავი ამერიკული კოალიციის კოლონაში ერთ-ერთ სატვირთო მანქანას მუხრუჭებმა უმტყუნა და თორმეტი მსუბუქი ავტომანქანა და დაახლოებით ამდენივე ქვეითი იმსხვერპლა. შემთხვევის ადგილზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. იმის გარკვევა, პირველმა ვინ გაისროლა, რამდენი და რატომ, შეუძლებელია, თუმცა სულ მალე ხაირ-ხანაში ასობით ადამიანი შეიკრიბა და საპროტესტო მარშით ქაბულის ცენტრისაკენ დაიძრა. პოლიციის პოსტებს ცეცხლი წაუკიდეს, პოლიციელები კი თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ჰუმანიტარული ორგანიზაციების შტაბებს თავს დაესხნენ. სახლები დალეწეს და დაანგრიეს.

ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. მე და „სიდა“-ს თანამშრომლები მხო-

ლოდ ფრაგმენტულსა და საეჭვო ინფორმაციას ვიღებთ, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდება და, საეჭვოობის მიუხედავად, რთულია არ ენდო. სულ მალე სატელეფონო ქსელებიც ერთმანეთის მიყოლებით ითიშება.

შტამპებსა და ყველა საჭირო ნივთს მოვუყარე თავი და საევაკუაციოდ გამზადებულ სეიფში ჩავკეტე, რომ უცხო ადამიანების ხელში არ ჩავარდნილიყო. შენობიდან დროშები ჩამოვხსენით. უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, გარედან აბრა არც არასდროს გვქონია. დროდადრო ჩვენს უსაფრთხოების სამსახურს ვურეკავ, თუმცა ამაოდ.

ჩემი ოთახის გარეთ მდებარე ვიწრო და უფანჯრო დერეფანში ვსხედვართ და ჩვენს კვარტალთან მოახლოებულ ცეცხლს ვუგდებთ ყურს. შენობაში თავზარდაცემული ჩიტების ჟივჟივიც აღწევს. იმ დღემდე ქაბულში ჩიტების ჭიკჭიკი არც გამიგია. ნეტავ, რა აიძულებს ამ ჩიტებს ქაბულში დასახლებას. აქ ხომ არც ხეებია და არც გუბეები. პურის ნაფხვენებსაც არავინ ყრის გარეთ. ალბათ ჩიტთაგან ყველაზე დეპრესიული, სადისტური და ასკეტური ჩიტები არიან.

ჩაის ვსვამთ, თხილსა და გამხმარ ნიგოზს ვაკნატუნებთ და ყოველდღიურ საკითხებზე ვსაუბრობთ, ფიქრები კი სულ სხვაგან გვაქვს. რა უნდა ვქნათ, თუკი აქაც მოაღწევენ? ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი ჯავშნიანი მანქანა გვყავს? იქ ყველა ერთად მაინც ვერ ჩავეტევით. რა ვქნათ? ადგილობრივი მაცხოვრებლები შინ გავუშვათ თუ ჩვენთან დავტოვოთ? რომელი უფრო უსაფრთხოა?

სტოკჰოლმში, საგარეო საქმეთა სამინისტროში მოკლე შეტყობინება გავგზავნე და ვაცნობე, რომ ქაბულში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და მაშინვე უკან, დერეფანში დავბრუნდი, არ მინდოდა ფანჯარასთან დიდ-

ხანს ვმჯდარიყავი და ბრმა ტყვიის მსხვერპლი გავმხდარიყავი. ბედისწერის ზედმეტად გამოწვევის სურვილი ნამდვილად არ მქონდა, განსაკუთრებით – ქაბულში ყოფნის უკანასკნელ დღეებში, ასეთ მომენტებში ცოტაოდენი ცრურწმენა დასაძრახი ნამდვილად არ არის. პირიქით, ძალიან ბუნებრივიც კია.

ასე ვისხედით კიდევ ერთი, ორი ან სამი საათი. უეცარი შემთხვევითობის წყალობით, ჩვენს უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირება შევძელი:

– ახლა ვერ დაგელაპარაკებით, თავს გვესხმიან! – ჩამყვირა ვიღაც კაცმა ყურმილში.

კავშირი გაწყდა. ტელეფონი ფრთხილად ჩავიდე კალთაში და სახეზე ხელები ავიფარე. შიშმა ამიტანა.

რამდენიმე საათში ყველაფერი დამთავრდა. მობილური ტელეფონები ამუშავდა. უსაფრთხოების სამსახურის რამდენიმე თანამშრომელმა მოგვაკითხა, რომ ჩვენი მდგომარეობა გაეგოთ. შეიარაღებულები იყვნენ და სისხლიანი ტანსაცმელი ეცვათ. თურმე მათ შენობას თავს დაესხნენ, ავტომანქანებს ცეცხლი წაუკიდეს. მათთან შედარებით, ჩვენ არაფერი გვიჭირდა.

– We are fine. Just fine. Lucky it never really reached this part of town.[116]

ვიღიმი. ცოტაოდენი იღბალი ნამდვილად არ არის ცუდი. იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, რამდენი რამის გაფუჭება შეეძლო ამ ყველაფერს.

დავიშალეთ და ჩვენ-ჩვენს სახლებში წავედით. გვიანი შუადღე იყო, თუმცა ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. ჩაი ავიდუღე და მთელი

[116] (ინგლ) ჩვენ კარგად ვართ. საბედნიეროდ, ქალაქის ამ ნაწილამდე ვერ მოაღწიეს.

სახლი მოვიარე, რომ რაიმე თავშესაქცევი გამომეძებნა. შინაგანი მღელვარება არ მასვენებდა და ყელში ბურთივით მაწვებოდა კითხვა: ყველაფერი დამთავრდა თუ ეს სიჩუმე მოჩვენებითია? შიგნით მხოლოდ უსიამოვნო შეგრძნება მქონდა იმის გამო, რომ არ ვიცოდი, ზუსტად რა მოხდა, და არც ის ვიცოდი, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. მას შემდეგ, რაც ჩემი აქ ყოფნის პირველ შემოდგომას გატაცებებმა შემაშინა, სახლში მარტო ყოფნის არასდროს შემშინებია. ავღანეთში საიდუმლოებები არ არსებობს. ქალაქის თითოეულმა კედელმა იცის, რომ ამ სახლში ევროპელი ქალი სრულიად მარტო ცხოვრობს. თუკი ეს სიმშვიდე მხოლოდ მოჩვენებითია, მაშინ რა უნდა ვქნა, ჩემს კვარტალში კიდევ ერთი გაბოროტებული ბრბო რომ შემოიჭრას? აქ იმდენი სხვადასხვანაირი დაჯგუფება არსებობს, რომლებიც სიამოვნებით გამოიყენებენ ამ არეულ სიტუაციას იმისათვის, რომ უცხოელებს შორის შიში დათესონ. აქ ხომ ადამიანების სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს.

ჩემს მეგობარს ვურეკავ, რომელიც მრავალი წლის წინ გავიცანი და რომელსაც პირობითად შეგვიძლია სემი ვუწოდოთ.

სემი განსაკუთრებული უნარების მქონე ადამიანია. – მარტო ყოფნა არ მინდა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დღეს მოხდა, – ვუთხარი ტელეფონში.

– საჭირო ნივთებს ჩავალაგებ და ასე ერთ საათში შენთან ვიქნები, – მითხრა მან.

შემდეგ ფრაუკეს დავურეკე, რომელიც მომდევნო დილას მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ სამუდამოდ ტოვებდა ავღანეთს. ის შარ-ე ნაუში ცხოვრობდა, ქალ-ე ფატულესთან ახლოს, არეულობის ეპიცენტრში. ჩემს სახლს დაცვა და გალავანზე შემოვლებული მავთულხლართი იცავს, კარს – გამძლე საკეტები და ფანჯრებს – გისოსები, მას მხოლოდ ერთი კარი იცავდა გარესამყაროსგან.

– როგორ ხარ, – ვკითხე ფრაუკეს.

– მთელი დღე ფანჯრის ქვეშ გავატარე. ტყვია-წამლის სუნმა ცხვირი კინაღამ დამწვა.

– კი, მაგრამ, შენი მცველი სად არის? სულ მარტო ხარ? – არეულობის დაწყებისთანავე გაქრა. მითხრა, ჩემი ძე, არეულობაში მოხვდა და მის საშველად უნდა წავიდეო. ო, როგორი ეშმაკური საბაბია უცხოელებისაგან თავის შორს დასაჭერად.

– ჩემს გამოსამშვიდობებელ საღამოზე მინდოდა მეკითხა... ალბათ ჯობდა გამეუქმებინა, მაგრამ ათი ლიტრი ისპანახის სუპი მოვამზადე. უკეთესი ვერაფერი ვნახე და ვიფიქრე...

ორივეს გაგვეცინა.

– შეგიძლია ღამით აქ დარჩე. უმჯობესი იქნება, თუ სახლში მარტო არ იქნები.

– ასეთი დღის შემდეგ ალბათ ვერავინ გაბედავს სახლის დატოვებას, – შეყოყმანდა ფრაუკე, თუმცა მისი გადარწმუნება არ გამჭირვებია და მაშინვე ვაჰაბს ვთხოვე, მის მოსაყვანად წასულიყო.

– I go to town? Now? Tonight?[117] – მკითხა გაოცებულმა ვაჰაბმა და შეეტყო, რომ ჩემი იდეა საშინლად არ მოეწონა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

საყვარელი, ძვირფასი ვაჰაბი ის ადამიანია, რომელსაც ნებისმიერ ამინდში ენდობა კაცი. დიდი ხანია, მისი სიცილი არ გამიგია. არადა, გულიანი გადახარხარება იცის ხოლმე, მაგრამ თუ საქმე სასაცილოდ არა აქვს, ისე იღიმის, რომ მთელი სახე ებადრება. თუმცა მისი მწვანე თვალები მაინც ვერ მალავს იმ სევდას, სადღაც ღრმად, გულში რომ აქვს დამალული. ნეტავ ოჯახი როგორ ჰყავს? ცოტა ხნით ადრე ქალიშვილი გაუხდა ავად. იმედი მაქვს, ფეშავარში მაინც მიიღო სამედიცინო დახმარება.

---

[117] ქალაქში უნდა წავიდე? ახლა? ამაღამ?

ფრაუკე მოვიდა. ჩემი მცველები იმაზე მეტად შეშფოთებულნი არიან, ვიდრე ოდესმე. ფრაუკეს ზურგს უკან კარი საგულდაგულოდ ჩარაზეს. შემდეგ სემი მოვიდა, მანქანიდან სამოცდაათლიტრიანი ბიდონი გადმოიტანა და კარი ისე მიაჯახუნა, რომ მეგონა ჩამოვარდებოდა. ჩემი მცველები შობის ღამის მოლოდინით თვალებგაფართოებული ბავშვებივით შესცქეროდნენ სემს, რომელსაც ცალ ხელში ბიდონი ეჭირა, მეორეში კი – ავტომატი.

– ფრაუკე, გაიცანი, ეს სემია.

სემი და ფრაუკე ერთმანეთს მიესალმნენ. ფრაუკე იღლიამდე ძლივს მისწვდა, თუმცა ურიგო არც ეს იყო. ბევრი იღლიამდეც ვერ სწვდება.

ფრაუკემ კითხვებით სავსე თვალებით შემომხედა.

– ძველი მეგობარია, – ვუპასუხე ხელის აქნევით და წინასწარ დავიზღვიე თავი იმ პასუხებისაგან, რომელთა გამხელაც მისთვის არ მინდოდა.

– რამეს ხომ არ დალევთ? მე ნამდვილად მჭირდება რამე დღევანდელი დღის შემდეგ.

– მე წავალ და წყალს გადავივლებ. ამის გამოყენება ხომ იცი? – მკითხა სემმა და ავტომატი მაღლა ასწია. თანხმობის ნიშნად თავი ჩუმად დავუკარი. იმედი მაქვს, რომ მისი გამოყენება არ დამჭირდება.

– დაიკიდე და ესროლე. შიგ ერთი მჭიდია. ჩამკეტი აქ არის, – თითით მაჩვენა თოფზე და იარაღი სამზარეულოსა და შემოსასვლელს შორის, ზღურბლზე მიაყუდა. თვითონ კი ერთი სართულით ზემოთ მდებარე აბაზანისკენ წავიდა.

ამასობაში მე და ფრაუკემ ერთი ბოთლი წითელი ღვინო წამოვადუღეთ, სადილი მოვამზადეთ და სტრესის საწინააღმდეგო საშუალების – შოკოლადის ნამცხვრის ცხობა დავიწყეთ, თან განვლილ გიჟურ დღესა და მისგან გამოწვეულ რეაქციაზე ვსაუბრობდით. ზუსტად რა მოხდა, არც ერთმა ვიცოდით. არც იმაზე გვქონდა პასუხი, თუ რატომ ხდებიან

ადამიანები ცრუმორწმუნენი სწორედ მაშინ, როდესაც სიკვდილი ახლოა. ნატოც გავაკრიტიკეთ, ავღანური პოლიციაც და ისაფის ათასობით ჯარისკაციც, რომლებიც უგზო-უკვლოდ გაქრნენ სადღაც. რამდენჯერმე მოვუყევით ერთმანეთს დღის განმავლობაში გაგონილი და საკუთარი თვალით ნანახი ამბები და ისიც, რაც სხვისგან გავიგეთ. – მგონი, მიხარია, რომ ავღანეთიდან მივდივარ, – მითხრა ფრაუკემ.

იმ საღამოს ამას მთელი ტანით ვგრძნობდი. მართლაც კარგი შეგრძნება იქნება აქაურობის დატოვება და მოდუნება. სანამ აქ ხარ, მოდუნება არ გამოდის. სადაც უნდა წახვიდე, აქაური ამბები ყველგან საკუთარი ჩრდილივით დაგყვება თან, მაგრამ როგორც კი ჩემი თვითმფრინავი ავღანეთის საზღვრებს გასცდა, ვიგრძენი, რომ ჩემი ერთი ნაწილი ილუმინატორს მიღმა დარჩენილი ავღანეთის მთებს მიღმა დარჩა.

ვიხსენებ იმ ოცდაორ თვეს, რომელიც ამ ქვეყანაში გავატარე. ავღანეთი ჩემს პროგრესულ მსოფლმხედველობაში ნამდვილად ვერ ჯდება, თუმცა ის ფაქტი, რომ ახლა უფრო მეტი ბავშვი იღებს განათლებას სკოლაში; რომ უფრო მეტ ქალს მიეცა მუშაობის უფლება; რომ თუნდაც მხოლოდ ქაღალდზე, მაგრამ ქალიც იმავე უფლებით სარგებლობს, რითაც მამაკაცი; რომ მილიონობით ლტოლვილმა უკან დაბრუნება შეძლო; რომ ქვეყანას პარლამენტი, კონსტიტუცია და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჰყავს, სწორედ ის ფაქტებია, რომელთა წამოწევა არასდროს მეზარება მაშინ, როდესაც ჩვენი აქაური საქმიანობისა და შვედეთის ნახევარმილიარდიანი წვლილის დაცვა მიწევს ან თუნდაც იმის ახსნა, თუ რა მიიღო მსოფლიომ ავღანეთის აღმშენებლობაში გადახდილი თითოეული მილიარდი დოლარის ან თითოეული აქ დაღუპული ჯარისკაცის, ჰუმანიტარული ორგანიზაციის თანამშრომლის, დიპლომატისა და ჟურნალისტის სანაცვლოდ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, სასწორის მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების გაუარესებული მდგომარეობა, პრეზიდენტის საეჭვო გარიგებები სხვადასხვა დაჯგუფებასთან, კიბოსავით მოდებული კორუფცია, თალიბების უწყვეტი პარპაში, დაუსჯელობის სინდრომი და ის ფაქტი დევს, რომ ქვეყნის დამაქცეველნი დღეს ისევ წამყვან პოზიციებს იკავებენ. რასაც განათლების თითქმის არარსებული სისტემა, ოპიუმის უფრო და უფრო დიდი მოსავალი, რეგიონული დესტაბილიზაცია და ზედმეტად გაბერილი, მაგრამ საშინლად არაკომპეტენტური სამთავრობო ადმინისტრაცია ემატება.

მაგრამ მაინც. ის ფაქტი, რომ ავღანეთში ჩვენი წარმატება რთულად მიიწევს წინ, იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ამ ქვეყნისათვის ბრძოლას შევეშვათ. ავღანელები, ყველა სხვა დანარჩენის მსგავსად, იმსახურებენ უკეთეს მომავალს. პოლიტიკისა და ჩვენი საქმიანობის უსუსურობა არ ნიშნავს იმას, რომ მათ ჩვენი დახმარება არ სჭირდებათ. ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება, რომ ეს ხალხი გასაჭირში მივატოვოთ. ჩვენ არა გვაქვს უფლება, ავდგეთ და სახლში წავიდეთ. მათი პრობლემები და გამოწვევები ჩვენი პრობლემები და გამოწვევებია. ავღანეთის ხელმძღვანელობამ და, მათთან ერთად, ჩვენც უფრო დიდი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ.

ნავახშმევს სემმა სასტუმრო ოთახის ფარდები ოდნავ გადასწია, რომ ეზო და შემოსასვლელი უკეთ დაენახა და „პოენგად“ წოდებულ „იკეას“ სავარძელში სათვალთვალო ადგილი დაიკავა. ფეხებთან ნახევარწრეზე ჩამოლაგებული ტყვია-წამალი მოიმარაგა, ჩვენ კი დასაძინებლად გაგვისტუმრა. ისეთი სანახავი იყო, გაზეთ „ექსპრესენიდან“ ამოღებული ფოტო გეგონებოდათ.

ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეგობრები მყავს.

მეორე დღეს ქაბული უჩვეულოდ დუმდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომენდანტის საათი გამოაცხადა საღამოს საათიდან დილით 5 საათამდე. მე და ნიკმა ტელეფონით ვისაუბრეთ. ჩემს გამგზავრებასთან და მის დაბადების დღესთან დაკავშირებით ქალ-ე ფატულაში მდებარე ინდურ რესტორან „ჯაისალმერში“ საერთო წვეულების გამართვას ვგეგმავდით, მაგრამ წინა დღეების არეულობის გამო გეგმები აგვერია, არადა, რესტორანი და წვეულებისათვის საჭირო სურსათი შეკვეთილი გვქონდა.

– რესტორნის ახლოს ჩავიარე მანქანით. წვეულება არ იქნება. რესტორანი დაკეტილია, პერსონალი ინდოეთში გაუგზავნიათ. იქ ყოფნა მაინც არ იქნებოდა მიზანშეწონილი. რესტორნის ირგვლივ ნანგრევებიდან კვამლი და საშინელი სიმყრალე მოდის, – მითხრა ნიკმა და გაეცინა. რა საჭირო იყო მთელი ეს არეულობა? ვის სჭირდებოდა? ნუთუ არ დაიღალნენ? აქ ხომ ყველაფერი ისედაც დაშლილი და დანგრეულია, ირგვლივ ისედაც ამდენი სიღარიბეა, რატომ შლიან და ანადგურებენ ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ ფეხზე დგას?

– ახლა რაღა ვქნათ? მე მინდა გამოსამშვიდობებელი წვეულების მოწყობა.

– კი, მაგრამ საღამოს 7 საათის შემდეგ რომ კომენდანტის საათია გამოცხადებული?

– მე მინდა წვეულება, – არ ვნებდები მე.

ვერ ხედავს, ტუჩებს როგორ ვკუმავ, როდესაც სიტყვა მინდა-ს ვამბობ?! მე მინდა წვეულება!

არა უშავს, „ტიტანიკზე“ შეზლონგებს გავშლით, მაგრამ წვეულება მაინც იქნება!

წვეულების მოსაწყობად მეზობლად მდებარე სახლი ვიქირავე და ყველა დავპატიჟეთ: ნაცნობები, მეგობრები და უცნობებიც კი. უამრავი ხალხი მოვიდა. როგორც ჩანს, გასული კვირის შემდეგ წვეულება ყველას ჰაერივით სჭირდებოდა. ლაღი განწყობით ვუჭახუნებდით ერთმანეთს

ლუდის ბოთლებს, ქათმის მწვადს ვაგემოვნებდით, სადღეგრძელოებს ვამბობდით, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ვიცინოდით და ისე თავდავიწყებით ვცეკვავდით, თითქოს ეს ჩვენი უკანასკნელი დღე იყო. სწორედ ასეთი ქაბული მინდა დამამახსოვრდეს. ბალახისა და ვარდის სურნელი, რომელიც ცხვირში გიღიტინებს, და ვერანდის კარიდან მომავალი ხმამაღლა მოსაუბრე ადამიანებისა და მუსიკის ხმა. მინდა სულ მახსოვდეს ფანტასტიკური, მომხიბლავი ადამიანების გარემოცვაში გატარებული ლაღი და თბილი საღამო.

გამთენიისას, კომენდანტის საათი რომ ამოიწურა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის კაკუნით წავედი შინ. ჩემს სახლამდე რამდენიმე კვარტალში ქუსლიანი ფეხსაცმელი გავიხადე და მიწიან გზაზე სიარული დაბალძირიანი ფეხსაცმლით განვაგრძე. ჰაერში ზაფხულის სურნელი იგრძნობოდა და, ადრიანი დილის მიუხედავად, საამურად თბილოდა. მტვრიან ფორმებში გამოწყობილი დაცვის ნახევრად მძინარე თანამშრომლები მუხლებზე გადადებული კალაშნიკოვებით თავიანთ სკამებზე ისხდნენ, ზუსტად ისე, როგორც ქაბულში ჩამოსვლის პირველ კვირას; თუმცა ახლა ალბათ ერთი-ორად უფრო მეტნი არიან.

რამდენიმე დღის შემდეგ უნგრულმა სატრანსპორტო კომპანიამ ჩემი ნივთები მუყაოს უზარმაზარ ყუთებში ჩააბარგა და გასაგზავნად მოამზადა. ყუთები იმდენად დიდი იყო, რომ მათი სახლიდან გატანა რამდენიმე კაცმა ძლივს მოახერხა. ნეტავ საით წაიღებენ ჩემს ნივთებს? როდისმე კიდევ ვნახავ მათ? თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?! მათგან მაინც არაფერს მოვისაკლისებ. მათ შორის ჩემთვის მნიშვნელოვანი არაფერია. ნამდვილად არაფერი.

ის ნივთები, რომლებიც აღარ მჭირდებოდა, სანაგვეზე გავიტანე და ნაჯიბს ჩავაბარე.

– Can I take this, miss Diana?[118] – მკითხა მან და ძველი ქვაბი, გაზეთები, ნახევრად შევსებული უბის წიგნაკი და მაისური მაჩვენა, რომელიც მე უკვე მომბეზრდა.

– რა თქმა უნდა, ნაჯიბ. რაც გინდა, ყველაფერი აიღე, პირიქით, გამიხარდება! – ვუთხარი და გამიხარდა, რომ ჩემ მიერ მოძულებულ ნივთებს ახალი პატრონი გამოუჩნდა, მეორე მხრივ კი, უსაშველოდ შემრცხვა, რომ ცხოვრებაში არაფერი მაკლდა და თავს იმის უფლებას ვაძლევდი, რომ მობეზრებული ნივთები სანაგვეზე გადამეყარა.

ყუთები რომ წაიღეს და სახლი სრულიად დაცარიელდა, ბოლო დღეები სასტუმრო „სერენაში“ გავატარე. „სერენა“ ნამდვილი ქაბულის ნაწილი არ არის, თუმცა ყოველთვის მომწონდა მისი ელეგანტური ავღანური ინტერიერი. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ჰაჯი-აბდულ-რაჰმანის მეჩეთთან დგას, სადაც ერთ დროს საუდური ფულით თალიბებმა პარკის მშენებლობა დაიწყეს, თუმცა წლების წინ მიატოვეს და ახლა იქ ბეტონის ჩონჩხის ირგვლივ მხოლოდ ხარაჩოებიღა ჩანს. ეს ადგილი იმიტომაც მომწონს, რომ ის ამ ქვეყნის ერთგვარი სიმბოლოა – კომპრომისების სიმბოლო, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს ამ ქვეყნის ისტორიას და გვახსენებს, რომ ჟამთა სვლა ისტორიის მსვლელობასაც ცვლის.

სიგიჟემდე მიყვარს „სერენა“. აქ ჩაიხანაში ესპრესოს აპარატიც კი აქვთ. მართალია, მისი მოხმარება არავინ იცის და ახალი რძეც არასდროს აქვთ, მაგრამ უფაფუკეს საწოლებში გაშლილი ქათქათა თეთრეული და ნაირ-ნაირი სასუსნავით სავსე საუზმე გულგრილს არავის ტოვებს. ჩემს შემთხვევაში, ევროპაში დაბრუნებამდე „სერენა“ საუკეთესო გარდამავალი ეტაპი იყო, რომელიც საბავშვო ბაღში ბავშვების სკოლისთვის მოსამზადებელ პერიოდს ჰგავდა.

გამგზავრების წინა საღამოს ჩემს პაკისტანელ მეგობართან ერთად

[118] მის დიანა, შეიძლება ეს ავიღო?

რესტორან „ატმოსფეროში“ ვივახშმე. საჭმელი ამჯერადაც უვარგისი იყო. რესტორნის ბაღის მაცოცხლებელმა ნიავმა მშრალი ქიში[119] და სალათის დამჭკნარი ფურცლებიც კი დამავიწყა. ღვინოს ვსვამდით და იმაზე ვსაუბრობდით, რომ მუსტაფა აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს სტოკჰოლმში. მე გიდობას გავუწევ, ისევე, როგორც მან გამიწია გიდობა თავის ქალაქში, ლაჰორეში, სადაც რამდენიმე დაუვიწყარი დღე გავატარე. მინდა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სტოკჰოლმი საჰაერო ბურთიდან ვაჩვენო. ჩვენს საუბარს რამდენიმე თვით ადრე წვეულებაზე გაცნობილი ჩემი ფრანგი მეგობარი აიმერიკი შემოუერთდა და კიდევ უფრო მეტი ღვინო დავლიეთ. თბილი საღამო იყო. ბუჩქებს მიღმა მაგიდებთან მსხდომი სხვა სტუმრების ჩუმი საუბარი ისმოდა. ჩვენ კი სავარძლებში ვისხედით და ავღანეთზე საუბარში გართულები ღვინის მესამე ბოთლს ვსვამდით. ვლაპარაკობდით ავღანეთის წარუმატებელ პოლიტიკაზე; იმაზე, რის გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია; ჩვენს ფრუსტრაციაზე, უძლურებასა და ზოგადად მომავალზე.

ერთდროულად სევდიანი და ბედნიერი ვარ. სევდიანი – იმით, რომ ყველაფერს უკან მოვიტოვებ, ბედნიერი კი – იმით, რომ სახლში ვბრუნდები. ეს მახარებს. არ ვიცი, ისევ თუ შევძლებ აქ შეძენილი მეგობრების ნახვას. ისინი მგონი ოჯახის წევრებზე უფრო ახლობელნი გახდნენ ჩემთვის, რადგან სხვანაირ დიანას იცნობენ. ჩვენ ხომ ყველანი ცოტა სხვანაირები ვიყავით აქ ჩამოსვლამდე.

მუდმივი შეხვედრები, მუდმივი განშორებები. ყველა მომენატრება, მაგრამ აქ დარჩენის ალტერნატივას უკვე აღარ განვიხილავ. გადავიღალე. მეტი აღარ შემიძლია. სარკეში რომ ვიხედები, ასე მგონია, უკვე ხუთი წელია, აქ ვცხოვრობ. არადა, სინამდვილეში სრული ორი წელიც არ

[119] ბოსტნეულის თავღია ღვეზელი.

არის. აქაურ ყინვასაც ვეღარ ავიტან, ახლა ვეღარ, იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ ახლა ვეღარ. ახლა მხოლოდ ისეთ ქვეყანაში თუ გავძლებ, სადაც ცენტრალური გათბობაა. ო, ღმერთო, ნეტავ ბელგიაში მაინც დამხვდეს ცენტრალური გათბობა. შიგნიდან სუსტი ხმა მეძახის: კიდევ რამდენიმე თვე და შენ თვითონ ნახავ, რომ აქ ყველაფერი ისე შეიცვლება, რომ ვეღარ იცნობ. ჩემს აქაურ მეგობართაგან ბევრი უკვე წასული იქნება. მათ ადგილს კი ახალი დიპლომატები და ჰუმანიტარული მისიის წარმომადგენლები დაიკავებენ. ისინი ახალი ენერგიითა და ავღანეთში არსებული პრობლემების მოგვარების თავიანთი პროგრამით ჩამოვლენ. უსაფრთხოების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. კიდევ უფრო მეტი პროვინცია გახდება „ჩაკეტილი“ და „სიცოცხლისათვის საშიში“. ამის გამოცნობას დიდი ცოდნა არ სჭირდება.

ჩემი გადაწყვეტილება კი ახალი თავია ჩემს ცხოვრებაში. ეს დამშვიდობების ის ფასია, რომელსაც ჩემი სამსახურისათვის ვიხდი. ეს იმ განტოლების ნაწილია, რომელსაც ვერასდროს ვხსნი. ჩემი ერთი ნაწილი ვერაფრით ისვენებს აწმყოში, ის მუდამ გზას ადგას, თუმცა ჩემი გულის ერთ ნაწილს მაინც აქ ვტოვებ, ავღანეთის ქვიშაში ჩამარხულს, რადგან მსოფლიოში არსად და არცერთ ხალხს ისე არ გაუთბია ჩემი გული, როგორც აქ.

მეორე დილით რვა საათზე გავიღვიძე, ცხელი შხაპი მივიღე და თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ ალვედონი დავლიე. საბოლოოდ ჩავაბარგე და პორტიე გამოვიძახე, რომ ჩემი სამი სამგზავრო ჩანთის წაღებაში დამხმარებოდა. სულ ეს არის, რაც მომდევნო თვეებში შეიძლება დამჭირდეს – ყველაფერი, რაც ახალ ადგილზე, ახალი ცხოვრების დასაწყებად არის საჭირო.

ბოლოსიტყვაობა

მას შემდეგ, რაც 2004 წელს პირველად დავდგი ფეხი ავღანეთის მიწაზე, სულ მესმის, რომ ავღანეთი is at a decisive crossroads[120]. ამ გზაგასაყარის შესახებ უამრავი სტატია და რეპორტაჟი წამიკითხავს, მაგრამ ის არასდროს ასე დროული არ ყოფილა, როგორც ახლა.

მაშინ, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი, 2009 წლის აგვისტოში ჩატარებული სადავო საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ, ისევ ქვეყნის პრეზიდენტად გამოცხადდა.

ამ არჩევნებმა ავღანეთის სახელმწიფოს მშენებლობის ისედაც მყიფე პროცესში არსებული ხარვეზები წარმოაჩინა, რასაც თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა, თუმცა ბევრს ალბათ არც ახსოვს: საპრეზიდენტო არჩევნებს წინ გაცხარებული პოლიტიკური დებატები უძღოდა; არჩევ-

[120] (ინგლ.) არის გადამწყვეტ გზაგასაყარზე.

ნებში ბევრი კანდიდატი მონაწილეობდა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მართავდა საარჩევნო კამპანიას; ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტებმა იკლო; საარჩევნო ლოჯისტიკამ მოსალოდნელზე გამართულად იმუშავა.

თუმცა, ამ არჩევნების შემდეგ სასიკეთო ცვლილებების ნაცვლად ყველას პირში საშინელი გემო დაგვრჩა, რომელმაც მხოლოდ თალიბები გაახალისა. გაყალბების მასშტაბები კოლოსალური იყო. ასობით საარჩევნო პუნქტმა, რომელიც მხოლოდ სიებში არსებობდა, ათასობით არარსებული ხმა ჩააბარა. მოსახლეობის აქტიურობა ძალიან დაბალი იყო, ამიტომ თითქმის ცარიელი ურნები გაყალბებული სარჩევნო ბიულეტენებით შეავსეს. მოქმედი პრეზიდენტი მზად იყო თავი არჩევნებში გამარჯვებულად გამოეცხადებინა, მაგრამ საარჩევნო საჩივრების კომისიის მოთხოვნით ჩატარებული ორთვიანი გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ მიცემულ ხმათა ერთი მესამედი გაყალბებული იყო და რადგანაც მოსახლეობის აქტიურობა ორმოცდაათ პროცენტზე ნაკლები იყო, ხმათა უმეტესობის მფლობელი ყარზაის მთავარი მეტოქე, წარმოშობით ტაჯიკი თვალის ექიმი და ყარზაის მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, აბდულა აბდულა გახდა, რის გამოც მათ შორის არჩევნების მეორე, გადამწყვეტი რაუნდი დაინიშნა.

ექიმმა აბდულამ მეორე რაუნდამდე გადამწყვეტი მოთხოვნები წამოაყენა. მან განაცხადა, რომ არ სურდა ისეთ არჩევნებში მონაწილეობა, რომელიც ისევე გაყალბდებოდა, როგორც წინა. სწორედ ამიტომ მან არარსებული საარჩევნო ოლქების გაუქმება და რამდენიმე მნიშვნელოვანი მინისტრის, არჩევნების გაყალბებაში ეჭვმიტანილი პირისა და საარჩევნო კომისიის არცთუ ისე მიუკერძოებელი თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა, რაზეც ყარზაიმ უარი განაცხადა. აბდულა აბდულამ დანაპირები შეასრულა და განმეორებით არჩევნებში

მონაწილეობაზე უარი თქვა. შედეგად საარჩევნო კომისიამ, რომელსაც ყარზაის ერთგული თანამოაზრე ხელმძღვანელობდა და მიუკერძოებლობისა არაფერი ეცხო, არჩევნების მეორე ტური გაუქმებულად, ხოლო ყარზაი გამარჯვებულად გამოაცხადა. და, აი, ასე გახდა ფენიქსივით აღზევებული ყარზაი ავღანეთის პრეზიდენტი კიდევ ერთი ხუთწლიანი ვადით. მომავალი გვიჩვენებს. Expect the unexpected.

თავში მხოლოდ უპასუხოდ დარჩენილი კითხვები მიტრიალებს: რას მოგვიტანს მოვლენათა ამგვარი განვითარება? როგორ უნდა ვიმუშაოთ ასეთ პრეზიდენტთან? რა გავლენა ექნებათ იმ თვითმარქვია მთავარსარდლებს, რომლებიც ასე ახლოს შემოიკრიბა ყარზაიმ?

უკვე სამი წელია, საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტის, თანაშემწე ვარ და მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი ახალი თანამდებობიდან ომით გათანგული ქვეყნის ფეხზე წამოყენების პროექტებს ახლებურად ვხედავ. კარლი ადამიანთა იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებსაც მშვიდობის მაკლერების მსოფლმხედველობა და გამოცდილება გააჩნიათ და ყოველთვის მხოლოდ წინ მიიწევენ, მაშინაც კი, როცა ბევრი უკან დახევას არჩევს. თუმცა ადვილი არც ეს არის. მშვიდობის დამყარების მზა რეცეპტები ხომ არც აქ არსებობს და არც სადმე სხვაგან. ამას დრო სჭირდება.

ასე რომ, იმის მიუხედავადაც, რომ ავღანეთს, 2004 წელთან შედარებით, გაცილებით უფრო დიდი გამოწვევები აქვს, მაინც მწამს, რომ იმედი არსებობს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთი თავისი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ ადგილზე დააყენა. საერთაშორისო საზოგადოებამ კი, რომელიც ავღანეთის მთელ საარსებო მინიმუმს აფინანსებს, კურსის გამოსწორება სცადა. რვაწლიანი გამოცდილების შემ-

დეგ, რომელიც საშინლად ძვირი დაგვიჯდა, კურსიდან არ უნდა გადაგვეხვია, თუმცა... სტრუქტურული პრობლემების წინაშე, როგორებიცაა დაუსჯელობის სინდრომი, კორუფცია, ნარკოვაჭრობა, ნეპოტიზმი და თვითმარქვია მთავარსარდალთა გავლენა – თვალის დახუჭვის ტენდენციამ იკლო. ის გამოწვევები, რომლებსაც წლების განმავლობაში ვებრძოდით ავღანეთში, აღარც ჩვენთვის არის უცხო. ტერორისტული აქტები, რომლებიც ჩვენს სიახლოვეს ხდება, სულ უფრო მეტად ემუქრება ჩვენს დემოკრატიულ ღირებულებებს. ის, რაც ავღანეთში, პაკისტანში, სომალისა თუ ღაზაში ხდება, გვინდა თუ არა, ჩვენც გვეხება. თუმცა, ცხადია, უმეტესი პასუხისმგებლობა ავღანეთის ხელმძღვანელობას აკისრია. მთავარია, საარჩევნო ქაოსიდან გამოფხიზლებულმა ავღანეთის მთავრობამ განვითარების სწორი მიმართულება აირჩიოს. ბოლოს და ბოლოს, ხომ თავად ავღანელებმა უნდა ააშენონ თავიანთი ქვეყნის მომავალი. ახლა ისღა დაგვრჩა, ვნახოთ, უფრო სასიკეთო პირობებში როგორ გაუმკლავდება ყარზაი იმის გაკეთებას, რაც ადრე ვერ შეძლო. ჩინოვნიკები, რომლებიც ხალხს ემსახურებიან, ხალხის სამსახურის ნაცვლად საკუთარ ჯიბეებს ისქელებენ. უსაფრთხოება. განვითარება. განათლება. ნარკოვაჭრობის აღკვეთა და დაუსჯელობის სინდრომი. მაგრამ საუკეთესო პოლიტიკითა და განზრახვებითაც კი შედეგამდე მისვლას დიდი დრო დასჭირდება.

ყარზაისა და მის მიერ დასანიშნ მთავრობაზე ზეწოლა, რომელმაც ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებები უნდა განახორციელოს, საგრძნობლად გაიზარდა, უპირველეს ყოვლისა – გარედან, რაც იმის ნიშანია, რომ პრეზიდენტობის მეორე მანდატი პირველზე გაცილებით უფრო რთული იქნება მისთვის.

სტოკჰოლმი და დელი
2009 წელი

მადლობას ვუხდი:

ირენა ბუსიჩს, ულოფ ერენკრუნას, ელისაბეტ ლარსდოტერს, სპასა რატკოვიჩს, თურბიორნ სულსტრომს, ნინა ვადენშოსა და ანა ვილკენსს.

განსაკუთრებული მადლობა პროფესორ ულფ ულსონს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მამხნევებდა.